



კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია
Georgian Comparative Literature Association (GCLA)



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University



შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature



აკაკი წერეთელის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Akaki Tsereteli Kutaisi State University

თანამონაწილე ორგანიზაციები:
Co-participant Organizations:



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
Caucasus International University



ქალაქ ქუთაისის მერია
Kutaisi City Hall

მხარდამჭერი ორგანიზაცია
Supporting Organizations:



XVII საერთაშორისო სიმპოზიუმი
ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები
პატარა ქვეყნების ლიტერატურები და თანამედროვე
გლობალური სამყაროს გამოწვევები

XVII International Symposium
Contemporary Issues of Literary Criticism
Literatures of Small Countries and Challenges of the
Modern Global World

თეზისები • Theses

რედაქტორი
ირმა რატიანი

სარედაქციო კოლეგია
მაკა ელბაკიძე
მირანდა ტყეშელაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თინათინ დუგლაძე

Editor
Irma Ratiani

Editorial Board:
Maka Elbakidze
Miranda Tkeshelashvili

Computer Software
Tinatin Dugladze

© თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი, 2024

© TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, 2024

შინაარსი
Contents

25	Pilv Aare <i>Estonia, Tallin</i> On the Smallness of Estonian Literature
25	Sabina Elkhan qizi Agababayeva <i>Azerbaijan, Baku</i> Polyphony in Literature – Contemporary Postmodern Prose
26	Gultakin Aliyeva <i>Azerbaijan, Baku</i> Prose Components in Poetry Rhythm in the Context of Etimad Bashkechid's Free Verse
26	Ledi Antidze <i>Georgia, Tbilisi</i> Notable Concepts of Hybrid Literature: Georgian Example (Nino Kharatishvili's Nover "The Eighth Life (for Brilka)"
26	ლედი ანთიძე <i>საქართველო, თბილისი</i> ჰიბრიდული ლიტერატურის ნიშანდობლივი კონცეპტები: ქართული მაგალითი (ნინო ხარატიშვილის რომანი „მერვე სიცოცხლე (ბრილკას)“
28	Gia Arganashvili <i>Georgia, Tbilisi</i> World Literature and National Literatures
28	გია არგანაშვილი <i>საქართველო, თბილისი</i> მსოფლიო ლიტერატურა და ნაციონალური ლიტერატურები
29	Maia Arveladze, Elisabed Zardiashvili <i>Georgia, Tbilisi</i> Echoes of the European Feminist Movement of the 19th Century in the Works of Georgian Classics
29	მაია არველაძე, ელისაბედ ზარდიაშვილი <i>საქართველო, თბილისი</i> მე-19 საუკუნის ევროპის ფემინისტური მოძრაობის გამოძახილი ქართველ კლასიკოსთა შემოქმედებაში
31	Nunu Balavadze <i>Georgia, Tbilisi</i> Poems Against Violence in the 70s-80s of the 20th Century Georgian (Lia Sturua, Besik Kharanauli) and American (Louise Bogan, Muriel Rakeyser, Sylvia Plath, Maya Angelou, Charles Simic, Mark Strand, Galway Kinnell, Thomas Wolfe) on the Example of Poetic Texts

- 31 **ნუნუ ბალავაძე**
საქართველო, თბილისი
სათაური-ლექსები ძალადობის წინააღმდეგ მე-20 საუკუნის 70-80-იანი წლების ქართული
(ლია სტურუა, ბესიკ ხარანაული) და ამერიკული(ლუიზ ბოგანი, მიურიელ რაკეისერი, სილვია პლათი, მაია ანჯელოუ, ჩარლზ სიმუკი, მარკ სტრენდი, გოლუეი კინელი, თომას ვულფი) პოეტური ტექსტების მაგალითზე
- 32 **Tamar Barbakadze**
Georgia, Tbilisi
Hermeneutical Interpretation of the Metaphor "Tear" in Georgian Poetry
- 32 **თამარ ბარბაკაძე**
საქართველო, თბილისი
„ცრემლის“ მეტაფორის ჰერმენევტიკული ინტერპრეტაცია ქართულ პოეზიაში
- 34 **Liana (Lia) Basheleishvili**
Georgia, Tbilisi
Cultural-cognitive aspects of the Georgian translations of „Praise of praise“
- 34 **ლიანა (ლია) ბაშელეიშვილი**
საქართველო, თბილისი
„ქებაჲ ქებათაჲ“-ს ქართული თარგმანების კულტურულ-კოგნიტური ასპექტები
- 35 **Dalila Bedianidze**
Georgia, Tbilisi
One Tale of „A thousand and One Nights“ and Georgian Folk Tales
- 35 **დალილა ბედიანიძე**
საქართველო, თბილისი
„ათას ერთი ღამის“ ერთი ზღაპარი და ქართული ხალხური ზღაპრები
- 36 **Ludmila Boris**
Russia, Moscow
Shadows of Forgotten Ancestors in the Novel and Film
- 37 **Levan Bregadze**
Georgia, Tbilisi
For the Completion of the International Comparativist Research
- 37 **ლევან ბრეგაძე**
თბილისი, საქართველო
საერთაშორისო კომპარატივისტულ კვლევათა სრულყოფისათვის
- 39 **Rūta Brūzgienė**
Lithuania, Vilnius
Existential Motives in V. Mačernis' in the Cycle of Poems "Sonnets of the Year" and the Musicality of the Form

- 39 **Mzisa BuskivadZe**
Georgia, Tbilisi
World Literary Processes and Issue of Turkish Literature Development
- 39 **მზისა ბუსკივაძე**
საქართველო, თბილისი
მსოფლიო ლიტერატურული პროცესები და თურქული ლიტერატურის განვითარების საკითხი
- 41 **Khatuna Chanishvili**
Georgia, Tbilisi
The Boarder Between Poetry and Journalism as a Reflection of the Old and Nitification of the New (according to the first issue of the newspaper “Georgia” for 1918
- 41 **ხათუნა ჭანიშვილი**
საქართველო, თბილისი
პოეტურისა და პუბლიცისტურის ზღვარი როგორც ძველის ანარეკლი და ახლის უწყება (გაზეთი „საქართველოს“ 1918 წლის პირველი ნომრის მიხედვით)
- 41 **Eka Chikvaidze**
Georgia, Tbilisi
Comparison of Georgian-Byzantine Kimenic Texts
- 41 **ეკა ჩიკვაძე**
საქართველო, თბილისი
ქართულ-ბიზანტიურ კიმენურ ტექსტთა შედარება
- 43 **Natela Chitauri**
Georgia, Tbilisi
Double Imagology as a Challenge of Globalization in Georgian Intercultural – Migration Texts
- 43 **ნათელა ჩიტაური**
საქართველო, თბილისი
ორმაგი იმაგოლოგია, როგორც გლობალიზაციის გამოწვევა ქართულ ინტერკულტურულ – მიგრაციულ ტექსტებში
- 44 **Sophio Chkhatarashvili**
Georgia, Tbilisi
Georgia in the Work of the Ukrainian "Sixties" Imagological Aspects
- 44 **სოფიო ჩხატარაშვილი**
საქართველო, თბილისი
საქართველო უკრაინულ „სამოციანელთა“ შემოქმედებაში იმაგოლოგიური ასპექტები
- 46 **Eka Chkheidze**
Georgia, Tbilisi
Intercultural Aspect of Translation
- 46 **ეკა ჩხეიძე**
საქართველო, თბილისი
თარგმანის ინტერკულტურული ასპექტი

- 47 **Paata Chkheidze**
Georgia, Tbilisi
Hero and Superhero in Modern Literature
- 47 **პაატა ჩხეიძე**
საქართველო თბილისი
გმირი და სუპერგმირი თანამედროვე ლიტერატურაში
- 49 **Rostom Chkheidze**
Georgia, Tbilisi
Basil Melikishvili Observed as a Character
- 49 **როსტომ ჩხეიძე**
საქართველო, თბილისი
ბასილ მელიქიშვილი, როგორც პერსონაჟი
- 50 **Sopiko Chumburidze**
Georgia, Kutaisi
Gender Issue in the Work of Ana Kalandadze
- 50 **სოფიკო ჭუმბურიძე**
საქართველო, ქუთაისი
გენდერული საკითხი ანა კალანდაძის შემოქმედებაში
- 51 **Nino Dolidze**
Georgia, Tbilisi
Creation and Distribution of Arabic Literary Production in the 21st Century
- 51 **ნინო დოლიძე**
საქართველო, თბილისი
არაბული ლიტერატურული პროდუქციის წარმოება და გავრცელება 21-ე საუკუნეში
- 53 **Nino Dondoladze**
Georgia, Tbilisi
Trope in Georgian and English Romantic Poets' Poems
- 53 **ნინო დონდოლაძე**
საქართველო, თბილისი
ტროპი ქართველ და ინგლისელ რომანტიკოსთა ლექსებში
- 54 **Roxana Elena Doncu**
Rumania, Bucharest
Romanian Sea and Maritime Fiction: a Small Literature Within a Small Literature?
- 55 **Bela Durglishvili**
Georgia, Kutaisi
Elemine – The Free Creator: Inspired by Jemal Karchkhadze's Novella "Elemine"
- 55 **ბელა დურგლიშვილი**
საქართველო, ქუთაისი
ელემინი–თავისუფალი შემოქმედი ჯემალ კარჩხაძის „ელემინების“ მიხედვით

- 56 **Tinatin Dzodzuashvili**
Georgia, Tbilisi
The Role of Female Translators for Georgian Literature of the Second Half of the 19th Century
- 56 **თინათინ ძოდუაშვილი**
საქართველო, თბილისი
ქალ მთარგმნელთა როლი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობისთვის
- 57 **Ketevan Elashvili**
Georgia, Tbilisi
The Universal Code of Artistic Thinking
- 57 **ქეთევან ელაშვილი**
საქართველო, თბილისი
მხატვრული აზროვნების უნივერსალური კოდი
- 59 **Maka Elbakidze**
Georgia, Tbilisi
***The Knight in the Panther's Skin* of Rustaveli and Medieval Chivalry Romance**
- 59 **მაკა ელბაქიძე**
საქართველო, თბილისი
რუსთაველის *ვეფხისტყაოსანი* და შუასაუკუნეების რაინდული რომანი
- 60 **Melake Agasaf gizi Elyasova-Rajabova**
Azerbaijan, Baku
The Model of Desire and Fear as an Invariant in Literature
- 60 **Nana Gabadadze**
Georgia, Tbilisi
Ethnocultural Specificity of Communication in the Intercultural Interaction Process
- 60 **ნანა გაბადაძე**
საქართველო, თბილისი
კომუნიკაციის ეთნოკულტურული სპეციფიკა კულტურათმორისი ინტერაქციის პროცესში
- 62 **Otari Gabunia, Zurab Baratashvili**
Georgia, Tbilisi
The Epic of Gilgamesh – Lemmatization, Concordance, and Interlinear Glossing
- 62 **Julieta Gabodze**
Georgia, Tbilisi
**All Roads Lead to Rome / globalization/
(Iv. Javakhishvili's open and secret controversy with I. Gogebashvili and Akaki)**
- 62 **ჯულიეტა გაბოდე**
საქართველო, თბილისი
**ყველა გზა რომში / გლობალიზაციისკენ/ მიდის
(ივ. ჯავახიშვილის ღია და ფარული პოლემიკა ი. გოგებაშვილთან და აკაკისთან)**

- 64 Nugesha Gagnidze
Georgia, Kutaisi
Georgian Translations of Josef Weinheber's Poems
- 64 ნუგეშა გაგნიძე
საქართველო, ქუთაისი
იოზეფ ვაინჰებერის ლექსების ქართული თარგმანები
- 65 Nino Gagoshashvili
Georgia, Tbilisi
Avesta on Women and Early Christian Kartli
- 65 ნინო გაგოშაშვილი
საქართველო, თბილისი
ავესტას წიგნი ქალთა შესახებ და ადრექრისტიანულ ქართლი
- 66 Gunay Garayeva
Azerbaijan, Baku
Tandem of Time and Society in 20th-century Azerbaijani Poetry in the Context of Artistic Symbols
- 67 Rahilya Geybullayeva
Azerbaijan, Baku
Recycling Motifs' "National Identity" and the Legacy of Azerbaijani Aşıq Qərib in Modern Discourse
- 67 Tamta Ghonghadze
Georgia, Tbilisi
Face of Russian Literature – „Little Man“ – in the Prose of Akaki Tsereteli and Vazha-Pshavela
- 67 თამთა ღონღაძე
საქართველო, თბილისი
რუსული ლიტერატურის სახე – „პატარა ადამიანი“ – აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას პროზაში
- 69 Salik Basharat Geelani
USA, Nashville
A Grammar of the Senses: Naming–Feeling *Minor Detail's* Phantoms
- 69 Nino Gogiashvili
Georgia, Telavi
Polar Concepts of Fear and Love in the "Society of the Formers"
- 69 ნინო გოგიაშვილი
საქართველო, თელავი
შიშისა და სიყვარულის პოლარული კონცეპტები „ყოფილების საზოგადოებაში“ (ირაკლი სამსონაძის მცირე რომანის – „ყურთბალიში“ – მიხედვით)

- 71 Prof. Dr. Konrad Gunesch
Hyderabad, Telangana, India
Catalan and Transylvanian Language Preservation and Education as Expressions of Cultural and Personal Regionalism: Comparing Itineraries, Insights, and Inspirations for Inquiring ‘Literatures of Small Nations, or Small Literatures of Rising Regions?’
- 71 Liudmyla Hrytsyk
Ukraine, Chernivtsi
Translation in the Modern Comparative Paradigm
- 73 Maia Jaliashvili
Georgia, Tbilisi
Crossroads of Life (Temur Babluani's Novel „The Sun, the Moon and the Bread Field (Manushaka is waiting for me)“
- 73 მაია ჯალიაშვილი
საქართველო, თბილისი
ცხოვრების გზაჯვარედინები
(თემურ ბაბლუანის რომანი „მზე, მთვარე და პურის ყანა (მანუშაკა მელიოდება)“
- 74 Mzia Jamagidze
Georgia, Tbilisi
Concept of Heterotemporality in the Novel "A Lizard on the Grave Stone "by Archil Kikodze
- 74 მზია ჯამაგიძე
საქართველო, თბილისი
ჰეტეროტემპორალობის კონცეფცია არჩილ ქიქოძის რომანში „ხვლიკი საფლავის ქვაზე“
- 75 Ketevan Jishiashvili
Georgia, Tbilisi
Eastern Conotations of Space According to Poems by Terenti Grandeli and Paddy Bushe
- 75 ქეთევან ჯიშიაშვილი
საქართველო, თბილისი
სივრცის აღმოსავლური კონოტაციები ტერენტი გრანელისა და პადი ბუშის ლექსების მიხედვით
- 76 Maka Jokhadze
Georgia, Tbilisi
A Novel about the Beginning of a Global Destruction
- 76 მაკა ჯოხაძე
საქართველო, თბილისი
რომანი გლობალური რღვევის დასაწყისზე
- 78 Manana Kajaia
Georgia, Tbilisi
One Aspect from Niko Nikoladze's Journalism

- 78 მანანა ქაჯაია
საქართველო, თბილისი
ერთი ასპექტი ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტიკიდან
- 79 Tamar Kakhetelidze
Georgia, Tbilisi
Film Adaptation of a Literary Work from the Perspective of Linguistic and Intermediality
- 79 თამარ კახეთელიძე
საქართველო, თბილისი
ლიტერატურული ნაწარმოების კინოდაპტაცია ლინგვისტიკისა და ინტერმედიალობის პერსპექტივიდან
- 81 Khatuna Kalandarishvili
Georgia, Tbilisi
Christian Understanding of the Meaning of Life in the Prosaic Works of Vazha-Pshavela
- 81 ხათუნა კალანდარიშვილი
საქართველო, თბილისი
სიცოცხლის საზრისის ქრისტიანული გაგება ვაჟა-ფშაველას მხატვრულ პროზაში
- 82 Salome Kapanadze
Georgia, Tbilisi
Transformation of war Narrative – "Encounter" in Literature (Abkhaz writers on war and peace)
- 82 სალომე კაპანაძე
საქართველო, თბილისი
ომის ნარატივის ტრანსფორმაცია – „შეხვედრა“ ლიტერატურაში (აფხაზი მწერლები ომსა და მშვიდობაზე)
- 83 Lia Karichashvili
Georgia, Tbilisi
For the Interrelationship of Ethics and Aesthetics (Rustaveli, Nizami)
- 83 ლია კარიჭაშვილი
საქართველო, თბილისი
ეთიკურისა და ესთეტიკურის ურთიერთმიმართებისათვის (რუსთაველი, ნიზამი)
- 85 Lela Khachidze
Georgia, Tbilisi
Iodasaph the Indian in Georgian Hymnography
- 85 ლელა ხაჩიძე
საქართველო, თბილისი
იოდასაფ ინდოელი ქართულ ჰიმნოგრაფიაში
- 87 Irina Khatchapuridze
Georgia, Kutaisi
Globalization in Peter Handke's *The Great Fall*: Identity, Nature, and Society

- 87 ირინა ხაჭაპურიძე
საქართველო, ქუთაისი
გლობალიზაცია პეტერ ჰანდკეს თხზულებაში „დიდი დაცემა“: იდენტობა, ბუნება და საზოგადოება
- 88 Tamar Khetashvili
Georgia, Tbilisi
Comparative Analysis of French Translation and Original Text of O. Tchiladze’s “Iron Theatre”
- 88 თამარ ხეტაშვილი
საქართველო, თბილისი
„ოთარ ჭილაძის რკინის თეატრის ფრანგული თარგმანისა და ქართული ტექსტის შედარებითი ანალიზი“
- 90 Gia Khoperia
Georgia, Kutaisi
The Fateful Events of 1993 in Abkhazia and the Modern Georgian Novel (Sergo Tsurtssumia – “The Year oh the Fire Rooster”)
- 90 გია ხოფერია
საქართველო, ქუთაისი
1993 წლის საბედისწერო მოვლენები აფხაზეთში და თანამედროვე ქართული რომანი (სერგო წურწუმია – „ცეხლოვანი მამლის წელიწადი“)
- 91 Mary Khukhunaishvili-Tsiklauri
Georgia, Tbilisi
Myth and Folklore in Georgian Medieval Secular Prose Romance „Amirandarejaniani“ by Mose Khoneli
- 91 მერი ხუხუნაიშვილი-წიკლაური
საქართველო, თბილისი
მითი და ფოლკლორი მოსე ხონელის (XII ს.) საფალავნო-სათავგადასავლო რომანში „ამირანდარეჯანიანი“
- 92 Zeinab Kikvidze
Georgia, Kutaisi
“Blood for Blood,” or the Devalued Tradition in Search of Dignity (Based on Vazha-Pshavela’s and Ismail Kadare’s writings)
- 92 ზეინაბ კიკვიძე
საქართველო, ქუთაისი
„სისხლი სისხლის წილ“, ანუ ღირსების ძიებაში გაუფასურებული ტრადიცია (ვაჟა-ფშაველასა და ისმაილ კადარეს თხზულებების მიხედვით)
- 94 Tsira Kilanava
Georgia, Tbilisi
Topophilia and Heterotopic Spaces in the Georgian Literary Narrative of the Abkhazian War

- 94 ცირა კილანავა
საქართველო, თბილისი
ტოპოფილია და ჰეტეროტოპიული სივრცეები აფხაზეთის ომის ქართულ ლიტერატურულ ნარატივში
- 95 Manana Kvachadze
Georgia, Tbilisi
“Vepkhistaosani” (The Night in the Panther’s Skin) in the Iranian-speaking world
- 95 მანანა კვაჭაძე
საქართველო, თბილისი
„ვეფხისტყაოსანი“ ირანულენოვან სამყაროში
- 97 Manana Kvachantiradze
Georgia, Tbilisi
The Cultural Model of Chivalry in the Context of the Experience of “Blue Horns”
- 97 მანანა კვაჭანტირაძე
საქართველო, თბილისი
რაინდობის კულტურული მოდელი „ცისფერყანწელთა“ გამოცდილების კონტექსტში
- 97 Sophiko Kvantaliani
Georgia, Tbilisi
Imagological View of the Image Representation of a Woman, as a Bearer of National Identity Based on N. Haratischwili's Novel "The Eighth Life" (for Brilka)
- 98 Manana Kvataia
Georgia, Tbilisi
The Paradigm of the German “Urphenomenon” and its Reception by Georgian Writer
- 98 მანანა კვატაია
საქართველო, თბილისი
გერმანული „ურფენომენის“ პარადიგმა ქართველი მწერლის რეცეფციით
- 100 Nino Kvirikadze
Georgia, Kutaisi
Verfall Details in Thomas Mann's Novel “Buddenbrooks” and its Georgian Translation
- 100 ნინო კვირიკაძე
საქართველო, ქუთაისი
Verfall-ის (დაცემის) დეტალების სემანტიკის საკითხისათვის თომას მანის „ბუდენბროკებსა“ და მის ქართულ თარგმანში
- 101 Nino Kochloshvili
Georgia, Telavi
Peculiarity of Davit Turdospireli's Creative Work
- 101 ნინო კოჭლოშვილი
საქართველო, თელავი
დავით თურდოსპირელის შემოქმედებითი მუშაობის თავისებურება

- 103 **Andrey Korovin**
Russia, Moscow
Faroese Literature: Scandinavian, Danish, National?
- 103 **Gocha Kuchukhidze**
Georgia, Tbilisi
**Smaller Nation at a Service of World Culture
(Again About the Reasons of Renaissance Origination)**
- 103 **გოჩა კუჭუხიძე**
საქართველო, თბილისი
**მცირერიცხოვანი ერი მსოფლიო კულტურის სამსახურში
(კვლავ რენესანსის აღმოცენების მიზეზების შესახებ)**
- 105 **Nona Kupreishvili**
Georgia, Tbilisi
The Demon of Censorship in Grigol Abashidze's Historical Novel "Lasharela"
- 105 **ნონა კუპრეიშვილი**
საქართველო, თბილისი
ცენზურის დემონი გრიგოლ აბაშიძის ისტორიულ რომანში „ლაშარელა“
- 106 **Nestan Kutivadze**
Georgia, Kutaisi
**Peculiarities of the Artistic Representation of Violence in a Literary Text
(Vazha-Pshavela, George Orwell)**
- 106 **ნესტან კუტივაძე**
საქართველო, ქუთაისი
**ძალადობის მხატვრული რეპრეზენტაციის თავისებურებები ლიტერატურულ ტექსტში
(ვაჟა-ფშაველა, ჯორჯ ორუელი)**
- 108 **Imants Lavins**
Latvia, Riga
Beware the Illusion or Latvian Literature's Road to the Nobel Prize
- 108 **Jurate Landsbergyte-Becher**
Lithuania, Vilnius
The Statement of Anti-Empyre in Visual and Documental Lithuanian Context and its Creators
- 109 **Mirja Lecke**
Germany, Regensburg
The Breakup of the Soviet Union in “Small Countries”: Three Novels in Search of Meaning in History (Gigolashvili, Haratischwili, Vanyan)
- 109 **Ana Letodiani**
Georgia, Tbilisi
Liminality Theory and Vazha-Pshavela’s “The Snake-Eater”

- 109 ანა ლეთოდანი
საქართველო, თბილისი
ლიმინალობის თეორია და ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელი“
- 111 Gubaz Letodiani
Georgia, Tbilisi
The Structure of Zaza Burchuladze's Novel "Scent of a Rose"
- 111 გუბაზ ლეთოდანი
საქართველო, თბილისი
ზაზა ბურჭულაძის რომანის „ვარდის სურნელის“ სტრუქტურა
- 112 Salome Lomouri
Georgia, Tbilisi
Depictions of Heroes in the Poems of the "Our Generation" Poets and Ana Kalandadze
- 112 სალომე ლომოური
საქართველო, თბილისი
გმირის სახე „ჩვენი თაობის“ პოეტებისა და ანა კალანდაძის ლირიკაში
- 113 Kakhaber Loria
Georgia, Tbilisi
Tarjei Vesaas as a Novelist
- 113 კახაბერ ლორია
საქართველო, თბილისი
თარიეი ვესაას როგორც რომანისტი
- 115 Yordan Lyutskanov
Bulgaria, Sofia
Literatures of Small Nations or Small Literatures?
(Introduction)
- 115 Yordan Lyutskanov
Bulgaria, Sofia
'Small' Literature, that is: Literature with Limited In-going Translational Opportunities;
Structural Limitation and Voluntary Self-limitation
- 116 Nino Malutashvili
Georgia, Tbilisi
The Essence and Function of Dialogue in Modern Georgian Poetry
("Putting out the potatoes" by Besik Kharanauli)
- 116 ნინო მალუტაშვილი
საქართველო, თბილისი
დიალოგის არსი და ფუნქცია თანამედროვე ქართულ ლექსში
(„ბესიკ ხარანაულის „კარტოფილის ამოდება“)
- 117 Ketevan Mamasakhlisi
Georgia, Tbilisi
An Ancient Georgian Translation of the Life of Makari the Egyptian

- 117 ქეთევან მამასახლისი
საქართველო, თბილისი
წმინდა მაკარი ეგვიპტელის ცხოვრების ძველი ქართული თარგმანი
- 119 **Marine Mamulashvili-Botkveli**
Georgia, Tbilisi
Interpretive Translation
(Gibran Khalil Gibran “Jesus the Son of Man”)
- 119 მარინე მამულაშვილი-ბოტკოველი
საქართველო, თბილისი
ინტერპრეტაციული თარგმანი
(ჯიბრან ხალილ ჯიბრანი, „იესო, ძე კაცისა“)
- 121 **Esma Mania**
Georgia, Tbilisi
Efforts to Transfer European Thought and Culture to Georgia
(Late 19th – Early 20th Century, Personal Archives)
- 121 ესმა მანია
საქართველო, თბილისი
ევროპული აზროვნების და კულტურის ტრანსფერის მცდელობები საქართველოში
(XIX-XX საუკუნეების მიჯნა, პირადი არქივები)
- 122 **Irine Manizhashvili**
Georgia, Tbilisi
Reflection of the Post-Soviet Era in the Modern Georgian Novel
- 122 ირინე მანიჯაშვილი
საქართველო, თბილისი
პოსტსაბჭოთა ეპოქის რეფლექსია თანამედროვე ქართულ რომანში
- 124 **David Maziashvili**
Georgia, Tbilisi
Medea’s Decision
- 124 დავით მაზიაშვილი
საქართველო, თბილისი
მედეას გადაწყვეტილება
- 125 **Ivane Mchedeladze**
Georgia, Tbilisi
Ukrainian Scientific Literature on Ukrainian-Georgian Literary Relations: Constellation of Knowledge
- 125 ივანე მჭედელაძე
საქართველო, თბილისი
უკრაინული სამეცნიერო ლიტერატურა უკრაინულ-ქართულ ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ: ცოდნის კონსტელაცია

- 127 **Tatiana Megrelishvili**
Georgia, Tbilisi
Contemporary Russian-language Literature of Georgia as a Transcultural Phenomenon
- 127 **ტატინა მეგრელიშვილი**
საქართველო, თბილისი
საქართველოს თანამედროვე რუსულენოვანი ლიტერატურა როგორც ტრანსკულტურული ფენომენი
- 128 **Darejan Menabde**
Georgia, Tbilisi
From Literary Translation to European Kartvelology
- 128 **დარეჯან მენაბდე**
საქართველო, თბილისი
მხატვრული თარგმანიდან ევროპულ ქართველოლოგიამდე
- 129 **Nino Mindiashvili**
Georgia, Tbilisi
Literary Reflections of Georgian-Ossetian Relations
- 129 **ნინო მინდიაშვილი**
საქართველო, თბილისი
ქართულ-ოსური ურთიერთობების ლიტერატურული რეფლექსიები
- 131 **Maia Miresashvili, Maia Daraselia**
Georgia, Tbilisi
World War I and its Perception in Kati Dadeshkeliani's Memoirs "A Princess in Uniform"
- 131 **მაია მირესაშვილი, მაია დარასელია**
საქართველო, თბილისი
I მსოფლიო ომი და მისი რეცეფცია კატი დადეშქელიანის მემუარებში „თავადის ქალი მუნდირში“
- 132 **Irine Modebadze**
Georgia, Tbilisi
Innovations of Translation Strategies in the Conditions of Cultural Globalization
- 132 **ირინე მოდებაძე**
საქართველო, თბილისი
მთარგმნელობითი სტრატეგიების ინოვაციები კულტურული გლობალიზაციის პირობებში
- 133 **Bela Mosia**
Georgia, Zugdidi
Dragon Defender Saint George and World Experience
- 133 **ბელა მოსია**
საქართველო, ზუგდიდი
ვეშაპთან მებრძოლი წმინდა გიორგის კულტი და მსოფლიო გამოცდილება

- 134 **Fidana Musaeva**
Baku, Azerbaijan
The Role of Author's Position in Determining National Identity
- 135 **Bella Musayeva**
Azerbaijan, Baku
Reflection of the Culture and Life of the Lezgin People in the Works of Sadagat Kerimova
- 136 **Ketevan Nadareishvili, Mariam Kaladze**
Georgia, Tbilisi
"A Man Was Going down the Road" by Otar Chiladze – Literature of Small Country on Annexation
- 136 **ქეთევან ნადარეიშვილი, მარიამ კალაძე**
საქართველო, თბილისი
ო. ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ – პატარა ქვეყნის ლიტერატურა ანექსიის შესახებ
- 137 **Irina Natsvlishvili**
Georgia, Tbilisi
Adapted Classics and Comics/Graphic Novels as Learning Resources and a New Trend of Literature Commercialization in Georgia
- 137 **ირინა ნაცვლიშვილი**
საქართველო, თბილისი
ადაპტირებული კლასიკა და კომიქსი/გრაფიკული რომანი, როგორც სასწავლო რესურსი და ლიტერატურის კომერციალიზაციის ახალი ტენდენცია საქართველოში
- 139 **Aytan Miboyat qızı Nazarova**
Azerbaijan, Baku
Azerbaijani-Kazakh Literary Relations in the Context of M.S. Ordubadi and M. Auezov
- 139 **Ada Nemsadze**
Georgia, Tbilisi
Georgian Story of the 80s – Mika Aleksidze
- 139 **ადა ნემსაძე**
საქართველო, თბილისი
80-იანი წლების ქართული მოთხრობა – მიკა ალექსიძე
- 141 **Avtandil Nikoleishvili**
Georgia, Kutaisi
Towards the Contribution of Giorgi Tsereteli in the History of Georgian Emigrant Literature
- 141 **ავთანდილ ნიკოლეიშვილი**
საქართველო, ქუთაისი
გიორგი წერეთლის წვლილისათვის ქართული ემიგრანტული მწერლობის ისტორიაში
- 142 **Khatuna Nishnianidze**
Georgia, Tbilisi
Guramishvili's Georgian Language and its Chronotope

- 142 **ხათუნა ნიშნიანიძე**
საქართველო, თბილისი
გურამიშვილის ენა ქართული და მისი ქრონოტოპი
- 144 **Lia Nozadze**
Georgia, Kutaisi
To the Origins of Literary Impressionism: Goncourt Brothers, Marcel Proust, Niko Lortkipanidze
- 144 **ლია ნოზაძე**
საქართველო, ქუთაისი
ლიტერატურული იმპრესიონიზმის სათავეებთან: ძმები გონკურები, მარსელ პრუსტი, ნიკო ლორთქიფანიძე
- 145 **Tatia Oboladze, Lili Metreveli**
Georgia, Tbilisi
War Discourse and Identity Search in Leo Vardiashvili's Novel *"Hard by a Great Forest"*
- 145 **თათია ობოლაძე, ლილი მეტრეველი**
საქართველო, თბილისი
ომის დისკურსი და იდენტობის ძიება ლეო ვარდიანიშვილის რომანში „ერთი დიდი ტყის მახლობლად“
- 146 **Eyup Ozveren**
Turkey, Ankara
Alternative Trajectories for Coming to Terms with the Confines of a Small Literature: The Writerly Strategies of Nâzım Hikmet, Cengiz Dağcı, and Orhan Pamuk Reconsidered
- 147 **Tanar Paichadze**
Georgia, Tbilisi
Anti-Modernist Narrative – Colonial Chronology of Psychological Oppression and Its Consequences
- 147 **თამარ პაიჭაძე**
საქართველო, თბილისი
ანტიმოდერნისტული ნარატივი – ფსიქოლოგიური წნეხის კოლონიური ქრონოლოგია და მისი შედეგები
- 149 **Ekaterine Pangani**
Georgia, Tsalka
Literary Understanding of a Mythical Woman
("A Man Was Going Down the Road")
- 149 **ეკატერინე ფანგანი**
საქართველო, წალკა
მითური ქალის ლიტერატურული გააზრება „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“
- 150 **Nana Parinos**
Georgia, Tbilisi
Innovation and Tradition: The Evolution of Literary Collaboration in the Digital Age

- 150 ნანა პარინოსი
საქართველო, თბილისი
ინოვაცია და ტრადიცია: ლიტერატურული თანამშრომლობის ევოლუცია ციფრულ ეპოქაში
- 151 Salome Pataridze
Georgia, Tbilisi
Women's Narrative Role in Formation of Individual, Collective and Cultural Memory and Identity
- 151 სალომე პატარიძე
საქართველო, თბილისი
ქალთა ნარატივის როლი იდენტობის ინდივიდუალურ, კოლექტიურ და კულტურულ მეხსიერებაში
- 152 Rusudan Pipia
Georgia, Tbilisi
The Specificity of Teaching the Relations of World and National Literature in Teacher Training Programs
- 152 რუსუდან ფიფია
საქართველო, თბილისი
მსოფლიო და ნაციონალური ლიტერატურის ურთიერთმიმართებათა სწავლების სპეციფიკა მასწავლებლის მომზადების პროგრამებში
- 154 Nino Pkhakadze, Maka Susareishvili
Georgia, Kutaisi
Multimodal Artistic Text as a Synthesis of Textual, Visual, and Musical Elements: An Analysis of Works by Writers in Different Languages
- 154 ნინო ფხაკაძე, მაკა სუსარიშვილი
საქართველო, ქუთაისი
მულტიმოდალური მხატვრული ტექსტი როგორც ტექსტური, ვიზუალური და მუსიკალური პლასტების სინთეზი
(სხვადასხვაენოვან მწერალთა ნაწარმოებების მაგალითზე)
- 156 Natia Purtseladze
Georgia, Baghdati
"The Snake Shirt" by Grigol Robakidze in the Context of Georgian-German Literary Relations
- 156 ნათია ფურცელაძე
საქართველო, ბაღდათი
გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“ ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობების კონტექსტში (თეზისები არ არის)
- 157 Irma Ratiani
Georgia, Tbilisi
Zaiara Arsenishvili – „Alas, Life!“ The Comeback of the Novel

- 157 ირმა რატიანი
საქართველო, თბილისი
ზაირა არსენიშვილი – „ვა, სოფელო...“ რომანის დაბრუნება.
- 158 Marina Reisner
Russia, Moscow
Foreign Countries and Peoples in the Persian Classical Epic Poetry of X-XII Centuries
- 158 მარინა რეისნერი
რუსეთი, მოსკოვი
უცხო ქვეყნები და ხალხები X-XII ს. სპარსულ კლასიკურ ეპოსში
- 159 Sevinj Rzayeva
Azerbaijan, Baku
Ideal and Artistic Realization of the Problem of Human in the Cycle of Hermann Hesse's Works “(This Side”
- 160 Ketevan Samadashvili
Georgia, Tbilisi
Thematic and Versification Trends of the Georgian Lyric Poem of the Second Half of the 20th Century
- 160 ქეთევან სამადაშვილი
საქართველო, თბილისი
XX საუკუნის II ნახევრის ქართული ლირიკული ლექსის თემატური და ვერსიფიკაციული ტენდენციები
- 161 Shorena Shamanadze
Georgia, Tbilisi
Reflection of Russian-Georgian Relations in the Context of the New ‘Weltliteratur’ (‘Moscow-Tbilisi’ by Nodar Macharashvili)
- 161 შორენა შამანაძე
საქართველო, თბილისი
რუსულ-ქართული ურთიერთობების გააზრება ახალი ‘Weltliteratur’-ის კონტექსტში ნოდარ მაჭარაშვილის „მოსკოვი-თბილისი“
- 163 Manana Shamilishvili
Georgia, Tbilisi
Political Satire in the Microblogs of Georgian Writers
- 163 მანანა შამილიშვილი
საქართველო, თბილისი
პოლიტიკური სატირა ქართველი მწერლების მიკრობლოგებში
- 164 Tamar Sharabidze
Georgia, Tbilisi
One of the Branches of the Caucasus Censorship Committee is Dramaturgical Censorship

- 164 თამარ შარაზიძე
საქართველო, თბილისი
კავკასიის საცენზურო კომიტეტის ერთ-ერთი მიმართულება – დრამატურგიული ცენზურა
- 166 Tamta Shavianidze
Georgia, Kutaisi
The Issue of Destiny in Tamaz Bibiluri's Prose
("For Seven Voices and and for a Lark ", "Complaint")
- 166 თამთა შავიანიძე
საქართველო, ქუთაისი
ბედისწერის საკითხი თამაზ ბიბილურის პროზაში
(„შვიდი ხმისა და ტოროლასათვის“, „ჩივილი“)
- 167 Julieta Shoshiashvili
Georgia, Tbilisi
Procopius of Caesarea – History and Modernity
- 167 ჯულიეტა შოშიაშვილი
საქართველო, თბილისი
პროკოპი კესარიელი – ისტორია და თანამედროვეობა
- 169 Ketevan Sikharulidze
Georgia, Tbilisi
Transformation Forms of European and Georgian Heroic Epics
- 169 ქეთევან სიხარულიძე
საქართველო, თბილისი
ევროპული და ქართული საგმირო ეპოსების ტრანსფორმაციის ფორმები
- 170 Natia Sikharulidze
Georgia, Tbilisi
Kutaisi in the Poetic Reception of Galaktion Tabidze
(According to Archival Materials)
- 170 ნათია სიხარულიძე
საქართველო, თბილისი
ქუთაისი გალაკტიონ ტაბიძის პოეტურ რეცეფციაში
(საარქივო მასალების მიხედვით)
- 171 Ketevan Siradze
Georgia, Tbilisi
Georgian Literature and Challenges of Contemporary Global World
- 171 ქეთევან სირაძე
საქართველო, თბილისი
ქართული მწერლობა და თანამედროვე გლობალური სამყაროს გამოწვევები
- 173 Tamar Siradze
Georgia, Batumi
English-Georgian Variations of Epiphany

- 173 თამარ სირაძე
საქართველო, ბათუმი
ეპიფანიის ინგლისურ-ქართული ვარიაციები
- 174 Hayate Sotome
Japan, Tsukuba
Representation of Hero/Anti-Hero and Literary Topoi in A. Qazbegi's "The Patricide"
- 174 ჰაიატე სოტომე
იაპონია, ცუკუბა
გმირის/ანტიგმირის სახე და ლიტერატურული ტოპოსი ა. ყაზბეგის „მამის მკვლელობა“
- 176 Yuri Sugino
Japon, Kyoto
On the Representation of the Terek River in Russian and Georgian Literary Works of the 19th Century
- 176 Solomon Tabutsadze
Georgia, Tbilisi
The Picaresque Genre in the Works of Kutaisi Writers ("The Adventure of Lakhundareli" by Sergo Kldiashvili and "The Adventure of Shaliko Khvingiadze" by Rezo Cheishvili)
- 176 სოლომონ ტაბუცაძე
საქართველო, თბილისი
პიკარესკული ჟანრი ქუთათური მწერლების შემოქმედებაში
(სერგო კლდიაშვილის „ლახუნდარელის თავგადასავალი“ და რეზო ჭეიშვილის „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალი“)
- 177 Tea Talakvadze
Georgia, Tbilisi
The Memory of 9 April in Modern Georgian Literature
- 177 თეა თალაკვაძე
საქართველო, თბილისი
9 აპრილის მეხსიერება თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში
- 178 Lia Tsereteli
Georgia, Tbilisi
Georgia and Globalization in Otar Chkheidze's Novel "Submissive"
- 178 ლია წერეთელი
საქართველო, თბილისი
საქართველო და გლობალიზაცია ოთარ ჩხეიძის რომანში „მორჩილი“
- 180 Maia Tsertsvadze
Georgia, Tbilisi
Around Nikoloz Baratashvili – New Materials
- 180 მაია ცერცვაძე
საქართველო, თბილისი
ნიკოლოზ ბარათაშვილის ირგვლივ – ახალი მასალები

- 182 Tamar Tsitsishvili
Georgia, Tbilisi
The Institute of Censorship Committee of the Russian Empire and Georgian Language Policy (80s-90s of XIX century)
- 182 თამარ ციციშვილი
საქართველო, თბილისი
რუსეთის იმპერიის საცენზურო კომიტეტის ინსტიტუტი და ქართული ენის პოლიტიკა (XIX საუკუნის 80-90 წლები)
- 183 Zoia Tskhadaia
Georgia, Tbilisi
The War and the Narrative of the First Shock in Georgian Poetry
- 183 ზოია ცხადაია
საქართველო, თბილისი
ომი და პირველი შოკის ნარატივი ქართულ პოეზიაში
- 185 Nino Tsurtsumia
Georgia, Kutaisi
Modernist Polychronotopia: A Chronotopic Approach to Urban Timespace in James Joyce's *Ulysses*
- 185 ნინო წურჭუმია
საქართველო, ქუთაისი
მოდერნისტული პოლიქრონოტოპია: ურბანული ქრონოტოპული კონფიგურაციები ჯეიმზ ჯოისის რომანში *ულისე*
- 186 Marine Turashvili
Georgia, Tbilisi
Fairy Tale as a Universal Genre and Quantitative and Typological Analysis of Georgian Folk Tales
- 186 მარინე ტურაშვილი
საქართველო, თბილისი
ზღაპარი, როგორც უნივერსალური ჟანრი და ქართული ხალხური ზღაპრების რაოდენობრივი და ტიპოლოგიური ანალიზი
- 188 Manana Turiashvili
Georgia, Tbilisi
Development of the Theme of Death in the Play *Our Town* (Thornton Wilder, Rezo Gabriadze)
- 188 მანანა ტურიაშვილი
საქართველო, თბილისი
სიკვდილის თემის განვითარება პიესაში „*Our Town*“ – „ჩვენი პატარა ქალაქი“ (თორნტონ უაილდერი, რეზო გაბრიაძე)

- 189 Rusudan Turnava, Nino Gagoshashvili, Tatia Oboladze
Georgia, Tbilisi
Literary and Political Strategy of French Writers Towards Georgia in the First Half of the 20th Century
- 189 რუსუდან თურნავა, ნინო გაგოშაშვილი, თათია ობოლაძე
საქართველო, თბილისი
ფრანგი მწერლების ლიტერატურული და პოლიტიკური სტრატეგია საქართველოს მიმართ XX საუკუნის პირველ ნახევარში
- 191 Tinatin Tvaltchrelidze
Georgia, Tbilisi
Activation of Taboo Topics in Jemal Karchkhadze's Creativity
- 191 თინათინ თვალჭრელიძე
საქართველო, თბილისი
ტაბუდადებული თემების აქტივიზაცია ჯემალ ქარჩხაძის შემოქმედებაში
- 193 Nino Vakhania
Georgia, Tbilisi
Women of the Georgian Royal House
(according to the writings of Alexander Orbeliani)
- 193 ნინო ვახანია
საქართველო, თბილისი
ქართული სამეფო სახლის ქალები
(ალექსანდრე ორბელიანის თხზულებათა მიხედვით)
- 194 Sergey Zotov
Russian Federation, Taganrog
On the Typology of Characters in Goethe's Faust and Lermontov's The Demon

Pilv Aare

*Estonian Academy of Sciences
Estonia, Tallin*

On the Smallness of Estonian Literature

Estonian language is one of the smallest languages (approximately 1 million speakers) that has its own full-scale institutions – universities, legislation, professional high culture, internet applications etc. In Estonian self-perception the smallness (with the fear of extinction) is always present, and the development of Estonian culture has always moved in the tension between the desire to be self-sustainable (as it was a „big culture“) and the necessity to be a culture of translations and borrowings. Literature is of course an important field of interplay of these tensions and tendencies. On this background it would be interesting to overview different approaches during the history of modern Estonian literature, starting with Estonian epic „Kalevipoeg“ by F. R. Kreutzwald (which was initially planned as a monument to a disappearing ethnicity), the nationalist movement of the 19th century („to be great not by number but by mentality“), the turn towards modern European models in the first half of the 20th century (which has been later conceptualized as a form of self-colonization), the survival techniques during in the framework of dominant Soviet culture (forms of adaptation and resistance), until the new self-conceptualizations in the new period of independence – especially interesting seems to be manifest „Towards a small literature“ by Hasso Krull in 1991 which tries to find new modes of existence of literature from the concept of „small literature“ by Deleuze and Guattari. Maybe the excursion casts an additional light to the question of smallness of literature.

Sabina Elkhan qizi Agababayeva

*Baku Slavic University
Azerbaijan, Baku*

Polyphony in Literature – Contemporary Postmodern Prose

Literature reflects society, and people with certain sociological parameters through the meaning of speech, culture, philosophy, history, and science closely assist literature. The transition from one historical period to another naturally affects literary art as well, due to changes in socio-cultural and philosophical codes of society. Transition from the modern era to the postmodern era changed dominating thoughts and human typology, as well as the diversity in perceiving reality, thus becoming also as a topic of the new literary period, making the literary text open to various interpretations and polyphony, determined by the number of interpreters and leading to polyphony.

Polyphony is a literary conceptualization related to the dialogism theory by Mikhail Bakhtin („Слово в романе,” 1934), who created dialogism as a response to monological thought style. Bakhtin considered dialogism as a means of mutual communication between the main character and other characters and as an internal dialogue of a character. Polyphony is the reflection of this dialogism. Bakhtin argued that all works have a polyphonic quality. Thus, a literary work is read by tens, hundreds, and thousands of readers, meaning it engages in dialogue with tens, hundreds, and thousands of readers. Each phrase, each word in the work carries as many public meanings as the number of readers who read it. Thus, the work acquires polyphonic qualities carrying these public meanings within itself. The classical and modern understanding

of works with a single central character loses its relevance in the postmodern era. Different characters load the work with different meanings within their individual consciousness.

In this study, the creativity of postmodern writers Kh. Cortazar and K. Abdullah, as examples, is explored in terms of the independent expression of the diverse interpreters' worldviews within the text, as well as the representation of diversity through the presence of multiple interpreters as one of the formal features of the text.

Gultakin Aliyeva

*Docent, Doctor of Philology of ANAS Institute of Literature named after Nizami Ganjavi
Associate Professor of Azerbaijani Literature Department of Baku Slavic University
Azerbaijan, Baku*

Prose Components in Poetry Rhythm in the Context of Etimad Bashkechid's Free Verse

The article shows that successful examples in the poetry of the period during the period of independence pave the way for national free poetry and increases the freedom and variability of the poetic form. Creativity is not in trends, trends find their confirmation in creativity. The flexibility, clarity and visibility of individual passages of the event described in the poem increase its impact. In the poems of E. Başkechid, the intonation background of the poetic text becomes a little more intense, stable (constant) sound units draw a continuous movement trajectory with increasing and decreasing intervals. In these poems, not only the internal structure of the poetic text changes, but also it manifests itself in the content layer. Thus, Azerbaijani free poetry has developed significantly in recent years, enriched in terms of form and content, updated the landscape and map of our contemporary poetry, and increased its effectiveness.

Ledi Antidze

*East European University
Georgia, Tbilisi*

Notable Concepts of Hybrid Literature: Georgian Example (Nino Kharatishvili's Nover "The Eighth Life (for Brilka)")

The basis for the study of hybridity as a socio-cultural phenomenon was laid in the second half of the 20th century and is actively being continued to this day. One of the distinctive features of hybrid literature is blurring clear ethnic and cultural boundaries and the creation of a new multicultural phenomenon containing diverse cultural-literary values. It should be noted that it is impossible to divide hybrid literature and writers into categories, in terms of national affiliation. In this regard, the article includes the opinions of well-known representatives of hybrid literature, who emphasize that they feel like representatives of both cultures: of the country with which they are connected by origin/identity, and of the country in whose language they create, in whose cultural space they work. The article is about one of such writers – Nino Kharatishvili, a successful author living and working in Germany, who has stated in numerous interviews that the essence of her literary hybridity is "splitting" (between Germany and Georgia), doubling. Using the example of the migrant author and her migrant characters from the novel "The Eighth Life (for Brilka)", we can confidently talk about hybridity as a cultural product of migration. In general, the process of forming the self-identity of the writer or his/her characters goes through a series of vicissitudes as a result

of moving in space; The new environment makes you feel like a stranger, and transforming from this situation and establishing yourself from “outsider” to “insider” is quite a difficult process, which is related not only to practical difficulties (for example, the issue of financial stability), but also to spiritual ones, such as the person's attempt to self-identify with the new geographical environment and society; To establish himself on a new track. The characters of Nino Kharatishvili's novel "The Eighth Life (for Brilka)" who have been in emigration in foreign countries for short or long term, create a very interesting and characteristic, chronological picture of the migration picture of Georgian citizens – from the beginning of the 20th century rather than the beginning of the 21st century, which was determined by the dramatic political, economic or socio-cultural changes of the country and the region. In the article, we analyze three migrant characters of the novel – Sophio Eristavi, Kitty Jashi and Nitsa Jashi.

ლექსი ანთიქ

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

საქართველო, თბილისი

ჰიბრიდული ლიტერატურის ნიშანდობლივი კონცეპტები: ქართული მაგალითი (ნინო ხარატიშვილის რომანი „მერვე სიცოცხლე (ბრილკას)“

ჰიბრიდობის, როგორც სოციალურ-კულტურული ფენომენის, შესწავლას საფუძველი XX საუკუნის II ნახევრიდან ჩაეყარა და დღემდე აქტიურად მიმდინარეობს. ჰიბრიდული ლიტერატურის ერთ-ერთი ნიშანდობლივ მახასიათებელს მკაფიო ეთნიკური და კულტურული საზღვრების წაშლა და ახალი, მრავალფეროვანი კულტურულ-ლიტერატურულ ფასეულობათა შემცველი მულტიკულტურული ფენომენის შექმნა წარმოადგენს. ნიშანდობლივია, რომ ჰიბრიდული ლიტერატურისა და მწერლების კატეგორიებად დაყოფა, ეროვნული კუთვნილების თვალსაზრისით, შეუძლებელია. აღნიშნულთან დაკავშირებით, სტატიაში მოყვანილი გვაქვს ჰიბრიდული ლიტერატურის ცნობილი წარმომადგენლების მოსაზრებები, რომლებიც ხაზს უსვამენ, რომ თავს ორივე კულტურის წარმომადგენლად გრძნობენ: იმ ქვეყნისა, რომელთანაც წარმომავლობით/იდენტობით არიან დაკავშირებულნი და იმ ქვეყნისაც, რომლის ენაზე ქმნიან, რომლის კულტურულ სივრცეში მოღვაწეობენ. წინამდებარე სტატია სწორედ ერთ-ერთ მათგანს – გერმანიაში მცხოვრებ და მოღვაწე წარმატებულ ავტორს – ნინო ხარატიშვილს შეეხება, რომელსაც არაერთ ინტერვიუში განუცხადებია, რომ მისი ლიტერატურული ჰიბრიდობის არსს „გახლეჩილობა“ (გერმანია და საქართველოს შორის), გაორება წარმოადგენს. მიგრანტი ავტორისა და მისი მიგრანტი პერსონაჟების მაგალითზე, რომანიდან „მერვე სიცოცხლე (ბრილკას)“ თამამად შეგვიძლია ვისაუბროთ ჰიბრიდობაზე, როგორც მიგრაციის კულტურულ პროდუქტზე. ზოგადად, მწერლის თუ მისი პერსონაჟების თვით-იდენტიფიკაციის ჩამოყალიბების პროცესი მთელ რიგ პერიპეტეებს გაივლის სივრცეში გადაადგილების შედეგად; ახალი გარემო თავს გაგრძნობინებს *უცხო* და ამ მდგომარეობიდან ტრანსფორმირება და თავის *შინაურად* დამკვიდრება საკმაოდ რთული პროცესია, რომელიც უკავშირდება არა მხოლოდ პრაქტიკულ სიძნელეებს (მაგ., ფინანსური სტაბილურობის საკითხი), არამედ სულიერსაც, როგორცაა პიროვნების მცდელობა, მოახდინოს თვითიდენტიფიკაცია ახალ გეოგრაფიულ გარემოსთან და სოციუმთან; ახალ სარბიელზე დაიმკვიდროს თავი. ნინო ხარატიშვილის ემიგრაციაში, უცხო ქვეყანაში მოკლე თუ გრძელი ვადით მყოფი პერსონაჟები რომანიდან „მერვე სიცოცხლე (ბრილკას)“ ძალიან საინტერესო და სახასიათო, ქრონოლოგიურ სურათს ქმნიან საქართველოს მოქალაქეების მიგრაციული სურათისა – XX საუკუნის დასაწყისიდან ვიდრე XXI საუკუნის დასაწყისამდე, რაც განპირობებული იყო ქვეყნის და რეგიონის დრამატული პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ სოციალურ-კულტურული ძვრებით. სტატიაში ვაანალიზებთ რომანის სამ მიგრანტ პერსონაჟს – სოფიო ერსითავს, კიტი ჯაშს და ნიცა ჯაშს.

Gia Arganashvili

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi*

World Literature and National Literatures

Among various definitions of the world literature, this time we rely on the definition according to which this concept implies only the so-called great books, which have the ability to overcome the borders of national literature and contribute to the creation of human wealth of universal literature.

For this reason, Georgian national literature has always been a necessary tributary for world literature, in spite of the fact that for centuries, due to political or other reasons, world culture was not always in our field of vision, we often did not see the main line followed by the progressive part of humanity.

Therefore, our literature only blindly followed the flow of world literature for decades and often centuries, and it became clear only after great epoch-making changes that Georgian literature has not deviated in this regard, it has never betrayed the voice of the heart and mind.

In the last hundred years, under the conditions of the Soviet regime and totalitarianism, we had limits not only to free speech, but also to the political-geographical horizon from which we should have looked for the development of world literature.

It has been just three decades since we made a get-away from this artificial exclusiveness, and today the readers of world literature expect from us not only an artistic chronicle of the totalitarian Soviet empire from us, the determination of the role of the repressive system in the formation of the post-Soviet society, but also a literary depiction of today's universal themes and problems, the appropriate responsibility of the literature of a small country in front of world literature and the reader.

We should hope that even under the conditions of world globalization, national culture based on historical roots, as one of the main driving forces of humanity, will continue to remain in its leading position by promoting the country's sovereignty and modern technologies.

One of the primary parts of this culture is Georgian writing, the future prospects of which will be discussed in our report.

გია არგანაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი*

მსოფლიო ლიტერატურა და ნაციონალური ლიტერატურები;

მსოფლიო ლიტერატურის სხვადასხვაგვარ განმარტებებში ჩვენ ამჯერად იმგვარ დეფინიციას ვეყრდნობით, რომლის მიხედვითაც ეს ცნება გულისხმობს მხოლოდ ე.წ. დიად წიგნებს, რომელთაც შესწევთ უნარი, გადალახონ ნაციონალური ლიტერატურის საზღვრები და თავისი წილი დადონ უნივერსალური ლიტერატურის საკაცობრიო სიმდიდრის შექმნაში.

ამ ნიშნით ქართული ნაციონალური ლიტერატურა ყოველთვის ერთი აუცილებელი შენაკადი იყო მსოფლიო ლიტერატურისთვის, მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეების განმავლობაში პოლიტიკურ თუ სხვა მიზეზთა გამო, ყოველთვის ჩვენი თვალთახვედის არეში როდი იყო მსოფ-

ლიო კულტურა, ჩვენთვის ხშირად არ ჩანდა ის მაგისტრალური ხაზი, რომელსაც კაცობრიობის პროგრესული ნაწილი მიჰყვებოდა.

ამიტომ ათწლეულების და ხშირად საუკუნეების განმავლობაში ჩვენი ლიტერატურაც მხოლოდ ბრმად მიჰყვებოდა მსოფლიო ლიტერატურის დინებას და მხოლოდ დიდი ეპოქალური ცვლილებების შემდეგ ირკვეოდა, რომ ქართულ ლიტერატურას ამ მხრივ გზა არ გამრუდებია, გულისა და გონების ხმას მისთვის არასოდეს უღალატია.

უკანასკნელ ასწლეულში საბჭოთა რეჟიმისა და ტოტალიტარიზმის პირობებში ჩვენ შეზღუდული გვექნდა არა მხოლოდ სიტყვის თავისუფლება, არამედ ის პოლიტიკურ-გეოგრაფიული ჰორიზონტიც, რომლიდანაც მსოფლიო ლიტერატურის განვითარებისთვის უნდა გვედევნებინა თვალი.

სულ რაღაც სამი ათეული წელია ამ ხელოვნურ კარჩაკეტილობას თავი დავაღწიეთ და დღეს მსოფლიო ლიტერატურის მკითხველი ჩვენგან მოელის არა მხოლოდ ტოტალიტარული საბჭოთა იმპერიის მხატვრულ მატთან, რეპრესიული სისტემის როლის განსაზღვრას პოსტსაბჭოთა საზოგადოების ჩამოყალიბებაში, არამედ დღევანდელი საკაცობრიო თემებისა და პრობლემების ლიტერატურულ ასახვას, პატარა ქვეყნის ლიტერატურის სათანადო პასუხისმგებლობას მსოფლიო ლიტერატურისა და მკითხველის წინაშე.

იმედი უნდა ვიქონიოთ, მსოფლიო გლობალიზაციის პირობებშიც ისტორიულ ფესვებს დაყრდნობილი ნაციონალური კულტურა, როგორც კაცობრიობის მამოძრავებელი ერთ-ერთი ძირითადი ძალა, ქვეყნის სუვერენიტეტის და თანამედროვე ტექნოლოგიების ხელშეწყობით კვლავაც დარჩება თავის წამყვან პოზიციაზე

ამ კულტურის ერთი უპირველესი ნაწილია ქართული მწერლობა, რომლის მომავალ პერსპექტივებზე ჩვენს მოხსენებაში გვექნება საუბარი.

Maia Arveladze, Elisabed Zardiashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgia, Tbilisi

Echoes of the European Feminist Movement of the 19th Century in the Works of Georgian Classics

Ever since its inception in the 17th century, the feminist movement in Europe has continued to be a hot issue of discussion. The first feminist woman, Olympe de Gouges, lived and worked in the end of the 18th century. She was credited with the inspirational call: “Wake up, women!” and the Declaration of the rights of woman and the female as a citizen. A few of her theses were adopted as the slogans of feminist movement. Even after Gouges was beheaded at the guillotine in 1793, the feminist movement continued. This conflict reached its zenith in the 19th century and expanded throughout Europe.

The records of European travelers to Georgia (Chardin, Tavernier, Iuon, etc.) mention that Georgian women were emancipated and played an active role in public life. There is probably a grain of truth in these words, but both in Europe and in Georgia, education was inaccessible to the majority of women. A woman was, at most, taught how to read, write, study scripture, and do handicrafts, which prevented her from participating in public life. Moreover, according to the traditional view, a woman’s place was in the family. The Russian rule put an end to women's education and activity. Even those who succeeded in receiving an education had no longer comprehension of Georgian writing, reading, speech and traditions.

The 19th-century national public figures were concerned about the lack of rights for women, and as a result, Georgia became a fruitful ground for the European feminist movement. The works of classics found

an active resonance with the process. Feminist writers are considered Akaki, Ilia, Vazha, Kazbegi, Nikoladze, and Gogebashvili. Their writings frequently address women's rights, and many of their theses explicitly encourage readers to join the feminist movement.

To characterize the historical path of the Georgian feminist movement, it is necessary to highlight the first female representatives of this movement: Barbara Jorjadze, Anastasia Tumanishvili– Tsereteli, Ekaterine Melikishvili and others. Their activity served as an example for other women.

Despite being surrounded by the Muslim world, little Georgia, has actively participated in international events and consistently demonstrated that it is not a closed and enslaved country, but rather an integral part of European civilization.

მაია არველაძე, ელისაბედ ზარდიაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი*

მე-19 საუკუნის ევროპის ფემინისტური მოძრაობის გამოძახილი ქართველ კლასიკოსთა შემოქმედებაში

ევროპაში ფემინისტური მოძრაობა მე-17 საუკუნიდან შეინიშნება და, როგორც ჩანს, დღემდე არ გასულა აქტუალური თემების რიგიდან. მე-18 საუკუნის ბოლოს მოღვაწეობდა პირველი ფემინისტი ქალი ოლიმპია დე გუჟი, ვისაც ეკუთვნის სიტყვები „გაიღვიძეთ, ქალებო“ და დეკლარაცია მოქალაქე ქალის უფლებებზე, რომლის რამდენიმე თეზისი ფემინისტური მოძრაობის ლოზუნგად იქცა. 1793 წელს გუჟის გილიოტინაზე მოკვდეთეს თავი, თუმცა ამით ფემინისტური მოძრაობა არ შეჩერებულა. მე-19 საუკუნეში ამ ბრძოლამ ევროპაში მასობრივი ხასიათი მიიღო და კულმინაციას მიაღწია.

საქართველოზე ევროპელ მოგზაურთა (შარდენი, ტავერნიე, იუონი, და ა.შ.) ჩანაწერებში აღნიშნულია, რომ ქართველი ქალი ემანსიპირებული იყო და აქტიურ როლს თამაშობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ სიტყვებში, ალბათ, სიმართლის მარცვალი არის, მაგრამ როგორც ევროპაში, ისე საქართველოში ქალების უმრავლესობისთვის განათლება მიუწვდომელი იყო. ყველაზე კარგ შემთხვევაში ქალს წერა-კითხვას, საღვთოს სჯულსა და ხელსაქმეს ასწავლიდნენ, რაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმის საშუალებას არ იძლეოდა. თანაც ტრადიციული შეხედულებით, ქალი უფრო ოჯახში მოიაზრებოდა. რუსულმა მმართველობამ საერთოდ მოუღო ბოლო ქალების განათლებასა და აქტიურობას. ვინც ახერხებდა განათლების მიღებას, მათაც ქართული წერა კითხვის, მეტყველებისა და ტრადიციების აღარაფერი გაეგებოდათ.

ქალების ასეთი უუფლებობა მე-19 საუკუნის ეროვნული მოღვაწეების შემფოთებას იწვევდა, რითაც ევროპის ფემინისტურ მოძრაობას საქართველოში ნოყიერი ნიადაგი დახვდა. პროცესმა აქტიური გამოძახილი იპოვა კლასიკოსთა შემოქმედებაში. აკაკი, ილია, ვაჟა, ყაზბეგი, ნიკოლაძე, გოგებაშვილი – ფემინისტ მწერლებად მოიაზრებიან. მათ თხზულებებში დიდი ადგილი უჭირავს ქალთა უფლებების თემას და ბევრი თეზისი პირდაპირი მოწოდებაა ფემინისტურ მოძრაობაში ჩაბმისკენ.

ქართული ფემინისტური მოძრაობის ისტორიული გზის დასახასიათებლად აუცილებლად უნდა გამოვყოთ ამ მოძრაობის პირველი ქალი წარმომადგენლები: ბარბარე ჯორჯაძე, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი ეკატერინე მელიქიშვილი და სხვები. მათი მოღვაწეობა სამაგალითო იყო სხვა ქალებისათვის.

მსოფლიო პროცესებში ჩართვით მუსულმანური სამყაროთი გარშემორტყმული პატარა საქართველო ყოველთვის ახერხებდა იმის დამტკიცებას, რომ ის არ არის ჩაკეტილი და დამორჩილებული ქვეყანა, რომ ის ევროპული ცივილიზაციის ნაწილს წარმოადგენს.

Nunu Balavadze

St. Tbilisi Student-Youth House

Georgia, Tbilisi

Poems against Violence in the 70s-80s of the 20th Century Georgian (Lia Sturua, Besik Kharanauli) and American (Louise Bogan, Muriel Rakeyser, Sylvia Plath, Maya Angelou, Charles Simic, Mark Strand, Galway Kinnell, Thomas Wolfe) on the Example of Poetic Texts

In the article, on the example of the poems of Lia Sturua and Besik Kharanauli, we consider the poetic texts of the 70s and 80s of the 20th century as lyrical works created against violence; We will talk about why poetry "dares" to oppose the violence caused by totalitarianism and why it has this role in relation to American poetry.

In American poetry, poetry should play the role of a mirror, to see the sens of this century, what is called – violence/femicide, racism, loss of humanity – with Georgian authors, this is replaced by the saving of a person by a poem.

The 20th-century German philosopher and sociologist Theodor Adorno, the poet "manifests art, while the lyrical work becomes a subjective expression of social antagonism." The poetry of Lia Sturua and Besik Kharanauli agrees with Theodore Adorno's definition.

If Georgian culture aspired to the European during the time of symbolism, two completely different worlds confront each other in the imagination of the writer from the second half of the 20th century. A world to which one must strive and another to escape. For the lyrical subject, America is a symbol of freedom, while the Soviet Union is a restriction of freedom. Besik Kharanauli and Lia Sturua try to create a like-minded society through their poetry.

The comparison of Georgian and American authors can really allow us to conclude that in the modern period, both in the East and in the West, the transcendental lyrical subject becomes an emblem of the individual's resistance to society.

ნუნუ ბალავაძე

ქ. თბილისის მოსწავლე-ახალგაზდრობის სახლი

საქართველო, თბილისი

სათაური-ლექსები ძალადობის წინააღმდეგ მე-20 საუკუნის 70-80-იანი წლების ქართული (ლია სტურუა, ბესიკ ხარანაული) და ამერიკული (ლუიზ ბოგანი, მიურიელ რაკეისერი, სილვია პლათი, მაია ანჯელოუ, ჩარლზ სიმიკი, მარკ სტრენდი, გოლუეი კინელი, თომას ვულფი) პოეტური ტექსტების მაგალითზე

სტატიაში ლია სტურუას და ბესიკ ხარანაულის ლექსების მაგალითზე განვიხილავთ მე-20 საუკუნის 70-80-იანი წლების პოეტურ ტექსტებს, როგორც ძალადობის წინააღმდეგ შექმნილ ლირიკულ ნაწარმოებებს; ვისაუბრებთ, რატომ „ბედავს“ პოეზია ტოტალიტარიზმისგან გამოწვეულ ძალადობასთან შეწინააღმდეგებას და ამერიკულ პოეზიასთან მიმართებით მას ეს როლი რატომ ეკისრება. რეალიზმის მსგავსად, რატომ ენიჭება მხატვრულ ტექსტებს სარკის ფუნქცია;

ამერიკულ პოეზიაში პოეზიამ სარკის როლი უნდა შეასრულოს, ამ საუკუნის სენის დასა-
ნახად, რასაც ჰქვია – ძალადობა/ფემიციდი, რასიზმი, ადამიანობის დაკარგვა-ქართველ ავტორებ-
თან ამას ლექსის მიერ ადამიანის გადარჩენა ანაცვლებს – სწორედ ეს ტენდენცია იჩენს თავს –
ლექსმა უნდა იხსნას ადამიანი-პიროვნება.

მე-20 საუკუნის გერმანელ ფილოსოფოსსა და სოციოლოგს, თეოდორ ადორნოს თუ დავეც-
რდნობით, პოეტი „ახდენს ხელოვნების მანიფესტაციას, ხოლო ლირიკული ნაწარმოები იქცევა
სოციალური ანტაგონიზმის სუბიექტურ გამოხატულებად.“ ლია სტურუასი და ბესიკ ხარანაულის
პოეზია თანხვდება თეოდორ ადორნოსეულ განმარტებას თანამედროვე პოეტის მიერ ლირიკული
ნაწარმოების შექმნის მიზანთან მიმართებით-ლექსებმა საზოგადოებას უნდა წარმოუჩინოს ისეთი
სამყარო, რომელშიც, არსებულ რეალობასთან შედარებით, ყველაფერი განსხვავებულია, დაცლი-
ლია ყოველგვარი ძალადობისგან. აქედან გამომდინარე, სოციუმსაც უნდა გაუჩნდეს სურვილი,
ლირიკული სუბიექტის მსგავსად გაილაშქროს სამყაროს მატერიალიზაციის წინააღმდეგ. შეეწინა-
აღმდეგოს სამყაროში აღმოცენებულ ნიჰილიზმს.

თუკი სიმბოლიზმის დროს ქართული კულტურა ევროპულისკენ ისწრაფვოდა, მე-20
საუკუნის მეორე ნახევრიდან მწერლის წარმოდგენაში ერთმანეთს ორი სრულიად განსხვავებული
სამყარო უპირისპირდება. სამყარო, რომლისკენაც ინდივიდი უნდა ისწრაფვოდეს და მეორე-რო-
მელსაც უნდა გაექცეს. სწორედ ლირიკული სუბიექტისთვისაც თავისუფლების სიმბოლოა ამერიკა,
ხოლო საბჭოთა კავშირი თავისუფლების შემზღვედავი. ავტორისთვი მნიშვნელოვანია კავშირი
რკინის ფარდის მიღმა სამყაროსთან. შესაბამისად, ბესიკ ხარანაულიცა და ლია სტურუაც ცდი-
ლობენ თავიანთი პოეზიის მეშვეობით შექმნან თანამოაზრე საზოგადოება, რომელიც მათ მსგავსად
შეხედავს არსებულ რეალობას და თანაუგრძნობს.

ქართველ და ამერიკელ ავტორთა შედარება შეიძლება მართლაც გვაძლევდეს იმის დასკვნის
საშუალებას, რომ თანამედროვე პერიოდში, როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში, კაპიტა-
ლისტურ და სოციალისტურ პერიოდში, როგორც არ უნდა იყოს საზოგადოების ფორმა, ტრანს-
ცენდენტული ლირიკული სუბიექტი იქცევა საზოგადოებისადმი ინდივიდის წინააღმდეგობის
ემბლემად.

Tamar Barbakadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgia, Tbilisi

Hermeneutical Interpretation of the Metaphor "Tear" in Georgian Poetry

Phenomenological-hermeneutic aspects of understanding metaphor imply the explanation of
metaphorical models in the text. Paul Ricoeur's "poetics of the will" holds that a metaphor opens up new
perspective to the imagination of ordinary spoken language in literary texts. In national intermediate
poetry, the metaphor "tear" assumes an intermediary position between "world" and "country" within the
author's contextual meaning using the potential of a unique Georgian poem. In the *Vepkhistaosani*, the
metaphor "tear," which stands for sympathy, connects the "world," which is a place of immutable, eternal
concepts, and the "country," which is a changing human experience. The tear becomes the pretext for
bringing together two main countries in the poem – Arabia and India.

The soft tears of Taniel, the protagonist of the *Vepkhistaosani* are combined with Avtandil's will,
song, and Nestan-Darejani's letter from Kajeti prison.

The "tear" in Vazha-Pshavela's *Bakhtioni* is a "liquid of melted heart". It is connected with the main idea of the world – the tragedy of an insensible man and determines the fight for national independence and the dignity of a person.

The main feature of the godless, horrible era in Galaktion Tabidze's *Blue Horses* is to remain without tears. The tragedy of the lyrical hero of Nikoloz Baratashvili's *Merani* is to be buried without the beloved's tears in a faraway country devoid of empathy.

The contemporary Georgian poet, Besik Kharanauli, explains the purpose of a poet with the metaphor "tear": "I have one tear more than you". The prologue of the collection "Agoniuri" (1991), the six-stanza poem "Lechaki" is an apology for the poet's "tear".

In the 1990s, the well-known Georgian poetess Ela Gochiashvili wrote a poem titled a "Teardrop on the cheek of the world" dedicated to Borena Jachviani. "Tear" is a metaphor for love in Ela Gochiashvili's verlibre. The poet's main message is emphasized in this line: "May the tears never dry out on the world's cheek/ tear is a hymn to love". The interpretation of the metaphor "tear" in Ela Gochiashvili's lyrics is invariant: "Tear is life! It's easy to see an uncovered tear!" Finally, in Ela Gochiashvili's view, a "poem is the religion of the suffering". A poet must "cry out" his words in order to instruct and remind the world of lost compassion and love.

The interpretation of the metaphor "tear" is also the key to national existence and best explains our country's attitude towards the world.

თამარ ბარბაქაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი*

„ცრემლის“ მეტაფორის ჰერმენევტიკული ინტერპრეტაცია ქართულ პოეზიაში

მეტაფორის გააზრების ფენომენოლოგიურ-ჰერმენევტიკული ასპექტები გულისხმობს ტექსტში არსებული მეტაფორული მოდელების ახსნას; პოლ რიკიორის მიერ დამკვიდრებული „ნების პოეტიკის“ მიხედვით კი, მეტაფორა ჩვეულებრივ, სასაუბრო ენას მხატვრულ ტექსტებში წარმოსახვის ახალ პერსპექტივას სძენს. ავტორის მიერ მინიჭებული კონტექსტუალური ღირებულებით, „ცრემლის“ მეტაფორა, უნიკალური ქართული ლექსის შესაძლებლობით, ეროვნულ შუალედურ პოეზიაში შუალედურ ადგილს იმკვიდრებს „სამყაროსა“ და „ქვეყანას“ შორის:

„ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, „სამყარო“, როგორც მყარი, მარადიული იდეების, ხოლო „ქვეყანა“ – ცვალებადი, ადამიანთა ყოფნის ადგილი, ერთმანეთს უკავშირდება „ცრემლით“: მეტაფორით, რომელიც თანაგრძნობას აღნიშნავს. პოემის ორი მთავარი ქვეყნის – არაბეთისა და ინდოეთის – დაკავშირების საბაზიც ცრემლი გახდა.

„ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირის, ტარიელის, უსიტყვო ცრემლთან ერთიანდება ავთანდილის ანდერძი, სიმღერა და ნესტან-დარეჯანის წერილი ქაჯეთის ციხიდან.

ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონში“ „ცრემლი“ – „დამდნარი გულის წვენი“ა. იგი სამყაროს მთავარ იდეას – უგრძნობი კაცის ტრაგედიას უკავშირდება და ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლას და პიროვნების ღირსებას განსაზღვრავს.

გალაკტიონ ტაბიძის „ლურჯა ცხენებში“ უღმერთობის, ჯოჯოხეთური ეპოქის მთავარი ნიშანი უცრემლოდ დარჩენაა; ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის“ ლირიკული გმირის ტრაგედიაც სატრფოს ცრემლის გარეშე დამარხვას უცხო მხარეში, სადაც თანაგრძნობა არ არსებობს.

თანამედროვე ქართველმა პოეტმა, ბესიკ ხარანაულმა პოეტის დანიშნულება „ცრემლის“ მეტაფორით ახსნა: „ერთი ცრემლით მეტი ვარ თქვენზე“. პოეტის „ცრემლის“ აპოლოგია კრებულ „აგონიურის“ (1991) პროლოგი, ექვსტაეპიანი ლექსი „ლეჩაქი“.

XX საუკუნის 90-იან წლებში დაიწერა ცნობილი ქართველი პოეტის, ელა გოჩიაშვილის, ლექსი „ცრემლი სამყაროს დაწვზე“, რომელიც ბორენა ჯაჭვლიანს ეძღვნება. ელა გოჩიაშვილის ამ ვერლიბრში „ცრემლი“ მეტაფორაა სიყვარულისა გამოკვეთილია პოეტის მთავარი სათქმელი: „არასოდეს გამოილიოს სამყაროს დაწვზე / ცრემლი – ჰიმნი სიყვარულისა“. „ცრემლის“ მეტაფორის ინტერპრეტაცია ელა გოჩიაშვილის ლირიკაში ინვარიანტულია: „ცრემლი სიცოცხლეა!“ „ადვილია შიშველი ცრემლის დანახვა!“ „მოდით, „ცრემლი“ მითხარი, სტრიქონი გამოთხარე!“ საბოლოოდ კი, ელა გოჩიაშვილის აზრით, „ლექსი ტანჯულთა რელიგიაა“. პოეტმა უნდა „ამოიტეროს“ თავისი სათქმელი და ასე ასწავლოს, შეახსენოს მსოფლიოს დავიწყებული თანაგრძნობა და სიყვარული.

„ცრემლის“ მეტაფორის ინტერპრეტაცია ეროვნული ყოფიერების გასაღებსაც წარმოადგენს და სამყაროს მიმართ ჩვენი ქვეყნის დამოკიდებულებას საუკეთესოდ ხსნის.

Liana (Lia) Basheleishvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgia, Tbilisi

Cultural-cognitive Aspects of the Georgian Translations of „Praise of Praise“

The title of the report is the cultural-cognitive aspects of the Georgian translations of the most difficult text of the Old Testament. The analyzed passages of the Georgian editions of this book of the Bible are compared both with each other and with the academic text of the Septuagint accompanied by a literal Hebrew translation. It is used from Georgian texts

Edition O – Oshki Bible of 978.

Redaction of the S-Mkheti Bible according to an unpublished manuscript of the seventeenth-eighteenth century.

Edition – A unpublished manuscript of the seventeenth century.

Edition B– the text of the Moscow Bible of 1743.

The report presents 1. Georgian title context and megatext vectors. 2. The dramaturgy of the remarks in the Georgian translation and the issues of the relationship between the editors of the original.

ლიანა(ლია) ბაშელეიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

საქართველო, თბილისი

„ქებაჲ ქებათაჲ“-ს ქართული თარგმანების კულტურულ-კოგნიტური ასპექტები

ძველი აღთქმის ურთულესი ტექსტის „ქებაჲ ქებათაჲ“-ს ქართული თარგმანების კულტურულ-კოგნიტური ასპექტების განხილვა მრავალ სირთულესთანაა დაკავშირებული. რადგან მაღალი ტექსტებისათვის დამახასიათებელია საკუთარი თავის დამალვა და გაბუნდოვანება. მეფე სოლომონის ამ წიგნის ქართული რედაქციების გასაანალიზებელი ადგილები შედარებულია რო-

გორც ერთმანეთთან, ასევე სეპტუაგინტის აკადემიურ ტექსტთან სიტყვასიტყვითი ებრაული თარგმანის თანხლებით. ქართული ტექსტებიდან გამოყენებულია:

რედაქცია O– 978 წლის ოშკის ანუ ათონის ბიბლია;

რედაქცია S– მხეთური ბიბლია მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნის გამოუცემელი ხელნაწერის მიხედვით.

რედაქცია – A მეჩვიდმეტე საუკუნის გამოუცემელი ხელნაწერი; რედაქცია B– 1743 წლის მოსკოვური ბიბლიის ტექსტი;

მოხსენებაში წარმოდგენილია 1. ქართული სათაურის („ქებაჲ ქებათაჲ“-ს) კონტექსტის და მეგატექსტის ვექტორები. 2. რემარკების დრამატურგია ქართულ თარგმანში და დედნის რედაქციების ურთიერთმიმართების საკითხები.

Dalila Bedianidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgia, Tbilisi

One Tale of „A thousand and One Nights“ and Georgian Folk Tales

The paper discusses four folk tales in which the international plot is used:

1. In the „Tale of Thousand and One Night“, the Tale of King Sindbad, tells how King Sindbad cut off the wings of his beloved falcon while hunting due to reason the animal spilled the water he desperately wanted to drink, causing the falcon to die.

2. Tale 67 of „Kalila and Dimna“ „The Ruler and the Hawk“ tells the story about the ruler, who also got thirsty while hunting and his beloved hawk turned over the water, and spilled it, the enraged ruler threw the hawk to the ground and killed the animal. (In both stories, after the death of the owner's beloved faithful bird, the dedication of the bird becomes clear – the hawk saved the owner from being poisoned by snake venom).

3. Georgian folk tales "Kvavsagdara" and "Crow's Seat", portray the story of how a crow saved the farmers, from the poison of a snake that was mixed in the food of the farmers in the village of Eniseli in Kakheti – the crow jumped into a boiling pot full of food and sacrificed itself to save innocent people. Crow's heroism was revealed after his death, for which the grateful people built a church named after it "Kvavsakdara", i.e. "Crow's Seat".

All four of the above-mentioned tales are based on the international story ATU 178. There are common characters – birds devoted to people and saving people from death at the cost of their lives: falcon, Hawk and Crow. There is also a snake, which poisons the drinking water or the farmers' food with its poison.

Also, the common characters are people – King Sindbad – the owner of the falcon, the owner of the hawk, some other kings and farmers, and harvesters. These characters are saved from snake venom poisoning by a wise bird, the story of whose dedication is spread among the people, has passed centuries and speaks of the results of the close connection with the eastern countries of Georgia since immemorial time, as well as notes the developed cultural-educational relations.

It is significant to note that in Georgian folk tales, God warned the people of danger with the appearance of a crow, and saved people from death, which became the reason that a house of faith, i.e. a Christian church, was built by grateful people of the same faith to immortalize the name of the crow.

დალილა ბედიანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

„ათას ერთი ღამის“ ერთი ზღაპარი და ქართული ხალხური ზღაპრები

ნაშრომში განხილულია ოთხი ზღაპარი, რომლებშიც საერთაშორისო სიუჟეტია გამოყენებული:

1. „ათას ერთი ღამის“ ზღაპარი „სინდბად მეფის ამბავი“, რომელიც მოგვითხრობს, თუ როგორ დააჭრა მეფე სინდბადმა ფრთები თავის საყვარელ შევარდენს ნადირობისას მოწყურებულმა მისი სასურველი წყლის დაღვრის გამო, რის შედეგადაც შევარდენი მოკვდა.

2. „ქილილა და დამანას“ 67-ე არაკი „ხელმწიფე და ქორი“, სადაც ერთმა ხელმწიფემ, რომელსაც ასევე ნადირობისას მოსწყურდა და სასურველი წყალი საყვარელმა ქორმა დაუქცია, ქორი მიწას დააწყვიტა და მოკლა (ორივეგან პატრონის საყვარელი ერთგული ფრინველის სიკვდილის შემდეგ ირკვევა ფრინველის თავდადება – მან გველის შხამით მოწამვლისაგან იხსნა პატრონი).

3. ქართული ხალხური ზღაპრები „ყვავსაყდარა“ და „ყვავის საყდარი“, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ იხსნა მომკვლეები, გლეხები კახეთის სოფელ ენისელში ერთმა ყვავმა შხამისაგან გველისა, რომელიც გლეხების საჭმელში ჩახარშულიყო – ყვავი საჭმლით სავსე მდუღარე ქვაბში ჩახტა, თავი გაწირა უდანაშაულო ადამიანების გადასარჩენად. ყვავის გმირობა მისი სიკვდილის შემდეგ გაცხადდა, რისთვისაც მადლიერმა ხალხმა იმ ადგილზე მისი სახელობის ეკლესია „ყვავსაყდარა“, ანუ „ყვავის საყდარი“ ააშენა.

ოთხივე ზემოხსენებული ზღაპარი აგებულია საერთაშორისო სიუჟეტზე ATU 178. გვხვდება საერთო პერსონაჟები – ადამიანისთვის თავდადებული და საკუთარი სიცოცხლის ფასად ადამიანთა სიკვდილისგან მხსნელი ფრინველები: შევარდენი, ქორი, ყვავი. გვხვდება აგრეთვე გველი, რომელიც თავისი შხამით წამლავს სასმელ წყალს, თუ გლეხთა კერძს.

ასევე, საერთო პერსონაჟები არიან ადამიანები – მეფე სინდბადი – შევარდენის პატრონი, ქორის პატრონი ვინმე სხვა მეფე და გლეხები, მომკვლეები. ამ პერსონაჟებს იხსნის გველის შხამით მოწამვლისაგან გონიერი ფრინველი, რომლის თავდადების ამბავიც ხალხშია გავრცელებული, საუკუნეები გამოუვლია და მეტყველებს უხსოვარი დროიდან საქართველოს აღმოსავლეთის ქვეყნებთან მჭიდრო კავშირის შედეგებზე, განვითარებულ კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობებზე.

ნიშანდობლივია, რომ ქართულ ზღაპრებში ღმერთმა ყვავის მოვლინებით მიანიშნა ხალხს საფრთხე, გადაარჩინა ხალხი სიკვდილს, რაც იმის მიზეზი გახდა, რომ სარწმუნოების ბინა, ანუ ქრისტიანული ეკლესია ააშენა მადლიერმა ერთმორწმუნე ხალხმა ყვავის სახელის უკვდავსაყოფად.

Ludmila Boris

*Lomonosov Moscow State University
Russia, Moscow*

Shadows of Forgotten Ancestors in the Novel and Film

Sergei Parajanov shot an amazing film “Shadows of Forgotten Ancestors” (alternative title in box office abroad – Wild Horses of Fire) in the Hutsul dialect and in the autochthonous scenery of the Carpathian Mountains for the 100th anniversary of the Ukrainian writer Mykhailo Kotsyubinsky (1964). On the 100th anniversary of the great director, interest in the film, which brought the author world fame and imprisonment, does not subside, but is gaining more and more resonance.

What attracted readers, including Parajanov, to the story about the simple and difficult life of shepherds? Perhaps this is a tragic love story between Ivanko and Marichka, who came from two warring rural clans – Paliichuks and Gutenyuks, like the Hutsul Montagues and Capulets. The world of the story is inhabited by extraordinary creatures – foresters, nyawks, chugaistr, mountains talk to people, winds sing songs. Trembits carry news of the death of those who drowned or fell off a cliff. People are also extraordinary: they greet each other with the words “Glory to Jesus!” and do not forget to give coins to the deceased for the carrier of souls to the other world. The local sorcerer (molfar) Yuri disperses the storm with his hands and spells for the quiet life of the village, but does not hesitate to steal his neighbor’s wife and kill his rival by sticking needles into a clay doll. These people work, dance, sing and cry almost simultaneously.

And if the writer was able to find the right words to depict the great beauty of nature and human passions, then the director made these words visible, a vivid video sequence filled with symbols and realities, people and spirits. So that the shadows of our ancestors remind us of unity with nature and higher forces.

Levan Bregadze

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi*

For the Completion of the International Comparativist Research

In recent times parallel to the national literature histories more often are created comparativist histories of particular literature genres, of expressive literary techniques, of fable-plots or of literature motives with regard to international literature practice. These kinds of works were founded by the register of folklore motives, that was composed by Antti Aarne (1867 – 1925) at the beginning of the 20th century.

None of these works has the claim of completeness. But all of them are striving towards completion.

Here comes a good chance to internationalize the literature data, that could not initially attract attention on international level, because they were written in languages of small numbered people. This circumstance is especially regrettable, when the literature data created in the languages of small numbered people are prior, that means, they are chronologically prior. These histories mentioned above give the opportunity to partially redress the deplorable "injustice".

In the work we discuss the data of the Georgian literature, that not regarding them makes the international histories of such data definitely incomplete.

It is surprising to fully ignore the book of fables of Sulkhan-Saba Orbeliani (1658-1725), when we research the histories of subjects of fables, especially when we find there the original versions of well-known fable plots. This circumstance seems to be the more difficult to understand, because the full translation in foreign languages (Russian, English) of the book of this great Georgian fable writer was available for readers already in 19th century.

The literature instrument found by the European modernists (Bertolt Brecht, Jean Anouilh), taking out the motive of fate from well-known old plots and replacing it with "earthly" motives, was used much earlier by Daniel Chonqadze in his short story "The Suram Fortress" published in 1859. This fact elevates the prestige of the Georgian literature.

Or let's take the method of constructing a literature work "compositional Polyphony", that is today a very productive instrument of organizing a literature text. Works written about this instrument tell us, that it appeared initially in the 19th century in the works of European and Russian romanticists. It will defini-

tely enrich the history as well as the theory of this literature occurrence to consider, that "compositional Polyphony" is fully realized in the Georgian literature monument "Life of Saint Nino" from the 4th century.

In the present work we discuss these and similar literature occurrences of international significance in regard to content as well as to the instruments of literary expression.

ლევან ბრეგამე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
თბილისი, საქართველო*

საერთაშორისო კომპარატივისტულ კვლევათა სრულყოფისათვის

ეროვნული ლიტერატურის ისტორიების პარალელურად ბოლო დროს სულ უფრო ხშირად იქმნება ცალკეულ ლიტერატურულ ჟანრთა, მხატვრულ-გამომსახველობით ხერხთა, ფაბულა-სიუჟეტთა თუ ლიტერატურულ მოტივთა კომპარატივისტული ისტორიები საერთაშორისო ლიტერატურული პრაქტიკის გათვალისწინებით. ამგვარ ნაშრომებს საფუძველი ჩაუყარა ფოლკლორულ მოტივთა საძიებელმა, რომელიც ანტი აარნემ (1867-1925) შეადგინა მე-20 საუკუნის დამდეგს.

არც ერთ ასეთ ნაშრომს სისრულის პრეტენზია არ აქვს, მაგრამ ყველა მათგანი ესწრაფვის სისრულეს.

აქ ჩნდება კარგი შანსი იმ ლიტერატურების მონაცემთა ინტერნაციონალიზაციისა, რომლებმაც, იმის გამო, რომ მცირერიცხოვან ხალხთა ენებზე იქმნებოდნენ, თავის დროზე ვერ შეძლეს ყურადღება მიეპყროთ საერთაშორისო მასშტაბით. განსაკუთრებით დასანანი ეს ვითარება მაშინ არის, როცა მცირერიცხოვან ხალხთა ენებზე შექმნილი ლიტერატურის მონაცემები პრიორიტეტულია, ანუ ქრონოლოგიურად პირველია. აი ამ დასანანი „უსამართლობის“ ნაწილობრივ გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა ზემოხსენებული ისტორიები.

ნაშრომში განვიხილავთ ქართული ლიტერატურის იმ მონაცემებს, რომელთა გათვალისწინების გარეშე ამგვარ მონაცემთა საერთაშორისო ისტორიების ნაკლებობა აშკარაა.

გაოცებას იწვევს იგავების ფაბულათა ისტორიის კვლევისას სულხან-საბა ორბელიანის (1658-1725) იგავების წიგნის სრული უგულვებლყოფა, და ეს მაშინ, როდესაც მასთან ცნობილი იგავური სიუჟეტების ორიგინალურ ვერსიებს ვხვდებით. ეს ვითარება მით უფრო გაუგებარი ჩანს, რომ დიდი ქართველი იგავმთქმერლის წიგნის სრული თარგმანი უცხო ენებზე (რუსულად, ინგლისურად) ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში იყო ხელმისაწვდომი მკითხველთათვის.

ევროპელი მოდერნისტების (ბერტოლტ ბრეხტი, ჟან ანუი...) მიერ მიგნებული მხატვრული ხერხი – ცნობილი ძველი სიუჟეტებიდან ბედისწერის მოტივის ამორიდება და მისი ჩანაცვლება „მიწიერი“ მოტივებით – ბევრად ადრე განხორციელა დანიელ ჭონქაძემ 1859 წელს გამოქვეყნებულ მოთხრობაში „სურამის ციხე“. ეს ფაქტი ამაღლებს ქართული ლიტერატურის პრესტიჟს.

ანდა ავიღოთ ნაწარმოების აგების მეთოდი „კომპოზიციური პოლიფონიზმი“, რომელიც დღეს მხატვრული ტექსტის ორგანიზაციის მეტად პროდუქტიული ხერხია. მასზე დაწერილი ნაშრომები იუწყებიან, რომ იგი პირველად მე-19 საუკუნეში გამოჩნდა ევროპელ და რუს რომანტიკოსთა შემოქმედებაში. ამ ლიტერატურული მოვლენის ისტორიას და თეორიასაც უთუოდ გაამდიდრებს იმის გათვალისწინება, რომ „კომპოზიციური პოლიფონიზმი“ უკვე მე-4 საუკუნის ქართულ ლიტერატურულ ძეგლში, „წმ. ნინოს ცხოვრებაში“, არის რეალიზებული სრულყოფილად.

როგორც შინაარსთან, ასევე მხატვრული გამოსახვის ხერხებთან დაკავშირებულ ამ და ამათ მსგავს საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ლიტერატურულ მოვლენებზე გვაქვს საუბარი წინამდებარე ნაშრომში.

Rūta Brūzgienė

*Mykolas Romeris University, Lithuania
Lithuania, Vilnius*

**Existential Motives in V. Mačernis' in the Cycle of Poems "Sonnets of the Year"
and the Musicality of the Form**

Vytautas Mačernis (1921-1944), one of the youngest classic authors of Lithuanian literature, could read in 7 foreign languages, studied philosophy, English philology, translated poetry of Charles Baudelaire, Robert Burns, Alexander Blok, Oscar Milosz, and Francesco Petrarca. His personal writings (1943-1944) bore characteristics of a distinctive harmony between Western culture and archaic Baltic culture ("Visions") as well as manifestations of existentialist philosophy ("Sonnets of the Year"). Mačernis, who came from a small village in the depths of Samogitia (Western Lithuania), combines in his lyricism a dimension of the archaic sacredness of the national worldview and the high elitist Western culture. His "Sonnets of the Year" show a sense of existential controversies that are akin to the poetics of Shakespeare's sonnets, and Petrarca's influences are also felt. The sonnet, which originated in the 13th century, is both a poetic and a musical genre, with specific versification and formal constrains. The aim of this presentation, after a brief overview of the specificity of the collection "Visions", is to discuss some of the musical features of the sonnets with existential motifs in terms of the analogies of musical forms, processuality, etc. The work is based on comparative methodology and draws on the works of A. Ambrazas, V. Balsevičiūtė, G. Bernotienė, V. Bobrovsky, V. Daujotytė, J. Girdzijauskas, J. Gustaitė, V. Kubilius, J. Korolkovaitė, J. Paužienė, and others.

Mzisa BuskivadZe

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Georgia, Tbilisi*

World Literary Processes and Issue of Turkish Literature Development

Formation and development of the national literature is significantly influenced, in addition to the national characteristics, by the world literary processes. Change of the geopolitical and cultural area greatly affects further orientation and nature of literature. Before Turkish literature developed into what it is now, it was subjected to two great cultures and civilizations. We imply Islamic and European cultures and civilizations. Sufism thinking system made the issues of God, as absolute truth, relationships between the human and god as the dominant in the literature. Classical Turkish literature have broken up with the national origins and became integral part of the general oriental literary processes. Though, some poets supported use of Turkish language and Turkish versification system. This has conditioned two more literary movements: first – classical Turkish literature and the other – Teke literature. The mentioned process persisted up to 18th century and conditioned both, the literary canons and esthetics and form of thinking of the society. In early 19th century, the historical-political factors turned the orientation of Ottoman Empire to the Europe. Close relationships with the Europe and particularly with France, in cultural respect, brought Turkish literature to the new stage of development, as expressed in the new themes and genres. And change of the cultural area became the cause of dualism of the Ottoman-Turkish society. On one hand the oriental culture and on the other – the European values placed the society at the "threshold" position. Literature has "responded" to the mentioned process in its specific manner. Pseudo-Europeanization became the main issue in the art of many Turkish authors. Europeanization and modernization resulting

from the reforms implemented by Ataturk moved to the active stage. Modernization process brought forward the issue of identity. In the art of the authors of 20th century and the modern ones, the issues of the west and east, conflicts, estrangement of the cultures became subject of active researches. Within the scopes of this work, we shall attempt, with due regard of internal and external historical and literary contexts, in the context of the world literature, identify the periods of development of Turkish literature and based on examples of the outstanding authors of the mentioned period, identify the large and small narratives that have significant influence on development of Turkish literature.

მზისა ბუსკივაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი*

მსოფლიო ლიტერატურული პროცესები და თურქული ლიტერატურის განვითარების საკითხი

ნაციონალური ლიტერატურის ჩამოყალიბება-განვითარებაზე ეროვნული მახასიათებლების გარდა მნიშვნელოვან გავლენას მსოფლიო ლიტერატურული პროცესებიც ახდენს. გეოპოლიტიკური და კულტურული არეალის ცვლა დიდწილად განაპირობებს ლიტერატურის შემდგომ კურსსა და ხასიათს. იქამდე ვიდრე თურქული ლიტერატურა იმ სახეს მიიღებდა, რა სახითაც იგი დღეს გვევლინება, ორი უაღრესად მდიდარი კულტურისა და ცივილიზაციის გავლენის ქვეშ მოექცა. ვგულისხმობთ ისლამურსა და ევროპულ კულტურასა და ცივილიზაციას. სუფიურმა სააზროვნო სისტემამ ლიტერატურის დომინანტურ თემად ღმერთის, როგორც აბსოლუტური ჭეშმარიტების, ადამიანისა და ღმერთის ურთიერთობის საკითხები აქცია. კლასიკური თურქული ლიტერატურა გარკვეულწილად მოსწყდა ეროვნულ საწყისებს და საერთო ადმოსავლური ლიტერატურული პროცესების განუყოფელი ნაწილი გახდა. თუმცა პოეტების ერთი ნაწილი თურქული ენისა და თურქული ვერსიფიკაციული სისტემის გამოყენების მომხრე იყო. ამან განაპირობა კიდევ ორი ლიტერატურის მიმართულება: პირველი – კლასიკური თურქული ლიტერატურა, მეორე – თექვსი ლიტერატურა. აღნიშნული პროცესი მე-18 საუკუნემდე გაგრძელდა რამაც განაპირობა როგორც ლიტერატურული კანონი და ესთეტიკა, ისე საზოგადოების აზროვნების ფორმაც. ისტორიულ-პოლიტიკურმა ფაქტორებმა მე-19 საუკუნის დასაწყისში ოსმალეთის იმპერიის კურსი ევროპისკენ შემოაბრუნა. ევროპასთან, კერძოდ, საფრანგეთთან, კულტურული თვალსაზრისით სიახლოვემ თურქული ლიტერატურა განვითარების ახალ ეტაპზე გადაიყვანა, რაც თემატიკისა და ჟანრების სიახლეში გამოიხატა. კულტურული არეალის ცვლილება კი ოსმალ-თურქული საზოგადოების დუალიზმის მიზეზი გახდა. ერთი მხრივ ადმოსავლური კულტურა, მეორე მხრივ კი ევროპული ღირებულებები საზოგადოებას „ზღურბლისმიერ“ მდგომარეობაში აყენებს. ლიტერატურა აღნიშნულ პროცესს თავისებურად „გამოეხმაურა“. ფესვდოვეროპეიზაცია არაერთი თურქი ავტორის შემოქმედების მთავარი თემა გახდა. ათათურქის რეფორმების შედეგად ევროპეიზაცია და მოდერნიზაცია აქტიურ ფაზაში შევიდა. მოდერნიზაციის პროცესმა წინა პლანზე იდენტობის საკითხი წამოსწია. მე-20 საუკუნისა და თანამედროვე ავტორების შემოქმედებაში დასავლეთისა და ადმოსავლეთის, კულტურათა კონფლიქტის, გაუცხოების მსგავსი თემები აქტიური კვლევის საგანია. მოხსენების ფარგლებში შევცდებით შიდა და გარე ისტორიული და ლიტერატურული კონტექსტების გათვალისწინებით მსოფლიო ლიტერატურული პროცესების კონტექსტში გამოყოფით თურქული ლიტერატურის განვითარების პერიოდები და აღნიშნული პერიოდის თვალსაჩინო ავტორების მაგალითზე გამოვკვეთოთ ის, დიდი თუ პატარა ნარატივები, რომლებიც თურქული ლიტერატურის განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.

ხათუნა ჭანიშვილი

კავკასიის უნივერსიტეტი

საქართველო, თბილისი

**პოეტურისა და პუბლიცისტურის ზღვარი როგორც ძველის ანარეკლი და ახლის უწყება
(გაზეთი „საქართველოს“ 1918 წლის პირველი ნომრის მიხედვით)**

გაზეთ *საქართველოს* 1918 წლის პირველი იანვრის ნომერი, ადეკვატურად წაკითხვის შემთხვევაში, შესაძლოა იმ საუკუნოვანი ეპოქის საწყისისა და ბოლოს სიმბოლოდაც გაგვიცხადდეს, რომელიც იქ და მაშინ დაიწყო, აქ და ახლა კი სრულდება.

გაზეთ *საქართველოს* პირველ ნომერში დაბეჭდილია ის სააზროვნო პოეტური ტექსტები, რომელთა ფონზე პუბლიცისტიკაც მასშივე ჩაწერილი მხატვრული მასალით მშვენდება. ვალერიან გაფრინდაშვილის „სურნელოვანი სარკე“, სანდრო ყანჩაველის „შავკაბიანი“, პაოლო იაშვილის „სონეტი“, გრიგოლ რობაქიძის „მელანქოლია“, ტიტე ტაბიძის „გალაგანის მეფე“ ლოგიკურად ასრულებს გაზეთ *საქართველოს* პირველი ნომრის სულისკვეთებას, სადაც თითქოს შეკუმშულია საუკუნის მთავარი კონცეპტები, ეროვნული, ქართული იდენტობის ამგები პოეტური და პუბლიცისტური სულის მოძრაობები. ტექსტების ავტორებს ამოუკითხავთ საკაცობრიო, ევროპული ცივილიზაციისთვის ნიშნული მთავარი მახვილები და ისინი ქართულ, სააზროვნო პოეტურ-პუბლიცისტურ ორგანულ საყრდენებად მოუაზრებიან.

გაზეთის პირველსავე გვერდზე რედაქტორი გრიგოლ ვეშაპალი პუბლიკაციით „ახალ წელს“ ახერხებს ისტორიის, ადამიანის, პოლიტიკის, დროის ერთარსად, საქართველოდ გაშინაარსებას და ლოგიკურად, ტექსტი იმ გზამკვლევადაც იქცევა, წარსულს, აწმყოს და მომავალს ერთიან ზედროულ ფენომენად რომ აღიქვამს, უმთავრეს საიდენტიფიკაციო ეროვნულ ხმად დაადგენს.

საქართველოს პირველსავე ნომერში დაბეჭდილია სიმონ ქვარიანის პუბლიკაცია „ზეციერ ასულს“, იგივე „სულის ამონაკვეთი“ ეპიგრაფით: „liberte, liberte, cherie sois avec nous combateur“ ეს გახლავთ მხატვრულ-პუბლიცისტური ტექსტი, რომელიც ახალი დროის რევოლუციური ეპოქის სახეს მთლიანობაში, სრულად ხედავს იმ სიკეთითა და სიავით, რაც წუთისოფლის ზნეთათვის თითქოს ბუნებრივია, მაგრამ ის, რაც წითელ რევოლუციას ახლავს თან, სხვა არაფერია, თუ არა საფუძველი შემდეგი დასკვნისათვის: „მთელი სამყარო იმოსვის ტანჯვით, ბნელდება ირგვლივ“. სიმონ ქვარიანის ნააზრევი პარალელურად ცოცხლობს რევოლუციებით ნასაზრდოები უღმერთოდ დარჩენილი პოსტმოდერნული ეპოქის დასაწყისსა თუ ბოლოს მყოფი ადამიანისთვის. ავტორის ფიქრი მთავარი ევროპული სააზროვნო მოდუსის ამრეკლავია, ქართული პუბლიცისტიკისთვის სამწლიანი თავისუფლების წინარედ მოსააზრებელი და თანამედროვეთათვისაც ცოცხალი.

Eka Chikvaidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgia, Tbilisi

Comparison of Georgian-Byzantine Kimenic Texts

The hagiographic literature in the Georgian language is classified in many ways: translated and original, kimen and metaphrastic, and lives and martyrdoms. From the established point of view, the genesis of Georgian hagiographic models is related to the models developed in the Byzantine literary space and was created by their analogy. On the other hand, there are many different opinions about the beginning of Georgian writing. Beyond the recognized views, it is possible that hagiographic narratives

existed through oral transmissions before the texts were confirmed in writing (we wrote about this in the article "Folklore Narratives and Georgian Hagiography" co-authored with Kh. Mamisimedishvili), which may have contributed to the formation of the Georgian hagiographic genre. It is recognized that the peculiarity of the Georgian hagiographical law is different from that of other countries, including the Greek-Byzantine hagiographical law. In order to highlight the nature of the beginning of Georgian hagiography and their similarities and differences from those created directly in the Greek-Byzantine space, we will compare K. Kekelidze's work "Kimen-1" which refers to the torture texts referred to as Kimen to the pre-10th century Georgian hagiography. The following range of issues is discussed: what type of texts is suitable for the term kimen and how homogeneous (or what homogeneity means) the similarity-differences of the models of Georgian original texts and hagiographic texts of the same period; Genre, structural models, principles of division, classification, hero and anti-hero, character (staticity – dynamism), stylistic, narrative systems and so-called observing the types of patterns, symbols, rhetorical figures, etc, which should finally give us a basis for comparing the pre-metaphrastic stages of the development of Byzantine hagiography with the Georgian one.

ეკა ჩიკვაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი*

ქართულ-ბიზანტიურ კიმენურ ტექსტთა შედარება

ქართულ ენაზე არსებული აგიოგრაფიული ლიტერატურა მრავალმხრივ კლასიფიცირდება: ნათარგმნი და ორიგინალური, კიმენური და მეტაფრასული, ცხოვრებები და წამებანი. დამკვიდრებული თვალსაზრისით, ქართული აგიოგრაფიული მოდელების გენეზისი ბიზანტიურ სალიტერატურო სივრცეში შემუშავებულ მოდელებს უკავშირდება და მათი ანალოგიით შეიქმნა. მეორე მხრივ, არსებობს არაერთი განსხვავებული მოსაზრება ქართული მწერლობის დასაწყისის შესახებ. აღიარებულ შეხედულებათა მიღმა დასაშვებია იმის შესაძლებლობა, რომ წერილობითი სახით დადასტურებულ ტექსტებამდე აგიოგრაფიული თხრობა ზეპირი გადმოცემებით არსებობდა (ამის შესახებ ვწერდით სტატიაში „ფოლკლორული გადმოცემები და ქართული აგიოგრაფია“ ხ. მამისიმედიშვილთან თანაავტორობით), რასაც, შესაძლოა, ხელი შეეწყო ქართული აგიოგრაფიული ჟანრის ფორმირებისთვის. აღიარებულია, რომ ქართული აგიოგრაფიული კანონის თავისებურება სარწმუნოებასთან ეროვნული ფაქტორის მკვეთრი დაკავშირებით განსხვავდება სხვა ქვეყნების, მათ შორის, ბერძნულ-ბიზანტიური აგიოგრაფიული კანონისგან. იმისთვის, რომ გამოიკვეთოს ქართული აგიოგრაფიის დასაწყისის რაგვარობა და მათი მსგავსება-განსხვავება უშუალოდ ბერძნულ-ბიზანტიურ სივრცეში შექმნილისგან, ერთმანეთს შევადარებთ კ. კეკელიძის მიერ გამოცემულ ნაშრომში „კიმენი 1“ გამოქვეყნებულ კიმენად მოხსენიებულ წამებათა ტექსტებს მათე საუკუნემდე ქართულ აგიოგრაფიას. იკვეთება საკითხთა შემდეგი სპექტრი: რეალურად რა ტიპის ტექსტებს მიესადაგება ტერმინი კიმენი და რამდენად ერთგვაროვანია (ან რას გულისხმობს ერთგვაროვნება) იმავე პერიოდის ქართული ორიგინალური ტექსტებისა, აგიოგრაფიული ტექსტების მოდელების მსგავსება-განსხვავებების გამოვლენა; ჟანრულ, სტრუქტურულ მოდელებზე, დაყოფის, კლასიფიცირების პრინციპებზე, გმირსა და ანტიგმირზე, პერსონაჟის ხასიათზე (სტატიკურობა – დინამიზმი), სტილისტურ, თხრობის სისტემებსა და ე.წ. შაბლონთა, სიმბოლოთა, რიტორიკულ ფიგურათა ტიპებზე დაკვირვება და სხვ. რამაც საბოლოოდ უნდა მოგვეცეს საფუძვლიანი ბიზანტიური აგიოგრაფიის განვითარების მეტაფრასამდელი ეტაპების შედარებისთვის ქართულთან.

Natela Chitauri

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi*

Double Imagology as a Challenge of Globalization in Georgian Intercultural-Migration Texts

The sociocultural field is the fastest evolving one in line with global, intercultural, migratory changes in the world, especially in small post-soviet countries. Contemporarily, culture, especially literature, takes greater “responsibility” to answer questions that arise in the face of global challenges.

To better understand these problems, and answer related questions, we propose that the study of literature, composed by Georgian immigrant writers, is a very significant research field.

Texts created abroad are important quantitative and qualitative components of “New Weltliteratur.” There are many definitions of modern diasporic writing today. Our scientific group agreed on describing these as **“intercultural-migration writing”**.

Georgian intercultural-migration writing has as its main characteristics intercultural “third space”, where the intersection of different cultures and cultural and linguistic hybridity, “movement” of identities are reflected.

Renewed functions of modern imagology, created by today’s migration-globalisation challenges, have become especially relevant to these texts.

The imagological discourse of these writings manifests characteristics of Georgian national identity in the situation of modern “movement”, considers the main problem – Conflict or convergence between local/national and global constructions of identity.

Due to imagological discourse, Georgian intercultural-migratory writing, unlike “locally” created writing, **has more resources for alternatives**, which creates the possibility to overcome colonial/soviet consciousness in global space, deconstruct national stereotypes, and define/redefine national, ethnic identity.

Two important contexts of imagology (double imagology) are distinguished in Georgian intercultural-migratory literature:

Homeland, national identity, seen from “there” –

National character seen-understood evaluated “there”

In this presentation, we will discuss in particular: Soso Meshveliani’s poetic and prose collection-works written in Spain (2011-2022). Merab Ninidze’s work, “The main thing is not to become an actor” Autobiographical notes of an immigrant, 2015.

ნათელა ჩიტაური

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი*

ორმაგი იმაგოლოგია, როგორც გლობალიზაციის გამოწვევა ქართულ ინტერკულტურულ- მიგრაციულ ტექსტებში

გლობალური, ინტერკულტურული, მიგრაციული სამყაროს ცვლილებების მიმართ ყველაზე სწრაფადმანერვირებადი სოციოკულტურული ველი აღმოჩნდა. მით უმეტეს, პოსტსაბჭოთა სივრცის პატარა ქვეყნების შემთხვევაში. ამ დროს კულტურა, განსაკუთრებით ლიტერატურა კიდევ უფრო მეტ „პასუხისმგებლობას იღებს“, უპასუხოს კითხვებს, რომლებიც ჩნდება გლობალური გამოწვევების ფონზე.

ამ კითხვებისა და პრობლემების გასააზრებლად მნიშვნელოვან საკვლევ არეალად მიგვაჩია ქართველი მოღვაწეების მიერ საზღვარგარეთ შექმნილი მწერლობა. საზღვარგარეთ შექმნილი ტექსტები „ახალი Weltliteratur“-ის მნიშვნელოვანი რაოდენობრივი და თვისობრივი ნაწილია. თანამედროვე დიასპორული მწერლობის აღსანიშნავად დღეს ბევრი დეფინიცია არსებობს. ჩვენი სამეცნიერო ჯგუფი შეთანხმდა ამ სახელწოდებაზე: **ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობა**.

ქართული ინტერკულტურულ – მიგრაციული მწერლობა „ახალ Weltliteratur“-ში ერთვება უმთავრესი მახასიათებლით – კულტურათაშორისი „მესამე სივრცით“, რომელშიც აისახება სხვადასხვა კულტურების შეხვედრა, კულტურული და ენობრივი ჰიბრიდულობა, იდენტობათა „მოძრაობა“.

ამ ტექსტებისათვის განსაკუთრებით რელევანტური გახდა თანამედროვე იმაგოლოგიის განახლებული ფუნქციები, რომლებიც წარმოშვა დღევანდელმა მიგრაციულმა, გლობალიზაციის გამოწვევებმა.

ამ მწერლობის იმაგოლოგიური დისკურსი წარმოგვიჩენს ქართული ნაციონალური იდენტობის მახასიათებლებს თანამედროვე „მოძრაობის“ ვითარებაში, წარმოდგენებს საკუთარ თავსა და უცხოზე. განიხილავს ძირითად პრობლემას – წინააღმდეგობა ან თანხვედრა იდენტობის ლოკალურ/ნაციონალურ და გლობალურ კონსტრუქტებს შორის

იმაგოლოგიური დისკურსის გამო ქართულ ინტერკულტურულ – მიგრაციულ მწერლობას, „ადგილზე შექმნილი“ მწერლობისაგან განსხვავებით, **ადმოჩნდა მეტი რესურსი ალტერნატიულობისათვის**, რაც ქმნის გლობალურ სივრცეში კოლონიურ/საბჭოური ცნობიერების დაძლევის, ნაციონალური სტერეოტიპების დეკონსტრუქციის, ნაციონალურ, ეთნიკურ იდენტობათა დეფინიცია/რედეფინიციის შესაძლებლობას.

ქართულ ინტერკულტურულ – მიგრაციულ მწერლობაში ძირითადად იკვეთება იმაგოლოგიის ორი მნიშვნელოვანი კონტექსტი:

„იქიდან“ დანახული სამშობლო, ნაციონალური იდენტობა.

„იქ“ დანახულ – შეფასებული ნაციონალური ხასიათი.

განვიხილავთ სოსო მეშველიანის პოეტური და პროზაული კრებულებიდან ესპანეთში შექმნილ ნაწარმოებებს (2011-2022). მერაბ ნინიძის ნაწარმოებს „მთავარია მსახიობი არ გამოხვიდე (ემიგრანტის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები)“ – 2015.

Sophio Chkhatarashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Georgia, Tbilisi

Georgia in the Work of the Ukrainian "Sixties"

Imagological Aspects

Ukrainian writers have been interested in the Georgian theme centuries ago. Each century has its own markers and trends, the perception corresponding to the cultural context of the era. Georgian culture, national character, environment, people are perceived in different ways at different times. After the appearance of so-called "Sixties" in Ukrainian literature, a new vision and versions of the Georgian world were born.

It should be noted that the image of Georgia in the works of the Sixties gives a diverse picture, both chronologically and thematically. Dmytro Pavlichko is one of the first who paid attention to the Georgian theme in the 1960s and reflected it in his poetry. Georgian realities and Georgian friends occupy the main place in his poems. Ivan Drach, a writer, publicist and public figure famous for his innovation, shows his interest in Georgian culture in many poems and letters. The perception of Georgia and the Georgian theme

in Ivan Drach's work can be divided into two stages: at the beginning and at the end of his work. He wrote poems about Georgia, translated Georgian authors, published letters and often traveled to the country of Rustveli. Lina Kostenko offers us a completely different vision. In the work of Ukrainian poetess, the Georgian theme is feminized, it is presented in the form of a strong and dominant woman, who is the queen of the world.

When studying the issue, it becomes clear that Georgia is not a foreign and distant country for the Ukrainian literary community in the sixties of the twentieth century. In the fifties, direct contacts between Georgian and Ukrainian writers became more frequent. Together with the translated literature, dedicated poems about Georgia and Georgian culture, there is born correspondence between the writers too.

In the sixties of the twentieth century, Ukrainian writers did not write only about the well-known Shota Rustaveli, Iliia and Akaki. Mentioning such names as: Nikoloz Baratashvili, Titsiani, Firosmani, etc. sounds innovative for the literary discourse of that period. Georgia is attractive to them, it is interesting, but at the same time it is close and familiar. Accordingly, the reception of the cultural face of Georgia, as a foreign, in the Ukrainian narrative of the Sixties of the twentieth century creates two paradigms: on the one hand, it continues the traditional narrative and on the other hand, corrects the stereotype in the core of the same narrative, which is due to the individuality of the "sixties" writers, the synthesis of tradition and innovation in their work.

სოფიო ჩხატარაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი*

საქართველო უკრაინელ „სამოციანელთა“ შემოქმედებაში იმაგოლოგიური ასპექტები

ქართული თემით უკრაინელი მწერლები საუკუნეების წინ ინტერესდებიან. ყოველ ეპოქას თავისი მარკერები და ტენდენციები აქვს, აღქმაც ეპოქის კულტურული კონტექსტის შესაბამისი. ქართული კულტურა, ეროვნული ხასიათი, გარემო, ხალხი სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარადაა აღქმული. მას შემდეგ, რაც უკრაინულ ლიტერატურაში ე.წ. „სამოციანელები“ გამოჩნდნენ, ახლებური ხედვა და ვერსიები დაიბადა ქართულ სამყაროზე.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მხატვრული სახე, სამოციანელთა შემოქმედებაში მრავალფეროვან სურათს იძლევა, როგორც ქრონოლოგიური, ისე თემატური თვალსაზრისით. ერთ-ერთი პირველი, ვინც სამოციანელთაგან ყურადღება მიაქცია ქართულ თემას და თავის პოეზიაში ასახა, დმიტრო პავლიჩკოა. ქართული რეალიები და ქართველი მეგობრები მის ლექსებში მთავარ ადგილს იკავებს. ივან დრაჩი, ნოვატორობით განთქმული მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ქართული კულტურისადმი ინტერესს არაერთ ლექსსა და წერილში ამჟღავნებს. საქართველოს, ქართული თემის აღქმა ივან დრაჩის შემოქმედებაში ორ ეტაპად შეგვიძლია დავყოთ: მოღვაწეობის დასაწყისში და დასასრულს. ის წერდა ლექსებს საქართველოზე, თარგმნიდა ქართველ ავტორებს, აქვეყნებდა წერილებს და ხშირად მოგზაურობდა რუსთველის ქვეყანაში. სრულიად განსხვავებულ ხედვას გვთავაზობს ლინა კოსტენკო. უკრაინელი პოეტესას შემოქმედებაში ქართული თემა ფემინიზებულია, ძლიერი და დომინანტი ქალის სახითაა წარმოდგენილი, რომლის ფეხქვეშ გაგებულია მთელი სამყარო.

საკითხის შესწავლისას ირკვევა, რომ მეოცე საუკუნის სამოციან წლებში უკრაინული სამწერლო საზოგადოებისათვის საქართველო არ არის უცხო და შორეული ქვეყანა. ორმოცდაათიან წლებში ხშირდება უშუალო კონტაქტები ქართველ და უკრაინელ მწერლებს შორის. თარგმნილ ლიტერატურასთან ერთად იბადება მიძღვნილი ხასიათის ლექსები საქართველოზე, ქართულ კულტურაზე და იწყება მიმოწერა მწერლებს შორის.

მეოცე საუკუნის სამოციან წლებში უკრაინელი მწერლები არ წერენ მხოლოდ კარგად ცნობილ შოთა რუსთაველზე, ილიასა და აკაკიზე. იმ პერიოდის ლიტერატურული დისკურსისათვის ინოვაციურად ჟღერს ისეთი სახელების ხსენება, როგორებიც არიან: ნიკოლოზ ბარათაშვილი, ტიცინი, ფიროსმანი და ა.შ. მათთვის მიმზიდველია საქართველო, სინტერესოა, მაგრამ ამავდროულად ახლობელი და ნაცნობია. შესაბამისად, საქართველოს, როგორც უცხო, კულტურული სახის რეცეფცია მეოცე საუკუნის სამოციან წლების უკრაინულ ნარატივში ორგვარ პარადიგმას ქმნის: ერთი მხრივ, აგრძელებს ტრადიციულ ნარატივს და ამავე ნარატივის წიაღში ახდენს სტერეოტიპის კორექციას, რაც „სამოციანელი“ მწერლების ინდივიდუალურობით, მათ შემოქმედებაში ტრადიციისა და ნოვაციის სინთეზითაა განპირობებული.

Eka Chkheidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgia, Tbilisi

Intercultural Aspect of Translation

No significant culture can be created and survive in a hermetic, closed space. When we observe any national culture, we find that – especially in the initial stages of development – it engages in a necessary dialogue with other national cultures, enriching and diversifying itself in the process. Translation serves as the primary support and foundation for these intercultural communications. Translation not only facilitates a dialogue between diverse cultures but also often serves as the most faithful preserver of civilizations and cultures through time. An example of this phenomenon is seen in ancient Greek philosophy and literature, which nearly vanished in its original form. It was only through translations into Arabic that these works reached Europe in the late Middle Ages, sparking what is known as the Renaissance and one of the most significant cultural awakenings in European history. A similar narrative unfolds with the cultures of the indigenous peoples of the American continent, which were decimated during European colonization. These cultures resurfaced in modernity through translations into European languages, exerting a meaningful influence on numerous thinkers and artists of the subsequent era.

In contemporary times, it is widely acknowledged that a national literature cannot claim a position within world culture without translations of esteemed classics from global literature. This is why translators like Bachana Bregvadze, Davit Tserediani, Manana Gigineishvili, Aleksandre Gvakharia, Tamaz Chkhenkeli, Vakhkhushti Kotetisvili, and others have made significant contributions to the advancement of Georgian literature, matching the impact of our own poets and writers. The art of translation played a crucial role in fostering a vibrant dialogue and exchange of ideas between Georgian avant-garde authors and their Russian or European modernist counterparts at the onset of the twentieth century.

This intercultural communication subsequently shaped the trajectory of both Georgian and world literature for an extended period, warranting thorough examination and study.

ეკა ჩხეიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

თარგმანის ინტერკულტურული ასპექტი

ვერც ერთი მნიშვნელოვანი კულტურა ვერ იქმნება და ვერ ცოცხლობს ჰერმეტულ, ჩაკეტილ სივრცეში. ნებისმიერ ნაციონალურ კულტურაზე დაკვირვებისას აღმოვაჩენთ, რომ იგი – განსაკუთრებით განვითარების საწყის ეტაპებზე – აუცილებელ დიალოგში იმყოფება რომელიმე სხვა ნაციონალურ კულტურასთან და მნიშვნელოვანწილად სწორედ ამ გზით მდიდრდება და მრავალფეროვნდება. ამგვარი ინტერკულტურული კომუნიკაციების უმთავრესი საყრდენი და ფუნდამენტი, პირველყოფლისა, თარგმანია. თარგმანი არა მხოლოდ ორ, ერთმანეთისგან განსხვავებულ კულტურას შორის დიალოგს უზრუნველყოფს, არამედ ხშირად გარდასული ცივილიზაციებისა და კულტურების ყველაზე ერთგულ მცველად გვევლინება ხოლმე. როგორც ეს მაგალითად ძველი ბერძნული ფილოსოფიისა და ლიტერატურის შემთხვევაში მოხდა, თავისი პირვანდელი სახით რომ თითქმის სრულად გაქრა და დაიკარგა და მხოლოდ არაბულ ენაზე თარგმნილმა მოაღწია გვიანი შუასაუკუნეების ევროპამდე და ამგვარად ევროპული ცივილიზაციის ისტორიაში, ალბათ, მანაც ყველაზე დიდი კულტურული აფეთქება გამოიწვია, რომელსაც დღეს რენესანსის სახელით ვიცნობთ. იმავეს თქმა შეიძლება ამერიკის კონტინენტის მკვიდრი მოსახლეობის კულტურებზე, ევროპული კოლონიზაციის შედეგად რომ განადგურდა და ისევ მხოლოდ ევროპულ ენებზე თარგმანების სახით მოაღწია თანამედროვეობამდე და გზად ახალი დროის უამრავ მოაზროვნესა და ხელოვანზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია.

დღეს უკვე საყოველთაოდ აღიარებულია მოსაზრება, რომ ვერც ერთი ცალკეული ნაციონალური ლიტერატურა საკუთარ თავს მსოფლიო კულტურის ნაწილად ვერ მოიაზრებს, თუ მასში არ არსებობს მსოფლიო ლიტერატურის კლასიკად მიჩნეული ძეგლების თარგმანები. სწორედ ამიტომ ქართული ლიტერატურის განვითარებაში ჩვენს პოეტებსა და მწერლებზე არანაკლები წვლილი მიუძღვით ისეთ მთარგმნელებს, როგორებიც არიან: ბაჩანა ბრეგვაძე, დავით წერეთლიანი, მანანა გიგინეიშვილი, ალექსანდრე გვახარია, თამაზ ჩხენკელი, ვახუშტი კოტეტიშვილი და სხვ. თარგმანის ხელოვნებამ მეოცე საუკუნის დასაწყისში უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ავანგარდისტი ავტორებისა და მათი თანამედროვე რუსი თუ ევროპელი მოდერნისტების გამოცდილებათა გაზიარებაში.

ასეთმა ინტერკულტურულმა კომუნიკაციამ შემდგომ დიდი ხნით განსაზღვრა ქართული თუ მსოფლიო ლიტერატურის განვითარების გზა და ამიტომაც გულდასმით შესწავლას იმსახურებს.

Paata Chkheidze

Georgia, Tbilisi

Hero and Superhero in Modern Literature

It is described in the ancient literary works that from the day of the birth of man, there was a danger that the evil force would cut off, wipe out, destroy humanity. Evil is the decrease of goodness or divine grace, and where goodness decreased, evil grew stronger.

The famous Canadian literary critic of the 20th century, Northrop Fry, believed that primary in a literary work is the Hero and everything should be woven around him.

The heroes fought against evil forces, satanic vices, supernatural forces, and even with supernatural power and, most importantly, by God-given grace. The characters had common or similar features. Lord Raglan, Otto Ranke, Joseph Campbell, Vladimir Propp and others wrote about it. They wrote about the path of the heroes, which was accompanied by various vicissitudes.

Between the First and Second World Wars, when one human crisis was not yet overcome and the world stood at the gate of another, there was a time of high modernism in literature. Western European high modernism (somehow I don't like this term) assessed the state of the world and made a diagnosis – complete hopelessness! We can no longer find the hero and divine inspiration in the Western literature of the twentieth century.

The savior hero of the world is a cyborg (according to Yuval Noah Harari), who is completely different from a human, has completely different thinking and feelings, and which is not clear how the literature describes it.

In Georgian literature of the nineteenth century, in contrast to Western literature, there are many heroes who act under the inspiration of God.

პაატა ჩხეიძე

საქართველო თბილისი

გმირი და სუპერგმირი თანამედროვე ლიტერატურაში

უძველეს ლიტერატურულ თხზულებშია ასახული, რომ ადამიანის გაჩენის დღიდან გაჩნდა საფრთხე, რომ ბოროტი ძალა ამოწყვეტდა, მოსპობდა, გაანადგურებდა კაცობრიობას. ბოროტება სიკეთის ანუ ღვთიური მადლის კლება და სადაც სიკეთე იკლებდა იქ ბოროტება მძლავრობდა.

მეოცე საუკუნის ცნობილი კანადელი ლიტერატურათმცოდნე, ნორთროპ ფრაი მიიჩნევდა, რომ ლიტერატურულ თხზულში მთავარი გმირია და ყველაფერი მის გარშემო უნდა იქსოვებოდეს.

გმირები იბრძოდნენ ბოროტი ძალების, სატანის მიერ მოვლენილი ავსულების, ზებუნებრივ ძალთა წინააღმდეგ და თვითნაც ზებუნებრივი ძალითა და, რაც მთავარია, **ღვთისაგან ზომებულ სიქველით**. გმირებს ჰქონდათ საერთო ან მსგავსი ნიშნები. ამის თაობაზე წერდნენ, ლორდი რეგლანი, ოტო რანკი, ჯოზეფ კემპბელი, ვლადიმერ პროპი და სხვა. ისინი წერდნენ გმირთა გზაზე, რასაც მრავალგვარი პერიპეტები ახლდა თან.

პირველსა და მეორე მსოფლიო ომებს შორის, როცა ერთი საკაცობრიო კრიზისი ჯერ არ იყო დაძლეული და მეორის კარიბჭესთან იდგა მსოფლიო, ლიტერატურაში მაღალი მოდერნიზმის დრო იდგა. დასავლეთ ევროპულმა მაღალმა მოდერნიზმმა, (რაც არ მომწონს ეს ტერმინი) შეაფასა მსოფლიოს მდგომარეობა თუ ვითარება და დიაგნოზი დასვა – **სრული უიმედობა!** გმირსა და ღვთაებრივ ინსპირაციას ვეღარ ვხვდებით მეოცე საუკუნის დასავლურ ლიტერატურაში.

სამყაროს მხსნელი გმირი არის კიბორგი (იუვალ ნოახ ჰარარის მიხედვით), რომელიც სრულიად განსხვავებულია ადამიანისაგან, აქვს სრულიად განსხვავებული აზროვნება და შეგრძნებები და რომელსაც გაურკვეველია თუ როგორ აღწერს ლიტერატურა.

მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, დასავლურისაგან განსხვავებით მრავლადაა გმირები რომლებიც ღვთის შთაგონებით მოქმედებენ.

Rostom Chkheidze

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi*

Basil Melikishvili Observed as a Character

One of the young writers most esteemed by Mikheil Javakhishvili in the 1920s was Basil Melikishvili, whose novelette "Smokeenshrouded Swallow" was published in 1928, appearing in the inaugural and simultaneously closing issue of journal, *Ariphioni*.

In a notebook entry dated 1930, Basil's funeral in Tskhneti was noted; the deceased was laid to rest on a cart, while his grieving sister sat upon the coach box.

The details and overarching themes in Mikheil Javakhishvili's notebook suggest it was not merely a chronicle but a narrative intricately embroidering the fig plot of the aforementioned novelette or possibly a vignette within a larger literary work, i.e. a novel.

The senior fellow writer, Mikheil Javakhishvili, had previously depicted Basil Melikishvili's character in his novel "Arsena Marabdeli," set a century earlier. This narrative served as a reflection of contemporary societal and political turmoil, particularly the 1924 uprising and its leader, Kakutsa Cholokashvili, who appeared as the implied prototype of Arsena Marabdeli, and a reflection of Kakutsa's biography.

In portraying Arsena's entourage, Javakhishvili drew from the essence of Kakutsa Cholokashvili's companions, imbuing characters with similar traits. Melikishvili, deeply involved in the uprising's planning and closely associated with Kakutsa Cholokashvili, thus transformed into Arsena's younger brother, Erekle Odzelashvili.

The novelist assigned profound symbolic significance to the final scene – the dapple grey horse of Arsena, escaping Giorgi Kuchatneli, rushes towards Erekle and invites to ride it.

როსტომ ჩხეიძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი*

ბასილ მელიქიშვილი, როგორც პერსონაჟი

მიხეილ ჯავახიშვილი თუ ვინმეს აფასებდა 20-იანი წლების ახალგაზრდა მწერალთაგან, უპირველესად ბასილ მელიქიშვილს, რომელსაც „არიფიონის“ პირველ და უკანასკნელ ნომერში 1928 წლისა გამოუქვეყნებდა ნოველას „მკერდმებოლილი მერცხალი“.

1930 წლის უბის წიგნაკში კი საგანგებოდ ჩაინიშნავდა ბასილის გასვენების ამბავს, წყნეთიდან რომ მოხდებოდა, ურემზე დაასვენებდნენ ცხედარს, ხოლო კოფოზე და დაუჯდებოდა ქვითინით.

ეს ნიშანდობლივი დეტალები და ზოგადი სპეციფიკა მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკებისა, გვაფიქრებინებს, რომ ეს არ უნდა ყოფილიყო მარტოდენ მემუარისტული ჩანაწერი და ეს ამბავი ან ნოველის ქარგას შეჰკრავდა, ანდა ეპიზოდად შევიდოდა მოთხრობასა თუ რომანში.

ბასილ მელიქიშვილს ხასიათი უფროს თანამოკალმეს ერთხელ უკვე გამოეყენებინა რომანში „არსენა მარაბდელი“, რომლის მოქმედებაც გადატანილია საუკუნის წინათ, მაგრამ სინამდვილეში წარმოსახულია თანადროული უმძაფრესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესი:

1924 წლის აჯანყება და მისი მთავარი გმირი ქაქუცა ჩოლოყაშვილი, რომელიც პროტოტიპად იგულისხმება არსენა მარაბდელის პორტრეტისა და ბიოგრაფიის გამოკვეთისას.

არსენას გარემოცვის ხატვისას კი მიხეილ ჯავახიშვილს უნდა ესარგებლა ქაქუცა ჩოლოყაშვილის გარემოცვის ხასიათებით, მათ შორის კოლორიტული ადგილი რომ უნდა დაეკავებინა ბასილ მელიქიშვილს, რომელიც დაკავშირებული გახლდათ ამ აჯანყების მზადებასა და ქაქუცა ჩოლოყაშვილთან, რომანში კი არსენას უმცროს ძმად, ერეკლე ოძელაშვილად უნდა გარდასახულიყო.

და თავისებურ სიმბოლურ აზრს გაანივებდა რომანისტი ფინალურ სცენაში, როდესაც არსენას ლურჯა, თავდაღწეული გიორგი კუჭატნელს, ერეკლესთან მივარდება და ზურგს მიუშვებს.

Sopiko Chumburidze

Akaki Tsereteli State University

Georgia, Kutaisi

Gender Issue in the Work of Ana Kalandadze

The study of the gender issue in the literature is gaining wider scope. The work of female authors, the feelings described by them, autobiographical texts, and their situation in a given society are important for feminist criticism of literature. For centuries, literary works were mainly created by male authors. The article analyzes how the gender issue was reflected in the works of the Georgian poet, Anna Kalandadze, recognized as the queen of poetry of the twentieth century. It is known that Anna took the poetry of the twentieth century to a completely different level, the female poet was able to arouse the admiration of male authors as soon as she appeared on the creative scene. “Young lady” was able to overcome gender inequality and stereotypes in society. The work of the female poet is distinguished by a variety of themes. One of the main issues is, of course, the woman herself and her feelings, she created an immortal palette of women’s faces with great artistic skill and showed us the ideal features of a woman. As the critic Nodar Chkheidze Observes: “In every poem of Ana Kalandadze there is a woman in general; Her poems contain what is best in a woman” (Chumburidze: 2014:36)...

In Ana Kalandadze's work, it is particularly interesting to observe the relationship between men and women. Both women’s and men’s galleries are diverse. On one side are Tamar the King, Saint Ketevan, Saint Nino, Mary the Queen, the mountain maidens, the Gypsy woman, the Yezidi girl, the Tatar girl..., on the other side – David the Builder, King Erekle, Khevisberi, “Torgva”... extremely Their portraits are impressive and it is exciting to see the reverence, worship and respect expressed towards them. Anna devoted a lot of space to a man’s face, his chivalrous quality in her work, we can safely say that the work of a female poet shows not only the best qualities of a woman, but also the best of a man.

After traveling in the poetic world of Ana Kalandadze, it can be said that even the most problematic and actual gender issue in the world in the twentieth century is seen, presented and understood in a completely different way.

სოფიკო ჭუმბურიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

გენდერული საკითხი ანა კალანდაძის შემოქმედებაში

გენდერული საკითხის კვლევა ლიტერატურაში სულ უფრო ფართო მასშტაბებს იძენს. ლიტერატურის ფემინისტური კრიტიკასთვის მნიშვნელოვანია ქალი ავტორების შემოქმედება, მათ მიერ აღწერილი განცდები, ავტობიოგრაფიული ტექტები, მათი მდგომარეობა მოცემულ საზოგადოებაში. საუკუნეების განმავლობაში ლიტერატურული ნაწარმოებები, ძირითადად, მამაკაცი ავტორების მიერ იქმნებოდა. სტატიაში გაანალიზებულია თუ როგორ აისახა გენდერული საკითხი ქართველი პოეტის, მეოცე საუკუნის პოეზიის დედოფლად აღიარებულ ანა კალანდაძის შემოქმედებაში. ცნობილია, რომ ანამ სულ სხვა საფეხურზე აიყვანა მეოცე საუკუნის პოეზია, ქალმა პოეტმა შეძლო შემოქმედებით ასპარეზზე გამოჩენისთანავე მამაკაცი ავტორების აღფრთოვანებაც გამოეწვია. „ყმაწვილმა ასულმა“ შეძლო დაეძლია საზოგადოებაში არსებული გენდერული უთანასწორობა, სტერეოტიპები. პოეტი ქალის შემოქმედება თემათა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ერთ-ერთი მთავარი საკითხი, ბუნებრივია, თავად ქალი და მისი განცდებია, მან დიდი მხატვრული ოსტატობით შექმნა ქალთა სახეების უკვდავი პალიტრა და ქალის იდეალური თვისებები გვიჩვენა. როგორც კრიტიკოსი ნოდარ ჩხეიძე შენიშნავს: „ ანა კალანდაძის ყოველ ლექსში არის საერთოდ ქალი; მის ლექსებში არის ის, რაც საუკეთესოა ქალში“ (ჭუმბურიძე: 2014: 36)...

ანა კალანდაძის შემოქმედებაში განსაკუთრებით საინტერესოა დაკვირვება ქალისა და მამაკაცის ურთიერთდამოკიდებულებაზე. მრავალფეროვანია როგორც ქალთა, ისე მამაკაცთა გალერეა. ერთ მხარეს არიან თამარ მეფე, ქეთევან წამებული, წმინდა ნინო, მარიამ დედოფალი, მთიელი ბერძენები, ბოშა ქალი, იეზიდო გოგონა, თათრის გოგონა..., მეორე მხარეს – დავით აღმაშენებელი, მეფე ერეკლე, ხვეისბერები, ლუდით შემთვრალი თორღვა,... უაღრესად შთამბეჭდავია მათი პორტრეტები და ამაღლებულია მათ მიმართ თუ მათ მიერ გამოხატული კრძალვა, თაყვანისცემა, პატივისცემა. ანამ თავის შემოქმედებაში დიდი ადგილი დაუთმო მამაკაცის სახეს, მის რაინდულ თვისებას, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ პოეტი ქალის შემოქმედებაში ნაჩვენებია არა მარტო ქალის საუკეთესო თვისებები, არამედ ის, რაც საუკეთესოა მამაკაცშიც.

ანა კალანდაძის პოეტურ სამყაროში მოგზაურობის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ მეოცე საუკუნეების მსოფლიოში არსებული ყველაზე პრობლემური და აქტუალური გენდერული საკითხიც კი სულ სხვა სინამდვილითაა დანახული, წარმოდგენილი და გააზრებული.

Nino Dolidze

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Georgia, Tbilisi*

Creation and Distribution of Arabic Literary Production in the 21st Century

There are twenty-two Arab states in modern Arabic World. So, it's impossible to name the literature created there as a "small", but it's still discussed as a regional literature, which should follow Western literary process and should become a part of the World Literature. In the paper I'd discuss how Arabic literature is produced, how is it translated and distributed on the world market.

By the end of the last century “high” literature and pop-culture were strictly divided in the Arab countries. In the society with the colonial experience there was a dichotomy: traditional – modern, where modernity was associated with the European cultural concepts and ideologies.

In the 21st century the popular culture is also associated with the West as it uses the newest technologies. So, the pop-culture is not divided from the mainstream any more. The dichotomy was changed by the logic, orientated on market – in fact canonic and popular or commercial literatures have the same customers / users. During the “Arab Spring” social media and the bloggers were so active that research of their writings is also very important to analyze local situation in geo-political context.

Arabic book market admitted literature that was regarded marginal. Nowadays the lists of bestsellers are regulated by market and different international literary prizes. But the problem is that sometimes none of them are objective, because Western prizes or priorities might be different from the native point of view, from the Arabic literary canon. The list of Arabic books chosen for the translation into English might be also biased.

Some Arab authors write their literary pieces taking into consideration Western readers. They want to become popular in the Europe for the first place to guarantee popularity in their own country. And so, they don't write about authentic, local problems to show them up to the world, but they write about issues ordered by the Western market – as Islamophobia or the women's problems in the patriarchal society etc.

The world literature is also under the influence of global market. The success of the non-European literary corpus basically depends on commerce. I think, that in such circumstances translators from Arabic into English have greater responsibility to choose and translate high level fiction adequately to give a chance to contemporary Arabic literature to express itself on the world scene.

ნინო დოლოძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი*

არაბული ლიტერატურული პროდუქციის წარმოება და გავრცელება 21-ე საუკუნეში

თანამედროვე არაბული სამყარო ოცდაორ ქვეყანას მოიცავს. შესაბამისად, ამ ტერიტორიაზე შექმნილ ლიტერატურას „პატარას“ ვერ ვუწოდებთ, თუმცა ის დღემდე განიხილება რეგიონულ მწერლობად, რომელმაც დასავლურ ლიტერატურულ პროცესებს უნდა აუწყოს ფეხი – გახდეს მსოფლიო ლიტერატურის ნაწილი. მოხსენებაში შევხვები არაბული ლიტერატურის როგორც კულტურის პროდუქტის წარმოების, თარგმნისა და გლობალურ ბაზარზე გავრცელების საკითხებს.

გასული საუკუნის მიწურულს არაბულ ქვეყნებში ჯერ კიდევ გამიჯნული იყო ე.წ. „მაღალი ლიტერატურა“ და პოპკულტურა. კოლონიური გამოცდილების მქონე სოციუმში არსებობდა დიქოტომია: ტრადიციული – მოდერნული, სადაც მოდერნულობა ევროპული კულტურული კონცეფციებისა და იდეოლოგიების „იმპროტირებასთან“ ასოცირდებოდა. 21-ე საუკუნეში კი პოპულარული კულტურაც დასავლეთთან ასოცირდება იმდენად, რამდენადაც ის უცებ ითვისებს უახლეს ტექნოლოგიებს. ასე რომ, პოპკულტურა აღარაა გამიჯნული მეინსტრიმისგან. არსებული დიქოტომია ბაზარზე ორიენტირებული ლოგიკით შეიცვალა – კანონიკურ და პოპულარულ ან კომერციულ ლიტერატურას ფაქტობრივად ერთი და იგივე მომხმარებელი ჰყავს. ე.წ. „არაბული გაზაფხულის“ პერიოდში იმდენად გააქტიურდა სოცმედია, ბლოგერები და სხვ., რომ ამ ნაწერების შესწავლა და შეფასებაც კი გადამწყვეტი მნიშვნელობის გახდა გეოპოლიტიკურ კონტექსტში ვითარების ანალიზისთვის.

არაბული წიგნის ბაზარმა აღიარა ლიტერატურა, რომელიც მარგინალურად ითვლებოდა. დღეს „ბესსელერების“ სიას არეგულირებს ბაზარი და სხვადასხვა საერთაშორისო ჯილდოები,

თუმცა ზოგჯერ არც ერთია ობიექტური, რადგან დასავლური პრიზები თუ პრიორიტეტები შესაძლოა არ ემთხვეოდეს ადგილობრივ ხედვას, არაბულ ლიტერატურულ კანონს. მიკერძოებულია სათარგმნი წიგნების შერჩევაც. ხშირად არაბი მწერალი დასავლელი მკითხველი აუდიტორიის მოსაწონად წერს იმისთვის, რომ მერე ის საკუთარ ქვეყანაშიც აღიარონ და თან თავისი რეგიონის ავთენტური პრობლემატიკა კი არ გააქვს საზღვრებს გარეთ, არამედ დაკვეთილი თემები, როგორცაა ისლამოფობია ან ქალთა მდგომარეობა პატრიარქალურ საზოგადოებაში და სხვ.

მსოფლიო ლიტერატურაც გლობალური ბაზრის გავლენის ქვეშაა, არაევროპული ლიტერატურული კორპუსის წარმატებას კომერცია განაპირობებს. ვფიქრობ, ახლა განსაკუთრებული როლი დაეკისრათ მთარგმნელებს, რომლებმაც მაღალი მხატვრული დონის ნაწარმოებები უნდა თარგმნონ ადეკვატურად, რათა არაბულმა ლიტერატურამ საერთაშორისო ასპარეზზე თავისი ღირსეული სიტყვის თქმა შეძლოს.

Nino Dondoladze

Georgia, Tbilisi

Trope in Georgian and English Romantic Poets' Poems

A trope can become an important characteristic feature of a poem. Tropes can reflect changes happening in time, national characteristics and aesthetics of a literary movement. Tropes can convey not only a poet's mood, but also part of his Weltanschauungen.

The aim of the paper is to explore similarities and typological differences between tropes used by Georgian and English Romantic poets, to show to what extent images created through the analysed tropes express characteristics of the epoch when they were created, cultural and individual characteristics of the author.

Typological classification of tropes is carried out through Maia and Giorgi Natadze's theory of imagery, in which the criterion of classification is based on the type of connection between the first and the second meanings of a trope. According to the theory, tropes can be divided into real, impressionistic, expressive and absolute tropes.

Tropes used in nature poems by Gr.Orbeliani, Al.Chvchavadze, N. BarataShvili, S. T. Coleridge, W. Wordsworth, R. Southey, G.G. Byron, P. B. Shelley are analyzed and the results are included in the paper. It is concluded that the study of tropes applied in nature poetry reveals some interesting cultural and individual characteristics of the poets' creative method. The images created through tropes by Georgian and English poets are often similar. The tropes analyzed in the paper are mostly real, but a couple of them point towards a poet's worldview. Religious perspectives and an individual cognitive metaphor are also expressed through tropes applied by Georgian and English Romantic poets.

ნინო დონდოლაძე

საქართველო თბილისი

ტროპი ქართველ და ინგლისელ რომანტიკოსთა ლექსებში

ტროპი ლექსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი შეიძლება გახდეს. ტროპში შეიძლება აისახოს დროში მომხდარი ცვლილებები, კულტურის მახასიათებლები, ლიტერატურული მიმდინარეობის ესთეტიკა და პოეტის შემოქმედებითი მეთოდის ინდივიდუალური მახასიათებლები. ტროპს შეუძლია გადმოსცეს ავტორის არა მხოლოდ განწყობა, არამედ მსოფლმხედველობის მომენტი.

მოხსენების მიზანია აჩვენოს თუ რა ტიპოლოგიური მსგავსება და განსხვავებაა ქართველ და ინგლისელ რომანტიკოსთა ლექსებში გამოყენებულ ტროპებს შორის, რამდენად ასახავს ტროპებით შექმნილი ხატები ეპოქალურ, კულტურულ და პოეტის ინდივიდუალურ მახასიათებლებს. კვლევის ჩატარებისთვის გამოყენებულია მათა და გიორგი ნათაძეების ხატოვანების თეორია, რომლის მიხედვითაც ტროპების ტიპოლოგიური კლასიფიკაცია ეფუძნება კავშირის ხასიათს ტროპის პირველ და მეორე მნიშვნელობას შორის. ამ კრიტერიუმის გამოყენებით ტროპები შეიძლება დაიყოს რეალურ, იმპრესიონისტულ, ექსპრესიულ და აბსოლუტურ ტროპებად. არსებობს გრამატიკული ტროპიც.

მოხსენების ავტორის მიერ გაანალიზებულია ტროპები ქართველ და ინგლისელ რომანტიკოსთა (ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, უ. უორდსვორთის, რ. საუთის, ს.ტ. კოლრიჯის, ჯ. გ. ბაირონის, პ.ბ. შელის) ბუნების შესახებ დაწერილი ლექსებიდან. მოპოვებული შედეგების საფუძველზე ავტორი დაასკვნის, რომ ტროპების შესწავლა საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის რომანტიკოსის პოეტების შემოქმედებითი მეთოდის ზოგიერთი მახასიათებლის შესახებ. ქართველ და ინგლისელ რომანტიკოსთა მიერ შექმნილი ტროპები ძირითადად რეალურია, თუმცა გვხვდება მსოფლმხედველობის მიმანიშნებელი ტროპიც. საკმაოდ ხშირად ერთმანეთის მსგავსია სხვადასხვა რომანტიკოსების ტროპებით შექმნილი ხატები. ბუნების ხატთან ერთად ტროპით ზოგჯერ იქმნება რელიგიური პლანი. განხილულ ტროპებში ჩანს ავტორის კულტურული და ინდივიდუალური მახასიათებლები. განსხვავდება ტროპები კომპაქტურობის თვალსაზრისით. მოხსენების ავტორის მიერ შესწავლილ ლექსებში აისახება პოეტის ინდივიდუალური კოგნიტიური მეტაფორაც.

Roxana Elena Doncu

„Carol Davila“ University of Medicine and Pharmacy
Rumania, Bucharest

Romanian Sea and Maritime Fiction: a Small Literature Within a Small Literature?

In the history of Romanian literature, itself a marginal literature, sea fiction is only rarely mentioned. The reasons for this are diverse, the main one being the generally accepted tenet that Romanians have never been a people of the sea (Lucian Boia, Andrei Oișteanu, Adrian Romilă). Even Geo Bogza, the brother of the most famous sea fiction writer in Romanian literature, candidly admitted that the Black Sea space could never have been the cultural matrix of the Romanians. Secondly, sea fiction and writers are conspicuously absent from George Călinescu's monumental *History of the Romanian Literature*, the fundamental work of reference for any literature student. Călinescu considered Panait Istrati a French writer, and Radu Tudoran (Nicolae Bogza) a marginal one. Another strange fact was that, especially during the Communist regime, maritime fiction rarely found itself in line with the official political and cultural ideology of the day, and so quite a few masterpieces (Radu Tudoran's *A Harbour in the East* and Pavel Chihaia's *The Blocade*) were prohibited. In contemporary Romanian fiction, the Black Sea has not become a topos, though, paradoxically, there is a whole literature about the Black Sea space, written mostly by writers from Dobruja, which, however, stays local, both in terms of production and of readership. Furthermore, the Black Sea is the focus of Domnica Rădulescu's (an American-Romanian) writing, and also of Mircea Cărtărescu's short story *Die Kiste des Exils*, featured in a collection edited in Germany. My paper intends to analyse the reasons for this absence (all the more baffling as other aspects of the Black Sea have not been neglected), highlighting the gaps in the critical appraisal of what a small literature is, and proposing a framework for the understanding of Romanian sea fiction.

Bela Durglishvili

Georgia, Kutaisi

Elemine – The Free Creator: Inspired by Jemal Karchkhadze's Novella "Elemines"

The novella underscores an eternal feature of great literature: it must simultaneously belong to a prominent national literary tradition and express a universal, progressive perspective on humanity. This is vividly illustrated in the 20th-century writer Jemal Karchkhadze's novella "Elemines," in which he thinks in fables.

The novella resembles a work of science fiction, akin to Karchkhadze's other story, "Time" ("The Fantastic Smile"). The author crafts literary and fantastical theories, interwoven with intertextual and paradigmatic models presented through the plot and characters of the Gospel. Using the codes and peculiarities of proverbial language, he explores humanity's fundamental questions: Who are we? What is the purpose of the world? What is the humankind itself?

Ernst Cassirer's question, "What is (rather than who is) human?" is reimagined in Karchkhadze's narrative. Like Augustine's "Confessions," storytelling becomes a form of self-discovery. Just as Augustine's conversion reflects the universal event of sin and human salvation, Karchkhadze's story implies a symbolically mystical understanding of human self-awareness and destiny.

In the novella "Igi," Karchkhadze uses the prehistoric world as a kind of decorative element. However, in "Elemines," he prophetically anticipates the phases of world development and sets the action during the pinnacle of technological progress, the era of artificial intelligence. Against this backdrop, the main character, the free preacher Elemine, emerges as an electromagnetic individual. Elemine arises uniquely from a negatively charged individual, characterized as a free creator with a distinct perception of dimensions, the universe, and beauty.

Günter Grass once said, "I wanted to show myself and the reader that what is lost should not vanish into the vortex of oblivion but rather be resurrected by the power of literature." This novella echoes that sentiment, emphasizing that to ascend to a new level of development, the elemnie (man) must have faith in freedom, mind, and love – the essential mechanisms of a new creation.

ბელა დურგლიშვილი

საქართველო, ქუთაისი

ელემინი – თავისუფალი შემოქმედი ჯემალ ქარჩხაძის „ელემინების“ მიხედვით

ნაშრომში ხაზგასმულია დიდი ლიტერატურის მარადიული თავისებურება – ერთდროულად ეროვნული ლიტერატურის გამორჩეულ ნაკადსაც ეკუთვნოდეს და უნივერსალურ და პროგრესულ საკაცობრიო აზრსაც გამოხატავდეს, როგორ წარმოჩნდება მეოცე საუკუნის იგავურად მოაზროვნე მწერლის ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობაში „ელემინები“.

მოთხრობა მეცნიერულ-ფანტასტიკური ჟანრის ნიმუშსაც ჩამოჰკავს და ამ აზრის განსამტკიცებლად შეგვიძლია მწერლის სხვა მოთხრობა „დრო“ (ფანტასტიკური ლიმბილი) გავიხსენოთ. მწერალი ქმნის ლიტერატურულ-ფანტასტიკურ თეორიებს, რომელთა ინტერტექსტს, პარადიგმულ მოდელს სახარების სიუჟეტი და პერსონები წარმოადგენენ და იგავური ენის კოდებითა და მახასიათებლებით გვიამბობს ადამიანის დასაბამისეულ ძიებაზე – ვინ არის თავად, რა დანიშნულებით მოველინა სამყაროს, რა არის სამყარო და ა.შ.

ერნესტ კასირერის შეკითხვა – რა არის (და არა ვინ არის) ადამიანი? ახლებურად დაისმის ჯემალ ქარჩხაძის ამ მოთხრობაში. ავგუსტინეს „აღსარებანის“ მსგავსად მოთხრობაც თვითშემეც-

ნების ფორმაა. როგორც ავგუსტინეს მოქცევა მხოლოდ გამეორება და ანარეკლია იმ უნივერსალური მოვლენისა, რომელსაც ადამიანის შეცოდება და ხსნა ეწოდება, ჯემალ ქარჩხაძის ამ მოთხრობის კონტექსტშიც ადამიანის მიერ საკუთარი თავის შეცნობისა და დანიშნულების გააზრების ფარული სიმბოლურ-მისტიკური მნიშვნელობა იგულისხმება.

თუ ჯემალ ქარჩხაძე მოთხრობაში „იგი“ პრესტორიულ სამყაროს ფონს, როგორც ერთგვარ დეკორატიულ ელემენტს ისე მიმართავს, მოთხრობაში „ელემინები“ მწერალი წინასწარმეტყველურად წინ უსწრებს სამყაროს განვითარების ფაზებს და მოქმედება ტექნიკური პროგრესის აპოგეის ცენტრში, ხელოვნური ინტელექტის ზეობისაკენ მიმავალ ეპოქაში გადააქვს. ამ ფონზე წარმოჩნდება მოთხრობის მთავარი გმირი – თავისუფალი მქადაგებელი ელემინი – ელექტრომაგნიტური ინდივიდი, რომელიც განსაკუთრებული ფორმით გაჩნდა, მხოლოდ ერთი, უარყოფითი მუხტის მატარებელი ინდივიდისაგან და სამყაროს, განზომილებისა და მშვენიერების კატეგორიების განსხვავებული აღქმა ახასიათებს, როგორც თავისუფალ შემოქმედს.

გიუნტერ გრასის სიტყვების მსგავსად: „მინდოდა მეჩვენებინა ჩემთვისა და მკითხველისთვისაც, რომ, რაც დაიკარგა, დავიწყების მორევში კი არ უნდა ჩაინთქას, არამედ, პირიქით, ლიტერატურის ძალმოსილებით კვლავ მკვდრეთით აღდგეს,“ მოთხრობაც გვიდასტურებს, რომ განვითარების ახალ საფეხურზე გადასვლისათვის აუცილებელია ელემინს(ადამიანს) გააჩნდეს თავისუფლების რწმენა, გონება და სიყვარული – უმნიშვნელოვანესი მექანიზმი ახალი შესაქმის არსებობისათვის.

Tinatin Dzodzuashvili

Georgia, Tbilisi

The Role of Female Translators for Georgian Literature of the Second Half of the 19th Century

The second half of the 19th century is an important period for Georgian literature in many aspects. The civic and literary activities of women working at the end of the century are particularly interesting, each of whose activities had a decisive role not only in spreading education, but also in giving bright colors to national literature. During this period, female creators actively began to translate foreign literary samples, which contributed to bringing new ideas and new themes to the country. Therefore, translation has become the best means of intercultural communication. The article will talk about the collection prepared under the leadership of Anastasia Tumanishvili, "Translation of pleasant readings (writings) – translated and published by Georgian women", because this collection was the first product of independent literary activity of women writers and translators. Based on the mentioned work, the discussion will be about the translation activities of women working in the second half of the 19th century and their importance in the development of the country; That reason, Georgia was involved in the global literary processes in its own way. Also, it will be discussed what value the translations made in this period had in general for determining the exact orientation of the country and specifically, "Translation of pleasant readings (writings) – translated and published by Georgian women".

ქალ მთარგმნელთა როლი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობისთვის

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი ბევრი ასპექტით მნიშვნელოვანი პერიოდია ქართული ლიტერატურისთვის. განსაკუთრებით საინტერესოა საუკუნის ბოლოს მოღვაწე ქალთა სამოქალაქო და სამწერლობო საქმიანობა, რომელთა თითოეულ აქტივობას გადაწყვეტი როლი ჰქონდა არა მხოლოდ განათლების გავრცელების საქმეში, არამედ ეროვნული ლიტერატურისთვის ნათელი ფერების მიცემისთვისაც. ამ პერიოდში მოღვაწე ქალმა შემოქმედებმა აქტიურად დაიწყო თარგმნა-უცხოური ლიტერატურული ნიმუშების, რამაც ხელი შეუწყო ქვეყანაში ახალი იდეების თუ ახალი თემების შემოტანას. ამიტომ თარგმანი გახდა ინტერკულტურული კომუნიკაციის საუკეთესო საშუალება. ნაშრომში საუბარი იქნება ანასტასია თუმანიშვილის ხელმძღვანელობით მომზადებულ კრებულზე „თარგმანი საამურთა საკითხავთა (თხზულებათა) – თარგმნილი და გამოცემული ქართველი ქალებისგან“, რადგანაც ეს კრებული იყო ქალ მწერალთა და მთარგმნელთა დამოუკიდებელი ლიტერატურული საქმიანობის პირველი პროდუქტი. აღნიშნული ნაშრომიდან გამომდინარე, საუბარი იქნება ზოგადად მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ქალთა მთარგმნელობით საქმიანობაზე და მათ მნიშვნელობაზე ქვეყნის განვითარების საქმეში, რითაც საქართველოც თავისებურად ჩაერთო გლობალურ ლიტერატურულ პროცესებში. ასევე, განხილული იქნება თუ რა ღირებულება ჰქონდა ზოგადად, ამ პერიოდში შესრულებულ თარგმანებს ქვეყნის ზუსტი ორიენტირების განსაზღვრისთვის და კონკრეტულად, „თარგმანი საამურთა საკითხავთა (თხზულებათა) – თარგმნილი და გამოცემული ქართველი ქალებისგან“.

Ketevan Elashvili

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi*

The Universal Code of Artistic Thinking

Literary masterpieces completely independently generate a universal code of artistic thinking, which created a kind of "intercultural space" in world literature. From this point of view, Georgian writing is very noteworthy, it was through the artistic word that created the historical and cultural biography of the nation and thoroughly felt the challenges in world literature.

It is also significant that the "outstanding ones" of Georgian writing (from Rustaveli to the present day...) appear to us in the role of a kind of "envoys" of intercultural thinking, and therefore their "immortal names" of a particular country or era do not fade over the time horizon. Nikoloz Baratashvili felt the soul-deep sadness of romanticism in this way, like the founders of this trend, but completely independently, he discovered a new "poetic language" of word creation; Thus, he added sadness to the Georgian poem and gave it the kind of sonority that classical music gave rise to in German romanticism. At the same time, Baratashvili also shared with us the canon of color language of romanticism with the primordial spiritual balance of the "sky color" or the divine beginning of the expression of the soul, which comprises the symbolic and allegoric interpretation of Novalis' "blue flower".

And Vazha-Pshavela made the range of artistic thinking even deeper and broke through the boundary that existed between Western and Eastern (in this case, it means the Sintoist-Buddhist world...)

cultures and created a kind of "mystical bond" with the charm of death understood by the "supremacy" of the mountain and with the feeling of the perfection of the world ("God save you, O death, / Life rests with you..."). Moreover, the son also highlighted the highest aesthetic shade of the feeling in suicide and made its moral value understandable through the poetic connection of the tragic essence with the limitless power of nature or the word. Because once upon a time, myths of the equality of life and death were written in the mountain language, in the mystical inconsistency of which it was Vazha-Pshavela who immersed us, reduced the philosophical infinity of the word to the mysteries of the first sensation...

Even the above-mentioned "intertextual illustrations" make it clear once again that authors like Nikoloz Baratashvili and Vazha-Pshavela saved humanity from "literary provincialism".

ქეთევან ელაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი*

მხატვრული აზროვნების უნივერსალური კოდი

ლიტერატურული შედეგები სრულიად დამოუკიდებლად წარმოშობენ მხატვრული აზროვნების უნივერსალურ კოდს, რამაც მსოფლიო მწერლობაში შექმნა ერთგვარი „ინტერკულტურული სივრცე“. ამ თვალსაზრისით ფრიად ყურადსადებია ქართული მწერლობა, რომელიც სწორედ მხატვრული სიტყვის მეშვეობით ქმნიდა ერის ისტორიულ თუ კულტურულ ბიოგრაფიას და ზედმიწევნით შეიგრძნობდა მსოფლიო ლიტერატურაში არსებულ გამოწვევებს.

საგულისხმოა ისიც, რომ ქართული მწერლობის „რჩეულნი“ (რუსთაველიდან დაწყებული დღემდე...) ინტერკულტურული აზროვნების ერთგვარი „დესპანების“ როლში გვევლინებიან და ამიტომაც „მარადიული სახელები“ კონკრეტული ქვეყნისა თუ ეპოქის ჟამთაღინებაში არ იძირებიან.

სწორედ ამგვარად შეიგრძნო რომანტიზმის სულშიჩამწვდომი სევდა ნიკოლოზ ბარათაშვილმა და, ამ მიმდინარეობის ფუძემდებელთა მსგავსად, ოღონდ სრულიად დამოუკიდებლად, აღმოაცენა სიტყვათქმნადობის ახალი „პოეტური ენა“; რითაც მან ქართულ ლექსს სევდისმეტყველება შესძინა და მიანიჭა ისეთი ხმოვანება, როგორც გერმანულ რომანტიზმში კლასიკურმა მუსიკამ წარმოშვა. ამასთანავე ბარათაშვილმა რომანტიზმის ფერთამეტყველების კანონიკასაც გვაზიარა „ცისა ფერის“ პირველქმნილი სულიერი წონასწორობითა თუ სულისმოთქმის ღვთაებრივი საწყისით, რომელიც ერთგვარად ითავისებს ნოვალისის „ლურჯი ყვავილის“ სახისმეტყველებას.

ვაჟა-ფშაველამ კი მხატვრული აზროვნების დიაპაზონი კიდევ უფრო სიღრმისეული გახადა და გაარღვია ის გამიჯვნა, რაც დასავლურ და აღმოსავლურ (ამ შემთხვევაში იგულისხმება სინთო-ისტურ-ზუდისტური სამყარო...) კულტურათა შორის არსებობდა და შექმნა ერთგვარი „მისტიკური ბმა“ მთის „უზენაესობით“ გათავისებულ სიკვდილის ხიბლთან და წუთისოფლის სრულქმნილების შეგრძნებასთან („ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო, / სიცოცხლე შვენობს შენითა...“). უფრო მეტიც, – ვაჟამ თვითმკვლელობაში ზეგანცდის ესთეტიკური ელფერიც გამოკვეთა და მისი ზნეღირსება საცნაური გახადა ბუნების უსაზღვრო ჭირისუფლობითა თუ სიტყვასთან ტრაგიკული არსის პოეტური თანაღმობით. რადგან მთისმეტყველებაში ოდესღაც სიკვდილ-სიცოცხლის სწორფრობის მითები იწერებოდა, რომელთა მისტიკურ შეუსაბამობაში სწორედ ვაჟა-ფშაველამ ჩაგვიძირა, დაიყვანა რა სიტყვის ფილოსოფიური უსასრულობა პირველშეგრძნების იდუმალეზამდე...

თუნდაც ზემოთხმობილი „ინტერტექსტუალური ილუსტრაციები“ კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველას ტოლფასმა ავტორებმა კაცობრიობა იხსნეს „ლიტერატურული პროვინციალიზმისაგან“.

Maka Elbakidze

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi*

***The Knight in the Panther's Skin* of Rustaveli and Medieval Chivalry Romance**

The Knight in the Panther's Skin, the most significant text of Georgian Literature, written by Shota Rustaveli in the late Middle Ages, belongs to a chivalry romance from the standpoint of genre. The structural and compositional organization of the text (a rather wide area of action, a polyphony of "narration", the artistic function of wandering/quest motive, etc), its political and ideological background (feudal court, social environment and the circle of characters), the concept of love (it's premier character, the principles of *servir*) and compositional elements display enough resemblance with the European authors of chivalry romances Chrétien de Troyes, Wolfram Von Eschenbach, anonymous author of English *Gawain and the Green Knight*, etc. In spite of this, it should be mentioned that *The Knight in the Panther's Skin* is not a typical specimen of medieval chivalry (courtly) romance. A number of specific features are found in the composition which indicates a far higher level of genre development (the indivisible structure of Rustaveli's composition, change from the allegorical plane to the real plane – the minimalization of fantastic elements, concretization of literary abstraction, transformation of ideal schemes by means of the introduction of psychological accuracy and truth; innovation in the courtly model of the concept of love, individualization of characters, etc).

მაკა ელბაკიძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი*

რუსთაველის ვეფხისტყაოსანი და შუასაუკუნეების რაინდული რომანი

რუსთაველის ვეფხისტყაოსანი, გვიანდელი შუასაუკუნეების ქართული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ძეგლი, ჟანრობრივი თვალსაზრისით რაინდულ რომანს განეკუთვნება. *ვეფხისტყაოსნის* სტრუქტურულ-კომპოზიციური ორგანიზება (მოქმედების მეტად ფართო სივრცული არეალი, დესკრიფციული ფაქტორის სპეციფიკურობა, ნარატივის „პოლიფონიურობა“, ხეტიალი/ძიების მოტივის მხატვრული ფუნქცია და ა.შ), მისი პოლიტიკურ-იდეოლოგიური ფონი (ფეოდალური კარი, სოციალური გარემო და პერსონაჟთა წრე), სიყვარულის კონცეფცია (მიჯნურობის წოდებრივი ხასიათი, სამსახურის (*servir*) პრინციპები) და კომპოზიციური ელემენტები საკმაოდ მსგავსებას ამჟღავნებს შუასაუკუნეების ევროპულ ავტორთა (კრეტიენ დე ტრუა, ვოლფრამ ფონ ეშენბახი, მე-14 საუკუნის ანონიმი ინგლისელი ავტორი) ტექსტებთან.

მიუხედავად ამისა, უცილობლად უნდა აღინიშნოს, რომ *ვეფხისტყაოსანი* არ არის შუასაუკუნეების რაინდული (კურტუაზიული) რომანის ტიპური ნიმუში. თხზულებაში გვხვდება რიგი სპეციფიკური ფაქტორები, რომლებიც ჟანრის გრადაციის უფრო მაღალ საფეხურზე მიგვანიშნებს (კომპოზიციის განუყოფლობა; ალეგორიული პლანის რეალური პლანით შეცვლა – ფანტასტიკურ ელემენტთა მინიმალიზაცია; ლიტერატურული აბსტრაქციის კონკრეტიზაცია; იდეალური სქემების ტრანსფორმირება მათში ფსიქოლოგიური სიზუსტისა და სიმართლის შეტანის გზით; სიყვარულის კონცეფციის კურტუაზიული მოდელის ნოვაცია; პერსონაჟთა ინდივიდუალიზაცია და ა.შ).

Melake Agasaf gizi Elyasova-Rajabova

Baku Slavic University

Azerbaijan, Baku

The Model of Desire and Fear as an Invariant in Literature

The issue of the projection of the *desire and fear model* in the literature is analyzed from different perspectives in this research. desire and fear along with forming a dichotomy together, these two feelings also complement each other. Sometimes the feeling of fear turns into a barrier in front of the feeling of desire, but sometimes, on the contrary, the feeling of fear saves him (her) from taking some wrong steps. Human is born as a biological being, but he is formed as a social being. Each person is formed in the relationship between the individual and the society, he acts taking into account the stereotypes of the society – the public opinion. This very fact itself forms the balance of desire and fear within each person. When the balance of desire and fear is disturbed, it sometimes leads to tragedy for the individual. In the analysis of the work of art, the psychological basis of the tragedy is called post-traumatic syndrome.

One of the ways to determine the character of images in literature is the model of desire and fear. Throughout the work, as a result of the desires and fears of the characters, at what point they take wrong and right steps, forms the opinion of the reader about whether they are positive or negative characters. The main focus of the prose works of Ramiz Rovshan and Isa Huseynov, which we have chosen for research, is the human and his psychological state against the background of war, and the existence of this state revealed in the archetype model of desire and fear. We analyze this existence with diexis theory as a *research method*.

Nana Gabadadze

Georgia, Tbilisi

Ethnocultural Specificity of Communication in the Intercultural Interaction Process

In the article, „Ethnocultural specificity of communication in the intercultural interaction process“, communication is considered not as an interpersonal or group interaction, but as cross-cultural relations, in the course of which the different communication ethno-styles oppose each other. The newest studies in the communicology area focus their attention not only on the understanding of translation as process and outcomes of the original’s interpretation, but as the special form of intercultural communication. In this regard, the presented work set a definite goal to reveal those difficulties and non-conformities, which are emerged in such sphere of intercultural communication, as translation is.

We have conducted the qualitative analysis of the “communication” concept on the basis of dialogue integrity. We have paid a special attention to reaction segment of the dialogue communicative interaction, to which neither Georgian, nor foreign scientific literature pay due attention.

It should be noted, that the majority of issues under consideration, which are so important for modern linguistics and allied disciplines, still hasn’t found the unambiguous solution. We make no pretense to find an ultimate solution of theoretical problems related to the present work, but we are hopeful that we will be able to formulate our own point of view and entrust an empirical material the confirmation of its validity.

Analysis of verbal-communicative responses enables us to separate “responsive itself” and “responsive-reaction”. Such delimitation is related to the fact that the first group corresponds information type of question, or in other words, in this case a classic formula of dialogue interaction of “question-answer” is observed that is classified as a direct answer in logics. “Responsive itself” fills in fact the information contained in question; it represents an answer on “question”.

ნანა გაბადაძე

საქართველო, თბილისი

კომუნიკაციის ეთნოკულტურული სპეციფიკა კულტურათმორისი ინტერაქციის პროცესში

სტატიაში „კომუნიკაციის ეთნოკულტურული სპეციფიკა კულტურათმორისი ინტერაქციის პროცესში“ კომუნიკაცია განხილულია არა როგორც შიდაკულტურული ინტერპერსონალური ან ჯგუფური ინტერაქცია, არამედ როგორც კროს-კულტურული ურთიერთობა, რომლის დროსაც ერთმანეთს უპირისპირდება განსხვავებული კომუნიკაციური ეთნოსტილები. უახლესი კვლევები კომუნიკოლოგიის სფეროში თავის ყურადღებას ამახვილებენ თარგმანის არა მარტო, როგორც ორიგინალის ინტერპრეტაციის პროცესისა და შედეგის გაგებაზე, არამედ, როგორც კულტურათმორისი კომუნიკაციის განსაკუთრებულ ფორმაზე. ამასთან დაკავშირებით წინამდებარე ნაშრომს აქვს გარკვეული მიზანი, გამოავლინოს ის სირთულეები და შეუსაბამებობი, რომლებიც წარმოიქმნება კულტურათმორისი კომუნიკაციის ისეთ სფეროში, როგორცაა, თარგმანი. კონცეპტ „კომუნიკაციის“ თვისობრივი ანალიზი ჩვენ განვახორციელებთ დიალოგური მთლიანობის ბაზაზე. განსაკუთრებული ყურადღება მივაქცევთ დიალოგური კომუნიკაციური ინტერაქციის რეაქციულ სეგმენტს, რომელსაც არც ქართულ და არც უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა.

უნდა აღვნიშნოთ ასევე, რომ განსახილველ საკითხთა უმეტესობამ, რომლებიც მეტად მნიშვნელოვანია თანამედროვე ლინგვისტური მეცნიერებისა და მომიჯნავე დისციპლინებისათვის, დღემდე ვერ ჰპოვა ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტა. ჩვენ არ გვაქვს წინამდებარე ნაშრომთან დაკავშირებული თეორიული პრობლემების საბოლოო გადაჭრის პრეტენზია, მაგრამ გვაქვს იმის იმედი, რომ შევძლებთ ჩვენი საკუთარი თვალსაზრისის ჩამოყალიბებას, რომლის მართლზომიერების დადასტურებას ემპირიულ მასალას მივანდობთ.

ვერბალურ-კომუნიკაციური რეაქციების ანალიზი გვამლევს საშუალებას გავმიჯნოთ „საკუთრივ რესპონსივები“ და „რესპონსივები-რეაქციები“. მსგავსი გამიჯვნა დაკავშირებულია იმასთან, რომ პირველი ჯგუფი კითხვის საინფორმაციო ტიპს შეესაბამება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოცემულ შემთხვევაში დაცულია „კითხვა-პასუხის“ დიალოგური ურთიერთქმედების კლასიკური ფორმულა, რაც ლოგიკაში როგორც პირდაპირი პასუხი კვალიფიცირდება. „საკუთრივ რესპონსივები“ ავსებენ კითხვაში დაცულ ინფორმაციას ფაქტობრივად, ისინი წარმოადგენენ „კითხვაზე“ პასუხს.

Otari Gabunia, Zurab Baratashvili

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Georgia, Tbilisi*

The Epic of Gilgamesh – Lemmatization, Concordance, and Interlinear Glossing

Over the past three years, our team has meticulously translated and analyzed the renowned literary masterpiece of the Ancient Mesopotamian world, "The Epic of Gilgamesh," originally written in cuneiform script in Sumerian and Akkadian languages. In our project, "The Epic of Gilgamesh – Lemmatization, Concordance, and Interlinear Glossing," we developed a standardized approach for cross-linguistic text comparison, aiming to advance the field of intercultural communication through translation.

We will present the results of our work, which include an electronic version of the text with parallel Sumerian and Akkadian transliterations from cuneiform. Our methodology integrates modern linguistic techniques such as interlinear glossing, lemmatization, and the creation of a searchable concordance for cuneiform characters. This corpus is introduced with an extensive historical and linguistic analysis.

This project represents an unprecedented resource at both national and international levels for the documentation of extinct languages. For Georgia, we produced a Georgian translation and compiled dictionary materials for Sumerian and Akkadian (Babylonian, Assyrian). Additionally, the corpus includes Georgian transcription aligned with Latin transliteration and, potentially, IPA transcription, making it highly valuable for international scholars. Our work not only preserves an ancient text but also fosters intercultural communication through advanced linguistic documentation. We look forward to sharing our experience and insights from this extensive project at the symposium.

Julieta Gabodze

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi*

All Roads lead to Rome / globalization/

(Iv. Javakhishvili's open and secret controversy with I. Gogebashvili and Akaki)

"If we bravely embark on the revival of our nationality, we will be able to make a unique contribution to the great world treasury, where the fruits of the intellect, heart, imagination and character of all mankind are gathered" – wrote I. Gogebashvili in the book "Bridge of Nationality". However, the author's opinion about national identity was criticized by Ivane Javakhishvili in the cycle of letters "Science and patriotism" due to its "advocate, self-serving nature" and called it "a manifestation of exaggerated national self-respect".

Akaki Tsereteli responded to this polemic with the letter "Haters of Georgians" in 1904. He argues with Professor Niko Marr about the Georgian-Armenian socio-cultural and linguistic influences and states that "Our present intelligentsia does not behave as it should.. It was proved by Professor Marr, who seems to have created a school for "haters of Georgians, proved this to us. He was worried that "Mr. Iv. "Javakhishvili has shown his scientific fury to Iacob Gogebashvili." Akaki felt that Nico Mar's discipleship imposed a kind of moral obligation on the young researcher. This argument "has a particular smell," the poet wrote. Akaki and I. Gogebashvili's hot tone was due, first of all, to the very sarcastic letters of the Russian publicist Vermishev and the Armenian writer Janshiev. The first criticized Ilya for the "Plea of stones", the other for Akaki's argument with Niko Mar. Both publicists were given appropriate answers. It is

significant that Javakhishvili argues with I. Gogebashvili and M. Janashvili, but refrains from squabble with Ilya and Akaki.

The forgotten article by Akaki will be published for the first time in the 14th volume of the academic eighty-volume collection of the writer's works. In the report, we will also talk about the unknown letter of Mose Janashvili, which is dedicated to the books of Janishev and Vermishev.

Obviously, Georgian scholars understood perfectly well that Georgia could not overcome the expected threat of globalization, and that is why the Tergdaleuli called for the protection of national identity: "The whole nation is stronger while it firmly stands on national soil" (Gogebashvili). While Ivane Javakhishvili leader of the new generation, considered scientific research and critical study of Georgian writing, history and culture the "patrimonial duty of a scientist". But history has shown that all roads lead to globalization.

The Tergdaleuli – are the youths who travelled to Russia (via Caucasus) and returned to Georgia after the completion of studies. Thergi is a river in the Caucasus that serves as a natural border with Russia.

ჯულიეტა გაბოძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

საქართველო, თბილისი

ყველა გზა რომში / გლობალიზაციისკენ/ მიდის

(ივ. ჯავახიშვილის ღია და ფარული პოლემიკა ი. გოგებაშვილთან და აკაკისთან)

„თუ მხნედ შევუდგებით ჩვენი ეროვნობის აღორძინებას, შევძლებთ თავისებური წვლილი შევიტანოთ იმ დიდებულს მსოფლიო საღაროში, სადაც იკრიბება მთელი კაცობრიობის ჭკუის, გულის, ფანტაზიის და ხასიათის ნაყოფი“ – წერდა ი. გოგებაშვილი წიგნში „ბურჯი ეროვნებისა“. თუმცა ავტორის მოსაზრება ეროვნული თვითმყოფადობის შესახებ **„ადვოკატური, გამოსარჩლებითი ხასიათის“** გამო გააკრიტიკა ივანე ჯავახიშვილმა წერილების ციკლში „მეცნიერება და მამულიშვილობა“ და მას „გაზვიადებული ეროვნული თავმოყვარეობის გამოვლინება“ უწოდა.

ამ პოლემიკას გამოეხმაურა აკაკი წერეთელი 1904 წელსვე წერილით „ქართველთა მოძულენი“. იგი ეკამათება პროფესორ ნიკო მარს ქართულ-სომხური სოციო-კულტურული და ენობრივი გავლენების შესახებ და წერს, რომ „ჩვენი დღევანდელი ინტელიგენცია ვერ იქცევა, რომ უნდა ისე...ეს დაგვიმტკიცა პროფესორმა მარმმა, რომელსაც ეტყობა, რომ სკოლა შეუქმნია „ქართველთა მოძულეთა“. წუხდა, რომ „ბ-ნ ივ. ჯავახიშვილს თავის სამეცნიერო მრისხანება მოუვლენია იაკობ გოგებაშვილისადმი“. აკაკი ფიქრობდა, რომ ნიკო მარის მოწაფეობა ახალგაზრდა მკვლევარს ერთგვარ მორალურ ვალდებულებას აკისრებდა. ამ კამათს „რადაც სხვა სუნი უდის“ – წერდა პოეტი.

აკაკისა და ი. გოგებაშვილის ცხარე ტონი განპირობებული იყო, უპირველეს ყოვლისა, რუსი პუბლიცისტის, ვერმიშევისა და სომეხი მწერლის-ჯანშიევის მეტად სარკასტული წერილებით. პირველი აკრიტიკებდა ილიას „ქვათა დაღადის“ გამო, მეორე – აკაკის ნიკო მართან კამათის გამო. ორივე პუბლიცისტს სათანადო პასუხი გასცეს. საგულისხმოა, რომ ჯავახიშვილი ი. გოგებაშვილსა და მ. ჯანაშვილს ეკამათება, მაგრამ ილიასთან და აკაკისთან პაექრობისგან თავს იკავებს.

აკაკის ეს მივიწყებული სტატია პირველად გამოქვეყნდება მწერლის თხზულებათა აკადემიური ოცტომეულის მე-14 ტომში. მოხსენებაში ვისაუბრებთ ასევე მოსე ჯანაშვილის იმ უცნობ წერილზეც, რომელიც ეძღვნება ჯანიშევისა და ვერმიშევის წიგნებს.

ცხადია, ქართველი მოღვაწენი შესანიშნავად ხვდებოდნენ, რომ საქართველოც ვერ ასცდებოდა გლობალიზაციის მოსალოდნელ საფრთხეს და ამიტომაც მოუწოდებდნენ თერგდალეულები ეროვნული თვითმყოფადობის დაცვისკენ: „ძლიერია მთელი ერი, ვიდრე იგი მტკიცედ სდგას

ეროვნულს წიადაგზედ“ (გოგებაშვილი). ახალ თაობას კი, ივ. ჯავახიშვილის მეთაურობით, „მეცნიერის მამულიშვილურ მოვალეობად“ ქართული მწერლობის, ისტორიისა და კულტურის მეცნიერული კვლევა და კრიტიკული შესწავლა მიაჩნდა. მაგრამ ისტორიამ აჩვენა, რომ ყველა გზა გლობალიზაციისკენ მიდიოდა.

Nugesha Gagnidze

Akaki Tsereteli State University

Georgia, Kutaisi

Georgian Translations of Josef Weinheber's Poems

Josef Weinhaber (1892-1945) is one of the outstanding writers in the rich Austrian literature of the 20th century. Although he was not an anti-fascist, his poetry never lost its relevance. The work of the phenomenal poet still attracts attention of scholars, the songs based on his poems have remained popular up to the present day. Joseph Weinheber's poetry has been translated into many languages.

Georgian reader got acquainted with the works of this controversial Viennese lyric poet in 2009 when the sixth volume of the multi-volume *Austrian Lyric Poetry of the 20th Century* was published on the initiative of Dato Barbakadze and with his own foreword. The translations were done by several Georgian poets not direct from the source language but from the word-for-word/literal translation provided by Georgian Germanists.

Johann Wolfgang Goethe distinguished translation of lyric poetry into three kinds: prose translation in which the meaning of the lyrical text is rendered accurately from the source language; “parodic” – in this kind of translation one seeks to project oneself into the circumstances of the source text, but in fact only appropriates the foreign meaning and then replaces it with one's own; in the third kind of translation one seeks to make the translation identical with the original. The purpose of the present paper is to classify Georgian translations of Weinheber's lyric poetry into categories according to Goethe's classification. Are they identical with the original, or, in some cases, unduly appropriated by Georgian translator/s?

The paper focuses on Giorgi Kekelidze's translations, discussing them from the perspectives of literary (translation) studies, linguistics, stylistics, psychology and philosophy. I will try to evaluate translation quality considering such key factors in contemporary translation theory as accuracy and the ways in which the rhythm/s, tone and mood of the source text are conveyed.

ნუგეშა გაგნიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო, ქუთაისი

იოზეფ ვაინჰებერის ლექსების ქართული თარგმანები

მე-20 საუკუნის მდიდარ ავსტრიულ ლიტერატურაში ერთ-ერთი გამორჩეული მწერალია იოზეფ ვაინჰებერი (1892-1945). მიუხედავად იმისა, რომ ის არ იყო ანტიფაშისტი, მის პოეზიას არასოდეს დაუკარგავს აქტუალობა. ფენომენალური პოეტის შემოქმედება დღემდე მეცნიერ-მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, პოპულარობას არ ჰკარგავს მის ლექსებზე შექმნილი სიმღერები. იოზეფ ვაინჰებერის პოეზია თარგმნილია მრავალ ენაზე.

ქართველი მკითხველი ამ წინააღმდეგობრივი ვენელი შემოქმედის ნაწარმოებებს გაეცნო 2009 წელს, როცა დათო ბარბაქაძის ინიციატივითა და მისივე წინასიტყვაობით გამოიცა *მე-20*

საუკუნის ავსტრიული ლირიკის მრავალტომეულის მე-6 ტომი (მასალები). ქართველ გერმანისტთა მიერ შესრულებული პწკარედის საფუძველზე რამდენიმე ქართველმა პოეტმა შექმნა ლექსების ლიტერატურული თარგმანი.

იოჰან ვოლფგანგ გოეთე განასხვავებდა ლირიკული ნაწარმოების თარგმნის სამ ტიპს: მარტივი-პროზაული, როცა ლირიკული ნაწარმოების შინაარსი სწორადაა გადმოტანილი ორიგინალის ენიდან; „პაროდული“, როცა უცხო ტექსტი ზედმეტად გათავისებული აქვს მთარგმნელს და ისე წარმოგვიდგენს, თითქოს მისი საკუთარი ნაწარმოები იყოს; ორიგინალის იდენტური თარგმანი. ჩემი მიზანია, ვუჩვენო, გოეთეს რომელ მოსაზრებას შეესაბამება იოსებ ვაინჰებერის ქართული თარგმანები. არის ისინი ორიგინალის იდენტური, თუ, ზოგ შემთხვევაში, ქართველი ავტორის ნაწარმოებს უფრო ჰგავს.

ნაშრომში განხილული იქნება გიორგი კეკელიძის ლიტერატურული თარგმანები ლიტერატურათმცოდნეობით, ენათმეცნიერულ, სტილურ, ფსიქოლოგიურ და ფილოსოფიურ პლანში. შევეცდები, თარგმანი შევავასო თარგმანის თეორიის უახლეს კრიტერიუმებზე დაყრდნობით; ვუჩვენო მთარგმნელის ინდივიდუალური სტილი, თუ რამდენადაა იოზეფ ვაინჰებერის ლექსების რიტმი, ინტონაცია, განწყობა გიორგი კეკელიძის ლიტერატურულ თარგმანში შენარჩუნებული და რამდენადაა მთარგმნელი დედნის ერთგული.

Nino Gagoshashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgia, Tbilisi

Avesta on Women and Early Christian Kartli

Zoroastrianism had a great influence on the Middle East culture. Due to the close connection with these civilizations, it spread to the territory of Georgia, of course, leaving its tracks here as well. This is confirmed by a number of historical sources that have been preserved until present.

Zoroastrianism is considered a revelation-based religion and its main book is the Avesta, which is considered the most important monument for studying the history, tradition, cultural values, social-political situation and other issues of the countries of the early era.

In the collection of religious laws of the Avesta, Videvadadi (Vendidad) is considered to be the most well-preserved. This part of the book is interesting from the point of view that in the rules of religious and social nature combined in it, special attention is paid to women, their place and role in family and public life, their rights, etc.

Some scholars believe that Zoroastrianism is the first religion that more or less recognizes the equality of men and women, although the Avesta's very strict rules for women, in addition with class inequality, etc., did not allow women to have their rightful place in the society.

Over the centuries, the main book of Zoroastrianism has been damaged many times in terms of content (and Zoroastrianism has also changed many times), but it still remains the main expression of the values of this religion. Therefore, we considered it important to select from the book of Avesta the laws depicting the condition of women, the analysis of which gives the opportunity to see the situation of women in pre-Christian Kartli from a different historical-literary angle and some issues from two hagiographic monuments of ancient Georgian writing – the „Martyrdom of Shushanik“ and the „Life of St. Nino“.

ნინო გაგოშაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

ავესტას წიგნი ქალთა შესახებ და ადრექრისტიანულ ქართლში

ზორასტრიზმმა დიდი გავლენა მოახდინა ახლო აღმოსავლეთის კულტურზე. ამ ცივილიზაციებთან მჭიდრო კავშირის გამო იგი საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელდა და, ცხადია, აქაც დატოვა თავისი კვალი. ამას ჩვენამდე მოღწეული არაერთი ისტორიული წყაროც ადასტურებს.

ზორასტრიზმი გამოცხადებით რელიგიად მიიჩნევა და მისი მთავარი წიგნია ავესტა, რომელიც უმნიშვნელოვანეს ძეგლად მიიჩნევა ადრეული ეპოქის სახელმწიფოების ისტორიის, ტრადიციის, კულტურული ღირებულებების, სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობისა თუ სხვა საკითხების შესასწავლად.

ავესტას რელიგიური კანონების კრებულში ყველაზე უკეთ დაცულად ვიდევდადი (ვენდი-დადი) ითვლება. წიგნის ეს ნაწილი საინტერესოა იმ კუთხით, რომ მასში გაერთიანებულ რელიგიურ-სოციალური ხასიათის წესებში განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება ქალებზე, მათ ადგილსა და როლზე ოჯახსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, უფლებრივ მდგომარეობაზე და ა.შ.

ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ზორასტრიზმი არის პირველი რელიგია, რომელიც ქალისა და მამაკაცის თანასწორობას მეტ-ნაკლებად აღიარებს, თუმცა ავესტას მიერ ქალთათვის დაწესებული ძალიან მკაცრი წესები, რასაც ემატებოდა კლასობრივი უთანასწორობა და ა. შ. ქალს მაინც არ ამღებდა კუთვნილ ადგილს საზოგადოებაში.

საუკუნეების განმავლობაში ზორასტრიზმის მთავარი წიგნი შინაარსობრივად მრავალგზის დაზიანდა (ასევე არაერთგზის იცვალა ფერი ზორასტრიზმმაც), მაგრამ იგი მაინც რჩება ამ რელიგიის ღირებულებათა მთავარ გამოხატულებად. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მივიჩნით, ავესტას წიგნიდან გამოგვეჩია ქალთა შესახებ არსებული კანონები, რომელთა ანალიზი იძლევა შესაძლებლობას, სხვა ისტორიულ-ლიტერატურულ კონტექსტში დავინახოთ ქალთა მდგომარეობა ადრექრისტიანული ქართლში და ძველი ქართული მწერლობის ორი უძველესი აგიოგრაფიული ძეგლის – „მუშანიკის წამებისა“ და „წმინდა ნინოს ცხოვრების“ – ზოგიერთი საკითხი.

Gunay Garayeva

Nizami Ganjavi Institute of Literature, ANAS

PhD in philology, associate professor

Azerbaijan, Baku

Tandem of Time and Society in 20th-century Azerbaijani Poetry in the Context of Artistic Symbols

This study explores the profound nature of artistic symbols, highlighting their universality, polysemantism, and role in reflecting cultural codes and societal norms. The papers discuss how symbols persist across time, shaping and being shaped by the ideologies and environments they inhabit. Furthermore, I explore the evolution of symbols within the context of artistic thought and changing societal paradigms.

The issue I aim to address is the theory of symbols, particularly focusing on their polysemantism and variability as a complex aesthetic category. While symbols can't change on their own, they gain new

meanings based on artistic thought, ideology, and time. I argue that symbols evolve as societal contexts change, influencing how they are perceived and interpreted. This analysis will be applied to 20th-century Azerbaijani poetry, examining how poets like A.Javad, M.Mushfig, H.Sanih, S.Vurgun, R.Rza, M.Araz, G.Gasimzadeh, M.Yaqub, M.Ismayil, and others use symbols to elucidate the intricate relationship between symbols, poetry, and societal dynamics.

Rahilya Geybullayeva

Baku Slavic University

Azerbaijan, Baku

Recycling Motifs’ “National Identity” and the Legacy of Azerbaijani Aşıq Qərib in Modern Discourse

Transcultural influence of the Aşıq Qərib story beyond Azerbaijani folklore and its impact on various cultures and artistic expressions is obvious. Furthermore, similar motifs and archetype characters resonate in the literature, music, and folklore of neighboring regions and distant cultures, highlighting the narrative's universal appeal and adaptability (motif "a husband at the wedding of his wife or beloved").

Motif frames the Azerbaijani Aşıq Qərib narrative as a potent political allegory, drawing parallels between the protagonist's struggles for love amidst societal divides. But the further fate of the text after almost one century later reflects contemporary discourse on collapsing identities at the end of 20-th century at the Caucasus. Within this framework, the research discusses how modern artists reinterpret the story's classic motifs and themes to address current societal challenges and complexities on an example of two adaptations of the Azerbaijani text: M. Lermontov's translation into Russian in 1837¹ and S. Paradjanov's eponymous film in 1988.²

This study highlights the significance of a literary text as a cultural phenomenon that can bring neighboring people together (even amidst conflict) – both in case of M. Lermontov's translation, and in case of the film.

Tamta Ghonghadze

Georgia, Tbilisi

Face of Russian Literature – „Little Man“ – in the Prose of Akaki Tsereteli and Vazha-Pshavela

In the Russian literature of the first half of the 19th century, along with the creation of realistic prose, the face of the „little man“ was also formed. This is a hero oppressed by bureaucratic structure and social existence. For him, official duty is the only important function, the chief – the main person.

¹ Lermontov learned Tatar (an exonym for Azerbaijani during the Russian Empire's period of control over the Caucasus) language “Начал учиться по-татарски, язык, который здесь, и вообще в Азии, необходим, как французский в Европе, — да жаль, теперь не доучусь, а впоследствии могло бы пригодиться” (important in the Asia as French in Europe) at that period,[1] which likely contributed to his familiarity with Azerbaijani folklore.

² (*Erməni Bakının ortasında film çəkdi, “təhlükə də olmadı”, Cavanşir Quliyev Paracanov haqda* – BBC News Azərbaycanca <https://www.youtube.com/watch?v=CkPzZFaFzpl>).

The story of this character begins with Alexandre Pushkin's – „The Station Supervisor“, and continues in the works of Nikolai Gogol, Fyodor Dostoevsky, Anton Chekhov.

Despite the close literary relations, the „Little Man“ of Russian literature did not become actual for the Georgian literature of that time; Although we still find this face in the Georgian prose of the second half of the 19th century. Akaki Tsereteli's story – „The Confession of an Old Official“, introduces us the „Little Man“. Also we find this face in Vazha-Pshavela's stories „the Brave“ and „The Death of Bagrat Zakharich“.

Akaki Tsereteli and Vazha-Pshavela introduce the face of „Little Man“ in Georgian literature. Both writers transform this character into an organic part of Georgian literature with their creative manner. Although they are very different from each other. Akaki's text, despite the fact that it paints the face of a hero „living“ in the entire bureaucratic system, is confined to historical-national problems. Vazha raises the global existential question of the era with the theme of „Little Man“.

თამთა ღონღაძე

საქართველო, თბილისი

რუსული ლიტერატურის სახე – „პატარა ადამიანი“ – აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას პროზაში

XIX საუკუნის I ნახევრის რუსულ ლიტერატურაში რეალისტური პროზის გაჩენასთან ერთად ჩამოყალიბდა ე.წ. „პატარა ადამიანის“ სახეც. ეს არის ბიუროკრატიული წყობისა და სოციალური ყოფისგან დაჩაგრული გმირი, რომლისთვისაც სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულება ერთადერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა, ხოლო უფროსი – მთავარი პერსონა.

ამ პერსონაჟის ისტორია იწყება ალექსანდრე პუშკინის მოთხრობიდან – „სადგურის ზედამხედველი“, და გრძელდება ნიკოლაი გოგოლის, ფიოდორ დოსტოევსკის, ანტონ ჩეხოვის შემოქმედებაში.

ახლო ლიტერატურული ურთიერთობების მიუხედავად, რუსული მწერლობის „პატარა ადამიანი“ არ გახდა აქტუალური იმ დროის ქართული ლიტერატურისთვის, თუმცა ამ სახეს მანც ვხვდებით XIX საუკუნის II ნახევრის ქართულ პროზაში. აკაკი წერეთლის მოთხრობა – „ძველი ჩინოვნიკის აღსარება“, სწორედ „პატარა ადამიანს“ გვაცნობს. ამ სახეს ვხვდებით ვაჟა-ფშაველას მოთხრობებში „მამაცი“ და „ბაგრატ ზახარიძის სიკვდილი“.

რუსულ ლიტერატურაში შექმნილი „პატარა ადამიანის“ სახე ქართულ მწერლობაში შემოაქვს აკაკი წერეთელსაც და ვაჟა-ფშაველასაც. ორივე მწერალი ამ პერსონაჟს თავისი შემოქმედებითი მანერითა და სათქმელით გარდაქმნის ჩვენი ლიტერატურის ორგანულ ნაწილად, თუმცა ისინი ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან. აკაკის ტექსტი, იმის მიუხედავად, რომ მთელ ბიუროკრატიულ სისტემაში „მცხოვრები“ გმირის სახეს ხატავს, ისტორიულ-ნაციონალური პრობლემატიკით ივარგლება. ვაჟა „პატარა ადამიანის“ თემით ეპოქის გლობალურ ეგზისტენციალურ საკითხს აყენებს. როგორც ლიტერატურული გმირი, თავის თავში ატარებს რუსულ ლიტერატურაში შექმნილ ამ პერსონაჟსაც და მოდერნისტული ლიტერატურისთვის ტრადიციული თემების, დეჰუმანიზაციისა და გაუცხოების პრობლემას ასახავს.

Salik Basharat Geelani

Doctoral Student, English Literature

College of Arts & Science, Vanderbilt University

USA, Nashville

A Grammar of the Senses: Naming–Feeling *Minor Detail's* Phantoms

How can the historical/political novel represent, as knowledge or feeling, those acts of violence that are unaccounted for in historical archives? In Palestinian writer Adania Shibli's *Minor Detail* (*Tafīl Thānawī*), the *tafīl* (the detail/mode of reading) and the *thānawī* (the minor/marginal) when considered together as a system of analysis blur the distinctions between the always present and always absent of and in history. Through several narrative techniques, such as refusing to name the characters of the novel, Shibli urges the reader to notice and parse the minor, marginal objects, events, relations, and thoughts that populate and create the world of Palestine-Israel. This practice of attending, which is primarily a practice of reading, makes visible the articulation of material, phenomenological, and psychological structures that demarcate life in the two halves of the novel. While we do narratively move in the novel from the historical trauma of the Palestinian people confronting Israeli Settler Colonialism to a present-day interrogation of the violent rape of an invisibilized/phantom Bedouin girl, trauma in *Minor Detail* isn't entirely registered by the historical plot. Rather, as I argue in my paper, the traumatic in *Minor Detail* is accessed through a fictionalized recreation of the sensory experience of the traumatic event itself: trauma and history are both written in a grammar of the senses. My paper explores this grammar of the senses to show that Shibli when confronted by an archival lack turns her attention to the minor detail surrounding the lack to recreate not the fact, but the feeling of a forgotten violence.

Nino Gogiashvili

Iakob Gogebashvili Telavi state University

Georgia, Telavi

Polar Concepts of Fear and Love in the “Society of the Formers” (Based on Irakli Samsonadze's Short Novel *The Cushion*)

Short novel *The Cushion*, by playwright and writer Irakli Samsonadze is an important text not only from the point of view of the author's creativity, but also in the context of modern Georgian literature. The novel depicts the political, economic and existential features of Georgia in the 1990s.

In just one continuous paragraph, the writer conveys the biggest trauma caused to his generation by the geopolitical changes of those times, the civil war and the country facing an absolute economic collapse. Georgia became a place inhabited by people who were dysfunctional, frustrated and living with vibrations of fear; where the present was difficult and the future seemed hopeless and incomprehensible. The text form corresponds to its content; literary passages of the characters' “being choaked” by life are read breathlessly, as if the reader is suffering just like these pitiful people. Narrative expressiveness, fragmented, short sentences of poetic syntax, repetition, define the writer's style representing the relevant form of content and idea.

The idea of the novel is to demonstrate and analyze the polar concepts of fear and love. A society subject to the power of fear disintegrates, decays and degrades. Fear blocks the way to love, while the only alibi for human existence is love; the main character of the novel is a member of the “society of the

formers”, a writer who has become functionless in Georgia in the 1990s. His life is one big drama: Georgia is in the hands of thousands of “Kvarkvares” and “Jakos”; and the only moral position of the righteous under such circumstances is marginalization, as they can never adapt to such an ugly social system.

The novel depicts the severe social crisis, which, according to the writer, is caused by existential uncertainty and delusion; “selling a kidney” is a materialized metaphor for selling the soul, which has become an inevitable reality of physical survival. The dynamics of the degradation of the family, of the most stable institution of society, caused by people subject to the primate of fear, are presented in the text with undisguised naturalism.

The novel is important both in view of its idea and style.

ნინო გოგიაშვილი

*იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თელავი*

შიშისა და სიყვარულის პოლარული კონცეპტები „ყოფილების საზოგადოებაში“ (ირაკლი სამსონაძის მცირე რომანის – „ყურთბალიში“ – მიხედვით)

დრამატურგისა და მწერლის ირაკლი სამსონაძის მცირე რომანი „ყურთბალიში“ მნიშვნელოვანი ტექსტია არა მხოლოდ ავტორის შემოქმედების, არამედ მიმდინარე ქართული ლიტერატურის თვალსაზრისითაც. რომანში ასახულია გასული საუკუნის 90-იანი წლების საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და ეგზისტენციალური ნიშნულები.

მწერალი მხოლოდ ერთი უწყვეტი აზრით გადმოსცემს იმ უდიდეს ტრავმას, რაც მის თაობას მიაყენა იმდროინდელმა გეოპოლიტიკურმა ძვრებმა, სამოქალაქო ომმა და აბსოლუტურ ეკონომიკურ კოლაპსში ჩავარდნილმა ქვეყანამ. საქართველო გახდა უფუნქციო, ფრუსტრირებული და შიშის ვიბრაციებით მცხოვრები ადამიანებით დასახლებული ადგილი, სადაც აწმყო მძიმე, მომავალი კი – უიმედო და გაუგებარი გახლდათ. ტექსტის ფორმა შესაბამისია მის შინაარსთან; პერსონაჟების „ყელში წაჭერილი“ ცხოვრების ლიტერატურული პასაჟები სუნთქვამეკრული იკითხება, – თითქოს, ამ საბრალო ადამიანებთან ერთად, მკითხელიც იტანჯება. თხრობის ექსპრესიულობა, დანაწევრებული, პოეტური სინტაქსის მოკლე წინადადებები, გამეორება მწერლის სტილის განმსაზღვრელია, და შინაარსისა და იდეის რელევანტურ ფორმას წარმოადგენს.

რომანის იდეა შიშისა და სიყვარულის პოლარული კონცეპტების წარმოჩენასა და ანალიზში მდგომარეობს. საზოგადოება, რომელიც შიშის ძლევამოსილებას ექვემდებარება, ირღვევა, კნინდება და დეგრადირდება. შიში სიყვარულის ადგილს აღარ ტოვებს, ადამიანის არსებობის ერთადერთი ალიბი კი სიყვარულია; რომანის მთავარი პერსონაჟი „ყოფილების საზოგადოების“ წევრი, 90-იანი წლების საქართველოში უფუნქციოდ დარჩენილი მწერალია. მისი ცხოვრება ერთ დიდ დრამას წარმოადგენს: საქართველო ათასი ჯურის „ყვარყვარესა“ და „ჯაყოს“ ხელშია ჩავარდნილი, მართალი კაცის ერთადერთი მორალური პოზიცია კი, ასეთ დროს, მარგინალიზაციაა, რადგან ვერ ეთვისება ამგვარ მახინჯ სოციალურ სისტემას.

რომანში ასახულია მძიმე სოციალური კრიზისი, რომელსაც, მწერლის აზრით, ეგზისტენციალური გაურკვევლობა და ცდომილება იწვევს; „თირკმელის გაყიდვა“ სულის გაყიდვის მატერიალიზებული მეტაფორაა, რაც ფიზიკური გადარჩენის გამოუვალ რეალობადაა ქცეული. ტექსტში შეუნიღბავი ნატურალიზმითაა წარმოჩენილი ოჯახის, როგორც საზოგადოების ყველაზე მდგრადი ინსტიტუტის, დეგრადაციის დინამიკა, რომელსაც შიშის პრიმატს დაქვემდებარებული ადამიანები განაპირობებენ.

რომანი მნიშვნელოვანია როგორც იდეის, ასევე სტილის თვალსაზრისით.

Prof. Dr. Konrad Gunesch

Woxsen University

Hyderabad, Telangana, India

Catalan and Transylvanian Language Preservation and Education as Expressions of Cultural and Personal Regionalism: Comparing Itineraries, Insights, and Inspirations for Inquiring ‘Literatures of Small Nations, or Small Literatures of Rising Regions?’

Both Catalonia and Transylvania are regions with special historical, political, social, economic, cultural, linguistic and literary roles within their respective nation-states, Spain and Romania. While Catalan benefits from being a recognized United Nations language, Transylvanian is mostly a spoken dialect with little written or literary spread, which it makes up in mythological and fictional dimensions, just to mention Bram Stoker’s 1897 novel *Dracula* and the still-standing 14th-century fortress *Castelul Bran*. With such an uneven field of comparison to begin with, this analysis relies on connecting both regions and languages via professional and personal, in-lived and intensely interacted-with itineraries across both regions and cultural nations within their respective countries, and their related Eastern and Western European self-definitions. On the basis of an autobiographical and auto-ethnographical methodology, the literary and linguistic self-perceptions of Catalonia, Catalonians and Catalan, and of Transylvania, Transylvanians and Transylvanian, are investigated within an international, intercultural and interdisciplinary framework. The keynote presentation aims to engage the audience, especially in the ensuing interactive discussion, about the experiences and examples of these two regions, their concrete and symbolic potential for similar regional, linguistic and literary constellations (which might for instance include Georgia and Georgian), and perspectives within the process of an ever increasing globalization with its double-pronged tendencies of cultural uniformity and fragmentation. Ultimately, the investigation, presentation, and plenary discussion aims to provide options for answering the question of one of the Symposium’s Round Tables, namely: are Catalan and Transylvanian examples for ‘Literatures of Small Nations, or for Small Literatures of Rising Regions?’ It is expected that the truth – and the discussion, for that matter – reveal the issue to be less clear-cut, and rather culturally complex. Finally, even for those less familiar with any of the two analyzed regions, the *tertium comparationis* of Georgian language and literature is expected to provide much material for interaction and inspiration.

Liudmyla Hrytsyk

Ph.D., Dr.Sc. in Philology, Professor

Taras Shevchenko National University of Kyiv

Ukraine, Chernivtsi

Translation in the Modern Comparative Paradigm

Scientific translation studies (both translated and original) published at the beginning of the twenty-first century and discussions around the problems of literary translation have convincingly demonstrated that translation plays an essential role in the development of literature and its mutual enrichment. Special attention is paid to the nation-building mission of translation, which is often perceived (let us recall the nineteenth and first half of the twentieth centuries) as a challenge to the canonical state of affairs.

From this perspective, multiple significant translations of the colonial period (works by M. Strikha, R. Zorivchak, M. Moskalenko, V. Chernetskyi, V. Radchuk, M. Novytkova, O. Teterina), the postcolonial

period (studies by V. Benjamin, L. Venuti, H. Hrabovych, S. Bassett, H. Kochur, L. Kolomiets, T. Schmiger) are reviewed. M. Strikha called L. Venuti's article "Nation, Love and the Ethics of Translation", published in 2005, a "classic of world humanities." Among the works that significantly changed the traditional direction of translation studies (mainly cultural studies), a prominent place was assigned to the studio of the famous translator, M. Strikha, who shifted the traditionally defined emphasis from the sphere of comparisons and reflections on the problems of adequate literary translation to the plane of changing/forming national identity and national discourses. Noteworthy (as in L. Venuti's work) is the title of the work "Ukrainian Translation and Translators: Between Literature and Nation Building".

Obviously, "literary translation is more than just translation" (M. Strikha), so comparative studies should overcome outdated approaches to their research, rethink the role of literary translation in the development of literature, and strive to "hear not a voice but different voices." S. Bassnett suggests that we should look at translation activity as the main discipline of our time: translation studies, like comparative literature, "cannot be considered as disciplines; they are methods of approaching literature, ways of reading".

Approaching literature through the prism of literary translation brings to the fore different perspectives on its mission/functions: the primary role of the reader/translator, the problem of choosing works of fiction for translation, understanding the role of "foreign" work in the recipient literature, and the accumulation of the achievements of other fields of knowledge in the process of "implanting" a translation into a new environment. For illustration, in the 20s and 30s, a well-known diaspora scholar and translation scholar, V. Derzhavin, published in Ukrainian periodicals (*Chervonyi Pakhid*, *Zhyttia i Revoliutsii*, *Krytyka*) thorough reviews of works "related" to translation, such as V. Shklovsky's *Techniques of Writing*, G. Speth's *Introduction to Ethnic Psychology*, G. Shor's *Language and Society*, and others. "The panorama of translated editions... in the interwar twentieth century," the researcher concludes, "allows us to assert that translation was an essential factor in the national revival.

The translator is a participant/creator of the interliterary process, performing a cultural and nation-building mission; his work contributes to the change/formation of national identity (V. Cherednytskyi). In this regard, S. Pavlychko's conclusion from the book *Discourse of Modernism in Ukrainian Literature* is eloquent: "The choice of texts for translation by Ukrainian writers has never been random." It was always based on a particular artistic and even political concept. In a letter to M. Strikha, M. Novykova called Ukrainian translation projects "world-building" and nation-building. Examples include the comparative discourse of translation in the system of national literary progress (from P. Kulish to M. Drahomanov, I. Franko, Lesia Ukrainka), Ukrainian translations of the postcolonial period, and conceptual views on the "semiotic fusion" of comparative and translation experiences in the reflection of foreign language texts.

Observing the development of twenty-first-century translation in comparative studies, S. Bassnett urges to concentrate "on the idea of literature itself, the understanding of the widest possible meanings, and the recognition of the inevitable interconnectedness that emerges from literary communication". The researcher sees this as a way to renew comparative studies.

Maia Jaliashvili

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi*

Crossroads of Life
(Temur Babluani's Novel „The Sun, the Moon and the Bread Field
(Manushaka is waiting for me)“

One of the most important paradigms of world literature is the journey that, with the same passion but different purposes and desires, leads from the home of the biblical prodigal son and Odysseus of Homer to Don Quixote of Cervantes and Leopold Bloom of Joyce, among many others. Love, diverse and manifested differently each time, is the path along which people return home; it is the palimpsest symbol of home. "Home" represents aspects such as oneself, God, family, childhood, heaven, peace, and life. This is why any "return" implies allusions to mythological, biblical, or literary paradigms. Leaving home to explore the world or oneself becomes the beginning of great adventures, an illusory embodiment of dreams, desires, and hopes. Return involves overcoming and surviving many spiritual and material dangers.

The artistic world of Temur Babluani's novel is rich in adventurous spatio-temporal twists and turns, deceptive stories characteristic of the picaresque genre. The writer is well acquainted with human psychology and the abysses of the soul, so the reader wanders alongside the novel's heroes through the realms of bright ideals and dark instincts. Thanks to care, surprise, admiration, and amazement, one is prompted to reconsider existential, "cursing" questions.

The reader will traverse the labyrinths and crossroad of life with the novel's heroes and will once again be convinced of the strength of human will and the power of love. The main character is saved by a simple love, trampled by life, insulted by people, but still the purest and most undisturbed love.

მაია ჯალიაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი*

ცხოვრების გზაჯვარედინები
(თემურ ბაბლუანის რომანი „მზე, მთვარე და პურის ყანა (მანუშაკა მელოდება)“

მსოფლიო ლიტერატურის ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პარადიგმა გზაა, რომელსაც თანაბარი გატაცებით, განსხვავებული მიზნითა და სურვილით გაჰყავს შინიდან ბიბლიური უძღვები შვილიცა და ჰომეროსის ოდისეესიც, სერვანტესის დონ კიხოტიცა და ჯოისის ლეოპოლდ ბლუმიც და კიდევ ბევრი სხვა. მრავალფეროვანი და ყოველ ჯერზე სხვადასხვაგვარად გამოვლენილი სიყვარული კი არის გზა, რომლითაც ადამიანები შინ ბრუნდებიან: ეს შინ პალიმფსესტური სიმბოლოა. „შინ“ საკუთარი თავიცაა, ღმერთიც, ოჯახიც, ბავშვობაც, სამოთხეც, სამყაროცა და სიცოცხლეც. ამიტომაც ნებისმიერი „დაბრუნება“ გულისხმობს მითოლოგიური, ბიბლიური თუ ლიტერატურული პარადიგმების აღუზიებს. შინიდან გასვლა სამყაროსა თუ საკუთარი თავის შესაცნობად დიდი თავგადასავლების, ოცნებათა და სურვილთა, იმედების ილუზიური ხორცშესხმის დასაწყისად იქცევა. დაბრუნება უამრავ გზაჯვარედინის, სულიერ-მატერიალური ხიფათის გადალახვასა და გადარჩენას გულისხმობს.

თემურ ბაბლუანის ამ რომანის მხატვრული სამყარო მდიდარია სათავგადასავლო დრო-სივრცული პერიპეტეებით, პიკარესკული ჟანრისთვის დამახასიათებელი თაღლითური ისტორიებით. მთავარი კი ადამიანის ბედის წარმოჩენაა, რომელიც შემთხვევით, მოულოდნელ თუ ლოგიკურ და კანონზომიერ მოვლენათა კვალდაკვალ იქმნება, მხატვრულ ტექსტში გაუჩინარებული ავტორის ხელით იქსოვება და იხლართება. მწერალი კარგად იცნობს ადამიანის ფსიქოლოგიას, მისი სულის უფსკრულებს, ამიტომაც მკითხველი რომანის გმირებთან ერთად იხეტიალებს ნათელი იდეალებისა და ბნელი ინსტიტუტების საუფლოებში და შეშფოთების, გაოცების, აღტაცებისა და გაოგნების წყალობით კიდევ ერთხელ ჩაუფიქრდება ეგზისტენციალურ, „წყევლა-კრულვიან“ საკითხავებს.

მკითხველი რომანის პერსონაჟებთან ერთად გზას გაიკვალავს ცხოვრებისეულ ლაბირინთებსა და გზაჯვარედინებზე, კიდევ ერთხელ დარწმუნდება ადამიანური ნების სიმტკიცესა და სიყვარულის ძალაში. ამ რომანის მთავარ გმირსაც ერთი უბრალო, ცხოვრებისგან გათელილი, ადამიანებისაგან შეურაცხყოფილი, მაგრამ მაინც ყველაზე წმინდა და შეუბღალავი სიყვარული გადაარჩენს.

თემურ ბაბლუანის რომანი კიდევ ერთხელ არწმუნებს ადამიანს პავლე მოციქულის სწავლებათაში: „სიყვარული არასოდეს მთავრდება“. მისი ეს დაუსრულებლობა კი ადამიანის არჩევანზე დამოკიდებულია. მწერალმა თანამედროვე ადამიანს, ტექნოლოგიური განვითარების თავბრუდამხვევ პროცესში ჩართულს, ღვთისგან მიტოვებულობის განცდით რომ ეხეთქება არარაობას, სიცოცხლის გადამრჩენის ვალდებულება და პასუხისმგებლობა დააკისრა.

Mzia Jamagidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgia, Tbilisi

Concept of Heterotemporality in the Novel "A Lizard on the Grave Stone "

by Archil Kikodze

Georgian literary process of the 21st century shows that along with modern challenges, Georgian literature is actively incorporated in re-determining and re-identifying national time and space. Many fictional texts are created to evaluate and overcome the national past and traumas and simultaneously recall forgotten pasts and narratives to redefine and recreate modern national narratives. At the same time, migrant and diasporic literature is also rising, which creates an opportunity to analyze and re-contextualize national issues from other migrants' points of view. This paper aims to discuss one such strategy – the concept of heterotemporality by analyzing the novel "A Lizard on the Grave Stone" (2021) by Archil Kikodze. We analyze how the writer envisions the national culture's perspective and place in global space. We argue that a heterotemporal vision of space forms and defines the modern national/cultural identity.

მზია ჯამაგიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

ჰეტეროტემპორალობის კონცეფცია არჩილ ქიქოძის რომანში „ხვლიკი საფლავის ქვაზე“

21-ე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე თვალის გადავინახება დაგვანახებს, რომ არსებული გამოწვევების შესაბამისად, ქართული მწერლობა აქტიურად არის ჩართული ლოკალური/ნაციონალური სივრცისა და დროის ხელახალი თვითგანსაზღვრისა და თვითიდენტიფიკაციის პროცესში. იქმნება არაერთი მხატვრული ტექსტი, რომელშიც მთავარი ფოკუსი, ერთი მხრივ, წარსული გამოცდილების და ტრავმების გადამუმავება და შეფასება და ამასთანავე, დავიწყებული ისტორიის და ნარატივების გახსენებაა, რის საფუძველზეც თანამედროვე ნაციონალური კულტურული ნარატივები იქმნება; ძლიერდება ასევე მიგრანტული და დიასპორული ლიტერატურაც, რომელიც გარე პერსპექტივიდან ახდენს ნაციონალური სივრცის ანალიზსა და რეკონტექსტუალიზებას და.ა.შ. ამჯერად მოხსენებაში განვიხილავთ ჰეტეროტემპორალობის კონცეფციას არჩილ ქიქოძის რომანში „ხვლიკი საფლავის ქვაზე“ (2021); ვიმსჯელებთ როგორ აყალიბებს მოდერნიზებულ კულტურულ/ნაციონალურ იდენტობას სივრცის ჰეტეროტემპორალური აღქმა და როგორ წარმოისახავს მწერალი ნაციონალური კულტურის პერსპექტივასა და ადგილს გლობალურ სივრცეში.

Ketevan Jishiashvili

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi*

Eastern Connotations of Space According to Poems by Terenti Graneli and Paddy Bushe

The depiction of space in poetry merges psycho-emotional and material dimensions. Cultural heritage delineates different types of spaces; in Eastern painting and poetry, there exists a distinct model influenced by Chinese philosophy. Here, nature holds a dual significance, being both a constant and continuously evolving material entity.

In the poem 'Spring Evening' by Terenti Graneli and the poem 'White Egrets' by Irish poet Paddy Bushe (1984), the image of birds becomes a symbolic motif representing the intersection of the inner and external worlds of the poet. In Graneli's poem, the portrayal of nature serves as the locus of eternity and the poet's spiritual world. This spatial principle implies categories such as harmony, emptiness, an infinite scale, the seamless blending of oneself within the landscape, and the unity of the eternal and the momentary.

The structure of 'I' in both poems is connected with the image of the bird and represents a symbolic icon of its vitality. In Graneli's poem, it embodies emerging energy and joy, simultaneously symbolizing the boundary between the sky and the earth. (The motif of birds holds symbolic significance in Chinese painting. The "birds and flowers" style has evolved as an independent tendency).

In the poem "White Egrets," the image of birds highlights the "I" structure against the backdrop of the urban environment. This image serves as a conduit, allowing penetration into the primary reality from the secondary urban environment. This penetration is facilitated by the image of egrets depicted on the eastern silk cloth. Its delicate material acts as the borderline layer that still adheres to the natural forms of vital rhythms: the murmurs of eternity rustle through the wind.

ქეთევან ჯიშიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

სივრცის აღმოსავლური კონტაქტები ტერენტი გრანელისა და პატი ბუმის ლექსების მიხედვით

პოეზიაში სივრცის აღწერა მატერილურ და ფსიქო-ემოციურ განზომილებას აერთიანებს. კულტურული მემკვიდრეობა სივრცის განსხვავებულ ტიპებს მონიშნავს. აღმოსავლურ ფერწერასა და პოეზიაში გვხვდება ჩინური ფილოსოფიით ნასაზრდოები სივრცის მოდელი, სადაც ბუნება, როგორც მარადიული და ამავდროულად მუდმივად ცვალებადი მატერია, განსაკუთრებულ ნიშნობრივ დატვირთვას იძენს.

ტერენტი გრანელის ლექსში „გაზაფხულის სადამო“ და ირლანდიელი პოეტის პადი ბუმის (1984) ლექსში „თეთრი ყანჩები“ ჩიტის გამოსახულება პოეტის შინაგანი სამყაროსა და გარესამყაროს ურთიერთდამაკავშირებელი სიმბოლური ხატი ხდება. ტერენტი გრანელის ლექსში ბუნების სურათი მარადისობისა და ადამიანური სულიერი სივრცის თანხვედრის ტოპოსის დატვირთვას იძენს. ეს სივრცული პრინციპი, აერთიანებს ისეთ კატეგორიებს, როგორცაა ჰარმონიულობა, სიცარიელე, უსასრულო მასშტაბი, ადამიანის უნაწიბურო განლევა სურათში, მარადიულისა და წამიერის ერთიანობა.

„მეს“ სტრუქტურა ორივე ლექსში უშუალოდაა დაკავშირებული ჩიტის სახესთან და მისი სიცოცხლისუნარიანობის სიმბოლურ ხატს წარმოადგენს. გრანელთან ეს შინაგანი მოძრაობის აღძვრის, სიხარულის განსხეულებაა, ამასთან, იგი ზეცისა და მიწის მიჯნაზე მყოფი ზღვრული მოვლენაა (აღმოსავლურ სივრცულ მოდელში სიმბოლურ ადგილს იკავებს ჩიტის ხატი. „ჩიტებისა და ყვავილების“ სტილი ხელოვნებაში ცალკე მიმართულებად ყალიბდება).

ლექსში „თეთრი ყანჩები“ ჩიტის სახე ემსახურება „მეს“ გამოკვეთას ურბანული გარემოს ფონზე. იგი სახე-ფუნქციაა, რომელიც მეორად გარემოში პირველადთან შეღწევის საშუალებად იქცევა. ურბანული დანაშრევიდან მიღმიურ სივრცეში გარღვევა აბრეშუმის აღმოსავლურ ფარდაზე გამოსახული ყანჩების მეშვეობით ხდება. მისი მატერია ის ფაქიზი, ზღვრული შრეა, რომელიც სამყაროს სიცოცხლის ბუნებრივ ფორმებს ემორჩილება: აბრეშუმის ზედაპირი ქარის დაბერვისას ლივლივებს და ურბანული ქაოსში მარადისობის რხევებს ეპასუხება.

Maka Jokhadze

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi*

A Novel about the Beginning of a Global Destruction

The documentary prose –this genre is immensely popular in Europe. One of the main reasons for it is the total lie the whole world is immersed in. Even literature, which is such a noble lie, no longer interests people with its fiction, imaginary reality and aesthetics. Truth and justice have been suppressed in the world in such a way that there is demand and nostalgia for them. It feels like to miss home after a long and stormy journey.

The road paradigm, which involves the problem of both having and not having home (“I am thirsty for you like a homeless person wanting to be at home”), may be considered to be the second main thesis of the novel. This issue is of vital importance in the world, particularly Otar Chkheidze’s “In my Shrine”. The road can be understood in two different ways. If we apply a biblical understanding of the road, this road is gone by everybody since everyone is the prodigal son. This biblical scale covers the whole world. The biblical departure and arrival must imply a wander in search of something. Not only is this search sinful (there are so many falls and failures on the road), but it is a search for experience and discovery, during which one finds out that nothing compares to the feeling of returning home. This road is gone by a person of any religion or nationality; this is a road gone by one trying to get a lost homeland –i.e. heaven– back.

მაკა ჯოხაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი*

რომანი გლობალური რღვევის დასაწყისზე

დოკუმენტური პროზა – ეს ჟანრი უაღრესად პოპულარულია ევროპაში. პროცენტული თანაფარდობით, სხვა ჟანრებთან შედარებით, აღმოჩნდა, რომ მთელ მსოფლიოში დოკუმენტური პროზა გაცილებით უფრო დიდი ტირაჟებით გამოდის. ვფიქრობ, რომ ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ის ტოტალური ტყუილი და სიცრუეა, რომელშიც მთელი მსოფლიოა ჩაძირული. თვით ისეთი კეთილშობილური ტყუილიც კი, როგორცაა მხატვრული შემოქმედება, თავისი გამონაგონით, წარმოსახული რეალობითა და ესთეტიკით, უკვე ნაკლებ აინტერესებთ ადამიანებს. ჭეშმარიტება და სამართლიანობა იმდენად დაჩაგრულია სამყაროში, რომ სწორედ მის მიმართ გაჩნდა დიდი მოთხოვნილება და ნოსტალგია. ისეთი განცდა ჩნდება, ხანგრძლივი მოგზაურობის მერე თავისი ნავთსაყუდელი, მშობლიური სახლი, თავისი სავანე რომ მოენატრება კაცს.

გზის პარადიგმა, რომელიც ბინისა თუ უბინაობის პრობლემასაც მოიყოლიებს („მომწყურდი ახლა, ისე მომწყურდი, ვით უბინაოს ყოფნა ბინაში“), ამ რომანის მეორე თეზისადაც შეიძლება მოვიაზროთ. ეს პრობლემა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ზოგადად სამყაროში და კერძოდ ოთარ ჩხეიძის „ჩემს სავანეში“. საქართველოს ორ ქალაქს შორის, თბილისსა და გორს შორის გადებული სამანქანო თუ სარკინიგზო გზა, ყოველდღიურად, როგორც წყალს უდაბნოში, ისე ეზიდება აქეთ-იქით თავის სამეცნიერო პოტენციალს – ორი, მეტად ნიშანდობლივი სიტყვით რომ განისაზღვრება: ჩამომსვლელები და ადგილობრივები (დამხვედურები). აქ გზის ორგვარი გააზრება შეიძლება მოხდეს, ორივე გააზრებას თავისი საფუძველი გააჩნია. თუ ჩვენ მივმართავთ გზის ბიბლიურ გაგებას, ამ გზას თითქმის ყველა გადის, რადგან ყველა შვილია და თანაც უძღვები. ეს ბიბლიური მასშტაბი მოიცავს მთელი სამყაროს ტრანექტორიას, ამ ბიბლიურ წასვლა-დაბრუნებაში სწორედ ძიების გზაზე ხეტიალი მოაიზრება. ძიება გარეგანში, სხვაგან, სხვაში, ძიება არა მხოლოდ როგორც ცოდვის მომტანი, გამამრავლებელი (ძიების გზაზე ხომ ასე ხშირია დაცემა), არამედ ძიება, როგორც გამოცდილება და აღმოჩენა, რომ ყველაზე სანუკვარი და სასურველი ჭეშმარიტი მამის სახლში, მამის წიაღში დაბრუნებაა. ეს გზა ნებისმიერი აღმსარებლობის, ნებისმიერი ეროვნების მატარებელთა გზაა, ზოგადად, გზასამცდარი ადამიანის გზაა დაკარგული თავდაპირველი სამშობლოს – სამოთხის დაბრუნების მცდელობისას.

Manana Kajaia

Georgian Technical University

Georgia, Tbilisi

One Aspect from Niko Nikoladze's Journalism

Georgian society in the 19th century actually had to go through the historical processes at an accelerated pace, which had been going on relatively slowly and regularly for almost three centuries in Europe. In addition, we should take into account that those brought up in the European-style system (gymnasium-university) started their intensive work in the Georgian society only in the 60s. That is why the Georgian intelligentsia had to play a very difficult role. It became the bearer and spreader of national liberation ideas and various kinds of social reforms almost at the same time.

The public trends of 1860-1930 are analyzed based on the publicism of the great thinker of the 19th century, Niko Nikoladze and on historical facts. It should be noted that Niko Nikoladze, a publicist and literary researcher, was one of the first to foresee the future of the country and to be its supporter.

It is especially important to consider Niko Nikoladze's conceptual views, as well as his attitude to literary criticism in general. In the letter "Criticism and its importance in literature" Niko Nikoladze talks to the reader in plain, simple language about the purpose of criticism and emphatically notes that if the writer's call is to "correctly and intelligently express people's life, character, morals, needs and thoughts", the purpose of criticism is to keep an eye on writing, note its character and compare its meaning.

It should be noted that Niko Nikoladze was one of the first to notice „Kudabzika” as a phenomenon, as a character. On a valid note, the writer must influence the reader through images alone. Giorgi Tsereteli, an artist, very often becomes his own commentator.

As N. Nikoladze notes, the appearance of G. Tsereteli's "Traveler's Books" was met with great satisfaction by the readers. The whole society paid attention to the talent of the novice author. "This man introduced us to something unknown", – as if the reader could feel it.

The critic referred to the work "Traveler's Books" and pointed out both its positive and negative aspects. It should be noted here that N. Nikoladze gives the most real and objective conclusion among G. Tsereteli's contemporary critics, and, moreover, his opinions are very close to G. Tsereteli's second great contemporary, Akaki Tsereteli. On the other hand, Niko Nikoladze made a critical-literary commentary on the characters bearing the signs of "Kudabzikoba" or so-called "Autumn Nobility" depicted in Giorgi Tsereteli's artistic writings.

მანანა ქაჯაია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საქართველო, თბილისი

ერთი ასპექტი ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტიკიდან

ქართველ საზოგადოებას XIX საუკუნეში, ფაქტობრივად დაჩქარებული ტემპით უხდებოდა იმ ისტორიული პროცესების გავლა, რომლებიც ევროპაში თითქმის სამი საუკუნე შედარებით ნელა და კანონზომიერად მიმდინარეობდნენ. ამასთან, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ევროპული სტილის სისტემით (გიმნაზია-უნივერსიტეტი) აღზრდილნი ქართულ საზოგადოებაში ინტენსიურ მოღვაწეობას მხოლოდ 60-იანი წლებიდან იწყებდნენ. სწორედ ამიტომ, ქართველ ინტელიგენციას ძალიან რთული როლის შესრულება მოუხდა. იგი გახდა თითქმის ერთდროულად ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეათა და სხვადასხვა სახის სოციალური რეფორმების გამტარებელი და გამავრცელებელი.

XIX საუკუნის დიდი მოაზროვნის, ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტიკაზე, ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით გაანალიზებულია 1860-1930 წ.წ. საზოგადოებრივი მიმართულებები. აღსანიშნავია, რომ ნიკო ნიკოლაძემ, პუბლიცისტმა და ლიტერატურულმა მკვლევარმა ერთ-ერთმა პირველმა შეძლო, განეჭვრიტა ქვეყნის მომავალი და მისი ქომაგი ყოფილიყო.

განსაკუთრებით მნიშვნელობა აქვს ნიკო ნიკოლაძის კონცეპტუალურ შეხედულებათა გათვალისწინების გარდა, მისი ზოგადად ლიტერატურული კრიტიკისადმი დამოკიდებულების გათვალისწინებასაც. წერილში „კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში“ ნიკო ნიკოლაძე სადა, უბრალო ენით ესაუბრება მკითხველს კრიტიკის დანიშნულებაზე და ხაზგასმით აღნიშნავს, თუ მწერლის მოწოდებაა „სწორედ და გონიერად გამოხატოს ხალხის ყოფა-ცხოვრება, ხასიათი, ზნე, მოთხოვნილება და აზრი“, კრიტიკის მიზანია, თვალი ადევნოს მწერლობას, შენიშნოს მისი ხასიათი და შეადაროს მისი მნიშვნელობა.

აღსანიშნავია, რომ ნიკო ნიკოლაძე იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც „კუდაბზიკობა“, როგორც სახე, მოვლენა შენიშნა. მართებული შენიშვნით, მწერალი მკითხველზე მარტო სურათებით უნდა მოქმედებდეს. გიორგი წერეთელი კი მხატვარი, ძალიან ხშირად თავისივე კომენტატორი ხდება. გიორგი წერეთლის ბევრ პერსონაჟს ეტყობა სქემატურობა.

კრიტიკოსი შეეხო თხზულებას „მგზავრის წიგნები“ და არ გამოპარვია მისი, როგორც დადებითი, ასევე, უარყოფითი მხარეებიც, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გ. წერეთლის თანამედროვე კრიტიკოსთა შორის ყველაზე უფრო რეალურ და ობიექტურ დასკვნას სწორედ ნ. ნიკოლაძე იძლევა და, ამასთან, მისი მოსაზრებები ძალიან ახლოს დგას გ. წერეთლის მეორე დიდი თანამედროვის – აკაკი წერეთლის ნააზრევთან.

გიორგი წერეთლის მხატვრულ ნაწერებში ასახული „კუდაბზიკობის“ ანუ ე. წ. „შემოდგომის აზნაურთა“ ნიშნების მატარებელი პერსონაჟების კრიტიკულ-ლიტერატურული კომენტირება კი, თავის მხრივ, ნიკო ნიკოლაძემ მოახდინა.

Tamar Kakhetelidze

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Georgia, Tbilisi*

Film Adaptation of a Literary Work from the Perspective of Linguistic and Intermediality

Bringing a literary work to life on the screen is an accepted and established form for the modern film industry. However, if we consider the literature from a linguistic point of view in the background of certain screen changes, today it is gaining more relevance. First of all, the paper will focus on the overview of the literary film adaptation, the ways of its development, the relationship between literature and film, which is a complex phenomenon, with a number of differences and similarities from the linguistic, cultural, historical, social point of view, and we will outline the problematic issues that, what is revealed in the process of turning a literary text into a film. We will discuss the opinions of modern authors on the concept of intermediality and its value as a research/analytical method of literature, film (Rajewsky, Schneider, Paech and others).

On the one hand, the film adaptation, due to its ambivalent nature, may be considered as a separate independent text/work, on the other hand, we expect it to be subordinated to the literary source/original (see Fischer 2011, according to Binder/Engel).

The film "Effi Briest" (1970) based on the novel of the same name by Theodor Fontane by Wolfgang Luderer is selected as the material for analysis. The film was created in the era of the DDR, which also shows changes in the film adaptation compared to the original based on the historical, political, social

background. In the process of transforming a literary text into a film, time, story line, place of action, sequence of actions, content, language structure is transformed. Literary text consists of written language and therefore has a linguistic narrative style, while the most important in the film is visual language, oral speech, non-verbal language, such as mime, gesticulation. The film tells the story through different techniques, it is the verbal, genre, monologue and dialogue, written and oral text differences that are the focus of linguistic and film analysis. However, it is worth noting that literature has an advantage over film, where the reader visualizes characters, actions, symbols, metaphors, and film is focused on one specific option (see Fischer 2011).

თამარ კახეთელიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო, თბილისი

ლიტერატურული ნაწარმოების კინოადაპტაცია ლინგვისტიკისა და ინტერმედიალობის პერსპექტივიდან

ლიტერატურული ნაწარმოების ეკრანზე გაცოცხლება თანამედროვე კინოინდუსტრიისათვის მიღებული და დამკვიდრებული ფორმაა. თუმცა, ლიტერატურა გარკვეული ეკრანული ცვლილებების ფონზე ლინგვისტურ ჭრილშიც განვიხილოთ, დღეს მეტ აქტუალობას იძენს. უპირველეს ყოვლისა, ნაშრომში აქცენტები დაისმება ლიტერატურული კინოადაპტაციის მიმოხილვაზე, მისი განვითარების გზებზე, ლიტერატურასა და ფილმს შორის მიმართებაზე, რომელიც კომპლექსური, რთული მოვლენაა, მთელი რიგი ენობრივი, კულტურული, ისტორიული, სოციალური განსხვავებებითა და მსგავსებებით, გამოვკვეთთ იმ პრობლემურ საკითხებს, რაც ლიტერატურული ტექსტის ფილმად ქცევის პროცესში ვლინდება. განვიხილავთ თანამედროვე ავტორების მოსაზრებებს ინტერმედიალობის ცნებისა და მისი როგორც ლიტერატურის, ფილმის (კინოხელოვნების) საკვლევი/საანალიზო მეთოდის რაობაზე (რაიევსკი, შნაიდერი, პეხი და სხვანი).

ერთი მხრივ, კინოადაპტაცია, ამბივალენტური ბუნებიდან გამომდინარე, შესაძლოა ცალკე დამოუკიდებელ ტექსტად/ნაწარმოებად განვიხილოთ, მეორე მხრივ გვაქვს მოლოდინი, რომ ის ლიტერატურული პირველწყაროს/ორიგინალს დაექვემდებარება (შდრ. ფიშერი 2011, ბინდერ/ენგელის მიხედვით).

საანალიზო მასალად შერჩეულია ვოლფგანგ ლუდერერის თეოდორ ფონტანეს ამავე სახელწოდების რომანის საფუძველზე გადაღებული ფილმი „ეფი ბრისტი“ (1970). ფილმი შექმნილია გდრ-ის ეპოქაში, რაც ასევე ისტორიული, პოლიტიკური, სოციალური ფონიდან გამომდინარე, კინოადაპტაციაში ორიგინალთან მიმართებით ცვლილებებს წარმოაჩენს. ლიტერატურული ტექსტის ფილმში გარდაქმნის პროცესში დრო, სიუჟეტური ხაზი, მოქმედების ადგილი, მოქმედებათა თანამიმდევრობა, შინაარსობრივი, ენობრივი სტრუქტურა გარდაიქმნება. ლიტერატურული ტექსტი წერილობითი ენისგან შედგება და ამიტომ აქვს ნარატიული ენობრივი სტილი, ხოლო ფილმში ყველაზე მნიშვნელოვან როლს ვიზუალური ენა, ზეპირი მეტყველება, ამას დამატებული არავერბალური ენა, როგორებიცაა მიმიკა, ქესტიკულაცია, ასრულებს. ფილმი ამბავს გვიყვება განსხვავებული სცენური, ეკრანული ხერხების საშუალებით, სწორედ ენობრივი, ჟანრობრივი, მონოლოგური და დიალოგური, წერილობითი და ზეპირი ტექსტის განსხვავებები ექცევა ლინგვისტური და ფილმის ანალიზის ობიექტივში. თუმცა, აღნიშვნის ღირსია, რომ ლიტერატურას ფილმთან შედარებით აქვს უპირატესობა, მკითხველი ვიზუალურად წარმოიდგენს პერსონაჟებს, მოქმედებებს, სიმბოლოებს, მეტაფორებს, ფილმი კი ერთ კონკრეტულ ვარიანტს სჯერდება (შდრ. ფიშერი 2011).

Khatuna Kalandarishvili

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Georgia, Tbilisi*

Christian Understanding of the Meaning of Life in the Prosaic Works of Vazha-Pshavela

In the rich literary heritage of Vazha-Pshavela, a creative mind of exceptionally broad horizons, a special place is held by his short-form prosaic works, which shed light on the writer's world-view and the personal thoughts regarding the meaning of life.

Vazha's prose was always the subject of researchers' attention as it allowed for virtually endless analyses from various perspectives because of its deep, philosophical nature. In the context of analyzing Vazha's works, people have talked about pantheism and anthropomorphism, the symbolic descriptions of national thematics, humanistic positions, etc. In our opinion, Vazha-Pshavela's prose provides the most fertile basis to be analyzed in the context of Christian teachings. The ideals demonstrated in the stories: "Mtis Tskharo (Mountain Spring)," "Fesvebi (Roots)," "Mtani Maghalni (The Mountains Tall)," "Klde Mtirali (The Weeping Cliff)," "Kldem Mkholid Ertkhel Stqua (The Cliff Spoke Once)," "Quchi (Mountain Grass)," "Ia (Violet)," "Khmeli Tsipeli (The Old Beech)," and others – fundamentally point towards a Christian world-view.

Christian teachings underline the organic necessity of a human's connection to nature, and the great writer's works show that it is his aspiration to study this connection, and to reason about how it transforms in the contemporary world. We should see that this is further proven by the fact that all the different creations of nature are anthropomorphized in Vazha's works and prosaic stories, a tendency that is inherently different from the works of all the other authors.

With his stories, Vazha-Pshavela aspires to create a world which is governed by ethical and moral norms informed by Christian teachings. This sheds light on his thoughts regarding the meaning of human life, which points towards human ascension and the spiritual return within God's Grace. This general tendency of Vazha's works is shown and illustrated with various aspects in his literary heritage. In this way, the short-form prosaic specimens of Vazha's works are extremely interesting, as they place readers on a solid moral foundation and talk to them about their nature and their purpose in life. It is Vazha's goal to create an artistic world in which life itself is depicted as an ethical phenomenon.

In the epoch of global technological domination, which facilitated spiritual crises among modern people, Vazha's prose shines through, demonstrating the human values that are invaluable for every era and society.

ხათუნა კალანდარიშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი*

სიცოცხლის საზრისის ქრისტიანული გაგება ვაჟა-ფშაველას მხატვრულ პროზაში

ვაჟა-ფშაველას, ამ უაღრესად ფართო თვალსაწიერის მქონე შემოქმედის, მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს მისი მცირე ზომის პროზაული ნაწარმოებები, რომლებიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მწერლის მსოფლმხედველობასა და ადამიანის დანიშნულების მისეულ გააზრებაზე.

ვაჟას მხატვრული პროზა იმთავითვე საგანგებო ყურადღების საგანი იყო მკვლევარებისათვის, რამდენადაც, თავისი ღრმა და ფილოსოფიური ხასიათის გამო, სხვადასხვა ასპექტით გააზ-

რების უშრეტ შესაძლებლობებს იძლეოდა. ვაჟას პროზის გაანალიზების კონტექსტში უსაუბრიათ პანთეიზმსა და ანთროპომორფიზმზე, ეროვნული თემატიკის სიმბოლურ გამოხატვაზე, ჰუმანისტურ პოზიციაზე და ა.შ. ჩვენი შეხედულებით, ვაჟა-ფშაველას მხატვრული პროზა ყველაზე ნოყიერ საფუძველს მისი ქრისტიანული მოძღვრების შუქზე გააზრებისათვის გვთავაზობს. მოთხრობებში: „მთის წყარო“, „ფესვები“, „მთანი მალაღნი“, „კლდე მტირალი“, „კლდემ მხოლოდ ერთხელ სთქვა“, „ქუჩი“, „ია“, „ხმელი წიფელი“ და სხვ. – გამოკვეთილი იდეალები ქრისტიანული მსოფლმხედველობის ფუნდამენტური გამოხატულებაა.

ქრისტიანულ სწავლებაში დადასტურებულია ადამიანის ორგანული სიახლოვე ბუნებასთან და ვაჟას შემოქმედებაც გვიჩვენებს, რომ დიდი მწერლის სწრაფვა სწორედ ამგვარი სიახლოვის გამოკვლევის, თანამედროვე რეალურ სამყაროში მისი ტრანსფორმაციის განხილვისა და ჩვენებისკენ არის მიმართული. ამ ტენდენციის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ ბუნების ქმნილებათა ის საყოველთაო გაპიროვნების ფაქტი, რომელიც იმთავითვე გამოარჩევს დიდი ვაჟას შემოქმედებას და საკუთრივ მის პროზაულ თხზულებებს ყველა სხვა ავტორის ნაწარმოებებისაგან.

ვაჟა-ფშაველა ისწრაფვის თავისი თხზულებებით შექმნას ისეთი მხატვრული სამყარო, რომელშიც სწორედ ქრისტიანული მოძღვრებით ნაკარნახევი ეთიკურ-ზნეობრივი ნორმები მოქმედებს. ამით ცხადდება დიდი მწერლის თვალსაზრისი ადამიანის სიცოცხლის საზრისთან, მის ამქვეყნიურ დანიშნულებასთან დაკავშირებით; რაც ადამიანის ამაღლებისაკენ, სულიერად მისი ღვთის წიადში დაბრუნებისკენ არის მიმართული. ვაჟას შემოქმედების ეს ზოგადი ნიშანი სხვადასხვა ასპექტით არის გამოკვეთილი და სხვადასხვაგვარი მასალით ილუსტრირებული მის მხატვრულ მემკვიდრეობაში. ამ კუთხით უაღრესად საინტერესოა ვაჟას მცირე ზომის მხატვრული პროზის ნიმუშებიც, რომლებიც მტკიცე ზნეობრივ საფუძველზე აყენებენ მკითხველს და ადამიანის რაობასა და დანიშნულებაზე ესაუბრებიან. ვაჟას მიზანია, შექმნას ისეთი მხატვრული სამყარო, რომელშიც სიცოცხლე წარმოჩენილი იქნება, როგორც ეთიკური ფენომენი.

ტექნოლოგიების გლობალური ბატონობის ეპოქაში, რამაც გარკვეულწილად სულიერების კრიზისი გამოიწვია თანამედროვე ადამიანებს შორის, ვაჟა-ფშაველას პროზა წარმოადგენს იმ მარადიული ადამიანური ღირებულებების გამოხატულებას, რომლებიც ყოველ დროსა და საზოგადოებაში ფასეულია.

Salome Kapanadze

Grigol Robakidze University

Georgia, Tbilisi

Transformation of war Narrative – "Encounter" in Literature (Abkhaz writers on war and peace)

The aim of the paper is to study the importance of culture as an unconditional leader in the process of restoration of Georgian-Abkhazian relations. This lever is highly reliable and impressive in its results. In the Georgian-Abkhaz space, which is still divided by war, culture undertakes to take care of the transformation of the emotional traces of the conflict and to ensure its prevention in the future. It is constitutional that, despite individual efforts, this mission of culture cannot be covered by a national narrative, since the memory of Georgians and Abkhazians preserves an impressive period of cultural-literary coexistence. The most satisfied with the results of the conflicts that arose in the post-Soviet space was the system whose mental traces, unfortunately, have not yet been erased from people's memories. In memory. Literary-cultural relations determine that the euphoria of enjoying the victory is transformed into higher, moral-ethical feelings, and it is deconstructed into the feeling of regret, unconditional under-

standing of mistakes. In the post-conflict period, the start of this process is related to the Georgian side. The peaceful accents of Guram Odisharia's novels and self-reflections on the causes of war, his informal meetings with the Abkhaz side gave us the first results, the continuation of which is the project "Meeting" published in 2023. The article analyzes the prose of Abkhaz women writers participating in this project. Research has shown that this is a new perspective on war and peace that we believe is important and promising in the process of rebuilding trust.

სალომე კაპანაძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

საქართველო, თბილისი

ომის ნარატივის ტრანსფორმაცია – „შეხვედრა“ ლიტერატურაში (აფხაზი მწერლები ომსა და მშვიდობაზე)

ნაშრომის მიზანია შეისწავლოს კულტურის, როგორც უპირობო ლიდერის მნიშვნელობა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობების აღდგენის პროცესში. ეს ბერკეტი უაღრესად საიმედო და შთამბეჭდავია თავის შედეგებით. ქართულ-აფხაზური ურთიერთობების სივრცე ომით არის გაყოფილი. კულტურა ვალდებულებას იღებს იზრუნოს კონფლიქტის ემოციური კვალის ტრანსფორმაციაზე და მომავალშიც უზრუნველყოს დაპირისპირების პრევენცია. კონსტიტუციურია, რომ მიუხედავად ცალკეული მცდელობისა, კულტურის ეს უნიკალური მისია ვერ გადაიფარება ნაციონალური ნარატივით, ვინაიდან ქართველთა და აფხაზთა მეხსიერება ინახავს კულტურულ-ისტორიული თანაცხოვრების შთამბეჭდავ პერიოდს. პოსტსაბჭოთა სივრცეში გაჩენილი კონფლიქტების შედეგით ყველაზე კმაყოფილი ის სისტემა აღმოჩნდა, რომლის მენტალური კვალიც, სამწუხაროდ, ჯერაც არ არის წაშლილი ადამიანების მეხსიერებაში. სწორედ ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობები განაპირობებს იმას, რომ გამარჯვებით ტკბობის ეიფორია ტრანსფორმირდება უფრო მაღალ, ზნეობრივ-ეთიკურ განცდებში და დეკონსტრუირდება სინანულის, შეცდომების უპირობო გააზრებაში. პოსტკონფლიქტურ პერიოდში ამ პროცესის დაწყება ქართულ მხარეს უკავშირდება. გურამ ოდიშარიას რომანების სამშვიდობო აქცენტებმა და თვითრეფლექსიებმა ომის მიზეზებზე, მისმა არაფორმალურმა შეხვედრებმა აფხაზურ მხარესთან მოგვცა პირველი შედეგები, რომლის გაგრძელებასაც წარმოადგენს 2023 წელს გამოცემული პროექტი „შეხვედრა“. ნაშრომში გაანალიზებულია ამ პროექტის მონაწილე აფხაზი ქალი მწერლების პროზა. კვლევამ აჩვენა, რომ ეს არის ახალი ხედვა ომსა და მშვიდობაზე, რომელიც, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი და იმედისმომცემია ნდობის აღდგენის პროცესში.

Lia Karichashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgia, Tbilisi

For the Interrelationship of Ethics and Aesthetics (Rustaveli, Nizami)

Rustaveli's ethical credo is closely intertwined with aesthetics. In "The Knight in the Panther's Skin," morality emerges as the primary factor that defines beauty. The beauty of the main characters is essentially determined by their worldview and ethical beliefs, which are further affirmed by their actions and relationships. Consequently, their images are associated with symbols of beauty, goodness, and strength: the

sun, the lion, the rose, the light, and others. Where morality is lacking, the external image is also deficient, and the character is "ugly."

By integrating ethics and aesthetics, Rustaveli echoes Aristotle's assertion of the inseparability of goodness and beauty (Aristotle employs the term "kalokagathia," which denotes the coexistence of the good and the beautiful). Simultaneously, Rustaveli continues the tradition of spiritual literature, where beauty is defined by spiritual virtues. A person is "beautiful" to the extent that they retain their original form, the image of God. It is no coincidence that in Old Georgian, the word for good also signifies beautiful.

In Rustaveli's artistic world, romantic, chivalric, friendly, and social relationships are bound by a specific ethical code of conduct. A broad spectrum of personal virtues is defined: wisdom, generosity, justice, bravery, goodness, charity, humility, tolerance, and more. All of these are also inherently aesthetic.

Despite their religious differences, the ethical and aesthetic positions of Rustaveli and Nizami are similar. Among Nizami's characters are shahs, members of the highest social class, as well as ordinary people: a shepherd, an artist, a stonemason, and others. Their worth is measured not by wealth and power, but by their deeds, their ability to love God and their fellow humans, their justice, and their integrity. In Nizami's work, as in Rustaveli's, external beauty primarily reflects the inner goodness and spiritual beauty of the figure.

For both creators, it is the virtuous person who is considered truly beautiful. The inseparability of the ethical from the aesthetic is viewed as one of the fundamental aspects of a humanistic worldview, one that holds universal, timeless value. This principle is not only evident in the works of Rustaveli and Nizami but also stands as a clear trend throughout the literature of all ages.

ლია კარიჭაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი*

ეთიკურისა და ესთეტიკურის ურთიერთმიმართებისათვის (რუსთაველი, ნიზამი)

რუსთაველის ეთიკური კრედო მჭიდრო კავშირშია ესთეტიკასთან. ზნეობრიობა მშვენიერების გამსაზღვრელ ძირითად ფაქტორად გვევლინება „ვეფხისტყაოსანში“. მთავარ პერსონაჟთა მშვენიერებას არსებითად მათი მსოფლმხედველობრივ-ეთიკური მრწამსი განსაზღვრავს და მათივე ქმედებები და ურთიერთობები ადასტურებს, ამიტომაც უკავშირდება მათ სახეებს მშვენიერების, სიკეთისა და ძლიერების სიმბოლოები: მზე, ლომი, ვარდი, ნათელი და სხვა. სადაც ზნეობა ნაკლოვანია, ნაკლოვანია გარეგნული ხატიც და პერსონაჟი „თვალად ნასია“.

ეთიკურისა და ესთეტიკურის მთლიანობით რუსთაველი ეხმიანება არისტოტელეს დებულებას სიკეთისა და მშვენიერების განუყოფლობის შესახებ (არისტოტელე იყენებს ტერმინს კალოგაკათია, რომელიც კეთილისა და მშვენიერის თანამყოფობას ნიშნავს). ამავე დროს, რუსთაველი აგრძელებს სასულიერო მწერლობის ტენდენციას, რომლის მიხედვით, მშვენიერებას განსაზღვრავს სულიერი სათნოებანი. ადამიანი არის სახიერი, „შუენიერი“, რამდენადაც იგი ინარჩუნებს თავის პირველსახეს, ღვთის ხატობას. შემთხვევითი არ არის, რომ კეთილი/სიკეთე ძველ ქართულში ენაში აღნიშნავს მშვენიერსაც.

რუსთაველის მხატვრულ სამყაროში ქცევათა გარკვეულ ეთიკურ კოდექსს უკავშირდება სამიჯნურო, სარაინდო, მეგობრული და სოციალური ურთიერთობები. განსაზღვრულია პიროვნულ ღირსებათა მთელი სპექტრი: სიბრძნე, სიუხვე, სამართლიანობა, სიმამაცე, სიკეთე, ქველმოქმედება, თავმდაბლობა, შემწყნარებლობა და სხვა. ეს ყოველივე ესთეტიკურიცაა.

მიუხედავად რელიგიური სხვადასხვაობისა, რუსთაველისა და ნიზამის ეტიკური და ესთეტიკური პოზიციები მსგავსია. ნიზამის პერსონაჟთა შორის არიან შაჰები, უმაღლესი სოციალური წრის წარმომადგენლები, ასევე რიგითი ადამიანები: მწყემსი, მხატვარი, ქვისმთლელი და სხვა. მათი ღირსება იზომება არა სიმდიდრითა და ძალაუფლებით, არამედ ღვაწლით, ღვთისა და მოყვასის სიყვარულის უნარით, სამართლიანობითა და პატიოსნებით. გარეგნული მშვენიერება ნიზამის შემოქმედებაში, ისევე როგორც რუსთაველთან, ძირითადად პერსონაჟის შინაგან სიკეთეს, სულიერ სილამაზეს გამოხატავს („გონებით ბრძენს და სილამაზით სახელგავარდნილს / გულზე სულ მუდამ სათნოება ეჭიდებოდა“. „შვიდი მზეთუნახავი“).

ორივე შემოქმედისთვის უპირველესად ზნესრული ადამიანია მშვენიერი.

ეთიკურის განუყოფლობა ესთეტიკურისგან ჰუმანისტური მსოფლმხედველობის ერთ-ერთ ძირითად ასპექტად მიგვაჩნია, რომელიც თავისი მნიშვნელობით უნივერსალური, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებისაა და არა მხოლოდ რუსთაველისა და ნიზამის, არამედ ყველა დროის მწერლობის მკაფიო ტენდენციად გვევლინება.

Lela Khachidze

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Georgia, Tbilisi*

Jodasaph the Indian in Georgian Hymnography

Jodasaph the Indian is first mentioned in the I redaction of the liturgical-hymnographic collection, the Menaion. This collection later served as the foundation for George the Athonite's universal Menaia.

The I redaction of Menaion preserves a group of hymns dedicated to Jodasaph the Indian, notable for their artistic and theological excellence.

Afterwards, the mention of Jodasaph the Indian appears in the Menaion for May compiled by George the Athonite. This collection comprises three small hymns and a hymnographic canon dedicated to Jodasaph the King of Indians. Through the examination of these and other sources, it has been established that the Georgian Church canonized Jodasaph as a saint earlier than the Greek Church (E. Metreveli). This circumstance further substantiates the undeniable connection of the Byzantine version with the Georgian tradition.

In this study, the aim is to establish the relationship between George the Athonite's hymns and their predecessors, which appear to be his primary sources.

One of the main sources of George the Athonite's hymns is the Georgian redaction of Balavariani, where several textual coincidences are observed.

The passages from the Old and New Testaments are frequently found in George the Athonite's hymns. Jodasaph the Indian has been compared to figures such as John the Baptist, as well as the prophets David and Elijah.

It is noteworthy that in these hymns, Jodasaph is revered as the thirteenth apostle, a position of great honor. Additionally, Balavari is also glorified in the hymns alongside Jodasaph the Indian.

The special devotion that the Apostolic Church of Georgia holds for Saint Jodasaph is evident in these hymns dedicated to him.

ლელა ხაჩიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

იოდსაფ ინდოელი ქართულ ჰიმნოგრაფიაში

ქართული „ბალავარიანისა“ და ბერძნული „ბარლამისა და იოასაფის“ მიმართების საკითხი მეცნიერთა თაობების ინტერესის საგანს წარმოადგენს. ამ პრობლემის კვლევისათვის საყურადღებოა ქართული ჰიმნოგრაფიის გათვალისწინებაც.

იოდსაფ ინდოელის ხსენება პირველად გვხვდება მნიშვნელოვანი ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებულის – „თუნის“ I რედაქციაში, კერძოდ, Ier-2 ხელნაწერში (X-XI სს.). „თუნის“ ეს რედაქცია ამ კრებულზე მუშაობის პირველ ეტაპს წარმოადგენს და შემდგომში საფუძვლად დაედო გიორგი მთაწმიდელის უნივერსალურ „თუნს“.

Ier-2 ხელნაწერში დაცულია იოდსაფ ინდოელისადმი მიძღვნილი საგალობლების ჯგუფი, რომლებიც გამორჩეულია მხატვრული და თეოლოგიური სრულყოფით. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ მათი ავტორი თავად ეფთვიმე მთაწმიდელი უნდა იყოს.

ამის შემდეგ იოდსაფ ინდოელის ხსენებას ვხვდებით გიორგი მთაწმიდელის მიერ შედგენილ „მაისის თვენში“, კერძოდ, H-1710 ხელნაწერში (XI ს.). ამ კრებულში შესულია „იოდსაფ ჰინდოთა მეფისადმი“ მიძღვნილი 3 მცირე ფორმის საგალობელი და ჰიმნოგრაფიული კანონი. ამ და სხვა წყაროების განხილვის საფუძველზე დადგენილია, რომ ქართული ეკლესია უფრო ადრე აღიარებს იოდსაფს წმინდანად, ვიდრე ბერძნული (ელ. მეტრეველი). ეს გარემოება კიდევ ერთი დასტურია „ბალავარიანის“ ბერძნული თარგმანის ქართულ ტრადიციასთან უტყუარი კავშირისა.

იოდსაფ ინდოელისადმი მიძღვნილი საგალობლები მრავალმხრივ იმსახურებს ყურადღებას. ამჯერად ჩვენი კვლევის მიზანია გიორგი მთაწმიდელის საგალობლების მიმართების დადგენა წინადროინდელ საგალობლებთან, რომელიც, როგორც ჩანს, მის უშუალო წყაროს წარმოადგენს.

გიორგი მთაწმიდელის ამ საგალობლების ერთ-ერთი ძირითად წყაროს წარმოადგენს აგრეთვე „ბალავარიანის“ ქართული რედაქცია. მათ შორის გვხვდება მთელი რიგი ტექსტობრივი დამთხვევები.

საყურადღებოა აგრეთვე გიორგი მთაწმიდელის ჰიმნოგრაფიული კანონის ძლისპირები, რომლებიც შესული აღმოჩნდა ე.წ. „ნევემირებულ ძლისპირნში“ სათაურით „უცხონი“.

გიორგი მთაწმიდელის საგალობლებში ხშირადაა პასაჟები ძველი და ახალი აღთქმიდან. იოდსაფ ინდოელი შედარებულია იოანე ნათლისმცემელთან, დავით და ელია წინასწარმეტყველებთან, დასახულია მეცამეტე მოციქულად, რაც იშვიათი პატივია. იოდსაფ ინდოელთან ერთად საგალობელში განდიდებულია ბალავარიც.

იოდსაფ ინდოელისადმი მიძღვნილი ეს საგალობლები მოწმობს იმ განსაკუთრებულ ყურადღებას, რასაც საქართველოს სამოციქულო ეკლესია იჩენს ამ წმინდანის მიმართ.

Irina Khatchapuridze

Akaki Tsereteli State University

Georgia, Kutaisi

Globalization in Peter Handke's *The Great Fall*: Identity, Nature, and Society

1. Cultural Identity and Globalization:

Peter Handke's narrative reflects the challenges faced by small countries in preserving their cultural identity in a globalized world. The actor, wandering through the city, embodies the tension between tradition and modernity that many smaller cultures experience.

2. The Role of Nature:

Nature plays a central role in *The Great Fall*. The detailed nature observations and the protagonist's wanderings highlight the importance of nature as a retreat and source of inspiration, which poses a challenge in an urbanized world.

3. Critique of Modern Society:

Peter Handke's work contains a sharp critique of modern society and its values. The protagonist exhibits distrust towards society and highlights its negative aspects, indicating the difficulties of maintaining an identity in a globalized world.

4. Alienation:

The narrative shows the alienation exacerbated by globalized society, reflecting the experience of immigrants from so-called "Third World" countries in the "civilized" world.

5. Language and Culture:

Peter Handke's specific use of language emphasizes the role of language as a protector of cultural identity against global influence

6. The Artist as an Outsider:

The protagonist, an actor separated from society, personifies the artist's isolation in the modern world. This isolation and the search for a deeper understanding of the world reflect the challenges that people often face in modern times.

7. Reintegration into Society:

The narrative also addresses the possibility and difficulties of returning to society. After a stage of isolation, the protagonist tries to reintegrate. Peter Handke highlights the obstacles associated with re-approaching a globalized society

ირინა ხაჭაპურიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო, ქუთაისი

გლობალიზაცია პეტერ ჰანდკეს თხზულებაში „დიდი დაცემა“:

იდენტობა, ბუნება და საზოგადოება

1. კულტურული იდენტობა და გლობალიზაცია:

ჰანდკეს თხზულება „დიდი დაცემა“ ასახავს იმ გამოწვევებს, რომლებსაც მცირე ქვეყნები კულტურული იდენტობის შენარჩუნების თვალსაზრისით აწყდებიან გლობალიზებულ სამყაროში. ქალაქში მოხეტიალე მსახიობი განასახიერებს იმ დაპირისპირებას ტრადიციასა და თანამედროვეობას შორის, რომელსაც ბევრი მცირე კულტურა განიცდის.

2. ბუნების როლი:

თხზულებაში ცენტრალურ როლს თამაშობს ბუნება. ბუნებაზე დეტალური დაკვირვება და მოქმედი პირის ხეტიალი ხაზს უსვამს ბუნების, როგორც თავშესაფრისა და შთაგონების წყაროს მნიშვნელობას, როგორც გამოწვევას ურბანიზებულ სივრცეში.

3. თანამედროვე საზოგადოების კრიტიკა:

თხზულება შეიცავს მკვეთრ კრიტიკას თანამედროვე საზოგადოებისა და მისი ღირებულებების მიმართ. მთავარი გმირი ავლენს საზოგადოებისადმი უნდობლობას და მიგვითითებს მის უარყოფით მხარეებზე, გლობალიზებულ სამყაროში იდენტობის შენარჩუნების სირთულეებზე.

4. გაუცხოება:

ტექსტი გამოხატავს თანამედროვე სამყაროში არსებულ გაუცხოებას, ე.წ. „მესამე სამყაროს“ ქვეყნებიდან ემიგრირებული ადამიანების გამოცდილებას „ცივილიზებულ“ სამყაროში.

5. ენა და კულტურა:

ჰანდკეს მიერ ენის სპეციფიკური გამოყენება ხაზს უსვამს ენის, როგორც კულტურული იდენტობის გლობალური გავლენისგან დამცავი მოვლენის როლს.

6. ხელოვანი, როგორც აუტსაიდერი:

მთავარი გმირი, მსახიობი, რომელიც დაშორდა საზოგადოებას, განასახიერებს ხელოვანის იზოლაციას თანამედროვე სამყაროში. იზოლაცია და სამყაროს ღრმა გაგების ძიება ასახავს იმ გამოწვევებს, რომლებსაც ხშირად განიცდის თანამედროვეობაში ადამიანი.

7. საზოგადოებაში რეინტეგრაცია:

თხზულება შეეხება საზოგადოებაში დაბრუნების შესაძლებლობასა და სირთულეებს. იზოლაციის ეტაპის შემდგომ მთავარი მოქმედი პირი რეინტეგრაციას ცდილობს. პეტერ ჰანდკე ხაზს უსვამს იმ დაბრკოლებებს, რომლებიც დაკავშირებულია გლობალიზებულ საზოგადოებასთან ხელახალ მიახლოებასთან.

Tamar Khetashvili

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Georgia, Tbilisi*

Comparative Analysis of French Translation and Original Text of O. Tchiladze's “Iron Theatre”

From the 1960s onward, there has been an ongoing discussion surrounding the interpretation and technique of an artistic translation. Despite varying viewpoints, field experts acknowledge that translation is a fundamental component of cross-cultural communication. According to Michel Vovelle, translation possesses the capacity to transcend artificially imposed geographical boundaries and cultural confines. Furthermore, within the context of the hierarchical relationships existing among nation-states and linguistic communities, i.e. interactions between major and minor, dominant and peripheral literary traditions and cultures, literary translation emerges as an effective means to shed light on the latter. To provide further elucidation, artistic translation involves relocating a piece of literary work originating from a particular historical, political, and social setting into a new realm of values within the target language. This process implies a certain level of juxtaposition between two distinct cultural realities and facilitates dialogue between them. This entails breaking through the identity discourses and exchanging the values. This, according to Georges Munen, implies the transformation of extra-linguistic criteria – sociolinguistic and pragmatic aspects – and taking into consideration the psycho-linguistic environment of the receptive linguistic area. *Dynamic equivalence* – the concept introduced by Eugène Nida – is much more important in this

context than formal equivalence. Through *dynamic equivalence*, the translator is oriented on the recipient of the translated text. The main objective here is to find a natural equivalent of the source text in the host language. The exact semantic adequacy is not important in this case, but the adequacy of sociocultural functions of the text. Thus, translation is a complex procedure and involves analysis, transfer and restructuring.

Considering all of the above, the article is an attempt of a comparative analysis of the French translation of the work "Iron Theater" by Otar Chiladze and the original Georgian text. Taking into consideration that, during translation, absolute coincidence between language codes is considered impossible, we will try to determine how the process of changing or not changing the syntactic and lexico-grammatical matrix of the original text modifies or maintains the communicative effect of the work. Taking into account the horizon of expectation and the intellectual environment of the French reader whose consciousness is determined by the specific historical, political and social contexts, the article also tries to understand how he or she interprets a work created in the Georgian national context, which at the same time carries the universal values.

თამარ ხეტაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი*

„ოთარ ჭილაძის რკინის თეატრის ფრანგული თარგმანისა და ქართული ტექსტის შედარებითი ანალიზი“

1960-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე არ ცხრება სჯა მხატვრული თარგმანის რაობისა და მეთოდის შესახებ. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, დარგის თეორეტიკოსები თარგმანს ინტერკულტურული დიალოგის ერთ-ერთ სახედ აღიარებენ, რომელსაც მიშელ ვოველის თანახმად, ხელოვნურად შექმნილი გეოგრაფიული საზღვრებისა და კულტურული ბარიერების გადალახვის უნარი შესწევს. ამასთანავე, ეროვნულ სახელმწიფოთა და ენობრივ ჯგუფებს შორის არსებული კულტურულ-ენობრივი იერარქიის კონტექსტში, რაც გულისხმობს დიდ და პატარა, ცენტრალურ და მარგინალურ ლიტერატურებსა და კულტურებს შორის ურთიერთმიმართებას, მხატვრული თარგმანი წარმოგვიდგება ამ უკანასკნელთა შესახებ ცნობადობის ამაღლების საუკეთესო საშუალებად. მეტი სიცხადისთვის, მხატვრული თარგმანი არის კონკრეტულ ისტორიულ, პოლიტიკურ, სოციალურ გარემოში შექმნილი ნაწარმოების ტრანსფერი მიმღებ ენაში არსებულ განსხვავებულ ღირებულებათა სივრცეში, რაც გარკვეულწილად მოიაზრებს ორი კულტურული რეალობის ურთიერთშეპირისპირებასა და მათ შორის დიალოგს. ამ დროს ხდება იდენტობის დისკურსების გარღვევა და ღირებულებების გაცვლა. ეს კი, ჟორჟ მუნენის თანახმად, გულისხმობს, ექსტრალინგვისტური კრიტერიუმების – სოციოლინგვისტური და პრაგმატული ასპექტების – გარდაქმნას და მიმღები სამეტყველო სივრცის ფსიქო-ლინგვისტურ გარემოს გათვალისწინებას. ამ კონტექსტში *ფორმალურ ეკვივალენტობაზე* მნიშვნელოვანია ნაიდასეული *დინამიკური ეკვივალენტობა*, როდესაც მთარგმნელი ორიენტირებულია თარგმანის ტექსტის ადრესატზე. ეს მოიაზრებს წყარო-ტექსტის ბუნებრივი ეკვივალენტის პოვნას მიმღებ ენაში, ამ დროს მნიშვნელოვანია არა სემანტიკურ შესატყვისობა, არამედ საზოგადოებრივ-კულტურული ფუნქციების თანხვედრა. ამგვარად, თარგმანი კომპლექსური პროცედურაა და მოიცავს ანალიზს, ტრანსფერს და რესტრუქტურირებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ნაშრომი წარმოადგენს ოთარ ჭილაძის ნაწარმოების, „რკინის თეატრის“ ფრანგული თარგმანისა და ქართული ორიგინალი ტექსტის შეპირისპირებით ანალიზს. ვინაიდან, ენათშორისი თარგმანისას კოდებს შორის აბსოლუტური თანხვედრა შეუძლებელია, შევეცდებით დავადგინოთ ორიგინალი ტექსტის სინტაქსური და ლექ-

სიკო-გრამატიკული მატრიცის შეცვლით ან შენარჩუნებით როგორ იცვლება ან ნარჩუნდება ნაწარმოების კომუნიკაციური ეფექტი; და როგორ შეიძლება აღიქვას ფრანგული კულტურის წიაღში ფორმირებულმა მკითხველმა, – რომლის ცნობიერება კონკრეტული ისტორიული, პოლიტიკური და სოციალური ვითარებითაა განსაზღვრული – თავისი მოლოდინის ჰორიზონტისა და ინტელექტუალური გარემოს გათვალისწინებით, ქართულ ეროვნულ სივრცეში შექმნილი ნაწარმოები, რომელიც ამასთანავე უნივერსალური ღირებულებების მატარებელია.

Gia Khoperia

Akaki Tsereteli State University

Georgia, Kutaisi

The Fateful Events of 1993 in Abkhazia and the Modern Georgian Novel (Sergo Tsurtsumia – “The Year of the Fire Rooster”)

The images depicting the tragedy that unfolded in Abkhazia in the 90s of the last century were reflected in many artistic works, both poetic and prose, dramaturgical or documentary texts with different ranges and degrees showing the sources of this tragedy and the tragic results.

Sergo Tsurtsumia's novel “The Year of the Fire Rooster” is distinguished from the artistic works created in recent years not only in terms of realistic portrayal of problematic nuances, but also in their generalized understanding and accurate representation of the logical development of events, because the motivation for creating such a text is due to the author's experience as an eyewitness and active participant in the war. The erudition of the participant, as a resident of Sukhumi for dozens of years and an observer of the pre-war processes developed there, as a correspondent and a writer, in general, a connoisseur of the social, political and cultural existence of that time.

The position and views of the writer are skillfully displayed in the individual passages of the novel and the thoughts of the characters. Also, the principles of dividing this work into three parts, the overall scheme of the novel, even why it was named after the fiery rooster, how far it is connected to the traversing of individual intensities, dramatic lines, which finally appears as one unhelpful height and the Georgian soil, thought, traditions, in general, it is perceived as a nostalgia for the separation and loss of existence and leaves a bitter taste of a difficult future.

გია ხოფერია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო, ქუთაისი

1993 წლის საბედისწერო მოვლენები აფხაზეთში და თანამედროვე ქართული რომანი (სერგო წურჭუმია – „ცეცხლოვანი მამლის წელიწადი“)

გასული საუკუნის 90-იან წლებში აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის ამსახველი სურათები არაერთ მხატვრულ ნაწარმოებში აისახა, როგორც პოეტურ, ისე პროზაულ, დრამატურგიულ ან დოკუმენტურ ხასიათის ტექსტებში სხვადასხვა დიაპაზონითა და ხარისხით ნაჩვენებია ამ ტრაგედიის წყაროებიცა და სავალალო შედეგები.

სერგო წურჭუმიას რომანი „ცეცხლოვანი მამლის წელიწადი“ დასახელებულ თემაზე ამ ბოლო ხანებში შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებთაგან გამორჩეულია არა მხოლოდ პრობლემატური ნიუანსების რეალისტურად ასახვის თვალსაზრისით, არამედ მათი განზოგადოებული გააზრებითა

და მოვლენათა ლოგიკური განვითარების ზუსტი წარმოსახვით, რამეთუ მოტივაცია ამოდენა ტექსტის შექმნისა გამოწვეულია ავტორის გამოცდილებით, როგორც ომის თვითმხილველისა და აქტიური მონაწილის, როგორც ათეულობით წელი სოხუმში მაცხოვრებლისა და იქ განვითარებული ომის წინარე პროცესების დამკვირვებლის, როგორც კორესპონდენტისა და მწერლის, საერთოდ, მაშინდელი სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ყოფის მცოდნის ერუდიციას. სწორედ ამ მოტივაციით მკითხველის წინაშე წარმოდგენილი მხატვრული სივრცე ამ რომანისა დიდი დამაჯერებლობითა და სანდოობით გამოირჩევა.

მწერლის პოზიცია და შეხედულებები ოსტატურადაა განფენილი რომანის ცალკეულ პასაჟებსა და პერსონაჟთა აზროვნებით ბადურებში. ასევე დიდად დამაფიქრებელი და ღრმა განსჯის საგანი ხდება ამ ნაწარმოების სამ ნაწილად დაყოფის პრინციპები, საერთოდ სქემა რომანისა, თუნდაც რატომ დაერქვა მას ცეცხლოვანი მამლის სახელი, რამდენად უკავშირდება მას ცალკეულ სიმბაფრეთა, დრამატულ წყებათა ტრავერსი, საბოლოოდ ერთ უშველებელ სიმაღლედ რომ მოჩანს და ქართული მიწაწყლის, აზროვნების, ტრადიციების, საერთოდ, ყოფის გახლეჩისა და დაკარგვის ნოსტალგიად რომ აღიქმება და მძიმე მომავლის მწარე გემოს ტოვებს.

Mary Khukhunaishvili-Tsiklauri

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgia, Tbilisi

Myth and Folklore in Georgian Medieval Secular Prose Romance

„Amirandarejaniani“ by Mose Khoneli

The romance is based on the mainstream of depicting moral nature, physical quality of true knights and their life style presented in the fabulous adventures. The author merged artistic image of Amirandarejanisdze into the nature of the popular Georgian folk hero, demigod Amirani.

The romance is independent of any religious ideals and national pathos. Some adventures take place on invented mythical territories: the Land of Seven Stars, Kingdom of the Seas, Domain of the Talismans, Country of Balkhs. For reaching the mythical countries Amirani and his companions have to cross hard and grievous lands inhabited with wild beasts, gigantic double-headed animals from each mouth belching out fire, bred up and trained to go into battle, a man with two faces, one black and one blood red, enormous birds, a big elephant having an aspect of a lion and the face of a man. One can find in the romance motifs of International Tales of Magic: The Dragon-Slayer (ATU 300, 300 A), Transformation of a Man into a Beast or a Bird (ATU 400; 408; 314), Magic Flight (ATU 313).

The Georgian medieval secular prose romance “Amirandarejaniani “ is worthy of interest of folklorists and specialists in literature as being the medieval secular literary creation based on reality and mythical fantasy.

მერი ხუბუნაიშვილი-წიკლაური

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

მითი და ფოლკლორი მოსე ხონელის (XII ს.) საფალავნო-სათავგადასავლო რომანში „ამირანდარეჯანიანი“

მოსე ხონელის რომანი აგებულია საგმირო-სათავგადასავლო ამბებზე, რომელიც ვითარდება ერთის მხრივ მითიურ-ფანტასტიკურ და მეორეს მხრივ რეალურ გარემოში.

ავტორი ამირანდარეჯანისძის სახით წარმოგვიდგენს ფიზიკურად ძლიერ და სულიერად ამაღლებულ გმირს, თავისი ეპოქის იდეალურ რაინდს და ამავედროულად ოსტატურად ახერხებს მასში ქართული ხალხური საგმირო ეპოსის გმირის ამირანის ზებუნებრივი თვისებების შენარჩუნებას.

რომანი არ არის რელიგიური იდეის ან ეროვნული პათოსის მქადაგებელი. თავგადასავლების გარკვეული ნაწილი გამოგონილ ტერიტორიებზე ხდება: მნთობთა სამეფოში, ტალისმთა ქვეყანაში, ზღვათა მეფის სამფლობელოში, ბალხეთში. ამირანდარეჯანისძე და მისი მეგობრები უკაცრიელ და ხიფათიან გზებს გადიან, რომელიც გიგანტური ზომის მხეცების, მარტორქების, ფანტასტიკური ფრინველების სამფლობელოა, ეომებიან ლომის სახიან ადამიანებს, ორსახიან ბუმბერაზს, წითლოსანთა და მწვანით მოსილთა ლაშქარს, ფრთოსან კაცებს, ვეშაპზე ამხედრებულ დევს. რომანში ჯადოსნური ზღაპრის საერთაშორისო მოტივებიც გვხვდება: ვეშაპთ მკვლელი (ATU 300, 300 A), მაქციობა – კაცების ლომებად, ვეშაპებად და ფრინველებად ქცევა (ATU 404, 408, 314), ჯადოსნური გადაფრენა, გიგანტური ფრინველის დახმარებით მიუვალ ციხე-სიმაგრეში მოხვედრა (ATU 313). ცალკე განხილვას იმსახურებს მოსე ხონელის მიერ ამირანის თქმულების სხვა გმირების (ბადრი, უსიბი, იამანი, ამბრი) შერჩევის და რეალისტურ პერსონაჟებად წარმოსახვის ოსტატობა.

Zeinab Kikvidze

*Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi*

“Blood for Blood,” or the Devalued Tradition in Search of Dignity (Based on Vazha-Pshavela’s and Ismail Kadare’s writings)

Origins of the tradition of vendetta were lost in the distant past. Its emergence should be assumed in the pagan era when killing was identified with sacrifice. In some scholars’ opinion, it might have been associated with the Bible. The expression “An eye for an eye” implied that the victim should have received the value of injury in compensation, both material and moral. Murder could be retributed only in two ways: either by killing the murderer (or a relative) or redemption.

The custom of vendetta has been assumed to be widespread all over the world and has persisted in indigenous practices in some highland areas. In a community, where there was a customary law, moral attitudes to what happened created a law. Vendetta was considered a matter of dignity, and its execution was regarded a supreme and responsible cause for all members of a community, clan, family. Either to challenge or not to execute the custom, having been established for centuries, meant to offend or to oppose the community.

A customary law determined the way of life of those who inhabited Georgia's highland areas. Similar attitudes were practiced by all ethnic groups of the Caucasus. Similarly, the so called Kanun was practiced by a great majority of Albania's population, particularly those living in highland areas.

In the writings of Vazha-Pshavela ("The Guest and the Host") and Albanian author Ismail Kadare ("Broken April"), an ethical sense in individual personalities' cognition casts epistemic doubt on the supremacy of the tradition of vendetta. The collisions take place based on the interrelationships between a mass and an individual. Identities of the characters of both works are defined in terms of the ethical expression of torment. Both writers introduce a woman (Agaza; Diana) whose actions unambiguously state the authors' standpoints.

Those, who practice the customary tradition, and those, who have distinct viewpoints about it, comprehend the essence, sense and goal of life in different ways. The former ones consider vendetta a cause of dignity; however, its commercialization eventually devalues the tradition. The latter ones believe that to forgive is a matter of dignity. Humanism unveils the severity of the custom.

ზეინაბ კიკვიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო, ქუთაისი

„სისხლი სისხლის წილ“, ანუ ღირსების ძიებაში გაუფასურებული ტრადიცია (ვაჟა-ფშაველასა და ისმაილ კადარეს თხზულებების მიხედვით)

სისხლის აღების ტრადიციის სათავეები უძველეს წარსულში იკარგება. სავარაუდოდ, იგი წარმართულ ხანაში უნდა გაჩენილიყო, როცა სიცოცხლის მოსპობა მსხვერპლად შეწირვასთან იგივედებოდა. ზოგი მკვლევრის მოსაზრებით, ის ბიბლიას უკავშირდებოდა. გამოთქმა „თვალი თვალის წილ“ ნიშნავდა დაზარალებულის, როგორც მატერიალურ, ასე მორალურ კომპენსაციას. სიცოცხლის ანაზღაურება მხოლოდ ორნაირად შეიძლებოდა: მკვლელის ან მისი ახლობლის მოკვლით ან კიდევ გამოსყიდვით.

სისხლის აღების ადათი მთელ მსოფლიოში გავრცელებულ წესად ითვლებოდა და ბოლო დრომდე შემორჩა კიდევ მთიანი მოსახლეობის ეთნო-ყოფაში. იმ საზოგადოებაში, სადაც ჩვეულებითი სამართალი არსებობდა, კანონს ქმნიდა მოვლენებისადმი მორალური დამოკიდებულება. სისხლის აღება ღირსების საქმედ ითვლებოდა და მისი ასრულება თემის, გვარის, ოჯახის ყველა წევრისათვის უზენაეს და საპასუხისმგებლო საქმედ მიიჩნეოდა. საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ტრადიციის სისწორეში ეჭვის შეტანა, ან მისი შეუსრულებლობა ნიშნავდა სოციალური შეურაცხყოფასა და მასთან დაპირისპირებას.

საქართველოს მთიან ზოლში მცხოვრები მოსახლეობისათვის არსებობის წესს განსაზღვრავდა ადათობრივი სამართალი. მსგავსი დამოკიდებულება არსებობდა კავკასიის ყველა ეთნიკურ ჯგუფში, ასევე, ე.წ. კანუნს ემორჩილებოდა ალბანეთის მოსახლეობის დიდი უმეტესობა, განსაკუთრებით, მთიან მხარეში მცხოვრებნი.

ვაჟა-ფშაველას („სტუმარ-მასპინძელი“) და ალბანელი მწერლის ისმაილ კადარეს („ახალეწილი აპრილი“) თხზულებებში ცალკეულ სუბიექტთა შემცენებაში ეთიკური საზრისი აჩენს ეპისტემურ დაეჭვებას სისხლის აღების ტრადიციის უზენაესობაზე. თხზულებათა კოლიზიაც იმართება მასისა და პიროვნების ურთიერთმიმართების საფუძველზე. ორივე მწერალის გმირთა თვითმყოფადობას განსაზღვრავს ტანჯვის ეთიკური გამოხატულება. ორივე მწერალს მოქმედებაში შემოჰყავს ქალი (ალაზა; დიანა), რომლის ქმედება ცალსახად აფიქსირებს ავტორთა დამოკიდებულებას.

ადათობრივი ტრადიციის მიმდევართა და ტრადიციაზე განსხვავებული შეხედულებების მქონე პირთა მიერ სიცოცხლის რაობის, აზრისა და მიზნის განსაზღვრა სხვადასხვაგვარია; ერთნი ვენდეტას ღირსების საქმედ თვლიან, თუმცა საბოლოოდ მისი კომერციალიზაციით უფასურდება ტრადიცია; მეორენი კი ღირსებად შენდობას მიიჩნევენ. ადათის სისასტიკეს ჰუმანიზმი ცხადყოფს.

Tsira Kilanava

Ilia State University

Georgia, Tbilisi

Topophilia and Heterotopic Spaces in the Georgian Literary Narrative of the Abkhazian War

The extensive Georgian literary narrative of the Abkhazian War is very diverse both in terms of genre and subject matter. In the artistic works of both displaced writers (Guram Odisharia, Irakli Kakabadze, Zura Jishkariani, Irakli Shamatava...) and non-displaced writers (Nugzar Shataidze, Shorena Lebnidze, Ekaterine Togonidze, Elene Japaridze...) the trauma of displacement is directly linked to the emotional attachment to the native space (topophilia); thus geographical spaces (certain places in Abkhazia and the Black Sea) are not only plot-organising elements. They are phenomena that shapes the personal/group identity.

In the Georgian literary narratives about the Abkhazian War, real/geographical spaces of the pre-war, war and post-war periods are named, described and imagined (whereby the home town is not always depicted romantically/nostalgically; for example, the Gali region is described as a heterotopic space). Certain residential areas are emotionally charged for the pre-war period, paths of expulsion (Chuberi Pass...) for the war period and the Enguri Bridge for the post-war period; the Black Sea retains its relevance as an identity-forming spatial marker for Abkhazia in all three periods.

On the basis of the study, the aim is to determine which specific spaces are reflected in the Georgian literary narrative of the Abkhazian War, what characteristics the spaces depicted have (in terms of the events taking place in them, the social networks/public relations, the institutions represented, the narrators' perspectives and the linguistic diversity) and what emotions are expressed towards them.

The theoretical framework of the study includes two important concepts of spatial research: Yi-Fu Tuan's *topophilia* and Michel Foucault's *heterotopia*. The former deals with the study of particular emotions towards space, while the latter examines the characteristics of autonomous and institutionalised subspaces. For the identification and classification of textual data, online tools are used to help visualise textual data/discovered trends.

ცირა კილანავა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო, თბილისი

ტოპოფილია და ჰეტეროტოპიული სივრცეები აფხაზეთის ომის ქართულ ლიტერატურულ ნარატივში

აფხაზეთის ომის შესახებ მოცულობითი ქართული ლიტერატურული ნარატივი მრავალფეროვანია ჟანრობრივად და თემატურად. როგორც დევნილი (გურამ ოდიშარია, ირაკლი კაკაბაძე, ზურა ჯიშკარიანი, ირაკლი შამათავა...), ისე – არადევნილი (ნუგზარ შათაიძე, შორენა

ლებანიძე, ეკატერინე ტოგონიძე, ელენე ჯაფარიძე...) ქართველი მწერლების მხატვრულ ნაწარმოებებში დევნილობის ტრავმა პირდაპირ უკავშირდება მშობლიური სივრცისადმი ემოციური მიჯაჭვულობის განცდას (ტოპოფილიას); შესაბამისად, გეოგრაფიული სივრცეები (აფხაზეთის ცალკეული ადგილი და შავი ზღვა) არაა მხოლოდ ე.წ. სიუჟეტის მარგანიზებული ელემენტი. ისაა პიროვნული/ჯგუფური იდენტობის მაფორმირებელი ფენომენი.

აფხაზეთის ომის ვრცელ ქართულ ლიტერატურულ ნარატივში დასახელებული, აღწერილი და წარმოსახულია როგორც ომამდელი, ისე ომისა და შემდგომის პერიოდების რეალური/გეოგრაფიული სივრცეები (ამასთან, ყოველთვის რომანტიზებულად/ნოსტალგიურად არაა რეპრეზენტირებული მშობლიური ადგილი; მაგალითად, გალის რაიონი წარმოდგენილია როგორც ჰეტეროტოპიული სივრცე). მათგან ომამდელი პერიოდისთვის ემოციურად დატვირთულია კონკრეტული საცხოვრებელი ადგილები, ომის პერიოდში – დევნილობის გზები (ჭუბურის უღელტეხილი...), ომის შემდგომ კი – ენგურის ხიდი; სამივე პერიოდისთვის აქტუალობას ინარჩუნებს ზღვა, როგორც აფხაზეთის საიდენტიფიკაციო სივრცითი მარკერი.

კვლევის საფუძველზე დადგინდება, კონკრეტულად რომელი სივრცეები აისახა აფხაზეთის ომის ქართულ ლიტერატურულ ნარატივში, რა მახასიათებლებით გამოირჩევა განსახოვებული სივრცეები (მათში განვითარებული მოვლენების, სოციალური ქსელის/საზოგადოებრივი ურთიერთობების, რეპრეზენტირებული ინსტიტუციების, მთხრობელთა პერსპექტივებისა და ენობრივი მრავალფეროვნების თვალსაზრისით) და როგორია მათ მიმართ გამოვლენილი ემოციები.

კვლევის თეორიულ ჩარჩოდ აღებულია სივრცის კვლევების ფარგლებში მნიშვნელოვანი ორი კონცეპტი: ტუ ტუანის *ტიპოფილია* და მიშელ ფუკოს *ჰეტეროტოპია*. პირველი ითვალისწინებს სივრცისადმი განსაკუთრებული ემოციების შესწავლას, მეორე კი – ავტონომიური და ინსტიტუციონალიზებული ქვე/სუბსივრცეების მახასიათებლებს. ტექსტურ მონაცემთა იდენტიფიკაციისა და კლასიფიცირებისათვის გამოყენებული იქნება ონლაინინსტრუმენტები, რომელთა დახმარებითაც ვიზუალიზდება ტექსტური მონაცემები/გამოვლენილი ტენდენციები.

Manana Kvachadze

Georgia, Tbilisi

“Vepkhistaosani” (The Night in the Panther’s Skin) in the Iranian-speaking World

“Vepkhistaosani” – the immortal masterpiece of the 12th-century Georgian poet Shota Rustaveli was first mentioned in Europe at the beginning of the 19th century, in Asia – from the 30s of the 20th century.

To date, the poem has been translated into numerous languages, including several Iranic (Persian, Tajik, Ossetic, and Kurdish) languages.

The first attempt at research and Persian translation of “Vepkhistaosani” was made in the 30s of the 20th century by Yuri Marr, Vladimer Puturidze, Saeed Nafisi, and Hamzeh Sardadvar...

In 1966, within the framework of Rustaveli’s 800th anniversary, a poetic translation of the fragments of “Vepkhistaosani” was published, translated by Mortaza Fatemi, with a preface and commentary by Prof. Jamshid Giunashvili.

Special mention should be made of Farshid Delshad’s research and Persian prosaic translation of the complete text of “Vepkhistaosani,” published in Tehran, 1998. This publication was the first important step in the given field.

In 2000, a prosaic translation of “Vepkhistaosani” by Dr. Mohammad-Kazem Yusef-pur was published in Rasht (Editor Prof. Magali Todua)... The translation received the Georgian State Prize.

Numerous scholarly works were published in Tajik language. In 1979, a complete poetic translation of “Vepkhistaosani” into Tajik by A. Adham was published.

In 1930s some fragments of “Vepkhistaosani” were translated into Ossetic... In 1943 a complete translation of “Vepkhistaosani” was made by M. Shavlokhti... Later, “Vepkhistaosani” was translated by Giorgi Bestauti. He was awarded the Ivane Machabeli Prize in 1978.

“Vepkhistaosani” was translated into Kurdish by Jardoe Asad and was published in 2007. The preface of the editor Karim Anqos, focuses on Rustaveli’s epoch.

A book titled *Shota Rustaveli’s “Vepkhistaosani” in Iran* was published in Tbilisi in 2016. The book, compiled by Jamshid and Helen Giunashvili, contains Persian-language research on “Vepkhistaosani.”

მანანა კვაჭაძე

საქართველო, თბილისი

„ვეფხისტყაოსანი“ ირანულენოვან სამყაროში

XII საუკუნეში მოღვაწე გენიალური ქართველი პოეტის, შოთა რუსთაველისა და მისი შედეგის – „ვეფხისტყაოსნის“ ხსენებას ევროპაში XIX საუკუნის დამდეგიდან ვხვდებით, აზიაში – XX საუკუნის 30-იანი წლებიდან. დღეისათვის „ვეფხისტყაოსანი“ გადათარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე, მათ შორის, რამდენიმე ირანულ (სპარსულ, ტაჯიკურ, ოსურ, ქურთულ) ენაზეც.

„ვეფხისტყაოსნის“ კვლევისა და თარგმნის საკითხს აღმოსავლეთის ქვეყნებიდან პირველად ირანში გამოეხმაურნენ XX საუკუნის 30-იან წლებში. ეს წამოწყება იური მარის, ვლადიმერ ფუტურიძის, საიდ ნაფისისა და ჰამზე სარდადვარის სახელებს უკავშირდება...

1966 წელს, საიუბილეო ღონისძიებათა ფარგლებში თბილისში გამოიცა *წიგნი შოთა რუსთაველი, ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდან“*, მთარგმნელი მორთეზა ფათემი. ეს გახლავთ რედაქტორის, პროფ. ჯემშიდ გიუნაშვილის შესავალი წერილითა და კომენტარებით აღჭურვილი პირველი სპარსული პოეტური თარგმანი „ვეფხისტყაოსნისა“.

საეტაპო მოვლენად არის მიჩნეული ფარშიდ დელშადის მიერ შესრულებული გამოკვლევისა და სრული პროზაული თარგმანის გამოცემა თეირანში 1998 წელს. ეს ნაშრომი მიჩნეულია პირველ სერიოზულ ნაბიჯად ამ მიმართულებით.

2000 წელს ქ. რაშთში პროფ. მაგალი თოდუას რედაქციით გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ დ-რ მოჰამად-ქაზემ იუსეფ-ფურის მიერ შესრულებული პროზაული თარგმანი. მთარგმნელს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის საპატიო წოდება.

რუსთაველის საიუბილეო დღესასწაულთა მომზადებისა და ჩატარების ფარგლებში იბეჭდება სამეცნიერო სტატიები, პოემის მოკლე შინაარსი და პოეტურ თარგმანთა ნაწყვეტები ტაჯიკურ ენაზე. 1979 წელს ქვეყნდება გამოჩენილი ტაჯიკი პოეტის ა. ადჰამის მიერ შესრულებული სრული პოეტური თარგმანი.

1930-იან წლებში „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე ნაწყვეტი ითარგმნა ოსურად... 1943 წელს პოემის სრული ოსური თარგმანი გამოაქვეყნა მ. შავლოხთიმ. მოგვიანებით პოემა თარგმნა გიორგი ბესთაუთიმ. ამ თარგმანს ივანე მაჩაბლის სახელობის პრემია მიენიჭა 1978 წელს.

2007 წელს ქვეყნდება ჯარდოე ასადის მიერ შესრულებული ქურთული პოეტური თარგმანი. რედაქტორი ქარიმ ანყოსი შესავალ წერილში ვრცლად ეხება რუსთაველის ეპოქას.

2016 წელს თბილისში დაისტამბა კრებული *შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ირანში* (შემდგენლები ჯემშიდ და ელენე გიუნაშვილები). კრებული შეიცავს „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ სპარსულ ენაზე გამოქვეყნებულ გამოკვლევებს.

მანანა კვაჭანტირაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

რაინდობის კულტურული მოდელი „ცისფერყანწელთა“ გამოცდილების კონტექსტში

„ც.ყ.“ რაინდული ეთოსი, რომელიც რაინდულ ღირებულებათა სისტემას ეფუძნება, გულისხმობს შემოქმედებით-ინტელექტუალურ თანამოაზრეთა გაერთიანებას, ერთის მხრივ, სოციალურად – მეგობრობით, თანამოქალაქეობითა და ოჯახური ტრადიციით; მეორეს მხრივ კი – საერთო შემოქმედებითი იდეის გარშემო. შემოქმედებითი კუთხით ამ გაერთიანების საფუძველი ც. ყ.-ისთვის ქართული შემოქმედებითი პოტენციის სრულად ათვისება, ეპიგონობის დაძლევა, პოეტური სიტყვის დიდი ტრადიციის აღდგენა და მსოფლიო რადიუსით მისი გამართვაა. ამ აზრით, ც. ყ. მთელი შემოქმედება კონცეპტუალურად და ორგანიზაციულად შეკრული, გააზრებული საქმიანობის შედეგია.

სამსახურის იდეა, როგორც რაინდული ეთოსის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი და მახასიათებელი, „ცისფერყანწელთა“ შეიძლება განვიხილოთ, როგორც პოეტური საქმიანობით გამოხატული ისტორიული ფუნქცია, როგორც პოეზიისათვის თავგანწირულ, ერთგულ რაინდთა ძმობა. ამ საქმიანობას საფუძვლად უდევს პოეზიის ეროვნული მისიისა და მისი, როგორც ეროვნული კულტურის დამცველისა და გეზისმიმცემის სრული შეგნება საქმისადმი ეს ერთგულება, აყვანილი რწმენის ხარისხამდე, გაიჟღერებს ტიცინ ტაბიძის სიტყვაში: „როგორც 13 ასურელმა მამებმა საქართველოში დათესეს ორთოდოქსი ქრისტიანობა, ისე ცისფერყანწელებმა – ნამდვილი პოეზია“.

რაინდული ეთოსის უპირველესი მახასიათებელი ვაჟკაცობაა. ვაჟკაცობა ბრძოლის უნარით დასტურდება. ქართული პოეზიის განახლებისათვის ბრძოლის ექსტაზი აშკარად იკითხება როგორც „ცისფერყანწელთა“ ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისე პოეტურ და ესეისტურ შემოქმედებაში. საბრძოლო მზაობასთან ერთად ღიადაა დეკლარირებული ისტორიაში უკვე გაღებული თუ სამომავლო მსხვერპლის ხსოვნაც და წინათგრძნობაც (ტიცინი: „ჩვენც ალბათ სადმე ჩაგვამაღლებენ“).

„ცისფერყანწელი“ ერთგვარი „დემილიტარიზებული“ სახეობაა რაინდისა, სარაინდო ატრიბუტივის ცოცხალი ცოდნით, მაგრამ ეპოქალური რეალობიდან გამომდინარე, რაინდული სოციალურ-კულტურული კონტექსტის გარეშე („და სარაინდო ველიც არსად ჩანს“). ამდენად, რაინდული ნორმებისადმი ერთგულებასთან ერთად სახეზეა მათი საზღვრების რღვევა და ხანდახან, თამაშიც ამ ნორმებითა და მათთან დაკავშირებული ნიღბებით, თუმცა, იმავდროულად, სიღრმისეულია წუხილი ამ კონტექსტის გაქრობის გამო.

Sophiko Kvantaliani

*Georgian Technical University
Georgia, Tbilisi*

Imagological View of the Image Representation of a Woman, as a Bearer of National Identity Based on N. Haratischwili's Novel "The Eighth Life" (for Brilka)

Imagological studies have become increasingly popular in recent decades. Developing scientific tools of imagology opens up new horizons for interdisciplinary interactions. First of all, it is a science that interprets the national narrative of literature, as much as national images (imagotypes) are most persistent and impressive precisely in literature. We use the basic tools of literary studies, mythopoetic approaches, or

narratological strategies for imagological research. From the imagological conceptual apparatus, we mainly use such categories as image/auto-image/hetero-image, also, stereotype, and imagema. In the article, the image carrying the national identity is considered a mental construct, which we studied in the framework of „imaginative discourse“. The novel selected for analysis allows us to fully present the different dimensions of the image, such as the mental or discursive representation of that individual or group or the reputational status of the nation as a whole.

From the cultural heritage of Georgian diasporas living abroad, our attention has been drawn to the bestseller aforementioned novel in Germany (generally, in Europe) in recent years by the Georgian German-language author N. Haratischwili. The interest was intensified by the fact that, in contrast to the literary heritage of the Georgian diaspora existing before in Germany, exactly in "Eighth Life" we saw another vector of vision – particularly, the imagological visions of the representation of Georgia and Georgians in general and not prior experience – reception of foreign-language literature in Georgia, or reception of Georgian-language literature abroad. Our goal is to analyze the mentioned family saga – the tragic events of the representatives of eight branches of one family, developed in the difficult Soviet historical context. Since, the main characters of the novel are women (The storyline is monumental, covering the period from 1900 to 2006 and based on the story of seven women and one man), our mission has developed precisely in terms of a woman as a bearer of national identity, representing a image, which emphasized the research with a certain gender addition.

Manana Kvataia

Ivane Javakishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgia, Tbilisi

The Paradigm of the German “Urphenomenon” and its Reception by Georgian Writer

Mikhail Bakhtin maintains that the best way to reveal the uniqueness of a culture is an intercultural dialogue. Meanwhile, "every noteworthy example of national writing enriches and complements the universal standard with its uniqueness" (Irma Ratiani). The global challenges of the world also lead to a change in the authors' themes. At the beginning of the last century, the devastating First World War also altered the intellectual world's agenda. As an American diplomat George Kennan remarked, “The First World War was the great seminal catastrophe of the twentieth century.” The main trends of that most challenging time were also reflected in the pages of Georgian periodicals.

Grigol Robakidze began publishing his opuses in the newspaper "Kavkazi" in 1914, under the heading “War and Culture”. In these pieces, the author delves deeply into the existential problems of the countries being involved in the world war, studies and analyzes the national markers of the main figurants of a “big war” (Germany, Russia, France, etc.), discusses their national phenomenon, etc.

Robakidze's publicistic letters dedicated to the study of the German "urphenomenon", are of conceptual nature. The Georgian writer believes that the cult of Germany's unprecedented power turned to be fatal for all of Europe. The pursuit for power became the nation's main priority, which reinforced the feeling of its own "uniqueness". The quote from Nietzsche that Robakidze brings up—" Power makes fools"—was less shared by Germans.

The Georgian author believes that the loyalty that an ordinary German has towards the state and its government is almost idolatrous. Meanwhile, the nation's viability serves as the primary national symbol,

and moral energy is alive in the state consciousness of Germans. For Robakidze, the "East of Christ" is the only force capable of defeating Germany's modern paganism.

When discussing the spiritual markers of pre-war Europe, Grigol Robakidze makes reference to Richard Hamann's "Impressionism in Life and Art". In this work it is shown that the Europeans of that time perceived the human personality as absolute, the cult of private life reached its zenith, Bohemia became all-encompassing. The world war reminds the writer of the battle of the planets. He knows that it will also cause a "planetary change" in life. Robakidze emphasizes that the war occur

მანანა კვატაია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

საქართველო, თბილისი

გერმანული „ურფენომენის“ პარადიგმა ქართველი მწერლის რეცეფციით

კულტურის თავისთავადობის გამოვლენის საუკეთესო გზად მიხაილ ბახტინი კულტურათა დიალოგს მიიჩნევს. ამავე დროს, „ყოველი ღირებული მოდელი ნაციონალური მწერლობისა თავისი ორიგინალობით ავსებს და ამდიდრებს უნივერსალურ სტანდარტს“ (ირმა რატიანი). მსოფლიოს გლობალური გამოწვევები ავტორთა თემატიკის ცვლილებასაც იწვევს. გასული საუკუნის დასაწყისში ინტელექტუალური სამყაროს დღის წესრიგიც შეცვალა დამანგრეველმა პირველმა მსოფლიო ომმა. ამერიკელი პოლიტოლოგის, ჯ. კენანის დეფინიციით, „ყველაფერი, რაც მსოფლიოში მე-20 საუკუნეში მოხდა, პირველი მსოფლიო ომიდან მომდინარეობს“. ურთულესი ეპოქის არსებითი ტენდენციები საქართველოს პერიოდული გამოცემების ფურცლებზეც აისახა.

1914 წლიდან გაზეთ „კავკაზის“ „ომისა და კულტურის“ რუბრიკაში იბეჭდებოდა გრიგოლ რობაქიძის ოპუსები, რომლებშიც ავტორი კომპლექსურად იკვლევს მსოფლიო ომში ჩართული სახელმწიფოების ექსისტენციურ პრობლემატიკას, სწავლობს და აანალიზებს „დიდი ომის“ მთავარი ფიგურანტების (გერმანია, რუსეთი, საფრანგეთი და სხვ.) ეროვნულ მარკერებს, მსჯელობს მათ ნაციონალურ ფენომენზე და სხვ.

კონცეპტუალურია რობაქიძის პუბლიცისტური წერილები, გერმანული „ურფენომენის“ კვლევას რომ ეძღვნება. ქართველი მწერალი მიიჩნევს, რომ გერმანიის უმაგალითო ძალის კულტივეროპის ბედისწერად იქცა, ძალაუფლებისკენ სწრაფვა ერის მთავარი პრიორიტეტი გახდა, რამაც საკუთარი „გამორჩეულობის“ შეგრძნება გააძლიერა. რობაქიძეს მოაქვს ნიცშეს ფრაზა: „ძლიერება აბრიყვებს“, რომელსაც გერმანელები ნაკლებად იზიარებდნენ.

ქართველი ავტორი მიიჩნევს, რომ რიგითი გერმანელი სახელმწიფოსა და ხელისუფლების უზომო ერთგულია და ეს ერთგულება კერპთაყვანისმცემლობას უფრო ჰგავს. ამასთან, გერმანელის სახელმწიფოებრივ ცნობიერებაში ზეზნეობრივი ენერგია ცოცხლობს, უმთავრესი ნაციონალური ნიშანი კი ერის ქმედითუნარიანობა გახლავთ. გერმანია რობაქიძისათვის ახალი წარმართობაა, რომლის დაძლევა მხოლოდ „ქრისტეს აღმოსავლეთს“ შეუძლია.

ომის წინა პერიოდის ევროპის სულიერ მარკერებზე მსჯელობისას გრიგოლ რობაქიძე იყენებს რიჰარდ ჰამანის კვლევას „იმპრესიონიზმი ცხოვრებასა და ხელოვნებაში“, სადაც მითითებულია, რომ იმდროინდელი ევროპელები ადამიანის პიროვნებას აღიქვამენ, როგორც აბსოლუტს, პირადი ცხოვრების კულტი აპოგეას აღწევს, ყოვლისმომცველი ხდება ბოჰემა. მწერალს მსოფლიო ომი პლანეტების ბრძოლას აგონებს. მან იცის, რომ ის ცხოვრების „პლანეტარულ ცვლილებასაც“ გამოიწვევს. რობაქიძე მიუთითებს, რომ ომი ოდენ ბრძოლის ველზე არ მიდის, არამედ – ადამიანური ცნობიერების ბნელ კუნჭულებშიც.

Nino Kvirikadze

*Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi*

Verfall Details in Thomas Mann's Novel “Buddenbrooks” and its Georgian Translation

Structural-semantic analysis of Th. Mann's “Buddenbrooks” enables us to gain deep insight into the subtextual layers of the novel. Theoretically, analysis of this kind is based on V. Vinogradov's theory of 'word/verbal series', later developed by the structuralists. The analysis shows that they are not isolated and self-enclosed in their pure form but share points of intersection with other verbal planes and vertically permeate the entire textual space.

The present paper is concerned with the semantic study of Verfall details in Th. Mann's novel “Buddenbrooks” and its Georgian translation. The study of the Verfall details including the title of the novel meaning “swamp” (i.e. decline of the Buddenbrooks family) has demonstrated that the Georgian translation of these details only partially correspond to the original text. Given the nature of the German and Georgian languages and mentalities, in the translated text certain semantic nuances of Verfall details are lost – 'foreign' Verfall details such as “Buddenbrooks”, “Morten”, “Moor”, “Mord” are differently perceived by German and Georgian readers. Out of the 21 members of the verbal/word series of the original text, only 20 members are recorded in both translations, while the number of 'untranslatable'/'unreadable' words (i. e. 'foreign' Verfall details) as a whole is 11 out of 20. Thus, Georgian recipients in 11 cases are unable to comprehend the meaning of the title of the novel as realized/embodied in various forms. Therefore, the continuum/continuity of the above-mentioned word/verbal series is interrupted in the Georgian translation. Of course, this circumstance greatly weakens the sounding of Verfall of an old burgher family in translated text.

ნინო კვირიკაძე

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, კუთაისი*

Verfall-ის (დაცემის) დეტალების სემანტიკის საკითხისათვის თომას მანის „ბუდენბროკებსა“ და მის ქართულ თარგმანში

წინამდებარე მოხსენებაში განიხილება გერმანელი ბიურგერული გვარის Verfall-ის (დაცემის) ცალკეული დეტალების სემანტიკის საკითხი თომას მანის „ბუდენბროკებსა“ და მის ქართულ თარგმანში. „ბუდენბროკების“ სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი საშუალებას იძლევა უფრო ღრმად შევალწიოთ რომანის ქვეტექსტურ შრეებში. ამგვარი ანალიზი ეფუძნება ვ. ვინოგრადოვის „სიტყვათა რიგის“ თეორიას, რომელიც მოგვიანებით განავითარეს სტრუქტურალისტებმა.

ანალიზი აჩვენებს, რომ სიტყვათა რიგები არ არის იზოლირებული და არ არის ჩაკეტილი თავის თავში წმინდა სახით, არამედ მათ გააჩნიათ გადაკვეთის წერტილები სხვა სამეტყველო აზრობრივ პლანებთან; ისინი ვერტიკალურად გამსჭვალავენ მთელ ტექსტურ სივრცეს.

სიტყვათა რიგის შესწავლამ, რომელიც დაცემის სხვა დეტალებთან ერთად რომანის სათაურსაც შეიცავს (სათაურის მეორე ნახევარი „Brook“ ნიშნავს „ჭაობიან მიწას“, ე.ი. ბუდენბროკების გვარის დაცემა-დევრადაციას), აჩვენა, რომ ამ დეტალების ქართული თარგმანი მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება ორიგინალის ტექსტს. გერმანული და ქართული ენებისა და მენტალიტეტების ბუნებიდან გამომდინარე, ნათარგმნ ტექსტში იკარგება Verfall-ის დეტალების გარკვეული სემანტიკური ნიუანსები – დაცემის ისეთი „უცხოენოვანი“ ფორმის მქონე დეტალები, როგორცაა

„Buddenbrooks“, „Morten“, „Moor“, „Mord“ და სხვ., ე.ი. სახელის ან გვარის აღმნიშვნელი სიტყვა-დეტალები, რომლებიც „ჭაობთან“, „დაჭაობებულთან“ თუ „სიკვდილთან“ არის დაკავშირებული, განსხვავებულად აღიქმება გერმანელი და ქართველი მკითხველის მიერ. ორიგინალის ტექსტში წარმოდგენილი სიტყვათა რიგის 21 წევრიდან ქართულ თარგმანში მხოლოდ 20 დეტალია დაფიქსირებული (ერთი სიტყვა გამოტოვებულია) და მათ შორის ზემოხსენებული „უცხოენოვანი“ ფორმის მქონე სულ 11 Verfall-ის დეტალია გამოვლენილი, რომლებიც ქართულ ტექსტში არ ითარგმნება და გერმანულ ჟღერადობას ინარჩუნებს. ლოგიკურია, რომ თომას მანის „ბუდენბროკების“ ქართველი რევიზორები რომანის სათაურს, რომელიც რეალიზებულია რომანის სხვადასხვა ნაწილებში „ჭაობიანი“ ანუ დაცემის სიტყვა-დეტალების სახით ერთიანი Verfall-ის სიტყვათა რიგის შემადგენლობაში, აზრობრივად 11-ჯერ ვერ აღიქვამენ ისევე, როგორც გერმანელი რევიზორები. ამიტომ ზემოაღნიშნული სიტყვათა რიგი ქართულ თარგმანში წყდება. რა თქმა უნდა, ეს გარემოება ქართველი რევიზორებისთვის მნიშვნელოვნად ასუსტებს ძველი ბიურგერული ოჯახის დაცემის ჟღერადობას ნათარგმნ ტექსტში.

Nino Kochloshvili

*Iakob Gogebashvili Telavi State University
Georgia, Telavi*

Peculiarity of Davit Turdospireli's Creative Work

It is widely acknowledged that the analysis of autographs is extremely important in unveiling the individuality and distinctiveness of the creative process of a given writer.

Within the archival materials of Davit Turdospireli, preserved in the Giorgi Leonidze Museum of Georgian Literature, a significant portion comprises draft autographs, showcasing finalized artistic compositions. The majority of these works are unpublished, thus residing beyond scholarly circulation.

Davit Turdospireli debuted his first short story, "Sacrifice of Freedom," as a standalone book in 1906. Since then, he frequently contributed excerpts of his work to Georgian periodicals, and collections of his writings were also published. However, it appears that after 1921, the writer exclusively focused on publishing poems and stories centered around children's themes.

Undoubtedly, for a comprehensive study of Davit Turdospireli's literary legacy, it is imperative to explore not only his renowned and widely published works but also the unpublished materials, predominantly preserved in the writer's archive as draft autographs.

From the archival materials of Davit Turdospireli, it's evident that the writer's interests were wide-ranging. His unpublished works primarily consist of brief prose excerpts, addressing contemporary national concerns and various public issues.

While examining Davit Turdospireli's autographs, several distinctive features indicative of the writer's creative process were uncovered.

The writer primarily produced draft autographs, reflecting extensive creative efforts. Often, completed works are distinguished by the use of a different colored pen, while corrections are indicated either with another color pen or on separate sheets, which occasionally involve substantial content alterations or refer to conceptual aspects of the work. Author-corrected copies are infrequent, suggesting the writer refrained from whitening the autographs.

Most of Davit Turdospireli's autographs bear the author's signature, with the majority remaining undated. It appears from archival materials that the author intentionally omitted dates from the autographs, perhaps as a means to safeguard free thought.

The study of Davit Turdospireli's autographs gave us a clear idea of the writer's writing style, the specifics of his work, and at the same time directly introduced us to the writer's worldview, his honest attitude to contemporary historical-political and cultural processes.

ნინო კოჭლოშვილი

*იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თელავი*

დავით თურდოსპირელის შემოქმედებითი მუშაობის თავისებურება

საყოველთაოდ ცნობილია ავტოგრაფების შესწავლის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებითი პროცესის ინდივიდუალობისა და თავისთავადობის გამოსავლენად.

დავით თურდოსპირელის საარქივო მასალებში, რომლებიც გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმშია დაცული, ძირითადად შავ ავტოგრაფებს ვხვდებით, რომლებიც დასრულებული მხატვრული ნაწარმოებებია. მათი უმრავლესობა გამოუქვეყნებელია, შესაბამისად, სამეცნიერო მიმოქცევის მიღმაა დარჩენილი.

დავით თურდოსპირელმა თავისი პირველი მოთხრობა „თავისუფლების მსხვერპლი“ 1906 წელს ცალკე წიგნად გამოსცა. მას შემდეგ თავისი შემოქმედების ნიმუშებს იგი ხშირად აქვეყნებდა ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე თუ ცალკე კრებულების სახით. როგორც ირკვევა, 1921 წლის შემდეგ მწერალს მხოლოდ საბავშვო თემატიკაზე შექმნილ ლექსებსა და მოთხრობებს უქვეყნებდნენ.

ბუნებრივია, დავით თურდოსპირელის ლიტერატურული მემკვიდრეობის სრულყოფილად შესასწავლად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ცნობილი და არაერთგზის გამოქვეყნებული, არამედ გამოუქვეყნებელი ნაწარმოებებიც, რომლებიც მწერლის არქივში ძირითადად შავი ავტოგრაფების სახით ინახება.

როგორც დავით თურდოსპირელის საარქივო მასალებიდან ირკვევა, მწერლის ინტერესის სფერო საკმაოდ მრავალმხრივი ყოფილა. მისი გამოუქვეყნებელი ნაწარმოებები ძირითადად მცირე პროზის ნიმუშებია, რომლებიც მწერლის თანადროულ ეროვნულ საკითხებთან ერთად სხვადასხვა ზოგადსაკაცობრიო პრობლემასაც ეხება.

დავით თურდოსპირელის ავტოგრაფებზე მუშაობის დროს მწერლის შემოქმედებითი პროცესისთვის დამახასიათებელი არაერთი თავისებურება გამოვლინდა.

მწერალი ძირითადად შავ ავტოგრაფებს ქმნიდა, რომლებიც ხანგრძლივი შემოქმედებითი მუშაობის კვალს ატარებეს. ხშირ შემთხვევაში დასრულებული ნაწარმოებების ავტოგრაფები სხვადასხვა ფერის კალმითაა დაწერილი, შეინიშნება ჩასწორებები განსხვავებული ფერის კალმით, ან ჩასწორება სხვა დამოუკიდებელ ფურცელზეა ასახული, რაც, რიგ შემთხვევაში ნაწარმოების იდეურ მხარეს ეხება და მთლიანად ცვლის შინაარსს. ჩასწორებების შეტანისას ავტორის მიერ გადაწერილი ასლებიც იშვიათად გვხვდება, როგორც ჩანს, მწერალი ავტოგრაფებს არ ათეთრებდა.

დავით თურდოსპირელის ავტოგრაფების უმრავლესობა ავტორის მიერ ხელმოწერილია, ძირითადი ნაწილი დაუთარიღებელია, როგორც საარქივო მასალების გაცნობიდან ირკვევა, ავტოგრაფებს მწერალი შეგნებულად არ ათარიღებდა, ვფიქრობთ, თავისუფალი აზრის დასაცავად.

დავით თურდოსპირელის ავტოგრაფების შესწავლამ ნათელი წარმოდგენა შეგიქმნა მწერლის წერის მანერაზე, მუშაობის სპეციფიკაზე, ამავდროულად უშუალოდ გაგვაცნო მწერლის მსოფლმხედველობა, მისი გულწრფელი დამოკიდებულება თანადროულ ისტორიულ-პოლიტიკურ თუ კულტურულ პროცესებთან.

Andrey Korovin

*A.M.Gorky Institute of World Literature of Russian Academy of Sciences
Russia, Moscow*

Faroese Literature: Scandinavian, Danish, National?

Faroe Islands is a very small country in the middle of Atlantic Ocean and the part of the Kingdom of Denmark. Faroese language is one of Scandinavian languages and closed to Icelandic, but it had no writing till the beginning of 19th century. Instead of this the very rich folklore tradition was kept on Faroes Islands. The history of Faroese literature is not long, the first book was published just in the end of 19th century. Faroese literature traditionally developed on Danish and Faroese languages, and the national content was very important as a remarkable feature of it. Faroese literature shows the genre flexibility and demonstrates an everyday life in Faroe Islands and national human types. The first worldwide famous Faroes author was William Heinsen (1900-1991), who wrote in Danish and his works are considered as a part of Danish literature. Unlike him Heðin Brú (1901-1987) used only Faroes language for his novels and short stories, which were translated into Danish and other European languages. Contemporary Faroese authors aspire to create the original national literary forms distinguished from Danish. Now one of the most disputable questions is to include literary works on Danish language into Faroese literature or not?

Gocha Kuchukhidze

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi*

Smaller Nation at a Service of World Culture (Again About the Reasons of Renaissance Origination)

The presentation admits that there is the need to focus again on the theory of Georgian philosopher, Shalva Nutsbidze and Belgian scientist – Ernest Honigmann, according to which, the author of Areopagitic books is Peter the Iberian, Georgian philosopher of 5th century; according to Nutsbidze, Areopagitics is the movement that has become one of the bases of origination of Italian and, generally, Renaissance (later, this view of Nutsbidze and other scientists was shared by Aleksey Losev).

According to the report, it is hard to state precisely that Dionysus the Areopagite has not written any Areopagite books – possibly, the creator of the mentioned teaching was this thinker and Peter the Iberian was the philosopher, who has authored some new works corresponding to the Areopagitic worldview ...

Basically, Georgia is regarded as the country that accepted cultural achievements of the other countries and it is less known for its contribution to the world culture. The above is one of the examples to illustrate that this view requires revision...

The report offers that the Renaissance is the result of development of theological thinking. In our view, Renaissance worldview regarded a human elevated to such a level that there appeared the grounds to regard not only the soul but also the fleshly body as internally “spiritualized” to certain extent (i.e., according to the worldview, at certain level, a human became such that if we use the words similar to Apostle Paul, raised a spiritual body; 1 Cor. 15:44) and the artists, poets, unlike those of the previous ages, did not avoid depicting of the beauty of the body and, generally, the physical world. According to Areopagitics, if individual lives in accordance with the divine laws, he/she will be able to elevate to the

spiritual levels; in the course of such elevation, entire his substance gradually changes and such changes would affect the body as well; though, in the Renaissance view, the human is still very far from the level where, in theological respect, returning to the status before fall from grace...

The work also provides discussion of the other causes of origination of Renaissance...

გოჩა კუჭუხიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

საქართველო, თბილისი

მცირერიცხოვანი ერი მსოფლიო კულტურის სამსახურში

(კვლავ რენესანსის აღმოცენების მიზეზების შესახებ)

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საჭიროა ყურადღების ქვეშ ისევ მოექცეს შალვა ნუცუბიძისა და ერნესტ ჰონიგმანის თეორია, რომლის თანახმად, აროპაგეტულ წიგნთა ავტორი პეტრე იბერი; ნუცუბიძის მიხედვით, არეოპაგეტიკა ის უმთავრესი მიმდინარეობაა, რომელიც იტალიური და, საერთოდ, რენესანსის აღმოცენების ერთ-ერთი საფუძველი გახდა (ნუცუბიძისა და სხვა მეცნიერთა ეს ორივე მოსაზრება შემდგომში ალექსეი ლოსევმა გაიზიარა).

მოხსენების თანახმად, დაზუსტებით ძნელია თქმა, რომ დიონისე არეოპაგელს არცერთი არეოპაგეტული წიგნი არ დაუწერია, – ხსენებული სწავლების შემქმნელი, შესაძლოა, სწორედ ეს მოაზროვნე იყოს, პეტრე იბერი კი ის ფილოსოფოსი აღმოჩნდეს, რომელმაც არეოპაგელის მსოფლმხედველობის შესაბამისი ზოგიერთი ახალი ტრაქტატი შექმნა...

საქართველო ძირითადად იმ ქვეყნად არის მიჩნეული, რომელიც სხვა ქვეყანათა კულტურულ მიღწევებს ითვისებდა და, როგორც მსოფლიო კულტურაში თავისი წვლილის შემტანი, ნაკლებადაა ცნობილი. ზემოთქმული ერთ-ერთი მაგალითია იმის საილუსტრაციოდ, რომ ეს შეხედულება გადახედვას საჭიროებს...

მოხსენებაში საუბარია იმის შესახებ, რომ რენესანსი თეოლოგიური აზროვნების განვითარების შედეგია. ჩვენი შეხედულებით, ადამიანი სულიერად იმ დონემდე ამაღლებულად მიიჩნია რენესანსულმა მსოფლმხედველობამ, რომ შეიქმნა საფუძველი, ადამიანის არა მხოლოდ სული, არამედ სხეულიც შინაგანად გარკვეულ დონეზე „გასულიერებულად“ წარმოჩენილიყო (ანუ, ხსენებული მსოფლმხედველობის თანახმად, ადამიანი შინაგანად გარკვეულ დონეზე გახდა ისეთი, რომელსაც, თუ პავლე მოციქულის მსგავს სიტყვებს მივმართავთ, „სხეული სულიერი“ ექნება; 1 კორ. 15:44) და მხატვრები, პოეტები, წინა საუკუნეების შემოქმედთაგან განსხვავებით, სხეულისა და, საერთოდ, ფიზიკური სამყაროს მშვენიერების ასახვას აღარ მოერიდნენ. არეოპაგეტიკის მიხედვით, თუ ღვთაებრივი კანონების შესაბამისად იცხოვრებს, სულიერ საფეხურებზე ამაღლებას შეძლებს ადამიანი; ამ ამაღლების დროს შინაგანად მთელი მისი არსება იცვლება ნელ-ნელა და ეს ცვლილება სხეულსაც ეხება; თუმც, რენესანსის თანახმად, ცხადია, ადამიანს ჯერ არ მიუღწევია იმ დონემდე, რაც თეოლოგიური თვალსაზრისით, იმგვარ მდგომარეობაში დაბრუნებას გულისხმობს, როგორც მას ცოდვით დაცემამდე ჰქონდა...

მოხსენებაში რენესანსის აღმოცენების სხვა მიზეზებზეც იქნება საუბარი...

Nona Kupreishvili

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi*

The Demon of Censorship in Grigol Abashidze's Historical Novel "Lasharela"

The origins of Georgian historical prose are found in hagiographic monuments and historical annals. From the second half of the 19th century, historical prose is formed as a genre. It relies on the national collective memory, in the context of the reconstruction of the past, it aims to express the politics of memory, national identity and anti-colonial protest (Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Anton Purtseladze).

Later, Vasil Barnov creates a new stage of Georgian historical prose. In his novels ("Mimkrali Sharavandedi", "Tortured Love"). He fills authentic historical events with fiction, and discusses the national problem in a moral-philosophical angle. Niko Lortkifanidze ("Mriskhane Batoni") appears as an explicit narrator of historical events, who, instead of historical facts and the specifics of the activities of historical persons, actualizes the real problems of modern times by generalizing artistic examples.

In the very first years of Bolshevism, Mikheil Javakhishvili creates the historical novel "Arsena Marabdel" (1926), which is only a part of the trilogy conceived by the writer depicting Georgian public life. The writer was forced to hide the name of the national hero, however, the novel did not receive the support of Soviet criticism. Konstantine Gamsakhurdia's "The Grandmaster's Right Hand" (1939), created during the Stalinist era, besides being the result of a free interpretation of historical material, contains clearly expressed signs of a modernist novel.

The poet Grigol Abashidze, a member of the proletarian literature, was a representative of officialdom. That is why his historical novel, "Lasharela", published in 1957, had to receive only positive feedback from Mtavlit (Head Lit). However, in the historical chronicle of the 13th century Georgia represented artistically by the writer, the sharp eye of the censor found erotic passages in the love story of the main character, Lasha-Gyorgi, and the Velistsikheli woman, as well as in the artistic face of the king's sister, Rusudan.

In January 1959, a discussion of the novel was held at the writers' convention held in the building of Imel. K. Gamsakhurdia was also among the speakers. In the next edition of "Lasharela", which was published in 1963, these passages were removed.

ნონა კუპრეიშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი*

ცენზურის დემონი გრიგოლ აბაშიძის ისტორიულ რომანში „ლაშარელა“

ქართული ისტორიული პროზის სათავეები ჰაგიოგრაფიულ ძეგლებსა და საისტორიო მატერიალებში იძებნება. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან კი ისტორიული პროზა ჟანრულად ყალიბდება. ეყრდნობა რა ნაციონალურ კოლექტიურ მეხსიერებას, წარსულის რეკონსტრუქციის კონტექსტში იგი მიზნად ისახავს მეხსიერების პოლიტიკის, ეროვნული იდენტობისა და ანტიკოლონიური პროტესტის გამოხატვას (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე).

მოგვიანებით, ქართული ისტორიული პროზის ახალ ეტაპს ქმნის ვასილ ბარნოვი. თავის რომანებში („მიმქრალი შარავანდედი“, „ტრფობა წამებული“). იგი ავთენტურ ისტორიულ მოვლე-

ნებს ფიქციით აჯერებს, ეროვნულ პრობლემას კი მორალურ-ფილოსოფიურ პლანში განიხილავს. ისტორიული მოვლენების ექსპლიციტურ მთხრობლად გვევლინება ნიკო ლორთქიფანიძე („მრის-ხანე ბატონი“), რომელიც ისტორიულ ფაქტებისა და ისტორიული პირების მოღვაწეობის კონკრეტის ნაცვლად თანამედროვეობის რეალური პრობლემების აქტუალიზებას მხატვრული გამონაგონის განზოგადებით ახდენს.

ბოლშევიზმის პირველივე წლებში მიხეილ ჯავახიშვილი ქმნის ისტორიულ რომან „არსენა მარაბდელს“ (1926), რომელიც ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველი მწერლის მიერ ჩაფიქრებული ტრილოგიის მხოლოდ ნაწილია. მწერალი იძულებული იყო სახალხო გმირის სახელს ამოფარებოდა, თუმცა ამით რომანმა საბჭოთა კრიტიკის მხარდაჭერა ვერ დაიმსახურა. სტალინიზმის ხანაში შექმნილი კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ (1939), გარდა იმისა, რომ ისტორიული მასალის თავისუფალი ინტერპრეტაციის შედეგია, მოდერნისტული რომანის მკვეთრად გამოხატულ ნიშნებს შეიცავს.

პროლეტარული მწერლობის წვერი პოეტი გრიგოლ აბაშიძე ოფიციალური წარმომადგენელი იყო. სწორედ ამიტომ 1957 წელს გამოქვეყნებულ მის ისტორიულ რომანს, „ლაშარელას“, მთავლიტისგან მხოლოდ დადებითი გამოხმაურება უნდა მიეღო. თუმცა მწერლის მიერ მხატვრულად

რეპრეზენტირებულ XIII საუკუნის საქართველოს ისტორიულ ქრონიკაში ცენზურის მახვილმა თვალმა მთავარი გმირის, ლაშა-გიორგისა და ველისციხელი ქალის სასიყვარულო ისტორიაში, ასევე მეფის დის, რუსუდანის, მხატვრულ სახეში ეროტიკული პასაჟები აღმოაჩინა.

1959 წლის იანვარში იმელის შენობაში გამართულ მწერალთა ყრილობაზე გაიმართა რომანის განხილვა. სიტყვით გამოსულთა შორის იყო კ. გამსახურდიაც. „ლაშარელას“ მომდევნო გამოცემაში, რომელიც 1963 წელს განხორციელდა, ეს პასაჟები ამოღებულია.

Nestan Kutivadze

Akaki Tsereteli State University

Georgia, Kutaisi

Peculiarities of the Artistic Representation of Violence in a Literary Text

(Vazha-Pshavela, George Orwell)

Contemporary life is almost always embodied diversely in a literary text. The world represented in it is the bearer of social content and meaning. Mankind has been inclined to gain power since time immemorial. Often at the heart of it lies the struggle for existence. However, the history of mankind, both imagined and real, is an endless struggle between the strong and the weak, and a constant conflict. The essence of this confrontation is opposed by the paradigm of morality and culture in general, which is further emphasized by the peculiarities of the representation of violence in artistic texts. By showing the inhumane society based on violence in literary texts, writers try to speak out against real violence, to create a revealing picture of the distorted face of a person blinded by cruelty.

It is noteworthy that the artistic reflection of this topic by the authors of different eras and countries clearly shows a number of common features characteristic of violent societies. Fear, worship of the leader, arbitrariness, violence, hypocrisy, etc., which can be manifested in various specific forms, are essentially one and the same.

A literary tale "The Bear" (1909) by the famous Georgian writer Vazha-Pshavela and a dystopian novel "Animal Farm" (1945) by the famous English novelist George Orwell were written in the same period. Despite this, there is a much larger historical distance between these two texts in terms of socio-

cultural context. In the artistic transformation of society based on violence, both writers turned to the animal world. Vazha-Pshavela chose the predator while Orwell featured domestic animals as characters.

Orwell's novel "Animal Farm" allegorically criticizes the Soviet totalitarian regime and depicts the process of suppressing the free will of society. Vazha-Pshavela's bear ("The Bear") is a cruel tyrant who seizes other's land (homeland) and cannot feel happy if there is at least one rebel in the country.

Both texts show well the almost stereotypical nature of violence, the dramatic nature of the loss of freedom, the social misery of a conquered society.

ნესტან კუტივაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო, ქუთაისი

ძალადობის მხატვრული რეპრეზენტაციის თავისებურებები ლიტერატურულ ტექსტში (ვაჟა-ფშაველა, ჯორჯ ორუელი)

მხატვრულ ტექსტში სხვადასხვა ფორმით თითქმის ყოველთვის განსახილველად თანამედროვეობა. მასში რეპრეზენტირებული სამყარო საზოგადოებრივი შინაარსისა და მნიშვნელობის მატარებელია. ადამიანი ძალაუფლების მოპოვებისაკენ მიდრეკილი აღმოჩნდა ოდითგანვე. ამას ხშირად საფუძვლად არსებობისათვის ბრძოლა ედო, თუმცა კაცობრიობის ისტორია, როგორც წარმოსახული, ისე რეალური, ძლიერისა და სუსტის დაუსრულებელი ბრძოლაა, მუდმივი წინააღმდეგობაა. ამ დაპირისპირებას თავისი არსით ეწინააღმდეგება მორალის, ზოგადად, კულტურის პარადიგმა, რასაც მხატვრულ ტექსტებში ძალადობის რეპრეზენტირების თავისებურებები კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს. ლიტერატურულ ტექსტში არაპუმანური, ძალადობაზე დამყარებული საზოგადოების ჩვენებით მწერლები ცდილობენ სწორედ რეალური ძალადობის წინააღმდეგ გაილაშქრონ, სისასტიკით დაბრმავებული ადამიანის დამახინჯებული სახის მამხილებელი სურათი შექმნან.

საგულისხმოა, რომ სხვადასხვა ეპოქისა და ქვეყნის ავტორების მიერ ამ თემის მხატვრული რეფლექსია კარგად აჩვენებს თავად ძალადობრივი საზოგადოებებისათვის დამახასიათებელ არაერთ საერთო ნიშანს. შიში, წინამძღოლის განდიდება, განუკითხაობა, ძალმომრეობა, ფარისევლობა და სხვ., რომლებიც შესაძლებელია სხვადასხვა კონკრეტული ფორმით გამოვლინდეს, თავისი არსით ერთი და იგივეა.

გამოჩენილი ქართველი მწერლის ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული ზღაპარი „დათვი“ (1909) და ცნობილი ინგლისელი პროზაიკოსის ჯორჯ ორუელის დისტოპიური რომანი „ცხოველთა ფერმა“ (1945) ერთ საუკუნეში დაიწერა. ამის მიუხედავად, ამ ორ ტექსტს შორის საზოგადოებრივ-კულტურული კონტექსტის მხრივ გაცილებით დიდი ისტორიული მანძილია. ძალადობაზე დამყარებული საზოგადოების მხატვრული ტრანსფორმაციისას ორივე მწერალმა ცხოველთა სამყაროს მიმართა. ვაჟა-ფშაველამ მტაცებელი, ხოლო ორუელმა შინაური ცხოველები გამოიყვანა პერსონაჟებად.

ორუელის რომანი „ცხოველების ფერმა“ იგავური ფორმით საბჭოთა ტოტალიტარულ რეჟიმს აკრიტიკებს და საზოგადოების თავისუფალი ნების ჩახშობის პროცესს განასახილველს. ვაჟა-ფშაველას დათვი („დათვი“) სასტიკი მოძალადეა, რომელიც სხვის მიწას (მამულს) იპყრობს და არ შეუძლია ბედნიერად იგრძნოს თავი, ვიდრე ერთი ურჩი მაინცაა ქვეყანაზე.

ორივე ტექსტი კარგად აჩვენებს ძალადობის თითქმის სტერეოტიპულ ხასიათს, თავისუფლების დაკარგვის დრამატულ ბუნებას, დაპყრობილი საზოგადოების სოციალურ სიბეჩავეს.

Imants Lavins

The EKA University of Applied Sciences (EKA)

Latvia, Riga

Beware the Illusion or Latvian Literature's Road to the Nobel Prize

The Nobel Prize in Literature, awarded annually by the Nobel Committee of the Swedish Academy, is the world's most prestigious and popular recognition in literature, and the media all over the world, even those whose priorities are not cultural news, do not forget to report on it. Authors have been nominated for this prize since 1901, and many of its recipients are deservedly among the world's literary classics.

The Nobel Committee has been reproached for the marked dominance of European, and especially Scandinavian, authors among the prize winners. The prize committee has also been reproached for the conspicuous rarity with which Asian and African writers have received the prize. The apparent under-representation of women among the prizewinners has also been deservedly criticised. Public opinion has been influential in these areas, with positive developments in recent decades.

The question of the penetration of small nations into the world cultural circle remains a topical issue. This is also the case in Latvia, where the Nobel Prize has been debated since the 1920s. For a long time, the media discussed the nomination of the poet and playwright Rainis and the real possibility of receiving this prestigious prize. In the inter-war period, he was not the only Latvian representative whose nomination was discussed.

Similar optimism emerged with the restoration of an independent state in the 20th century. In the 1990s, when the writer Vizma Belševica was nominated for the prize and the poet Imants Ziedonis nomination was discussed.

After 30 years of renewed independence, optimism has radically diminished, but the question of the chances of literature from small nations to be nominated and even to win the Nobel Prize for Literature remains open.

Jurate Landsbergyte-Becher

Lithuanian Culture Research Institute

Lithuania, Vilnius

The Statement of Anti-Empyre in Visual and Documental Lithuanian Context and its Creators

Lithuania is known as exceptional defender of minor nations, small countries and their struggle for independency and freedom. Lithuanian self-awareness is based on empathy for original national identity and old cultural roots of minor nations, and against ruthless power of aggressive barbaric imperialism because of own dramatic historical experience. This timeless source of cultural identity and creativity to find own road in global world lead Lithuanian creators – photographers and masters of visual field like Vilius Orvidas (1952-1992), Paulius Normantas (1948-2017) or Juozas Valiušaitis (*1964) to civilisation phenomenon to explore minor nation human power and fragility of their existence. This is special motive of Lithuanian creativity to reconcept the place of minor in global context.

Mirja Lecke

*University of Regensburg
Germany, Regensburg*

**The Breakup of the Soviet Union in “small Countries”: Three Novels in Search of Meaning in History
(Gigolashvili, Haratischwili, Vanyan)**

Over recent decades, the relationship between modern Russia and its Soviet past has ignited fervent historiographical debates within Russia itself and in former Soviet republics. These discussions often orbit two contrasting evaluations: The first presents the USSR as a Russian state and its breakup as a geopolitical catastrophe (as Putin famously put it) or, outside Russia, as a rupture that brought about liberation from imperial subjugation. Alternatively, some argue for the innocence of the Russian nation, portraying it as distinct from the suppression and crimes perpetrated under the banner of Communism, although this position is becoming marginal in view of popular support for Russia’s aggression against Ukraine and other neighbors.

To challenge and decenter these established historical narratives, I aim to explore literary works that delve into the Soviet Union's dissolution from the vantage points of “small countries,” specifically Georgia and Armenia. Intriguingly, authors from both have penned novels in Russian, offering depictions of the transition from Soviet socialism to national independence. These works unravel locally specific experiences of upheaval, violence, and newfound opportunities. I will analyze two bilingual authors' historical novels: Mikhail Gigolashvili's "Devil's / Ferris Wheel" (2009), capturing the atmosphere of late perestroika Tbilisi, and Aren Vanyan's "Demontage" (2023), which delves into the complexities of Armenian-Russian familial dynamics amid societal transformation.

By scrutinizing and comparing their narrative strategies of "writing back" to the Russian center, potentially even creating a “minor literature” (Deleuze / Guattari), I aim to elucidate their constructions of cause and effect, as well as their portrayal of center-periphery relations, while also acknowledging the texts’ transnational emergence and circulation, their partaking in “global Russian culture” (Platt 2020). In order to further diversify perspectives and transcend post-Soviet national frameworks, I will incorporate a discussion of Nino Haratischwili's novel "The Eighth Life: For Brilka" (2014). Written in German, this work chronicles the saga of a Georgian family spanning both sides of the Iron Curtain and their troubled “liberation” from Soviet rule.

Ana Letodiani

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi*

Liminality Theory and Vazha-Pshavela’s “The Snake-Eater”

Concept of liminality is associated with the changes in life of various types: social status, values, norms, personal or other transformation and, primarily, the process of seeking of identity. According to anthropologic theory of liminality, any variability implies three phases. 1. Separation, i.e. splitting; separation from certain social unity on the basis of individual choice; here the individual loses the qualities characteristic for the unity. 2. Liminality, this stage includes separation from the normative context and

creation of the universe opposite to the earlier one. 2. Incorporation/re-aggregation, unification, returning to the society with the renewed social status.

According to the liminality theory, in interpretation of the literary text, naturally, following of the characters' transformation process is of particular interest. Our attention was focused on the way of comprehension of the characters with certain common signs, within the scopes of art of one author, in this case – Vazha-Pshavela. In Vazha-Pshavela's poems "Host and Guest" and "Aluda Ketelaury" the process of the characters' internal transformation correspond to the stages distinguished within the liminality anthropological theory. In the mentioned literary texts, we can see painful, critical phases of the individual's separation, liminality, the process of separation, liminality and incorporation, based on the thought, conscious decision, though, with different variations. In our view, the situation is different, to some extent, in case of Mindia, the main character of "The Snake-Eater"/ His transformation process does not fully correspond to the stages identified according to anthropological theory of liminality. And for this reason, this character deserves particular attention. The goal of our work is to identify the mentioned differences, analyze them and demonstrate, how well suit the classical form of liminality theory to Mindia's character or why it does not suite, just like in cases of Aluda and Jokola.

ანა ლეთოდიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

საქართველო, თბილისი

ლიმინალობის თეორია და ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელი“

ლიმინალობის ცნება ორ განსხვავებულ სივრცეს შორის მიჯნავს ადნიშნავს. ის სხვადასხვა ტიპის ცხოვრებისეულ ცვლილებას: სოციალური სტატუსის, ღირებულებების, პიროვნული თუ სხვა ტიპის ტრანსფორმაციას, უპირველესად, იდენტობის ძიების პროცესს უკავშირდება. ლიმინალობის ანთროპოლოგიური თეორიის თანახმად, ნებისმიერი სახის ცვალებადობა გულისხმობს 3 ფაზას. 1. სეპარაცია ანუ გამოცალკეება; გარკვეული სოციალური ერთობისაგან გამოიჯნა ინდივიდუალური არჩევანის საფუძველზე; ამ დროს ინდივიდი ერთობისათვის ნიშნულ მახასიათებლებს კარგავს. 2. ლიმინალობა, ეს, სტადია მოიცავს ნორმატიული კონტექსტისაგან გამოცალკეებას და ადრინდელის საპირისპირო სამყაროს შექმნას. 3. ინკორპორაცია/რეაგრეგაცია, გაერთიანება, საზოგადოებაში განახლებული სოციალური სტატუსით დაბრუნება.

ლიმინალობის თეორიის მიხედვით მხატვრული ტექსტის გააზრებისას, ბუნებრივია, განსაკუთრებით საყურადღებოა პერსონაჟთა სახეცვლილების პროცესზე დაკვირვება. ჩვენთვის საყურადღებოა ერთი ავტორის, ამ შემთხვევაში, ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ფარგლებში როგორ შეიძლება გავიაზროთ, გარკვეული ნიშნებით მსგავს პერსონაჟთა სახეები. ვაჟა-ფშაველას პოემებში „ალუდა ქეთელაური“ და „სტუმარ-მასპინძელი“ პერსონაჟთა შინაგანი ტრანსფორმაციის პროცესი, შეესაბამება ლიმინალობის ანთროპოლოგიური თეორიის მიხედვით გამოყოფილ ეტაპებს. დასახელებულ მხატვრულ ტექსტებში ინდივიდთა სეპარაციის, ლიმინალობის მტკივნეულ, კრიზისულ ფაზებს, ფიქრის, გაცნობიერებული გადაწყვეტილების საფუძველზე სეპარაციის, ლიმინალობის და ინკორპორაციის პროცესს ვადევნებთ თვალს, თუმცა, განსხვავებული ვარიაციებით. გარკვეულწილად, განსხვავებული ვითარებაა „გველისმჭამელის“ მთავარი პერსონაჟის, მინდიას შემთხვევაში. მისი ტრანსფორმაციის პროცესი ლიმინალობის ანთროპოლოგიური თეორიის მიხედვით გამოყოფილ საფეხურებს სრულად არ ესადაგება, თუმცა, სწორედ ამიტომაც ამ პერსონაჟის სახე საყურადღებოა. ჩვენი მოხსენების მიზანია, აღნიშნულ განსხვავებათა გამოკვეთა, გაანალიზება და იმის ჩვენება, ლიმინალობის თეორია კლასიკური ფორმით რამდენად შეესაბამება მინდიას სახეს ან რატომ შეიძლება არ ესადაგებოდეს იმგვარად, როგორც ალუდას და ჯოკოლას შემთხვევაში.

Gubaz Letodiani

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi*

The structure of Zaza Burchuladze's novel "Scent of a Rose"

Zaza Burchuladze, a contemporary Georgian author living in Germany, published his novel "Scent of a Rose" in 2022. The text attracts attention with its structure and narrative technique. Zaza Burchuladze was known for outrageous speeches and relevant texts, however this work presents him in a different way. The story told from the perspective of the narrator is not new to literature, but the style and skill of the writer can be seen in the flow of the narration and the way the story is constructed. That is why it is important to observe the structure of the novel.

The main research questions are: What effect does the composition of the novel have on the plot structure? In what form is the storytelling process realized and what are the main features of this? The purpose of the research is to show the relationship between the form and the content of the novel, taking into account the research methods of structuralism and narratology.

გუბაზ ლეთოდიაანი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი*

ზაზა ბურჭულაძის რომანის „ვარდის სურნელის“ სტრუქტურა

გერმანიაში მცხოვრები, თანამედროვე ქართველი ავტორის, ზაზა ბურჭულაძის რომანი „ვარდის სურნელი“ გამოიცა 2022 წელს. ტექსტი ყურადღებას იპყრობს თავისი სტრუქტურითა და თხრობის ტექნიკით. ზაზა ბურჭულაძე ცნობილი იყო ეპატაჟური გამოსვლებითა და შესაბამისი ტექსტებით, თუმცა ეს ნაწარმოები სხვაგვარად წარმოაჩენს მას. მთხრობელი ავტორის პერსპექტივიდან გადმოცემული ისტორია/ამბავი ლიტერატურისთვის ახალი არაა, მაგრამ თხრობის მდინარეებსა და ამბის/სიუჟეტის აგების ფორმაში ჩანს მწერლის სტილიცა და ოსტატობაც. ამიტომაც მნიშვნელოვანია რომანის სტრუქტურაზე დაკვირვება.

ძირითადი საკვლევი კითხვებია: რა გავლენა აქვს რომანის კომპოზიციას სიუჟეტის აგებულებაზე? როგორი ფორმით რეალიზდება თხრობის პროცესი და რა ძირითადი თავისებურებები ვლინდება ამ მხრივ? კვლევის მიზანია, რომ სტრუქტურალიზმისა და ნარატოლოგიის კვლევის მეთოდების გათვალისწინებით წარმოჩნდეს რომანის ფორმისა და შინაარსის მიმართება.

Salome Lomouri

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi*

Depictions of Heroes in the Poems of the "Our Generation" Poets and Ana Kalandadze

During World War II, every poet in the Soviet Union was tasked with writing poems about the war and the heroes defending the homeland. Patriotism, which had been overshadowed by nationalism in Soviet countries, became popular again. Almost every poet active in the Soviet Union during the 1930s and 1940s wrote at least one or two poems with this narrative. Consequently, a monumental image of the hero gradually emerged in the poetry of this period: depictions of warriors fighting for the homeland were exalted, untouchable, and inevitably victorious, as the possibility of the Soviet Union losing the war was not even considered. However, the various poets of "Our Generation" perceived and described the war differently in their poems.

Mirza Gelovani primarily saw the war as an evil and longed for the end of the fighting to return to his homeland. While he faced his fate bravely, we seldom find the exalted image of the hero in Gelovani's poetry. Instead, he speaks more of the soldiers' harsh fate and the inevitability of death on the battleground. Gelovani believed that courage and sacrificing his life for his country were the duties of a man, so natural that he did not consider them extraordinary heroism.

In the poems of Lado Asatiani, we more often encounter images of Georgian heroes (the three hundred Aragvians, Maia Tskneteli, etc.). The poet recalls historical figures in his lyrics and presents their heroism as examples for the Georgian people. The sense of patriotism reflected in Asatiani's poems is sincere and genuine, devoid of false pathos.

Ana Kalandadze should be considered the poetic successor of Lado Asatiani. She specifically highlighted the role of heroes and ancestors in her poetry: "One of the sources of my work is our great past... Our great history inspired me to write poems about Saint Nino, David the Builder, Queen Ketevan" (A. Kalandadze, 1991). The poet has many poems dedicated to Georgian heroes. The metaphor of the poppy, associated with the three hundred Aragvians in Asatiani's poetry, frequently appears in Kalandadze's works as well. Her lyrics breathe and live with history.

Kalandadze managed to soften the monumental image of the hero characteristic of Soviet poetry's rhetoric, bringing heroes down from their pedestal and humanizing them. Instead, her characters are distinguished by their simplicity and humanity. They possess high moral character and, at the same time, appear as an inseparable part of the Georgian people.

სალომე ლომოური

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი*

გმირის სახე „ჩვენი თაობის“ პოეტებისა და ანა კალანდაძის ლირიკაში

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საბჭოთა კავშირში ყველა პოეტს დაევა ლექსების წერა ომსა და სამშობლოს მცველ გმირებზე. ნაციონალიზმის სახელით განდევნილი პატრიოტიზმი კვლავ აქტუალური გახდა. მწიფად თუ მოიძებნება 30-40-იან წლებში მოღვაწე პოეტი, რომელსაც ერთი-ორი ლექსი მაინც არ ჰქონდეს დაწერილი მსგავსი ნარატივით. ამგვარად, ამ პერიოდის

პოეზიაში ნელ-ნელა გამოიძერწა სამშობლოსათვის მებრძოლი გმირის მონუმენტური სახე – ამაღლებული, ხელშეუხები და აუცილებლად გამარჯვებული, რადგან საბჭოთა კავშირის ომში დამარცხების შესაძლებლობა არც კი გაინიხილებოდა. თუმცა „ჩვენი თაობის“ პოეტები ომს სხვადასხვაგვარად გაიაზრებდნენ.

მირზა გელოვანი მას, უპირველესად, ბოროტებად მიიჩნევდა და ბრძოლის დასრულებასა და სამშობლოში დაბრუნებას ნატრობდა. იგი მამაცად უმკლავდებოდა თავის ხვედრს, მაგრამ მ. გელოვანის პოეზიაში გმირის ამაღლებული სახე ნაკლებად ჩანს, იგი უფრო ჯარისკაცთა მძიმე ხვედრსა და ფრონტზე სიკვდილის გარდუვალობაზე გვიყვება. მირზა გელოვანი სიმამაცეს, სამშობლოსათვის თავგანწირვას ვაჟკაცის მოვალეობად თვლიდა და ეს მისთვის ისეთი ბუნებრივი რამ იყო, რომ განსაკუთრებულ გმირობად არც კი მიიჩნევდა.

ლადო ასათიანის ლექსებში უფრო ხშირად ვხვდებით ქართველ გმირთა სახეებს (სამასი არაგველი, მაია წყნეთელი და ა.შ.). პოეტი იხსენებს ისტორიულ პერსონაჟებს და მათს გმირობას მაგალითად გვისახავს. ამასთანავე, ლადო ასათიანის ლექსებში ასახული პატრიოტიზმის განცდა წრფელი და ნამდვილია. მას არ ახასიათებს ყალბი პათეტიკა. შეიძლება ითქვას, ლადო ასათიანის პოეტური მემკვიდრეა ანა კალანდაძე. იგი საგანგებოდ მიუთითებდა გმირებისა და წინაპრების როლზე: „ჩემი შემოქმედების ერთ-ერთი წყარო ჩვენი დიდი წარსულიცაა... ჩვენმა დიდმა ისტორიამ დამაწერინა ლექსები წმინდა ნინოზე, დავით აღმაშენებელზე, ქეთევან დედოფალზე“ (ა. კალანდაძე, 1991). პოეტს არაერთი ლექსი აქვს მიძღვნილი ქართველი გმირებისათვის. ყაყაოს სახე, რომელიც ლადო ასათიანის პოეზიაში სამას არაგველს უკავშირდება, ხშირად იჩენს თავს ანა კალანდაძის შემოქმედებაშიც. მისი ლირიკა ისტორიით სუნთქავს და ცოცხლობს.

ანა კალანდაძემ მოახერხა, საბჭოთა პოეზიის რიტორიკისთვის დამახასიათებელი მონუმენტური გმირის სახის შერბილება, მისი კვარცხლბეკიდან ჩამოყვანა და გაადამიანურება. პოეტის გმირები თავიანთი უბრალოებით, ადამიანურობით გამოირჩევიან. ისინი ამაღლებული სულიერების მქონენი არიან და, ამავდროულად, ქართველი ხალხის განუყოფელ ნაწილად გვევლინებიან.

Kakhaber Loria

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Georgia, Tbilisi

Tarjei Vesaas as a Novelist

Although Norway is a small and geographically quite peripheral country, it is distinguished by centuries-old and rich literary traditions. Norwegian prose and many of its prominent representatives deserve special mention. Since the nineteenth century, Norwegian novels have reached special heights.

Tarjei Vesaas (1897-1970) is one of the most successful and internationally recognized figures of Norwegian literature of the twentieth century. His works have been translated into many languages of the world, including Georgian. T. Vesaas is an excellent lyricist, a very interesting dramatist, and a sophisticated short-story writer, although he entered the history of literature primarily as a novelist. T. Vesaas was repeatedly nominated for the Nobel Prize. His work has been marked by many prestigious prizes, among which the Nordic Council Literary Prize stands out, often called a mini-version of the Nobel Prize. The Norwegian writer, already widely recognized, received this prize in 1964 for the excellent novel "The Ice Palace" published the previous year. Among the previously published novels of Vesaas, it is necessary to mention "The Black Horses" (1928), "The Great Cycle" (1934), "The Seed" (1940), "The House in the Dark" (1945), "Spring Night" (1954), "The Birds" (1957), and from the novels created at the end of his creative life, "Bridges" (1966) and "The Boat in the Evening" (1968).

T. Vesaas' novels are distinguished by great diversity. Some of them, in one way or another, fit within the aesthetic limits of realism or the so-called new realism. At the same time, the great Norwegian writer has created novels that should be attributed to modernist prose. In many of his novels (e.g., "The Seed", "The Birds", and others), T. Vesaas grapples with severe ethical and psychological problems. It is also worth noting that political allegory is no stranger to Vesaas's novels, as is especially evident in his work "The House in the Dark". This famous novel is a sort of allegorical history of the occupation of Norway by Nazi Germany.

კახაბერ ლორია

*ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი*

თარიე ვესოსი როგორც რომანისტი

მიუხედავად იმისა, რომ ნორვეგია მცირერიცხოვანი და გეოგრაფიულად საკმაოდ პერიფერიული ქვეყანაა, ის მრავალსაუკუნოვანი და მდიდარი ლიტერატურული ტრადიციებითაა გამორჩეული. საგანგებო აღინიშნავს იმსახურებს ნორვეგიული პროზა და მისი არაერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. მოყოლებული მეცხრამეტე საუკუნიდან განსაკუთრებულ სიმაღლეებს მიაღწია ნორვეგიულმა რომანისტიკამ.

თარიე ვესოსი (1897-1970) მეოცე საუკუნის ნორვეგიული ლიტერატურის ერთერთი ყველაზე წარმატებული და საერთაშორისოდ აღიარებული ფიგურაა. მისი ნაწარმოებები მსოფლიოს მრავალ ენაზე, მათ შორის ქართულადაც, არის თარგმნილი. თ. ვესოსი არის შესანიშნავი ლირიკოსი, ძალიან საინტერესო დრამატურგი, დახვეწილი ნოველისტი, თუმცა ლიტერატურის ისტორიაში ის, უწინარეს ყოვლისა, მაინც როგორც რომანისტი შევიდა. თ. ვესოსი არაერთხელ იყო წარდგენილი ნობელის პრემიაზე. მისი შემოქმედება აღნიშნულია მრავალი ძალზე პრესტიჟული პრიზით, რომელთა შორის გამოირჩევა ჩრდილოეთის ქვეყნების საბჭოს ლიტერატურული პრემია, რომელსაც ხშირად ნობელის პრემიის მინი-ვერსიასაც კი უწოდებენ. ეს პრიზი უკვე საყოველთაოდ აღიარებულმა ნორვეგიელმა მწერალმა 1964 წელს მიიღო წინა წელს გამოცემული შესანიშნავი რომანისათვის „ყინულის სასახლე“. თ. ვესოსის მანამდე გამოცემული რომანებიდან აუცილებლად უნდა აღინიშნოს „მავი ცხენები“ (1928), „დიდი თამაში“ (1934), „ჩანასახი“ (1940), „სახლი წყვილადში“ (1945), „გაზაფხულის სადამო“ (1954), „ჩიტები“ (1957), ხოლო შემოქმედებითი ცხოვრების მიწურულს შექმნილი რომანებიდან კი – „ხიდები“ (1966) და „ნავი სადამოს“ (1968).

თ. ვესოსის რომანები გამოირჩევიან დიდი მრავალფეროვნებით. ზოგიერთი მათგანი ასე თუ ისე ეტევა რეალიზმისა თუ ე.წ. ახალი რეალიზმის ესთეტიკურ საზღვრებში. იმავდროულად დიდ ნორვეგიელ მწერალს შექმნილი აქვს რომანები, რომლებიც მოდერნისტულ პროზას უნდა მივაკუთნოთ. თავის არაერთ რომანში (მაგ. „ჩანასახი“, „ჩიტები“ და სხვა) თ. ვესოსი უმწვავეს ეთიკურ და ფსიქოლოგიურ პრობლემებს ეჭიდება. ასევე საგანგებოდაა აღსანიშნი, რომ თ. ვესოსის რომანისტიკისთვის არც პოლიტიკური ალეგორიაა უცხო, როგორც ეს განსაკუთრებით ცხადად წარმოჩინდება მის თხზულებაში „სახლი წყვილადში“. ეს გახმაურებული რომანი ნაცისტური გერმანიის მიერ ნორვეგიის ოკუპაციის ერთგვარ ალეგორიულ ისტორიას წარმოადგენს.

Yordan Lyutskanov
Institute for Literature
Bulgarian Academy of Sciences
Bulgaria, Sofia

Literatures of Small Nations or Small Literatures?
(Introduction)

The dilemma refers to two modes of thinking of literature – a ‘socio-centric’ and a ‘literature-centric’ one, and to two approaches to non-dominant literature(s): a quantitative or empirical one (number of readers, ratio between literary ‘imports’, ‘exports’, and ‘slow stock’ or works remaining locked within the language they were created in) and a relational or nomothetic one.

Relational approach would classify literatures into a limited number of correlated ideal types (e.g. small, minor, big, hegemonic), and reconstruct constellations of literatures belonging to these types while studying interliterary landscapes of diverse scopes (urban, international, global). A set of ideal types can be constructed along macro-sociolinguistic correlations/typologies like ‘vernacular vs. vehicular vs. referential vs. mythic’ of Henri Gobard (as in the quadruple typology in the previous sentence); or after the basic (op)positions within a field of artistic production after Bourdieu (big vs. small scale production, consecration vs. lack of such, but also economical vs. political heteronomy); etc.

An ‘ideographical’ approach would possibly (more than the former two approaches) try to converge the wings of the dilemma and explore, e.g.: (auto-)perceptions and (auto-)stereotypes, such as the literary misery of a numerically big nation (normally an assessment of a present?) or the literary greatness of a numerically tiny one (normally an assessment of a past?); the gaps between perceptions and self-perceptions of (non)smallness; the approaches to one’s ‘smallness’ – a quietist, entrepreneurial, etc.; the qualification of the main qualifier itself (an euphemism, a dysphemism, etc.).

Yordan Lyutskanov
Institute for Literature
Bulgarian Academy of Sciences
Bulgaria, Sofia

**‘Small’ Literature, that is: Literature with Limited In-going Translational Opportunities;
Structural Limitation and Voluntary Self-limitation**

One possible definition of a small literature would be of a literature depending on indirect translation. For translations from a number of literatures it would rely on the mediation of a literature perceived as more important than both the source and the target literatures. In some kind of cases, possibly rare, this dependence on mediation, in general hardly avoidable due to lack of qualified translators, may turn out to be voluntary. Such a case is demonstrated by Bulgarian literature, when it translates from the Georgian. In my talk I will analyse a translation of Valerian Gaprindashvili’s ‘Sea’ by Nikolaj Künchev, which translation seems to be far more dependent on Pasternak’s translation of that poem into Russian than on the original, despite translator’s published declaration that he has relied on an interlinear translation from the Georgian. The case enables us to view ‘smallness’ not only as ‘objective’ property/distinctive feature but as horizon of self-identification, as self-inscription.

Nino Malutashvili
Ilia State University
Georgia, Tbilisi

The Essence and Function of Dialogue in Modern Georgian Poetry
("Putting out the potatoes" by Besik Kharanauli)

Dialogue, as a special form of speech, is a significant event in fiction. It adds dynamism to the text. For literary critics, this form is interesting, not as a phenomenon characteristic of everyday speech, but as an organic part of the text, carrying a certain load. The function of dialogue in artistic creativity in general is noteworthy. In the present study, it will be emphasized how the dialogue is constructed and expressed in a specific lyric work.

The text selected for analysis is Besik Kharanauli's "Potato Removal". We think that it is one thing – the classic function of dialogue and another – its different variant. First of all, it should be noted that dialogue is one of the most diverse forms of communication in prose, because if the most general list is named, it involves: the author, the character and the reader. Obviously, the latter implies many subjects and, accordingly, many perceptions and points of view.

In fiction texts, dialogue is often the literary technique needed to create a character's character. It is impossible not to pay attention to the dialogic criticism of Mikhail Bakhtin.

According to Bakhtin's view, the novel expresses the so-called "Voice of the people" and at the same time it distinguishes a different form of dialogue – internal dialogue.

Discussing the carnivalized literature, he singles out the soliloquy genre, which, according to him, is the so-called Internal dialogue, to put it simply, is based on self-dialogue.

It is interesting that certain invariants of such forms of dialogue can also be found in modern Georgian lyrical text, in particular, in Besik Kharanauli's "Putting out potatoes."

In the poem, we find a dialogue between the lyrical hero and his mother, although this dialogue does not represent a form of classical wordplay.

The poem includes several lines spoken by the mother, to which the lyrical hero, in most cases, responds with inner speech. Also, we find a kind of dialogue between the lyrical hero and his teenage son.

The purpose of this research is to discuss these passages, find specific examples and analyze them. It is interesting to observe the fact that what determines the existence of such dialogue options in the named poem

ნინო მალუტაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

დიალოგის არსი და ფუნქცია თანამედროვე ქართულ ლექსში
(„ბესიკ ხარანაულის „კარტოფილის ამოღება“)

დიალოგი, როგორც სიტყვამიგების განსაკუთრებული ფორმა, საკმაოდ საგულისხმო მოვლენაა მხატვრულ ლიტერატურაში. ის დინამიკურობას სძენს ტექსტს. ლიტერატურათმცოდნეებისთვის ეს ფორმა საინტერესოა, არა როგორც ყოველდღიური ყოფითი მეტყველებისთვის დამახასიათებელი მოვლენა, არამედ, როგორც ტექსტის ორგანული ნაწილი, გარკვეული დატვირთვის მატარებელი. საყურადღებოა დიალოგის ფუნქცია ზოგადად, მხატვრულ შემოქმედებაში. წინამდე-

ბარე კვლევაში კი ხაზი გაესმება, თუ რა დატვირთვას ითავსებს, როგორაა აგებული და გამოხატული დიალოგი კონკრეტულ ლირიკულ ნაწარმოებში.

საანალიზოდ შერჩეული ტექსტია ბესიკ ხარანაულის „კარტოფილის ამოღება“. ვფიქრობთ, ერთია – დიალოგის კლასიკური ფუნქცია და მეორეა – მისი განსხვავებული ვარიანტი. უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ დიალოგი პროზაში კომუნიკაციის ერთ=ერთი მრავალფეროვანი ფორმაა, რადგანაც უზოგადესი ჩამონათვალი რომ დასახელდეს, მასში მონაწილეობს: ავტორი, პერსონაჟი და მკითხველი. ცხადია, ეს უკანასკნელი თავის თავში მრავალგვარ სუბიექტს და შესაბამისად, მრავალგვარ აღქმასა და თვალსაზრისს გულისხმობს.

მხატვრულ ტექსტებში, ხშირად, სწორედ დიალოგია პერსონაჟის ხასიათის შექმნისთვის საჭირო ლიტერატურული ხერხი. შეუძლებელია, რომ დიალოგთან მიმართებით ყურდადება არ მიექცეს მიხაილ ბახტინის „დიალოგურ კრიტიკას“.

ბახტინის შეხედულებით, რომანში დიალოგის საშუალებით გამოიხატება ე.წ. „ხალხის ხმა“ და ამავე დროს თავადვე გამოყოფს დიალოგის განსხვავებულ ფორმას – შინაგან დიალოგს. კარნავალიზებულ ლიტერატურაზე მსჯელობისას, ის გამოკვეთს სოლილოქვიუმის ჟანრს, რომელიც, მისივე თქმით, ე.წ. შინაგან დიალოგს, მარტივად რომ ვთქვათ, საკუთარ თავთან დიალოგს ეფუძნება.

საინტერესოა, რომ დიალოგის ამგვარი ფორმების გარკვეულ ინვარიანტს შეიძლება შევხვდეთ თანამედროვე ქართულ ლირიკულ ტექსტშიც, კერძოდ, ბესიკ ხარანაულის „კარტოფილის ამოღებაში“.

ლექსში ლირიკული გმირისა და დედის დიალოგს ვხვდებით, თუმცა აღნიშნული დიალოგი კლასიკური სიტყვამიგების ფორმას არ წარმოადგენს.

ლექსი მოიცავს დედის მიერ წარმოთქმულ რამდენიმე რეპლიკას, რაზეც ლირიკული გმირი, უმეტესად, შინაგანი მეტყველებით სცემს პასუხს. ასევე, ვხვდებით ერთგვარ დიალოგს ლირიკულ გმირსა და მის მოზარდ შვილს შორის.

სწორედ, ამ მონაკვეთების განხილვა, კონკრეტული მაგალითების მოძიება-დასახელება და ანალიზია წინამდებარე კვლევის მიზანი. საინტერესოა, იმ ფაქტზე დაკვირვებაც, თუ რა განაპირობებს დასახელებულ ლექსში დიალოგის ამგვარი ვარიანტების არსებობას.

Ketevan Mamasakhlisi

*Tbilisi Theological Academy and Seminary
Georgia, Tbilisi*

An Ancient Georgian Translation of the Life of Makari the Egyptian

St. Serapion of Thmuis, a disciple of Anthony the Great, provides an especially rich corpus regarding the life and ascetic labors of the blessed Macarius. His work has survived to the present day in the form of a 7th-century compilation.

According to the sources, Blessed Macarius had lived during the years 300-390. According to the *Lausiac History*, He spent sixty years in the desert.

The work by St. Serapion has survived today in the form of many translations, specifically in Coptic, Greek, Syriac, Arabic, Georgian, and Slavonic.

A keimenic edition of the saint's life has survived in Georgian, with the author being anonymous.

Blessed Macarius is especially noteworthy from a literary viewpoint. He had gathered together the spiritual experience of the Desert Fathers in his work and laid the foundation for ascetic theology.

The Old Georgian translation of the Life of Macarius the Great has survived in the form of a few manuscript copies: A 129, A 79 and jer. 17.

There is a detailed narrative regarding the saint's parents in the "Life" of Blessed Macarius, who have been compared to the biblical Abraham and Sarah. Analogies to biblical characters appear many times throughout the work.

Two forms of ascetic labor have been well-defined within the work: anchorism and cenobitism. The emergence of the monastic brotherhood within the realm of the eremitic life has been shown. According to the author, St. Macarius had learned the monastic typicon from Anthony the Great.

Many miracles performed by Blessed Macarius have been included in the "Life". The story of raising a dead man is one of the most remarkable. The miracle and in general, the discussion of St. Macarius regarding the mystery of the Resurrection are indicative of his profound theological education.

Such places are encountered in the "The Life of St. Macarius the Egyptian" which either correspond to the appropriate segments in the *Lausiac History* and the Georgian apophthegmatic collections or are divergent from them.

The relation of the "Life" with places in the Old Georgian texts corresponding to the Holy Scriptures is quite interesting. They have sometimes been conveyed in periphrastic form, are sometimes identical, or have been conveyed in a slightly different form.

Certain episodes of the saint's life, advice, or dialogues preserved in the work need to be taken into account in order to fully study his work as a scholar and to draw parallels with the corpus of his works.

ქეთევან მამასახლისი

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

საქართველო, თბილისი

წმინდა მაკარი ეგვიპტელის ცხოვრების ძველი ქართული თარგმანი

ნეტარი მაკარი ეგვიპტელის ასკეტური ღვაწლის შესახებ მოგვითხრობს წმინდა სერაპიონ თმუსელი, ანტონი დიდის მოწაფე, რომლის ნაშრომმა ჩვენამდე მე-7 საუკუნის კომპილაციური თხზულების სახით მოაღწია.

ისტორიული წყაროების თანახმად, ნეტარი მაკარი 300-390 წლებში ცხოვრობდა. პალადი ჰელენოპოლელის ლავსაიკონის მიხედვით, მან უდაბნოში სამოცი წელი გაატარა.

წმინდა სერაპიონის ნაშრომი დღეს მრავალი თარგმანის სახით შემორჩა, კერძოდ კოპტურ, ბერძნულ, სირიულ, არაბულ, ქართულ და სლავურ ენებზე.

ქართულ ენაზე შემორჩა წმინდანის ცხოვრების კიმენური რედაქცია, რომლის მთარგმნელი უცნობია.

ნეტარი მაკარის მოღვაწეობა განსაკუთრებით აღსანიშნავია ლიტერატურული თვალსაზრისით. მან შეაგროვა უდაბნოს მამების სულიერი გამოცდილება და საფუძველი ჩაუყარა ასკეტურ თეოლოგიას.

მაკარი დიდის ცხოვრების ძველი ქართული თარგმანი შემოგვრჩა რამდენიმე ხელნაწერის სახით: A 129, A 79 და jer. 17.

არსებობს დეტალური ნარატივი წმინდანის მშობლებთან დაკავშირებით, რომელიც დაცულია ნეტარი მაკარის „ცხოვრებაში“. ისინი შედარებულია ბიბლიურ აბრაამთან და სარასთან. ბიბლიური პერსონაჟების ანალოგიები ბევრჯერ ჩნდება მთელ ნაწარმოებში.

ნაწარმოებში კარგად არის გამოკვეთილი ასკეტური მოღვაწეობის ორი ფორმა: ანაქორეტიზმი და კვინობიტიზმი. ნაჩვენებია თუ როგორ ჩნდება სამონასტრო სამყო ერემიტულ გარემოში. ავტორის თქმით, წმინდა მაკარიმ ანტონი დიდისგან ისწავლა სამონასტრო ტიპიკონი.

ნეტარი მაკარის „ცხოვრებაში“ შეტანილია მის მიერ აღსრულებული მრავალი სასწაული. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა გარდაცვლილი კაცის მკვდრეთით აღდგენის ისტორია. ზოგადად, წმინდა მაკარის მსჯელობა აღდგომის საიდუმლოებასთან დაკავშირებით მის ღრმა საღვთისმეტყველო განათლებაზე მიუთითებს.

წმინდა მაკარი ეგვიპტის „ცხოვრებაში“ გვხვდება ისეთი ადგილები, რომელიც ან შეესაბამება ლავსაიკონის ისტორიის შესაბამის ეპიზოდებს და ქართულ აპოფთეგმატურ კოლექციებს ან განსხვავდება მათგან. ზოგჯერ წმინდანის „ცხოვრებაში“ გარკვეული ისტორიები უფრო ფართოდ ან პირიქით, მოკლედაა მოთხრობილი.

მაკარი დიდის „ცხოვრების“ კავშირი წმინდა წერილების შესაბამის ძველ ქართულ ტექსტებთან ძალზე საინტერესოა. ისინი ზოგჯერ გადმოცემულია პერიფრაზის სახით, ზოგჯერ იდენტურია ან განსხვავებული ფორმითაა წარმოდგენილი.

წმინდანის ცხოვრების გარკვეული ეპიზოდები, რჩევები ან დიალოგები გასათვალისწინებელია მისი შემოქმედებითი კორპუსის შესწავლისას.

Marine Mamulashvili-Botkveli

Georgia, Tbilisi

Interpretive Translation Gibran Khalil Gibran “Jesus the Son of Man”

Interpretation of a text implies a free reading of the text. Linguistic theory of translation attaches importance to language and linguistic signs, while interpretive translation theory involves adapting the original text to the language of translation. During the interpretation, the translator must take into account the cultural differences between the two languages, the subject matter of the translated text, genre aspects, etc.

In the process of interpreting a text translation theorists pay special attention to the subjective attitude of the translator towards the translated text, which can damage the text. In order for this not to happen, the translator must fully understand the author's intention and purpose. To illustrate these provisions, we will consider examples that show what the translator's attitude towards his mother language is, how much he takes into account the writer's vision, his philosophical and religious thinking. For example:

„These valleys will be barren,
And we will have naught but dried fields and arid,
All green things will parch in the sun,
And our orchards will bring forth sour apples,
And our vineyards bitter grapes,
We will thirst for your wine,
And our nostrils will long for your fragrance“.

(Gibran 1941: 184)

„ეს ველ-მინდვრები გვალვისაგან დაიშაშრება,
მოლი დაღრება, თაკარა მზე დაგვალავს ყანებს,
ხეხილის ბაღი გამოიტანს პანტას, მაჟალოს,
და ჩვენი ზვრები მწკლარტე ყურძენს მოგვანატრებენ,
და მოგვწყურდება ღვინო შენი, სურნელი შენი“.

(გიგინეიშვილი 2006: 219) (Gigineishvili 2006: 219)

The words in original text: “barren” ; “naught”; “arid”; “parch” – completely lost in translation and other words and phrases appeared instead: : დაიშაშრება – to incise, to cut up; to chap; დაღრება – to fade; დაგვალავს – to dry up (the soil), to hinder the growth of, to burn. „გვალვისაგან დაიშაშრება“, „მოლი დაღრება“, „თაკარა მზე“, „დაგვალავს ყანებს“, „ხეხილის ბაღი“, „პანტა, მაჟალო“ – are wonderful examples of free interpretation.

მარინე მამულაშვილი-ბოტკოველი

საქართველო, თბილისი

ინტერპრეტაციული თარგმანი (ჯიბრან ხალილ ჯიბრანი „იესო, ძე კაცისა“)

ლინგვისტური თეორია მნიშვნელობას ანიჭებს ენას და ლინგვისტურ ნიშნებს, ინტერპრეტაციული თარგმანის თეორია კი გულისხმობს ორიგინალის ტექსტის მორგებას სათარგმნ ენაზე. ინტერპრეტაციის დროს მთარგმნელმა უნდა გაითვალისწინოს ორ ენას შორის არსებული კულტურული განსხვავებები, სათარგმნი ტექსტის თემატიკა, ჟანრობრივი ასპექტები და ა.შ.

მხატვრული ნაწარმოების ინტერპრეტაციის პროცესში თარგმანის თეორეტიკოსები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ სათარგმნი ტექსტის მიმართ მთარგმნელის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე, რომელმაც შეიძლება დააზიანოს ტექსტი. ეს რომ ასე არ მოხდეს, მთარგმნელი კარგად უნდა ჩაწვდეს ავტორის ჩანაფიქრს და მიზანს. ამ დებულებების საილუსტრაციოდ განვიხილავთ მაგალითებს, რომლებშიც ჩანს, თუ როგორია მთარგმნელის დამოკიდებულება დედნის მიმართ, რამდენად ითვალისწინებს იგი მწერლის ხედვას, მის ფილოსოფიურ და რელიგიურ აზროვნებას. მაგალითად:

„These valleys shall be barren,
And we shall have naught but dried fields and arid,
All green things will parch in the sun,
And our orchards will bring forth sour apples,
And our vineyards bitter grapes,
We shall thirst for your wine,
And our nostrils will long for your fragrance“.

(Gibran 1941: 184)

„ეს ველ-მინდვრები გვალვისაგან დაიშაშრება,
მოლი დაღრება, თაკარა მზე დაგვალავს ყანებს,
ხეხილის ბაღი გამოიტანს პანტას, მაჟალოს,
და ჩვენი ზვრები მწკლარტე ყურძენს მოგვანატრებენ,
და მოგვწყურდება ღვინო შენი, სურნელი შენი“.

(გიგინეიშვილი 2006: 219)

დედანში არსებული სიტყვები: „barren“ – „უნაყოფო“; „naught“ – „არაფერი, არარა“; „arid“ – „მშრალი, უწყლო; უნაყოფო“; „parch“ – 1. „გატრუსვა, გარუჯვა“; 2. „გაშრობა“ – საერთოდ დაიკარგა თარგმანში და მათ ნაცვლად გაჩნდა სხვა სიტყვები და ფრაზები:

„დაიშაშრება“ – დასერვა, დაჭრა (ზედაპირისა), დასკდომა, დახეთქვა (კანისა); „დაღრება“ – დაჭკნება; „დაგვალავს“, გვალვა გამოაშრობს (ნიადაგს), ზრდას შეუჩერებს და დააჭკნობს (მცენარეულობას), – დაწვავს, გაახმობს. „გვალვისაგან დაიშაშრება“, „მოლი დაღრება“, „თაკარა მზე“, „დაგვალავს ყანებს“, „ხეხილის ბაღი“, „პანტა, მაჟალო“ – თავისუფალი ინტერპრეტაციის მშვენიერი მაგალითებია.

Esma Mania

*Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts
Georgia, Tbilisi*

**Efforts to Transfer European Thought and Culture to Georgia
(Late 19th – Early 20th Century, Personal Archives)**

The intensive effort to transfer European thought and culture to Georgia is primarily associated with numerous thinkers who pursued education in Europe during this period. Our research draws on the archival documents of prominent figures such as Noe Zhordania, Nino Kipiani, Barbare Kipiani, Andria Dekanozishvili, Giorgi Dekanozishvili, Archil Jorjadze, Tedo Sakhokia, and Ekaterine Gabashvili. These individuals aimed to build a new type of country by integrating diverse European intellectual and cultural influences into their writing and thought.

These sources provide us with the opportunity to examine their interests in European public and political writing and journalism, as well as in political ideologies and worldviews. Within the context of integrating a small country with the developed world, our research focuses on the attitudes of Georgians living in Europe towards European values, European writers, and key public figures. We investigate their observations on the functions of European states, the concepts of human rights and self-governance, ethical and moral standards, and educational and moral issues. In the report, emphasis will be placed on Georgian writing as perceived by Georgians residing in Europe, highlighting its shortcomings, the critique that "if the mother vein of the 'axioms' of our writing is not exposed to the fire of criticism, then our writing and intelligence will remain pale" (Noe Zhordania, 1894).

Archival documents of Georgian public figures, particularly personal letters, offer a clear reflection of the circumstances and conditions under which they aimed to transfer European experiences, methods, and systems of thought to Georgia. These documents illustrate the human, intellectual, and technical resources utilized in this endeavour.

ესმა მანია

*კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
საქართველო, თბილისი*

**ევროპული აზროვნების და კულტურის ტრანსფერის მცდელობები საქართველოში
(XIX-XX საუკუნეების მიჯნა, პირადი არქივები)**

ევროპული აზროვნებისა და კულტურის ინტენსიური ტრანსფერის მცდელობა საქართველოში, ძირითადად, უკავშირდება ამ პერიოდში ევროპაში განათლების მისაღებად წასულ არაერთ მოაზროვნეს. ჩვენი კვლევის წყაროა იმ ადამიანთა (ნოე ჟორდანია, ნინო ყიფიანი, ბარბარე ყიფიანი, ანდრია დეკანოზიშვილი, გიორგი დეკანოზიშვილი, არჩილ ჯორჯაძე, თედო სახოკია, ეკატერინე გაბაშვილი...) საარქივო დოკუმენტები, რომლებმაც სხვადასხვა მიმართულების სამწერლო და სააზროვნო გამოცდილებით ახალი ტიპის ქვეყნის მშენებლობა დაისახეს მიზნად.

სწორედ ეს წყაროები გვთავაზობს შესაძლებლობას, დავაკვირდეთ მათ ინტერესებს ერთი მხრივ, ევროპული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მწერლობის, პუბლიცისტიკის, მეორე მხრივ კი, პოლიტიკური იდეოლოგიებისა და მსოფლმხედველობების მიმართ; პატარა ქვეყნის განვითარებულ სამყაროსთან ინტეგრაციის კონტექსტში აქცენტს ვსვამთ ევროპაში მცხოვრები ქართველების განწყობების კვლევაზე ევროპული ფასეულობების, ევროპელი ავტორებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტორების მიმართ; ყურადღებას ვამახვილებთ მათეულ დაკვირვებებზე ევროპუ-

ლი სახელმწიფოების ფუნქციების, ადამიანის უფლებებისა და თვითმმართველობის კონცეფციების, ეთიკური და მორალური მოცემულობების, განათლების და ზნეობის საკითხების კვლევაზე; მოხსენებაში აქცენტი დაისმება ევროპაში მცხოვრებ ქართველთა თვალთ დასახულ ქართულ მწერლობაზე, მის ნაკლზე, იმაზე, რომ „თუ ჩვენი მწერლობის „აკსიომების“ დედამარღვი კრიტიკის ქარ-ცეცხლში არ გამოტარდება, მანამდე ჩვენი მწერლობა და ინტელიგენცია ფერ-მკრთალი იქნება“ (ნოე ჟორდანია, 1894).

ქართველ საზოგადო მოღვაწეთა საარქივო დოკუმენტები, ძირითადად, პირადი წერილები, როგორც მწერლობის ერთ-ერთი მიმართულება, თვალნათლივ ასახავს, თუ რა გარემოებებში, რა პირობებში უჩნდებათ მათ ევროპული გამოცდილების, მეთოდების, აზროვნების სისტემების ტრანსფერის სურვილი საქართველოში და ამ მცდელობისთვის რომელ ადამიანურ, ინტელექტუალურ თუ ტექნიკურ რესურსებს იყენებენ.

Irine Manizhashvili

Georgian National University

Davit Agmashenebeli University of Georgia

Georgia, Tbilisi

Reflection of the Post-Soviet Era in the Modern Georgian Novel

Modern Georgian literature has a great role in promoting culture and increasing the creative industry. The great literature of small countries has always been an important lever for integration in the international arena. We live in a postmodern era, and literature is obviously nourished by this aesthetic. Modern Georgian literature is so diverse that it is difficult to single out distinctly different voices. The use of postmodernist principles and achieving an artistic effect in this way has long been established in our literary space. The "modernity" of the author often determines the writing style. Soviet and post-Soviet reflection in literature was revealed in the texts of many modern writers, but with its individual artistic style and unconventional history. Iva Fezuashvili's "Bunker" creates a special niche not only in the Georgian but also in the international cultural context. In Iva Fezuashvili's novel, the saga of the Simonyans who fled to Tbilisi from the Karabakh war, is told the story of one family during one day and night. The architecture of the text and the narrative style are completely different, consisting of very long, unpunctuated sentences. The novel is structured in such a way that a specific chapter reflects a specific period of time and tells the story of a specific character. It goes in a circle: first, second, third, fourth character and then again from the beginning. Continuous narration is the author's choice to maintain tone, fast rhythm and intense emotion until the end.

A novel in a small form attracts the reader's attention from the title itself. A well-fitting metaphor associated with the foul-smell of the Soviet Union allows the reader to critically understand the dirty sides of the system, which is deeply rooted in modern times. The ironic-parody method is the main tool of the writer, and by showing a parody of a family saga, the entire socio-political reality of that time is depicted with artistic truth.

"Bunker" was also staged on the stage of the theatre and in our work we will briefly touch on its scenic transformation. The author's individual style and inner artistry, unique humor, dynamism of the text and intense emotional background were the best material for the scene and it was successfully implemented.

"Bunker" together with the "Tsinandali" and "Saba" prizes, became the winner of the "European Union Literary Prize", after which the work was translated into the French, Armenian, Polish and Italian

languages. Such recognition in the international space undoubtedly speaks of its high artistic value and, at the same time, its topicality. Along with the critical understanding of the past, the author sensitively deals with the issues of feminism, migration, ethnic problems, etc. The text bears both marks of a postmodernist aesthetics – it is easy to understand for the mass reader, and the intellectual reader will find many subtexts and depth in the author's remarks.

ირინე მანიჟაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

საქართველო, თბილისი

პოსტსაბჭოთა ეპოქის რეფლექსია თანამედროვე ქართულ რომანში

თანამედროვე ქართულ ლიტერატურას დიდი როლი აკისრია კულტურის პროპაგანდასა და შემოქმედებითი ინდუსტრიის გაზრდაში. პატარა ქვეყნების დიდი ლიტერატურა ყოველთვის მნიშვნელოვანი ბერკეტი იყო საერთაშორისო ასპარეზზე ინტეგრაციისთვის. ჩვენ ვცხოვრობთ პოსტმოდერნულ ეპოქაში და ლიტერატურაც, ცხადია, ამ ესთეტიკით არის ნასაზრდოები. თანამედროვე ქართული ლიტერატურა იმდენად მრავალფეროვანია, რთულია გამოარჩიო მკვეთრად განსხვავებული ხმა. პოსტმოდერნისტული პრინციპების გამოყენება და ამ გზით მხატვრული ეფექტის მიღწევა უკვე დიდი ხნის დამკვიდრებულია ჩვენს ლიტერატურულ სივრცეში. ავტორის „თანამედროვეობა“ განსაზღვრავს ხშირად სამწერლობო სტილს. საბჭოთა და პოსტსაბჭოთა რეფლექსია ლიტერატურაში არაერთი თანამედროვე მწერლის ტექსტში გამოვლინდა, მაგრამ თავისი ინდივიდუალური მხატვრული სტილით და არაორდინალური ისტორიით ივა ფეზუაშვილის „ბუნკერი“ განსაკუთრებულ ნიშას ქმნის არა მარტო ქართულ, არამედ –საერთაშორისო კულტურულ კონტექსტში. ივა ფეზუაშვილის რომანში ყარაბაღის ომიდან თბილისში გამოქცეული სიმონიანების საგაა მოთხრობილი – ერთი ოჯახის ამბავი ერთი დღე-ღამის განმავლობაში. ტექსტის არქიტექტონიკა და თხრობის სტილი სრულიად განსხვავებულია, ძალიან გრძელი, უწერტილო წინადადებებისგანაა შემდგარი. რომანი იმგვარადაა აგებული, რომ კონკრეტული თავი დროის კონკრეტულ მონაკვეთს ასახავს და კონკრეტული პერსონაჟის ამბავს მოგვითხრობს. უწყვეტი თხრობა ავტორის არჩევანია, რომლითაც ბოლომდე ინარჩუნებს ტონუსს, აჩქარებულ რიტმსა და მძაფრ ემოციას.

მცირე ფორმის რომანი სათაურიდანვე იქცევს მკითხველის ყურადღებას. ზუსტად მორგებული მეტაფორა, რომელიც ასოცირდება საბჭოთა სიმყრალესთან, მკითხველს აძლევს საშუალებას, კრიტიკულად გაიაზროს სისტემის ბინძური მხარეები, რომელსაც ღრმად გაუდგამს ფესვები თანამედროვეობაშიც. ირონიულ-პაროდიული მეთოდი არის მწერლის მთავარი იარაღი და ოჯახური საგის პაროდიის ჩვენებით მთელი იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკური რეალობა მხატვრული სიმართლით არის ასახული.

„ბუნკერი“ დაიდგა თეატრის სცენაზე და ჩვენს წერილში მოკლედ შევხებით მის სცენურ ტრანსფორმაციასაც. ავტორის ინდივიდუალური სტილი და შინაგანი არტისტიზმი, განუმეორებელი იუმორი, ტექსტის დინამიკურობა და მძაფრი ემოციური ფონი სწორედაც საუკეთესო მასალა იყო სცენისთვის და წარმატებითაც განხორციელდა.

„ბუნკერი“ „წინანდლისა“ და „საბას“ პრემიებთან ერთად, გახდა გამარჯვებული „ევროკავშირის ლიტერატურული პრემიისა“, რომლის შემდეგაც ნაწარმოები ითარგმნა ფრანგულ, სომხურ, პოლონურ და იტალიურ ენებზე. საერთაშორისო სივრცეშიც ასეთი აღიარება უდაოდ მეტყველებს მის მაღალ მხატვრულ ღირებულებაზე და ამავე დროს, აქტუალურ თემატიკაზე. ავტორი წარსულის კრიტიკულად გააზრებასთან ერთად სენსიტიურად ეხება ფემინიზმის საკი-

თხეზსაც, მიგრაციას, ეთნიკურ პრობლემებსაც და სხვ. ტექსტი ატარებს პოსტმოდერნისტული ესთეტიკის ორივე ნიშანს – ადვილად გასაგებია მასობრივი მკითხველისთვისაც და ინტელექტუალური მკითხველიც ბევრ ქვეტექსტს და სიღრმეს აღმოაჩენს ავტორის რემარკებში.

David Maziashvili

*Ivane Javakhsishvili Tbilisi State University
Georgia, Tbilisi*

Medea's Decision

The goal of the paper is to find out common characteristics between the work of Swiss psychiatrist and psychotherapist Carl Gustav Jung and Contemporary Georgian Choreographer Mariam Aleksidze's latest contemporary ballet *Medea* (staged according to *Medea* by Euripides; Premier held on 14 May 2024 in Georgia, Tbilisi). Research shows that Carl Jung's "Psychology and Alchemy" had a great influence on Aleksidze's *Medea*, which is expressed in the main character's psychological portrait. Aleksidze uses Jungian interpretations of dreams and phases of the alchemical process to show Medea's spiritual state.

Aleksidze's *Medea* is also a good example of intertextuality and meta-theatrical technique. Creative mixture of the myth, Euripides *Medea* and the work of Jung artistically expressed in the production. Thus, it is very important to analyze Aleksidze's interpretation of the texts, because according to the performance, it represents not only an interesting interpretation of Medea's character but also fictional, mythological and psychological reality as well. Considering this, I would like to discuss *Medea* by Mariam Aleksidze according to Carl Jung's "Psychology and Alchemy".

დავით მაზიაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი*

მედეას გადაწყვეტილება

სტატიის მიზანია თანამედროვე ქართველი ქორეოგრაფის, მარიამ ალექსიძის უახლესი დადგმის, თანამედროვე ბალეტის „მედეას“ შესწავლა (ევრიპიდეს „მედეას“ მიხედვით; პრემიერა შედგა 2024 წლის 14 მაისს). კერძოდ, მედეას პერსონაჟის ფსიქოლოგიური სამყაროს განხილვას ცნობილი ფსიქოლოგისა და ფსიქოანალიტიკოსის კარლ გუსტავ იუნგის ნაშრომის „ფსიქოლოგია და ალქიმიის“ მიხედვით შევეცდები.

მარიამ ალექსიძის „მედეა“ საინტერესოა ინტერტექსტუალობის და მეტა-თეატრალურობის მხატვრული ტექნიკის მხრივაც. თანამედროვე ბალეტში შერწყმულია მედეას მითი, ევრიპიდეს ტექსტი, იუნგის ნაშრომი, სახელგანთქმული ქართველი ქორეოგრაფის, გიორგი ალექსიძის ბალეტი „მედეა“ და საბალეტო მინიატურა „შუმანიკი“. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მარიამ ალექსიძის მედეას გადაწყვეტილებას, რომ მოკლას კრეუსა და შვილები, იუნგის ნაშრომის „ფსიქოლოგია და ალქიმიის“ მიხედვით განვიხილავ.

Ivane Mchedeladze

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Georgia, Tbilisi*

Ukrainian Scientific Literature on Ukrainian-Georgian Literary Relations: Constellation of Knowledge

Ukrainian-Georgian literary context is an important segment of Soviet cultural policy. The development of literary studies, as a field of science in Soviet-era, Ukraine clearly reflects the influence of political context. The scientific literature created during the period follows the webs of cultural processes conditioned by historic-political context. The scientific literature dedicated to Ukrainian-Georgian relations is no exception.

Despite the fact, that in different times a number of works were dedicated to the issue, the previous studies revealed the following needs: a) there are materials and facts that have been left out of proper attention; b) It is also necessary to read and contextualize the whole process with new interpretations and modern approaches.

In modern studies, the literary development is considered as a cognitive process. Sovietologists compare it to Michel Foucault's theory and conclude that "power" and "knowledge" in literature are inseparably linked through practices and discourses (M. Lecke).

The purpose of the report is to discuss and demonstrate the influence of "power" on the literary process. The research material is the scientific literature created in Ukraine of the Soviet and post-Soviet periods as well as understudied archive materials. In order to thoroughly analyze the issue, the academic and public institutions, as well as processes that led to "invention of the tradition" to study literary relations in Ukraine, will be also included in the research.

The researchers consider the literary process of the Soviet period as a "constellation of knowledge", in which the issues such as the relations between the center and the peripheries, peripheral culture and the search for cultural autonomy, central and marginal positions in the literary field, etc. are discussed. The research presented in the report is based on the methodology and scheme, developed by the modern German scientist Miria Lecke. In the literature created on Russian-Georgian literary relations, M. Lecke singles out – cult of classics, sociocultural factors of development of translation and literary process (personnel, themes, methods, institutions). Similar approach is completely new and is relevant to the Ukrainian-Georgian literary context as well.

To contextualize the empirical material, modern scientific literature by European Ukrainianists on Soviet and post-Soviet Ukraine was studied. In order to present the process of literary relations in an in-depth and multifaceted perspective, the cultural history of Ukraine of the period will be analyzed. To write the research report in the so-called genre of cultural history is intended.

The research material shows that the construction of the process in literary relations in Ukraine and the formation of scientific studies about it varies between several scientific disciplines – Orientalism/Oriental studies, as well as the Soviet invariant of comparative literary studies and modern comparative literary criticism. Thus, in order to study the issue, the national specifics of the above mentioned branches are also discussed, based on the latest relevant scientific literature.

Concepts such as East/West, orientalism, cultural imperialism, post-colonialism, etc. are used for theoretical analysis. In order to discuss relevant literary relations and science, we will also refer to the concepts of postmodernism, already established in Sovietological studies – mimicry, double sociocodes, simulacra/Soviet simulacra.

ივანე მჭედელაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

უკრაინული სამეცნიერო ლიტერატურა უკრაინულ-ქართულ ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ: ცოდნის კონსტელაცია

უკრაინულ-ქართული ლიტერატურული კონტექსტი საბჭოთა კულტურული პოლიტიკის მნიშვნელოვანი სეგმენტია. საბჭოთა ეპოქის უკრაინაში ლიტერატურათმცოდნეობის, როგორც მეცნიერების დარგის, განვითარება მკაფიოდ ირეკლავს პოლიტიკური კონტექსტების გავლენას. ამ პერიოდში შექმნილი სამეცნიერო ლიტერატურა მიჰყვება ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტებით განპირობებულ კულტურულ პროცესების ლაბირინთებს. გამონაკლისი არც უკრაინულ-ქართული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ლიტერატურაა.

მიუხედავად იმისა, რომ განსახილველ საკითხს სხვადასხვა დროს არაერთი ნაშრომი მიემდგვნა, მათმა შესწავლამ კვლავ გამოკვეთა ტენდენცია: არსებობს მასალები და ფაქტები, რომლებიც ამ დრომდე ყურადღების მიღმა იყო დარჩენილი; ასევე საჭიროა მთლიანად პროცესის წაკითხვა და კონტექსტუალიზაცია ახლებური ინტერპრეტაციებითა და თანამედროვე მიდგომებით.

თანამედროვე კვლევებში ლიტერატურული პროცესი კოგნიტიურ მოვლენად განიხილება. სოვიეტოლოგიური პრობლემების მკვლევრები მას უსადაგებენ მიშელ ფუკოს თეორიას და ასკვნიან, რომ ლიტერატურაში „ძალაუფლება“ და „ცოდნა“ პრაქტიკებისა და დისკურსების მეშვეობით ერთმანეთთან განუყოფლად არიან დაკავშირებული (მ. ლეკე).

მოხსენების მიზანია შეისწავლოს და წარმოაჩინოს „ძალაუფლების“ გავლენა ლიტერატურულ პროცესზე. საკვლევ მასალას წარმოადგენს საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის უკრაინაში შექმნილი სამეცნიერო ლიტერატურა, უცნობი/შეუსწავლელი საარქივო მასალები. საკითხის საფუძვლიანად განსახილველად კვლევის არეალში ასევე მოექცევა ის აკადემიური და საზოგადოებრივი ინსტიტუციები და პროცესები, რომელმაც განაპირობა უკრაინაში ლიტერატურულ ურთიერთობათა პროცესის შესწავლის „ტრადიციის გამოგონება“.

საბჭოთა პერიოდის ლიტერატურული პროცესს მკვლევრები განიხილავენ როგორც „ცოდნის კონსტელაციას“, რომლის მიხედვითაც განიხილება ცენტრსა და პერიფერიებს შორის მიმართებები; პერიფერიული კულტურა და კულტურის ავტონომიურობის ძიება, ცენტრალური და მარგინალური პოზიციები ლიტერატურულ ველზე და ა.შ. აქედან გამომდინარე, მოხსენებაში წარმოდგენილი კვლევა დაეფუძნება თანამედროვე გერმანელი მეცნიერის, მირია ლეკეს, მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიასა და სქემას. რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ შექმნილ ლიტერატურაში მ. ლეკე გამოყოფს – *კლასიკოსების კულტს*, თარგმანისა და ლიტერატურული პროცესის განვითარების სოციოკულტურულ ფაქტორებს (*კადრები*, *თემები*, *მეთოდები*, *ინსტიტუციები*). ამგვარი მიდგომა სრულიად ახალია და მართლზომიერად ესადაგება უკრაინულ-ქართულ ლიტერატურულ-კონტექსტსაც.

ემპირიული მასალის კონტექსტუალიზაციისათვის გამოყენებულია საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის უკრაინის შესახებ შექმნილი თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურა, ევროპელი უკრაინისტთა ნაშრომები. ლიტერატურულ-ურთიერთობათა პროცესის სიდრმისეულადა და მრავალმხრივ პერსპექტივაში წარმოსაჩენად გაანალიზდება აღნიშნული პერიოდის უკრაინის *კულტურული ისტორია* და განზრახულია, რომ თავად კვლევა დაიწეროს ე.წ. *კულტურული ისტორიის* ჟანრში.

საკვლევი მასალა აჩვენებს, რომ უკრაინაში ლიტერატურულ ურთიერთობათა პროცესის კონსტრუირება და შემდეგ მის შესახებ სამეცნიერო კვლევების ჩამოყალიბება მერყეობს რამდენიმე სამეცნიერო დისციპლინის – ორიენტალისტიკის/აღმოსავლეთმცოდნეობის, ასევე შედარებითი

ლიტერატურათმცოდნეობის საბჭოთა ინვარიანტისა და თანამედროვე ლიტერატურულ კომპარატივისტიკას შორის. ამდენად, საკითხის შესასწავლად მოხენებაში ასევე განიხილება აღნიშნული დარგების ნაციონალური სპეციფიკა, მათ შესახებ შექმნილი უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის დახმარებით.

თეორიული ანალიზისათვის გამოიყენება კონცეპტები – აღმოსავლეთი/დასავლეთი, ორიენტალიზმი, კულტურული იმპერიალიზმი, პოსტკოლონიალიზმი და ა.შ. ლიტერატურულ ურთიერთობათა და მის შესახებ მეცნიერების განსახილველად, ასევე მივმართავთ სოვიეტოლოგიურ კვლევებში უკვე დამკვიდრებულ პოსტმოდერნიზმის კონცეპტებს – *მიმიკრია*, *ორმაგი სოციოკოდები*, *სიმულაკრა/საბჭოთა სიმულაკრა*.

Tatiana Megrelishvili

Georgian Technical University

Georgia, Tbilisi

Contemporary Russian-language Literature of Georgia as a Transcultural Phenomenon

This report will present the findings of the author's scientific research on the formation, development, and evolution of Russian-language artistic consciousness in Georgia from the 1990s to the 2020s. The primary theoretical premise of the report is that the identity of writers is shaped by their unique position as individuals situated at the intersection of multiple cultures within a multilingual environment.

Comparing the most significant features of Russian-language literatures currently emerging in various regions worldwide allows us to assert that the literary self-awareness of contemporary times, expressed through the Russian language, shares significant and typologically similar aspects. The modern literary landscape is characterized by a qualitatively novel formation resulting from the hybridization of diverse national literary traditions. The phenomenon under scrutiny – modern Russian-language literature of Georgia – falls within the realm of transcultural literature, representing a new facet of the contemporary literary scene.

This report employs comparative typological, systemic typological, comparative, and historical and cultural methodologies to examine literary phenomena and facts. The research material comprises the creative works of Russian-speaking authors in Georgia, offering the most comprehensive insight into the defining features of transcultural literature.

ტატიანა მეგრელიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საქართველო, თბილისი

საქართველოს თანამედროვე რუსულენოვანი ლიტერატურა როგორც ტრანსკულტურული ფენომენი

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ავტორის სამეცნიერო კვლევების შედეგები საქართველოში 1990-2020-იანი წლების პერიოდში რუსულენოვანი მხატვრული ცნობიერების ფორმირების, ჩამოყალიბებისა და განვითარების გზების შესახებ. მოხსენების მთავარი თეორიული კომპონენტია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ავტორების სამწერლო იდენტურობა განისაზღვრება მათი როგორც ისეთი სუბიექტების განსაკუთრებული მდგომარეობით, რომელნიც იმყოფებიან რამდენიმე კულტურის შესაყარზე და მულტიენოვრივ გარემოში.

იმ რუსულენოვანი ლიტერატურების ყველაზე მნიშვნელოვანი თავისებურებების შეპირისპირება, რომლებიც დღეს ვითარდება მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, საშუალებას იძლევა ვამტკიცოთ, რომ თანამედროვეობის რუსულ ენაზე რეალიზებულ სალიტერატურო თვითშემეცნებას აქვს სემიოტიკური და ტიპოლოგიურად მსგავსი მომენტები. თანამედროვე სალიტერატურო პროცესს ახასიათებს თვისებრივად ახალი წარმონაქმნი, რომელიც გაჩნდა როგორც სხვადასხვა ეროვნული ლიტერატურების ჰიბრიდაციის შედეგი. განსახილველი მოვლენა – საქართველოს თანამედროვე რუსულენოვანი ლიტერატურა, წარმოადგენს ტრანსკულტურული ტიპის ლიტერატურას – თანამედროვე სალიტერატურო პროცესის ახალ სუბიექტს.

მოხსენებაში გამოიყენება სალიტერატურო მოვლენებისა და ფაქტების შესწავლის შედარებით-ტიპოლოგიური, სისტემურ-ტიპოლოგიური, შედარებით-შეპირისპირებითი, ისტორიულ-კულტურული მეთოდები.

კვლევის მასალად გამოყენებული იყო საქართველოს რუსულენოვანი ავტორების შემოქმედებითი აქტივის ნაწილი, რომელიც არის ყველაზე რეპრეზენტატიული იმისთვის, რომ გამოვლინდეს ტრანსკულტურული ტიპის ლიტერატურისთვის დამახასიათებელი თავისებურებები.

Darejan Menabde

Ivane Javakishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgia, Tbilisi

From Literary Translation to European Kartvelology

Translation is a form of intercultural communication and this was confirmed clearly by scholarly experience of European Kartvelology. Translation, publication and distribution of a literary text into foreign languages is a certain possibility of “penetration” of this text into the world literary process. For the so-called “small” countries facing global challenges introduction of their literary works to the twenty-first-century readers assumes special importance. At the same time, it is necessary to study and reveal the merits and deficiencies of the translations of texts created from the past to the present day, their role and place in the current literary processes.

In the article we shall touch upon the outstanding translations of three texts of different periods and literary directions (*The Martyrdom of Abo Tbileli*, *Amirandarejaniani*, *Sibrznye Sitsruisa* (“*A Book of Wisdom and Lies*”) in European languages and special studies of European literary critics published about these translations (in English: O. Wardrop, R. Stevenson, D. Lang, G. Meredith-Owens, K. Vivian; in German: K. Schulz, Z. Avalishvili, H. Fenrich, E. Erb, W. Kalinke; in French: G. Buachidze, L. Magaroto, R. Kifer; in Italian; G. Shurghaia, L. Magaroto, C. Gugerotti, V. Poggi; in Hungarian: M. Biro. Certain attention is devoted to polemics between Georgian and European scholars (K. Kekelidze – K. Schulz; K. Kekelidze, Al. Baramidze – D. Lang; Sh. Nutsbidze, Al. Baramidze, S. Serebriakov, M. Chikovani – D. Lang and G. Meredith-Owens). One aspect is the reviews and opinions published about translations and another – inclusion of these texts into scholarly circulation. Thus, intercultural communication is significant not only from the viewpoint of Kartvelological research and studies, but also for the purpose of proper assessment of Georgian literature and its inclusion into the processes of research of world literature.

დარეჯან მენაბდე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

მხატვრული თარგმანიდან ევროპულ ქართველოლოგიამდე

თარგმანი რომ ინტერკულტურული კომუნიკაციის ფორმაა, ეს კარგად დაადასტურა ევროპული ქართველოლოგიის მეცნიერულმა გამოცდილებამ. მხატვრული ტექსტის უცხოურ ენებზე თარგმნა, დაბეჭდვა და გავრცელება არის ერთგვარი შესაძლებლობა ამ ტექსტის „შედწევისა“ მსოფლიო ლიტერატურულ პროცესში. გლობალური გამოწვევების წინაშე მდგომი ე. წ. „პატარა“ ქვეყნებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საკუთარი ლიტერატურული პროდუქციის გაცნობა ოცდამეერთე საუკუნის მკითხველისათვის. ამასთანავე, აუცილებელია შესწავლილი და გამოვლენილი იყოს წარსულიდან თანამედროვეობამდე შექმნილი ტექსტების თარგმანთა ღირებულება-ნაკლოვანებები, მათი როლი და ადგილი მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებში.

მოხსენებაში შევხებით სხვადასხვა ეპოქისა და ლიტერატურული მიმართულების სამი ტექსტის („აბო თბილელის წამება“, „ამირანდარეჯანიანი“, „სიბრძნე სიცრუისა“) გამორჩეულ თარგმანებს ევროპულ ენებზე და ამ თარგმანთა შესახებ გამოქვეყნებულ ევროპულ ლიტერატურათმცოდნეთა სპეციალურ გამოკვლევებს (ინგლისურ ენაზე: ო. უორდროპი, რ. სტივენსონი, დ. ლანგი, გ. მერედით-ოუენსი, ქ. ვივიანი; გერმანულ ენაზე: კ. შულცი, ზ. ავალიშვილი, ჰ. ფენრიხი, ე. ერბი, ვ. კალინკე; ფრანგულ ენაზე: გ. ბუაჩიძე, ლ. მაგაროტო, რ. კიფერი; იტალიურ ენაზე: გ. შურღაია, ლ. მაგაროტო, კ. გუჯეროტი, ვ. პოჯი; უნგრულ ენაზე: მ. ბირო). გარკვეული ყურადღება დაეთმო პოლემიკას ქართველ და ევროპულ მეცნიერთა შორის (კ. კეკელიძე – კ. შულცი; კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე – დ. ლანგი; შ. ნუცუბიძე, ალ. ბარამიძე, ს. სერებრიაკოვი, მ. ჩიქოვანი – დ. ლანგი და გ. მერედით-ოუენსი). ერთია თარგმანების შესახებ გამოქვეყნებული რეცენზიები თუ გამოხმაურებები და მეორე – ამ ტექსტების სამეცნიერო მიმოქცევაში ჩართვა. ამდენად, ინტერკულტურული კომუნიკაცია მნიშვნელოვანია არამარტო ქართველოლოგიური კვლევა-ძიების თვალსაზრისით, არამედ იმ მიზნითაც, რომ უძველესი ქართული მწერლობა სათანადოდ იყოს შეფასებული და ჩართული მსოფლიო ლიტერატურის კვლევის პროცესებში.

Nino Mindiashvili

Caucasus International University
Georgia, Tbilisi

Literary Reflections of Georgian-Ossetian Relations

The last decade of the 20th century was characterized by many novelties. The collapse of the Soviet Union faced Georgia to a completely different reality; the process of becoming an independent State was associated with many challenges in the political, economic, social and cultural context. Conflicts inspired by Russia further aggravated the situation of the newly established State, especially as a result of the occupation of 20% of the territories of Georgia.

Georgian-Ossetian relations were being shaped and refined over the centuries, which was naturally reflected in cultural processes and played a positive role in the coexistence of the two nations. National stereotypes appeared differently in different time and space and were created according to the epoch, which was determined by the political-social background and state approaches. The Georgian-Ossetian and Georgian-Abkhazian conflicts led the society to a mental catastrophe; the most difficult political situation,

on the one hand and thousands of people left on different sides, on the other hand, created a nihilistic climate and the basis for the literature to be filled with completely new topics and creative images. It became an integral part of the representation of national trauma for Ossetian Georgians and Georgian Ossetians, thus, literary reflections of Georgian-Ossetian relations are abundantly presented in both Georgian and Ossetian literature.

The literary narrative of Georgian and Ossetian authors (Giorgi Sosiashvili, Zeinab Metreveli, Shota Darbuashvili, Vano Chkhikvadze, Zinaida Bitarova, Giorgi Sanakoev, Tamerlan Tadaev, Tengiz Doguzov...) allows us to draw interesting conclusions. It can be claimed that the above-mentioned events were almost perfectly reflected in the creative texts by Georgian and Ossetian authors, but with different positional approaches.

Based on the studied material, it can be said that the creative approaches of Georgian and Ossetian authors are, in many cases, different. Most of the Georgian authors express a conciliatory position, while the Ossetian authors express a relatively rigid and uncompromising position.

ნინო მინდიაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

საქართველო, თბილისი

ქართულ-ოსური ურთიერთობების ლიტერატურული რეფლექსიები

XX საუკუნის ბოლო ათწლეული ბევრი სიახლით ხასიათდება, საბჭოთა კავშირის დაშლამ საქართველო სულ სხვა რეალობაში აღმოაჩინა, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესი ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სოციალურ თუ კულტურულ კონტექსტში. რუსეთის მიერ ინსპირირებულმა კონფლიქტებმა კიდევ უფრო გაამწვავა ახლადფეხადგმული სახელმწიფოს მდგომარეობა, გასაკუთრებით საქართველოს ტერიტორიების 20 % -ის ოკუპაციის შედეგად.

ქართულ-ოსური ურთიერთობები საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა და იხვეწებოდა, რაც, ბუნებრივია, კულტურულ პროცესებშიც ისახებოდა და ორი ერის თანაცხოვრებაში პოზიტიურ როლს ასრულებდა. ნაციონალური სტერეოტიპები სხვადასხვა დროსა და სივრცეში განსხვავებულად წარმოჩინდებოდა და ეპოქის შესაბამისად იქმნებოდა, რაც განპირობებული იყო პოლიტიკურ-სოციალური ფონითა თუ სახელმწიფოებრივი მიდგომებით. ქართულ-ოსურმა და ქართულ-ავხაზურმა კონფლიქტებმა მენტალურ კატასტროფამდე მიიყვანა საზოგადოება, ერთი მხრივ, ურთულესი პოლიტიკური მდგომარეობა, ხოლო, მეორე მხრივ, სხვადასხვა მხარეს დარჩენილი ათასობით ადამიანი, ნიჰილისტურ ამინდსა და საფუძველს ქმნიდა, რომ ლიტერატურა სრულიად ახალი თემებითა და მხატვრული სახეებით დატვირთულიყო. ოსი ქართველებისთვის და ქართველი ოსებისთვის ნაციონალური ტრავმის რეპრეზენტაციის განუყოფელ ნაწილად ჩამოყალიბდა, ამდენად, როგორც ქართულ, ასევე, ოსურ ლიტერატურაში მსუყედ არის წარმოდგენული ქართულ-ოსური ურთიერთობების ლიტერატურული რეფლექსიები.

ქართველი და ოსი ავტორების (გიორგი სოსიაშვილი, ზეინაბ მეტრეველი, შოთა დარბუაშვილი, ვანო ჩხიკვაძე, ზინაიდა ბიტაროვა, გიორგი სანაკოევი, ტამერლან ტადტაევი, თენგიზ დოგუზოვი...) შემოქმედებითი ნარატივი საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ აღნიშნული მოვლენები სხვადასხვა პოზიციური მიდგომით თითქმის სრულყოფილად აისახა ქართველი და ოსი ავტორების მხატვრულ ტექსტებში.

შესწავლილი მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას, ქართველი და ოსი ავტორების შემოქმედებითი მიდგომები, ხშირ შემთხვევაში, განსხვავებულია, ქართველი ავტორების უმეტესობა შემრიგებლურ, ხოლო ოსი ავტორები, შედარებით ხისტ და უკომპრომისო პოზიციას გამოხატავენ.

Maia Miresashvili, Maia Daraselia

Georgia, Tbilisi

World War I and its Perception in Kati Dadashkeliani's Memoirs "A Princess in Uniform"

Literary experts consider memoirs as a subvariety of documentary narrative genre, in which the stories of the past are narrated and the author himself is a participant or eyewitness of these stories (recently, such works are also considered as non-fiction literature). Unlike fictional literature, memoirs, to some extent, have a cognitive function, which is determined by the author's preferences – whether he/she wants to describe personal, autobiographical occasions or narrate matters of public importance. Kati Dadashkeliani (1890-1977) was a Georgian emigrant, representative of the ruling family of Svaneti, participant of the First World War, knight of the two crosses of St. George. With regards to her memoirs – "A Princess in Uniform" – it can be said that the ratio is maintained; the author, on the one hand, tells us about the important stages of her life and, on the other hand, she reminisces the past (the author collected her notes at the age of 44 and compiled them into one book) and, based on a certain conceptual vision, she gives us an analysis of the events that happened in a considerable period of time. It is worth noting that Kati Dadashkelian is mentioned in the military encyclopedias published in the West next to such famous writers as William Somerset Maugham, Ernest Hemingway, Harry Herbert Crosby, Julian Green, Sydney Howard and others. In addition, references regarding Kati Dadashkeliani can be found in the books published in the West about women disguised as men/the Sisters of Mercy during the World War I; also, about organizers of military hospitals, etc. In general, if we look at the evolution of memoir literature, it becomes noticeable that along with the narration of matters of public importance, they reflect the pulse of the era, the interests of a certain class, and sometimes even the state politics. It can be safely said that while narrating the story of her life, Kati Dadashkeliani, a Georgian woman who was disguised as a man and participated in the First World War under the name of *Lord Jemal*, creates a monumental image of that era, in which important historical images and authentic persons of the first quarter of the last century are illustrated in a realistic and unadorned way.

მაია მირესაშვილი, მაია დარასელია

საქართველო, თბილისი

I მსოფლიო ომი და მისი რეცეფცია კატი დადეშქელიანის მემუარებში „თავადის ქალი მუნდირში“

ლიტერატურათმცოდნეები მემუარებს დოკუმენტური ნარატივის ჟანრულ სუბვარიაციად განიხილავენ, რომელშიც გადმოცემულია წარსულის ამბები, რომელთა მონაწილე ან თვითმხილველი თავად ავტორი იყო (უკანასკნელ პერიოდში აღნიშნული სახის ნაწარმოებებს – Non-fiction-ის ლიტერატურადაც განიხილავენ). მხატვრული ლიტერატურისგან განსხვავებით, მემუარებს, გარკვეულწილად, შემეცნებითი ფუნქციაც აკისრია, რომელსაც განსაზღვრავს ის ფაქტორი, თუ რას ანიჭებს უპირატესობას ავტორი: პირადი, ავტობიოგრაფიული ეპიზოდების აღწერას თუ საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე მოვლენების გადმოცემას.

ქართველი ემიგრანტის, სვანეთის მმართველი საგვარეულო შტოს წარმომადგენლის, პირველი მსოფლიო ომის მონაწილის, წმინდა გიორგის ორი ჯვრის კავალერის, კატი დადეშქელიანის (1890-1977) მემუარებთან – „თავადის ქალი მუნდირში“ – მიმართებით შეიძლება ითქვას, რომ მასში დაცულია თანაფარდობა; ავტორი, ერთი მხრივ, მოგვითხრობს თავისი ცხოვრების მნიშვნელოვან ეტაპებზე, ხოლო მეორე მხრივ, პერსპექტიულ მზერას მიაპყრობს წარსულს (ავტორმა 44 წლის

ასაკში მოუყარა თავი საკუთარ ჩანაწერებს და ერთ წიგნად შეკრა) და გარკვეული კონცეპტუალური ხედვის საფუძველზე გადმოგვცემს დროის არცთუ მცირე მონაკვეთში მომხდარი მოვლენების ანალიზს.

აღსანიშნავია, რომ კატი დადემქელიანი დასავლეთში გამოცემულ სამხედრო ენციკლოპედიებში მოხსენიებულია ისეთი სახელოვანი მწერლების გვერდით, როგორებიც არიან სომერსეტ მოემი, ერნესტ ჰემინგუეი, ჰარი კროსბი, ჯულიან გრინი, სიდნეი ჰოვარდი და სხვ. ასევე, ცნობები კატი დადემქელიანის შესახებ გვხვდება დასავლეთში გამოცემულ წიგნებში პირველ მსოფლიო ომში მონაწილე მამაკაცად გადაცმული ქალების/მოწყალების დების შესახებ; სამხედრო ჰოსპიტლების ორგანიზატორების შესახებ და სხვ. ზოგადად, თუ თვალს მივადევნებთ მემუარული ლიტერატურის ევოლუციას, შევნიშნავთ, რომ საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე მოვლენების გადმოცემასთან ერთად, ისინი ასახავენ ეპოქის მაჯისცემას, გარკვეული ფენის ინტერესებს, ზოგჯერ სახელმწიფო პოლიტიკასაც კი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თავისი ცხოვრების ისტორიის გადმოცემისას, მამაკაცის ტანსაცმელში გადაცმული, *თავადი ჯემალის* სახელით პირველ მსოფლიო ომში მონაწილე ქართველი ქალი – კატი დადემქელიანი ქმნის იმდროინდელი ეპოქის მონუმენტურ პანოს, რომელშიც რეალისტურად და შეულამაზებლად არის წარმოჩენილი გასული საუკუნის პირველი მეოთხედის მნიშვნელოვანი ისტორიული სურათები და ავთენტიკური პირები.

Irine Modebadze

*TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi*

Innovations of Translation Strategies in the Conditions of Cultural Globalization

Globalization has affected culture as well. Cultural globalization implies exporting – dissemination of ideas and national cultural values all over the world. Hence, translation activities' significance increased. Intensive migration and the spread of bi/multilingualism contribute to this process. Translation has always been the important part of intercultural communication and translation strategies were refined with time.

In 2023, Kote Gulisashvili published his new, complete poetic Russian translation of Shota Rustaveli's *Knight in the Panther's Skin*. This report considers applied innovations in translation strategies, particularly new techniques of chronological barrier overcoming, approaching of the spatial coordinates to modern geopolitical map, universalization of sociocultural hierarchies system.

Our research showed presence of imagological system beyond diversity and confirmed vector change of acculturation: while Russian translations of 20th century relied on soviet mentality, the new one is oriented to contemporary individuals' globalized mind, being intended for Russian-speaking readers scattered all over the world.

ირინე მოდებაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

მთარგმნელობითი სტრატეგიების ინოვაციები კულტურული გლობალიზაციის პირობებში

გლობალიზაციის პროცესმა მოიცვა კულტურის სფეროც. კულტურული გლობალიზაცია გულისხმობს იდეებისა და ეროვნული კულტურული ფასეულობების გატანა-გავრცელებას მთელ მსოფლიოში. შესაბამისად, საგრძნობლად გაიზარდა მთარგმნელობითი საქმიანობის მნიშვნელობა. ინტენსიური მიგრაციის პირობებში ამ პროცესს ხელს უწყობს ბი//პოლილინგვიზმის გავრცელება. თარგმანი კულტურათაშორისი კომუნიკაციის უმნიშვნელოვანესი ნაწილი იყო ყოველთვის, ხოლო მთარგმნელობითი სტრატეგიები საუკუნეების განმავლობაში დროის მოთხოვნისამებრ იხვეწებოდა.

2023 წელს გამოქვეყნდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ კოტე გულისაშვილის მიერ შესრულებული ახალი სრული პოეტური თარგმანი რუსულ ენაზე. მოხსენებაში განიხილება გამოყენებული მთარგმნელობითი სტრატეგიების ინოვაციები, კერძოდ: ქრონოლოგიური ბარიერის გადალახვის ახალი ხერხები, სივრცული კოორდინატების დაახლოება თანამედროვე გეოპოლიტიკურ რუქასთან, სოციო-კულტურული იერარქიების სისტემის უნივერსალიზაცია და სხვ.

ახალ თარგმანში გამოყენებულია სხვადასხვა ეროვნულ კულტურაში მიღებული კონცეპტები და ცნებები. ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა ამ სიჭრელის მიღმა არსებული იმაგოლოგიური სისტემის არსებობა და დაადასტურა აკულტურაციის ვექტორული ცვლილება: თუ XX საუკუნის რუსულენოვანი თარგმანები ემყარებოდა საბჭოთა კულტურულ მენტალობას, მათგან განსხვავებით, ახალი თარგმანი ორიენტირებულია თანამედროვე ადამიანის გლობალიზებულ ცნობიერებაზე და განკუთვნილია მთელ მსოფლიოში გაფანტული რუსულენოვანი მკითხველისათვის.

Bela Mosia

*Shota Meskhia State Teaching University of Zugdidi
Georgia, Zugdidi*

Dragon Defender Saint George and World Experience

In our present work, we paid special attention to the cult of St. George fighting the dragon in Georgia. In the paper, despite the fact that the topic was discussed many times and by many scientists, we once again put forward the motive of fighting with the dragon and defeating it. This ancient motif is discussed, interestingly illustrated and explained in detail by Kevin Tuite. He presented the materials available in the scientific literature about the saint. Variants of whale and dragon names in Georgian and folklore and literary stories about whale-fighting heroes. In the article, we discuss the cult of St. George in the system of popular religion, church frescoes and icons, Georgian hagiography, hymnography and folklore. We will analyze its multifaceted form and meaning.

The novelty of our research is the face of the dragon of Gveleti rock and the legend about its punishment by St. George, which has not been paid attention (except for my own work). According to the legend, St. George saved the hero chained to the rock from the dragon. According to one of the old

versions, the whale/dragon, which was cursed by the woman, was petrified and is still depicted in front of the Serpent Rock along with a stone in the shape of a woman. Gveleti is a village in Stepantsminda (Kazbegi district) municipality, Georgia. Of particular importance is the petrification spell of the snake, which has survived to this day in Samegrelo, in the western region of Georgia.

ბელა მოსია

*შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
საქართველო, ზუგდიდი*

ვეშაპთან მებრძოლი წმინდა გიორგის კულტი და მსოფლიო გამოცდილება

ჩვენს წინამდებარე ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება მივაქცევთ ვეშაპთან მებრძოლი წმინდა გიორგის კულტს საქართველოში. ნაშრომში, მიუხედავად იმისა, რომ თემა არაერთხელ და არაერთი მეცნიერის მიერ იყო განხილული, კიდევ ერთხელ წინ წამოვწიეთ ვეშაპთან ბრძოლისა და მისი დამარცხების მოტივი. ეს უძველესი მოტივი კვებინ ტუიტის მიერ განხილული, საინტერესოდ წარმოჩენილი და დეტალურადაა ახსნილი. მან წარმოაჩინა წმინდანის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მასალები. ვეშაპისა და დრაკონის სახელების ვარიანტები ქართულში და ვეშაპთან მებრძოლი გმირების შესახებ ფოლკლორული და ლიტერატურული სიუჟეტები. სტატიაში ვმსჯელობთ წმინდა გიორგის კულტზე სახალხო რელიგიის სიტემაში, ეკლესიის ფრესკებსა და ხატებზე, ქართულ ჰაგიოგრაფია, ჰიმნოგრაფიასა თუ ფოლკლორში. გავანალიზებთ მის მრავალმხრივ ფორმასა და მნიშვნელობას. წმინდა მრავალმოწამე გიორგი ხშირად მსხვერპლზე მეტად გამარჯვებულ აგრესორს ჰგავს, რომელმაც დიოკლეტიანე დაამარცხა. წმინა მოწამე შუბით ხან დიოკლეტიანეს და უმეტესად ვეშაპის გამგმირავი სახითაა წარმოჩენილი. აღნიშნული სახით ის არა უგვიანეს VI-VII საუკუნეების გვხვდება ქართულ სინამდვილეში.

ჩვენი კვლევის სიახლეს წარმოადგენს დღემდე ყურადღება მიუქცეველი (თუ არ ჩავთვლით ჩემსავე ნაშრომს) გველეთის კლდის ვეშაპის სახე და ლეგენდა წმინდა გიორგის მიერ მისი დასჯის შესახებ. ლეგენდის თანახმად კლდეზე მიჯაჭვული გმირი ვეშაპისაგან იხსნა წმინდა გიორგიმ. ერთ-ერთი ძველი ვერსიის მიხედვით ვეშაპი, რომელიც დაწყევლა ქალმა გაქვავდა და დღემდეა გამოსახული გველეთის კლდეზე წინ ქალის ფორმის ქვასთან ერთად. გველეთი – სოფელი საქართველოში, სტეფანწმინდი(ყოფ. ყაზბეგის) მუნიციპალიტეტში, სტეფანწმინდის თემში. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა გველის გაქვავების შელოცვა, რომელიც დღემდეა შემორჩენილი სამეგრელოში, საქართველოს დასავლეთ რეგიონში.

Fidana Musaeva

*Moscow State University named after M. V. Lomonosov (Baku branch)
Baku, Azerbaijan*

The Role of Author's Position in Determining National Identity

In literary works, authors not only present ideas and worldviews to readers in a figurative manner but also reflects the author's unique perspective, attitude, and worldview towards these historical events and facts.

Along with the presentation of the society's worldview and cultural background, the author's subjective interpretation often takes precedence over the reality of the time. This means that the personal

position of the author is projected to some extent in the depiction of events in a figurative manner. This, in turn, contributes to the exploration of whether or not artists with contentious national affiliations belong to a particular nation's literature. Just as in ancient and medieval times, in the 20th century, there were writers whose creativity raises debates about which nation's literature they belong to. One such writer in Azerbaijani literature of the 20th century is Qurban Said, whose works are shrouded in controversy due to his persona as a migrant writer and the absence of his works in the Azerbaijani language.

The author's position has always been an intriguing, multifaceted problem. In this regard, the problem of national identity, which is controversial, appears more interesting and relevant in the works of Qurban Said. Proposed paper will be focused on the means through which the author presents his national position. One of these means is the protagonist's (who is also the narrator in these works) Azerbaijani and Muslim identity. It should be noted that the author has been able to clearly and accurately demonstrate his own position in many of his works, shedding light on the issue of his own national identity.

By referring to the works of the representative of migrant literature, Qurban Said, one can not only deeply feel and understand the Azerbaijani society, which had already taken shape as a concrete social organism in the early 20th century but also sense the author's love and affection towards the society portrayed in the presentation of the protagonist.

Bella Musayeva

Baku Slavic University

Azerbaijan, Baku

Reflection of the Culture and Life of the Lezgin People in the Works of Sadagat Kerimova

This research will center on Sadagat Kerimova, who represents the Lezgin ethnic minority within modern Azerbaijani literature. Sadagat Kerimova is known for her roles as a poetess, writer, playwright, and publicist, composer, and social activist born and residing in Azerbaijan. Her works include poems, plays, stories, novellas, and novels written in both her native Lezgin language as well as Azerbaijani and Russian. Of particular note in Sadagat Kerimova's oeuvre is the novel "Cold Sun," which is the main subject of this presentation. In this work, the author skillfully recreates the life, culture, traditions, and mentality of her native Lezgin people based on real events, while also addressing universal themes relevant and intriguing to people of other cultures such as love, loyalty, the detrimental effects of outdated traditions on people's destinies, and the irreparable emotional wounds caused by wars.

The novel "Cold Sun" was adapted into a successful film of the same name, produced in Azerbaijani and dubbed in Russian, which garnered immense popularity among viewers. This film adaptation further showcased the rich cultural heritage and storytelling prowess of Sadagat Kerimova, providing a cinematic exploration of Lezgin traditions and the complexities of human emotions.

Ketevan Nadareishvili, Mariam Kaladze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Georgia, Tbilisi

**"A Man Was Going down the Road" by Otar Chiladze –
Literature of Small Country on Annexation**

The classical receptions presented in national literatures of one or another country appear to be one of the most vivid expressions of the complex interrelationship that exists between world and local literatures. The various spheres of the classical tradition – whether myths, artistic images or plots – proved to be the best matrixes for reflecting on universal issues, including the challenges of the modern global world.

The narrative of the Argonauts' myth is an important and an ambivalent phenomenon for Georgian cultural identity. It stands as the symbolic articulation of the greatness of the age-old Georgian culture, while at the same time this discourse is linked with a traumatic experience as the capture of the Golden Fleece has been associated with a loss of independence.

The aim of our paper is to study the interpretation of this myth by the prominent Georgian writer O. Chiladze. The analysis focuses on how the writer, using diverse literary devices, with mythological allusions being the most important among them, reflects on one of the most serious challenges of the global world, namely, on the annexation of small countries by great empires. For the author, the Argonauts' campaign to Colchis is nothing else but one step in the plan of Minos, the ruler of the Cretan empire, to conquer Colchis. The whole picture of the annexation described by Chiladze, as the present research shows, evokes direct parallels with the classical intervention schemes.

The findings of the paper will be useful for the study of Georgian receptions of the Argonauts' myth as well as for reflecting on the interrelation between world and national literatures.

ქეთევან ნადარეიშვილი, მარიამ კალაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

**ო. ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ –
პატარა ქვეყნის ლიტერატურა ანექსიის შესახებ**

ამა თუ იმ ქვეყნის ლიტერატურაში წარმოდგენილი ანტიკურობის რეცეპციები ერთ-ერთი ყველაზე ნათელი გამოხატველია იმ კომპლექსური ურთიერთმიმართების, რომელიც მსოფლიო ლიტერატურასა და ნაციონალურ მწერლობას შორის არსებობს. კლასიკური მემკვიდრეობის სხვადასხვა სფერო – იქნება ეს მითები, ლიტერატურული სიუჟეტები, მხატვრული სახეები საუკეთესო მატრიცებად გვევლინება უნივერსალური პრობლემების გასააზრებლად, მათ შორის თანამედროვე სამყაროს გამოწვევებზე რეფლექსიისთვის.

არგონავტების მითოსი მრავალმხრივ მნიშვნელოვანი და ამასთანავე ამბივალენტური დისკურსი გახლავთ ქართული კულტურული ცნობიერებისთვის. ის, ერთი მხრივ, წარმოგვიდგება უძველესი ქართული კულტურის სიდიადის სიმბოლურ გამოხატულებად, მეორე მხრივ, ოქროს საწმისის გატაცება ასოცირდება/ოდა ტრავმატულ მოვლენებთან, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაკარგვასთან.

ჩვენი მოხსენების მიზანია განვიხილოთ ამ მითოსის ინტერპრეტაცია გამოჩენილი ქართველი მწერლის, ოთარ ჭილაძის რომანში „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“. კერძოდ, ჩვენ შევის-

წავლით, თუ როგორ იაზრებს მითოლოგიური ალუზიების გამოყენებით მწერალი გლობალური სამყაროს ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას – იმპერიების მიერ პატარა ქვეყნების დაპყრობის საკითხს.

ოთარ ჭილაძე არგონავტების ლაშქრობას კრეტის იმპერიის მმართველის – მინოსის მიერ კოლხეთის ანექსიად განიხილავს. ამ მოვლენას – ანექსიას კი ისე წარმოგვიდგენს, რომ მკითხველს უშუალო პარალელურად აღუძრავს იმპერიალისტური ინტერვენციის კლასიკურ სქემასთან.

მოხსენების დასკვნები საყურადღებო იქნება როგორც არგონავტების მითოსის რეციპირების ქართული კონტექსტის შესასწავლად, ისე იმის გასაანალიზებლად, თუ როგორ პასუხობს პატარა ქვეყნების მწერლობა გლობალური სამყაროს გამოწვევებს, ჩვენს შემთხვევაში, ამ გამოწვევათაგან ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანს – იმპერიათა მიერ პატარა ქვეყნების ანექსიას.

Irina Natsvlishvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgia, Tbilisi

Adapted Classics and Comics/Graphic Novels as Learning Resources and a New Trend of Literature Commercialization in Georgia

The post-industrial era and the accompanying social processes significantly expanded the scale of commercialization of intellectual products, including literature, paving the way for new trends focused on the qualitative nature of pop culture. These products include adaptations of classic fictional texts and comics/graphic novels that have a long history in both the United States and Europe, as well as in Eastern countries, although the attitude towards them in the academic communities has always been ambiguous and still remains controversial.

The industry of adapted versions of classical literature and comics in Georgia emerged only around two decades ago (not considering the adapted publications influence by Soviet conjecture), yet its share in the consumer market is actively growing. The increasing and successful sales of such products should be attributed, on the one hand, to their high polygraphic quality of most of them and, on the other hand, to the fast-paced rhythm and style of modern life, which seems not to leave any room for lengthy fictional narratives in today's information and technology-driven society. However, despite their pragmatic appeal to some degree, it's crucial to carefully assess the scope of usage and the purpose of adapted texts or comics. While such information is often indicated on the publication cover or in the abstract, commercial considerations may not always align with the stated purpose. This is particularly relevant for adapted editions of Georgian classical literature marketed as supplementary textbooks.

While adapted fiction texts and comics have long been employed as teaching aids in foreign educational systems, specialists caution that this approach has a rather negative impact on the student's general education level.

How does the situation in this regard look in Georgia? What kind of adapted texts are used by Georgian educational institutions? How does the publishing industry influence the choice of adapted texts and how does it contribute to promotion of literacy and popularization of Georgian literary classics? These are the topics that will be discussed in detail during the presentation.

ირინა ნაცვლიშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი*

ადაპტირებული კლასიკა და კომიქსი/გრაფიკული რომანი, როგორც სასწავლო რესურსი და ლიტერატურის კომერციალიზაციის ახალი ტენდენცია საქართველოში

პოსტინდუსტრიულმა ეპოქამ და თანმდევემა სოციალურმა პროცესებმა მნიშვნელოვნად გააფართოვა ინტელექტუალური პროდუქციის, მათ შორის ლიტერატურის, კომერციალიზაციის მასშტაბი და ამ მიმართულებით გზა გაუხსნა პოპკულტურის თვისებრივ ბუნებაზე ორიენტირებულ ახალ ტენდენციებს. მათ შორის მოიაზრება კლასიკური მხატვრული ტექსტების ადაპტირება და კომიქსი/გრაფიკული რომანი, რომლებსაც საკმაოდ ვრცელი ისტორია აქვთ როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში, ისე აღმოსავლეთის ქვეყნებში, თუმცა აკადემიურ წრეებში მათ მიმართ დამოკიდებულება არაერთგვაროვანი იყო ადრეც და წინააღმდეგობრივია ახლაც.

კლასიკური ლიტერატურის ადაპტირებული ვერსიებისა და კომიქსების ინდუსტრია საქართველოში ორ ათეულზე მეტ წელს არ ითვლის (თუ მხედველობაში არ მივიღებთ საბჭოთა კონიუნქტურით განპირობებულ ადაპტირებულ გამოცემებს), თუმცა სულ უფრო და უფრო აქტიურად იპყრობს სამომხმარებლო ბაზარს. ამგვარი პროდუქციის მზარდ და წარმატებულ რეალიზებას, ერთი მხრივ, განაპირობებს მათი უმრავლესობის მაღალი პოლიგრაფიული ხარისხი, მეორე მხრივ კი – ცხოვრების აჩქარებული ტემპი და სტილი, რომელიც ინფორმაციულსა და ტექნოლოგიურ საზოგადოებაში თითქოს ადგილს არ უტოვებს ვრცელ მხატვრულ ნარატივებს. მაგრამ, მიუხედავად რამდენადმე პრაგმატული ხიზლისა, უაღრესად მნიშვნელოვანია, გონივრულად განისაზღვროს ადაპტირებული ტექსტებისა თუ კომიქსების მოხმარების არეალი და მიზნობრიობა. მათ შესახებ ინფორმაცია ხშირად გამოცემების გარეკანზე ან ანოტაციაშია წარმოდგენილი, თუმცა, ის, რაც მომგებიანია კომერციულად, შეიძლება შეუსაბამო აღმოჩნდეს გაცხადებულ მიზანთან მიმართებით. მხედველობაში გვაქვს ქართული კლასიკური ლიტერატურის ის ადაპტირებული გამოცემები, რომლებიც დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოებად არის მოწოდებული.

მიუხედავად იმისა, რომ ადაპტირებული მხატვრული ტექსტები და კომიქსები, როგორც სწავლა-სწავლების საშუალებები, არცთუ მცირე ხანია დამკვიდრებულია უცხოეთის საგანმანათლებლო სისტემებში, სპეციალისტები მიუთითებენ, რომ ამგვარი ვითარება საკმაოდ ნეგატიურად აისახება მოსწავლეთა და სტუდენტთა ერუდიციის საერთო დონეზე.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში, რა სახის ადაპტირებულ ტექსტებს იყენებენ ქართული საგანმანათლებლო ინსტიტუციები, რა როლი აქვს ამაში საგამომცემლო ინდუსტრიას და რამდენად უწყობს იგი ხელს წიგნიერებასა თუ ქართული ლიტერატურული კლასიკის პოპულარიზაციას, ვრცლად მოხსენებაში წარმოვადგენთ.

Aytən Miboyat qızı Nazarova

Baku Slavic University

Azerbaijan, Baku

Azerbaijani-Kazakh Literary Relations in the Context of M.S. Ordubadi and M. Auezov

This research explores the commonalities and differences between Azerbaijani and Kazakh literature. Commonalities are the unifying elements based on the folklore and ethnic affinity of both peoples, as well as historical and cultural connections. The works of M.S. Ordubadi and M. Auezov emphasize their connection to the aspirations and history of their respective peoples, portraying their characters in historical contexts. Additionally, in works featuring figures like Nizami Ganjavi and Abay Kunanbayev, the lives of Azerbaijani and Kazakh peoples are depicted.

On the other hand, differences highlight the unique characteristics, styles, and themes of each literature. M.S. Ordubadi is recognized as a master of Azerbaijani literature, known for his novels and dramas, whereas M. Auezov is regarded as one of the most prominent figures in Kazakh literature, with contributions to social-political, cultural-philosophical, and aesthetic thought. Both authors have distinct worldviews and incorporate their cultural backgrounds into their works.

This article discusses common and distinctive features of both literatures, presenting parallels and comparisons between the works of M.S. Ordubadi and M. Auezov.

Ada Nemsadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgia, Tbilisi

Georgian Story of the 80s – Mika Aleksidze

The 1980s witnessed the end of the soviet political system. This was a turning point in the social mentality of the nationalities living on the territory of the Soviet Union, and at the same time, it was the starting point of significant cultural processes (in certain cases, the continuation) that were reflected in all spheres of arts: literature, music, painting, sculpture, cinema and theatre.

A totally new generation of young talented writers appeared in the 1980s who brought about the novelties both through thematic and structural diversities that have not been studied till today. At the same time, this was the period when decades belatedly, existential philosophy started to permeate Georgian literature. This philosophy was known as literary existentialism.

Mika Aleksidze was one of the distinguished figures of this generation who initiated all the new tendencies. He stood out from others both by his biography and by his creative works. He was merely 17 years old when he opposed the system and was sentenced to 10-year imprisonment (even though these kinds of political repressions of the 70s were the practices of the past). He started writing in prison, and after serving his term, he continued intensive work and published stories, essays and poems. His first stories were published in 1980 in the 4th issue of the journal "Tsiskari". As for his literary heritage (about 10 stories and several dozens of poems), although it is not too rich, like the heritage of most of the writers of his generation, it is extremely significant.

The paper will analyze the prose of the writer, the main thematic feature of which is a tragic fate of a solitary person left alone in the world, cast out by the society, oppressed and presented as a victim of

indifference and lack of love. The characters fight this feeling of solitude alone and frequently lose the fight.

The paper will also present the archival documents of the writer that will help reconstruct his biography.

ადა ნემსაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი*

80-იანი წლების ქართული მოთხრობა – მიკა ალექსიძე

მე-20 საუკუნის 80-იანი წლები საბჭოური პოლიტიკური სისტემის დასასრულია. ეს გარდამტეხი პერიოდია საბჭოთა კავშირის ტერიატორიაზე მცხოვრები ხალხების საზოგადოებრივ აზროვნებაში და, ამავე დროს, მნიშვნელოვანი კულტურული პროცესების დასაწყისი (ზოგ შემთხვევაში გაგრძელებაც), რაც ხელოვნების ყველა სფეროში გამოვლინდა: ლიტერატურაში, მუსიკაში, მხატვრობაში, ქანდაკებაში, კინოსა და თეატრში.

80-იან წლებში ქართულ ლიტერატურაში მოდის მთელი თაობა ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლებისა, რომელთა მიერ მოტანილი სიახლეები, თემატური და ფორმობრივი მრავალფეროვნება დღემდე შეუსწავლელია. ამასთანავე, ესაა პერიოდი, როცა ათეული წლების დაგვიანებით ჩვენს ლიტერატურაშიც შემოდის ექსისტენციალური ფილოსოფია, რაც ლიტერატურული ექსისტენციალიზმის სახელითაა ცნობილი.

ერთ-ერთი გამოკვეთილი სახე იმ თაობისა, რომელიც ამ ყველაფერს იწყებს, არის მიკა ალექსიძე. იგი გამორჩეულია როგორც ბიოგრაფიით, ისე შემოქმედებით. მხოლოდ 17 წლისა იყო, როცა სისტემას დაუპირისპირდა, რისთვისაც 10-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს (მიუხედავად იმისა, რომ 70-იან წლებში პოლიტიკური რეპრესიები უკვე წარსულის კუთვნილება იყო). წერაც პატიმრობაში დაიწყო, გათავისუფლების შემდეგ კი ინტენსიურად მუშაობს და აქვეყნებს მოთხრობებს, ესეებსა და ლექსებს. მისი პირველი მოთხრობები 1980 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკრის“ მე-4 ნომერში. რაც შეეხება მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას (10-მდე მოთხრობასა და რამდენიმე ათეულ ლექსს), მისი თაობის უმეტესობის მსგავსად, მცირეა, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი.

მოხსენებაში გაანალიზებული იქნება მწერლის მხატვრული პროზა, რომლის მთავარი თემატური მარკერი სამყაროში მარტოდ დარჩენილი, საზოგადოებისაგან გარიყული, დაჩაგრული, გულგრილობისა და უსიყვარულობის მსხვერპლი ადამიანის ტრაგიკული ბედია. მისი პერსონაჟები მარტო ებრძვიან ამ მარტოობის განცდას და არცთუ იშვიათად დამარცხებულნი რჩებიან.

მოხსენებაში ასევე წარმოდგენილი იქნება ახალგაზრდა მწერლის პატიმრობის საარქივო საქმე, რაც მისი ბიოგრაფიის რეკონსტრუქციის საშუალებას მოგვცემს.

Avtandil Nikoleishvili

Akaki Tsereteli State University

Georgia, Kutaisi

Towards the Contribution of Giorgi Tsereteli in the History of Georgian Emigrant Literature

Unfortunately, the literary legacy of the famous Georgian emigrant writer, publicist and active public figure Giorgi Tsereteli (1917-1993) has not been the subject of a thorough study. Due to his fate in life, the main source of creative impulse for him was nostalgia caused by physical separation from his homeland. However, despite living in exile, Giorgi Tsereteli still remained as a patriot who was actively connected to his homeland spiritually with his practical activities. The patriotic feelings expressed in sentimentalized form in his poems are just logical manifestation of the mentioned fact. The main basis of Giorgi Tsereteli's poetic inspiration was the history of Georgia and the critical-oppositional view of reality in the Soviet era. The life fate of the writer essentially caused the fact that the national problem and demonstration of the negative sides of the reality established in Georgia as a result of the Soviet regime became the main themes of his poetic work. Literary criticism was also one of the main directions of Giorgi Tsereteli's creative thinking. In his literary writings, he not only generally discussed the current processes in the Georgian literature of the Soviet period, but he also discussed polemically the widely known examples of the works of individual authors working at that time. When analyzing the creative legacy of Giorgi Tsereteli, special attention should be paid to his journalistic writings. In them, a number of problems related to the history of Georgia, as well as the vicious aspects of the Soviet government, became the subject of critical-oppositional judgment. From this standpoint, the samples of the writer's journalism are especially noteworthy, in which the national and political situation in Soviet Georgia is analyzed from a critical viewpoint. As it is obvious from the present paper which presents Giorgi Tsereteli's creative achievements incompletely, due to his genre-diverse literary heritage, without any bias he should be considered as one of the prominent representatives of Georgian emigrant literature of the last century.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო, ქუთაისი

გიორგი წერეთლის წვლილისათვის ქართული ემიგრანტული მწერლობის ისტორიაში

სამწუხაროდ, ცნობილი ქართველი ემიგრანტი მწერლის, პუბლიცისტისა და აქტიური საზოგადო მოღვაწის გიორგი წერეთლის (1917-1993 წწ.) ლიტერატურული მემკვიდრეობა დღემდე არ ქცეულა საფუძვლიანი შესწავლის საგნად. თავისი ცხოვრებისეული ხვედრიდან გამომდინარე, მისთვის შემოქმედებითი იმპულსის მიმცემ უმთავრეს წყაროს სამშობლოსაგან ფიზიკური განშორებით განპირობებული ნოსტალგია წარმოადგენდა. თუმცა ემიგრაციაში ცხოვრების მიუხედავად, გიორგი წერეთელი კვლავაც რჩებოდა მშობელ ქვეყანასთან სულიერად და თავისი პრაქტიკული საქმიანობით აქტიურად დაკავშირებულ მამულიშვილად. სწორედ აღნიშნული მოვლენის ლოგიკურ გამოვლინებას წარმოადგენს მის ლექსებში სენტიმენტალიზებული ფორმით გამოხატული პატრიოტული გრძნობები. გიორგი წერეთლის პოეტური შთაგონების უმთავრეს საფუძველს ჩვენი ქვეყნის ისტორია და საბჭოთა ეპოქაში არსებული რეალობის კრიტიკულ-ოპოზიციური თვალთახედვით წარმოსახვა წარმოადგენდა. მწერლის ცხოვრებისეულმა ხვედრმა არსები-

თად განაპირობა ის გარემოება, რომ მისი პოეტური შემოქმედების მთავარ თემებად ეროვნული პრობლემა და საბჭოთა რეჟიმის შედეგად ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული რეალობის ნეგატიურ მხარეთა წარმოსახვა იყო ქცეული. გიორგი წერეთლის შემოქმედებითი ნააზრევის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას ლიტერატურული კრიტიკაც წარმოადგენდა. თავის ლიტერატურულ წერილებში იგი არა მარტო ზოგადად მსჯელობდა საბჭოთა პერიოდის ქართულ მწერლობაში მიმდინარე პროცესებზე, არამედ პოლემიკური თვალთახედვითაც განიხილავდა იმხანად მოღვაწე ცალკეულ ავტორთა შემოქმედების ფართოდ ცნობილ ნიმუშებს. გიორგი წერეთლის შემოქმედებითი მემკვიდრეობის გაანალიზების დროს განსაკუთრებული ყურადღება მის პუბლიცისტურ წერილებსაც უნდა მივაქციოთ. მათში კრიტიკულ-ოპოზიციური განსჯის საგნადაა ქცეული როგორც საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული არაერთი პრობლემა, ისე საბჭოთა ხელისუფლების მანკიერი მხარეები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მწერლის პუბლიცისტის ის ნიმუშები, რომლებშიც საბჭოთა საქართველოში არსებული ეროვნულ და პოლიტიკური მდგომარეობაა კრიტიკული თვალთახედვით გაანალიზებული. ჟანრობრივად მრავალფეროვანი თავისი ლიტერატურული მემკვიდრეობით გიორგი წერეთელი ყოველგვარი მიკერძოების გარეშე უნდა მივიჩნიოთ გასული საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად.

Khatuna Nishnianidze

Tbilisi Theological Academy and Seminary

Georgia, Tbilisi

Guramishvili's Georgian Language and its Chronotope

Davit Guramishvili's Georgian language expresses the idea of the "Georgian Chronotope".

Like Ilia Chavchavadze, Guramishvili thought that effective way for the nation's development was the restoration, preservation of its linguistic consciousness. Guramishvili established the paradigm of the new national idea by means of desacralization of the old style of language. Guramishvili never lost his country's needs and preserved exceptional feel for the native language. Guramishvili's "language of fathers", his "buried Georgian" is unaffected by time and geographic location. Beginning from the early Middle Ages, the theological-educational centres abroad served the Georgian idea. This can be proved by the activities of the Georgian literary schools in Palestine, Black mountain, Athos, Petritsoni. In the monastery of St. Saba on Black Mountain, the reform of the literary Georgian language was carried out, moving from the Khanmeti to Haemeti system. Davit Guramishvili is the continuer of the tradition established by Georgian scholars living abroad, he "renovated the Georgian language". Like Euthymius the Athonite, Guramishvili was blessed by the Holy Virgin "to speak Georgian eloquently". The language, like the Georgian idea, was the basis for Guramishvili's physical and spiritual existence, a guarantee for his personal and his country's resilience, unity. Guramishvili explains his adherence to his native language by the fact that he failed to learn Russian well, but this argument is unconvincing. Guramishvili aspired to teach the divine truth to Georgians, knew that language is supratemporal.

The writer's message depends on his linguistic vision which unites Guramishvili with his own self and the external world. The native language is "inserted" between the subjective and objective realities; serves as an intermediary between the two.

The divine truth told by Guramishvili by means of tangible examples or lyrical discourse requires linguistic simplicity which is similar to the simplicity of the Gospels.

Guramishvili translates, explains the truth. Like Moses, he brings the divine word to people. From him, the nation learns “what it is unable to hear directly from God”.

Guramishvili culminates the process of unification of language.

Guramishvili expresses his ideas in verse, he continues the tradition of “The Book of Psalms” and “The Knight in the Panther’s Skin”.

Guramishvili’s language unites the Georgian linguistic (pagan and Christian) spatiotemporal visions, rhythms, intonations, foreign tunes...

ხათუნა ნიშნაინიქე

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

საქართველო, თბილისი

გურამიშვილის ენა ქართული და მისი ქრონოტოპი

დავით გურამიშვილის ენა ქართული „ქართული ქრონოტოპის“ იდეის გამომხატველია.

ილიას დარად, გურამიშვილისთვისაც ნაციონალური განვითარების ერთ-ერთი გზა „მამეული ენის“, ენობრივი ცნობიერების აღდგენა, განახლება და შენარჩუნება იყო. ახალი ეროვნული იდეის პარადიგმას გურამიშვილი ძველი ენობრივი სტილის დესაკრალიზაციით შეძლებს.

გურამიშვილს არ დაუკარგავს თავისი ქვეყნის საჭიროებათა, ენობრივი ალლო და შეგრძნებები. დავით გურამიშვილის „მამეული ენა“, „დამარხული ქართული“, არ ექვემდებარება დროის მდინარეებსა და გეოგრაფიულ ცვლილებებს.

ადრეული შუა საუკუნეებიდან მოკიდებული საზღვარგარეთ არსებული საღვთისმეტყველო-საგანმანათლებლო სკოლები ერთგულად მსახურებდნენ ქართულ იდეას, ამის დასტურია პალესტინის, შავი მთის, ათონის, პეტრიწონის ლიტერატურულ სკოლათა საქმიანობაც. ცნობილია, რომ მერვე-მეცხრე საუკუნეებში შავ მთაზე, საბაწმინდის მონასტერში გატარდა სამწერლობო ენის რეფორმა – ხანმეტობიდან ჰაემეტობაზე გადასვლა. დავით გურამიშვილი საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ მწიგნობართა შთამომავალია, „განახლებული ქართულის“ შემოქმედი. თითქოს, ექვთიმე მთაწმინდელის დარად, იგიც ღვთისმშობლისგანაა კურთხეული სიტყვებით: „ქართულად ხსნილად უბნობდი“. ენა, ისევე როგორც ქართული იდეა, მისი სულიერი და ხორციელი არსებობის საფუძველი იყო, საკუთარი თავისა და ქვეყნის ურყეობის, ერთობის გარანტი. დავით გურამიშვილის „მამეული ენის“ დაუვიწყებლად ხსოვნის გამართლებაც რუსული ენის ხეირიანად ვერდასწავლის არგუმენტით დამაჯერებლობასაა მოკლებული. გურამიშვილმა, რომელმაც ღვთაებრივ ჭეშმარიტებას უნდა აზიაროს ქართველი, იცის, რომ ენა ზედროულია.

ის, თუ რა/როგორ მიაქვს მწერალს მკითხველამდე დამოკიდებულია იმ ენობრივ მსოფლხედვაზე, რომლითაც გურამიშვილი დაკავშირებულია საკუთარ თავთან და გარე სამყაროსთან. დედაენა „ჩასმულია“ სუბიექტსა და სინამდვილეს შორის, ის არის შუა სინამდვილე“.

სადღეო ჭეშმარიტება, რომლის ძალმოსილებაც ხილული, ყოფით-ხელშესახები მაგალითებით ან ლირიკული ღაღადისით უნდა შეაცნობინოს გურამიშვილმა მკითხველს, წმინდა წერილის მსგავსად, ენობრივ უბრალოებას ითხოვს.

იგი თავადაც მთარგმნელ-განმმარტებელია, მოსეს მსგავსად ღვთის სიტყვის ადამიანებთან მიმტანი, მისგანაც ერი ისმენს და სწავლობს იმას, რისი სწავლაც, „...რისი მოსმენაც არ შეუძლია თავად ღმერთისგან“.

გურამიშვილი თავს უყრის და აგვირგვინებს ენის უნიფიკაციის პროცესს.

გურამიშვილი სათქმელს ლექსად აწყობს. ამით იგი „დავითნისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ტრადიციათა გამგრძელებელია, პოეზიის სიბრძნის დარგად მყოფელია.

გურამიშვილის ენობრივი პლასტი აერთიანებს ქართულ ენობრივ (წარმართულ და ქრისტიანულ) დრო-სივრცულ წარმოდგენებს, რიტმებს, მელოდიებს, უცხო კილოებს.

Lia Nozadze

*Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi*

To the Origins of Literary Impressionism: Goncourt Brothers, Marcel Proust, Niko Lortkipanidze

Connoisseurs and critics of Impressionism should be especially grateful to the art of painting for the introduction of this style. However, this paper focuses on literary impressionism and the objective of it is to study and demonstrate the main literary features of literary impressionism which allow discoursing about the universality of this style and intercom between European and Georgian Literary impressionism, about “breaking the boundaries” or on the contrary “erecting borders”. Accordingly, our task is, based on the analysis of some literary works, 1. to find “archetypes” of the aesthetics and practice of impressionism in Edmond de Goncourt and Jules de Goncourt “Dairies”(1863) and the novel “Germinie Lacerteux”(1865); 2. to study the twentieth-century thinker and writer Marcel Proust’s several essays about Goncourt Brothers’ contribution in developing the style of impressionism in literature; 3. to consider Niko Lortkipanidze’s several literary miniatures written in the first decade of the twentieth century in which the direct influence of impressionism on the aesthetic positions of the Georgian writer is clearly visible.

It can be stated, that contemporary society knows the Goncourt Brothers mostly as the founders of Prix Goncourt, though French scholars assure us that the Goncourt Brothers’ phrase from their “Dairies” that “the art is to see, feel and express” becomes the main principle of the next generation of the impressionist writers.

Marcel Proust, the author of the twentieth century's most influential novel “In Search of Lost Time” in his essays expressed his appreciation for the Goncourt Brothers’ style and emphasized that the style of their “Dairies” had a great influence on the poetics of his novels.

The works of Niko Lortkipanidze clearly demonstrate his passion for European Literature, though the Georgian writer offers his own interesting artistic and aesthetic views which are quite different from the European impressionist writers.

The result of the research may be that the style of literary impressionism, the development of which was started by the Goncourt brothers, "erased" the Georgian-European spatial boundaries.

ლია ნოზაძე

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი*

ლიტერატურული იმპრესიონიზმის სათავეებთან: ძმები გონკურები, მარსელ პრუსტი, ნიკო ლორთქიფანიძე

იმპრესიონისტულ ხელოვნებასთან ზიარებას ამ სტილის შემფასებელ-დამფასებელნი, უპირველესად, ფერწერას უნდა უმაღლოდნენ, მაგრამ ამჯერად ჩვენი ინტერესის სფერო ლიტერატურული იმპრესიონიზმია და იმის ხაზგასმა, რომ ლიტერატურას, მართლაც, საზღვრები არ აქვს. საამისოდ, ჩვენი კვლევის მიზნად დავისახეთ, წარმოვაჩინოთ, რომელი თავისებურებების მიხედ-

ვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ ევროპული და ქართული ლიტერატურის უშუალო „შინაგან“ კავშირებზე, მათი „საზღვრების მოშლასა“ თუ პირიქით–„საზღვრის აღმართვაზე“, ოღონდ, კონკრეტულად, – იმპრესიონისტული ლიტერატურის ზოგიერთი ნიმუშის შესახებ მსჯელობის მეშვეობით. საამისოდ, საჭიროა: 1. აღმოვაჩინოთ იმპრესიონიზმის ესთეტიკისა და მხატვრული პრაქტიკის „არქექტიპები“ ედმონ და ჟიულ დე გონკურების „დღიურებსა“ (1863 წ.) და მათ რომანში „ჟერმინი ლასერტე“(1865 წ.), რომლებიც ქართველი მკითხველისა და მკვლევრებისათვის ნაკლებად ცნობილი ნაწარმოებებია; 2. შევჩერდეთ XX საუკუნის მწერლისა და მოაზროვნის, მარსელ პრუსტის ზოგიერთ ესეზე, სადაც ის ხაზს უსვამს ძმები გონკურების დამსახურებას ლიტერატურული იმპრესიონიზმის პირველი შტრიხების გავლებაში; 3. მიმოვიხილოთ ნიკო ლორთქიფანიძის რამდენიმე მინიატურა (XX საუკუნის 10-იანი წლები), რომლებშიც აშკარად ჩანს იმპრესიონიზმის უშუალო გავლენა ქართველი მწერლის ესთეტიკურ პოზიციებზე.

ძმებ გონკურებს ჩვენი თანამედროვეობა, უმეტესად, მათ მიერ დაარსებული ლიტერატურული პრემიის წყალობით იცნობს. არადა, როგორც ფრანგი მკვლევრები ირწმუნებიან, გონკურების „დღიურების“ ერთ-ერთი ფრაზა: „დანახვა, შეგრძნება, გამოხატვა-სწორედ ეს არის ხელოვნება.“ – მათი მომდევნო იმპრესიონისტი მწერლების მთავარ პრინციპად იქცა.

XX საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხატვრული ქმნილების („დაკარგული დროის ძიებაში“) ავტორი, მარსელ პრუსტი თავის ესეებში არ მალავს აღფრთოვანებას გონკურების მხატვრული სტილით და მიგვანიშნებს, რომ „დღიურების“ წაკითხვამ დიდი გავლენა იქონია მისი ეპოპეის პოეტიკაზე.

ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედება კი ცხადყოფს მწერლის გატაცებას ევროპული ლიტერატურით, თუმცა, ქართველი ხელოვანი ევროპელი იმპრესიონისტი მწერლებისაგან განსხვავებულ მხატვრულ-ესთეტიკურ ნაზავს გვთავაზობს.

მიუხედავად იმისა, რომ სამივე შემთხვევას (ძმები გონკურები, მ. პრუსტი, ნ. ლორთქიფანიძე) იმპრესიონიზმის ესთეტიკა აერთიანებს, უნდა ითქვას, რომ თითოეული მათგანი, თავისი ორიგინალურობით, სხვადასხვა კულტურისა და ეპოქის სათავეებთან დგას.

Tatia Oboladze, Lili Metreveli

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgia, Tbilisi

War Discourse and Identity Search in Leo Vardiashvili's Novel

"Hard by a Great Forest"

Leo Vardiashvili, an English-speaking Georgian writer, published his debut novel, *"Hard by a Great Forest,"* in the United Kingdom in 2024. The book became a bestseller immediately after its release.

Through a hybrid genre, experimental narrative style, and the use of allusions, universal characters, and motifs, Vardiashvili introduces English-speaking readers to the forgotten and unnoticed ethnic conflicts of a small country and the human tragedies caused by war trauma.

Two decades after the Tbilisi Civil War, the novel's main character returns to Georgia in search of his lost father. Against the backdrop of dialogue with the ghosts of the past, a complex and lengthy process of processing repressed emotional trauma begins, accompanied by a symbolic and allusive search for home, father, and identity.

All the characters in the novel—Saba, Sandro, Irakli, Eka, Nodar, Ketino, Natia, Dimitri, and Nino—are victims of war, exiles, and seekers of lost homes. The text explores different ways of dealing with loss, such as denial, forgetting, and suppression.

In this presentation, we will analyze how the recent wars in Georgia's history (the Tbilisi Civil War, the Abkhazia War, and the August Samachablo War) are perceived from the perspective of an English-speaking author of Georgian origin, considering both the temporal and spatial distance.

თათია ოზოლაძე, ლილი მეტრეველი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

საქართველო, თბილისი

ომის დისკურსი და იდენტობის ძიება ლეო ვარდიაშვილის რომანში „ერთი დიდი ტყის მახლობლად“

ინგლისურენოვანი ქართველი მწერლის ლეო ვარდიაშვილის სადებიუტო რომანი „ერთი დიდი ტყის მახლობლად“ დიდ ბრიტანეთში 2024 წელს გამოიცა და გამოსვლისთანავე ბესტსელერად იქცა.

ჰიბრიდული ჟანრულობით, ექსპერიმენტული თხრობის მანერით, ალუზიებით, უნივერსალური სახე-ხატებითა და მოტივებით მწერალმა ინგლისურენოვან მკითხველს გააცნო პატარა ქვეყნის მივიწყებული, შეუმჩნევლად დარჩენილი ეთნოკონფლიქტები და ომის ტრავმებით გამოწვეული ადამიანური ტრაგედიები.

თბილისის სამოქალაქო ომიდან ორი ათწლეულის შემდეგ რომანის მთავარ გმირს საქართველოში დაკარგული მამის ძიება აბრუნებს. წარსულის აჩრდილებთან დიალოგის ფონზე იწყება დათრგუნული ემოციური ტრავმების გადამუშავების რთული და ხანგრძლივი პროცესი, რასაც თან ახლავს სახლის, მამის, იდენტობის სიმბოლურ-ალუზიური ძიება.

რომანის ყველა პერსონაჟი (საბა, სანდრო, ირაკლი, ეკა, ნოდარი, ქეთინო, ნათია, დიმიტრი, ნინო) ომის მსხვერპლი და დაკარგული სახლის მაძიებელია, დევნილია. ტექსტში ნაჩვენებია დანაკარგთან გამკლავების სხვადასხვა, თუმცა უშედეგო, გზა – უარყოფა, დავიწყება, გაქცევა.

მოხსენების ფარგლებში გავანალიზებთ, როგორ არის აღქმული საქართველოს უახლეს ისტორიაში მომხდარი ომები (თბილისის სამოქალაქო ომი, აფხაზეთის ომი, აგვისტოს სამაჩაბლოს ომი) ქართველი წარმოშობის ინგლისურენოვანი ავტორის პერსპექტივიდან დროითი და სივრცითი დისტანციის გათვალისწინებით.

Eyup Ozveren

Middle East Technical University

Turkey, Ankara

Alternative Trajectories for Coming to Terms with the Confines of a Small Literature: The Writerly Strategies of Nâzım Hikmet, Cengiz Dağcı, and Orhan Pamuk Reconsidered

Nâzım Hikmet (1902-1963), Cengiz Dağcı (1919-2011), and Orhan Pamuk (1952-) are three literary figures that belong to the successive stages and generations of modern Turkish literature. Nâzım Hikmet is first and foremost a poet representing the transition from imperial to national literature at a time when he embraced communism and attained worldwide recognition. Cengiz Dağcı is a Crimean Tatar who lived in

exile in postwar Britain and wrote prose in Turkish instead, about his Soviet and wartime experiences with national as well as universal themes. Pamuk is a postmodern contemporary fiction writer who won the Nobel Prize in Literature (2006), and commands a visible place in the world-market for book publication as well as being followed by its auxiliary institutions, including literary criticism. This paper takes up the three writers' distinct trajectories, and comparatively spells their strategies in coming to terms with the limits of national literature. Their achievements are re-evaluated here from the viewpoint of the corresponding practical and paradigmatic possibilities of the three distinct periods of world literature over the last hundred years. The idea is to identify the broader implications of these trajectories for a general understanding of the wall and/or bridge between small literature and world literature contexts over time.

Tanar Paichadze

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Georgia, Tbilisi*

Anti-Modernist Narrative – Colonial Chronology of Psychological Oppression and Its Consequences

For the Soviet ideology, the modernist methodology, worldview, and theories were absolutely unacceptable from the beginning, this process was most acutely affected by the so-called It took place during the period of "Stalinist repressions", it was the 20-30s of the twentieth century.

The trend generally spread over the entire space of the former Soviet Union, although we will consider it specifically on the example of Georgia.

This policy of non-acceptance was distinguished by its strategy and characteristics and at different stages certain balanced attitude appeared which was characterized by duality of the position, double standard, i.e. positive and negative perception of the problem.

1. By positive tendency we mean the fact that they recognized that as far as in the 20th century European art, Modernism and its directions were the complete systems, it was considered as the result – the "ready-made model" "inserted" into Georgian creative space.

2. Negative perspective of the perception of the problem was louder and more radical. According to it, avant-gardism was considered in Georgian culture as an artificial turn for demonstrating style and originality.

The given fact is revealed by the "elimination works" of symbolist views in literature, it started as soon as came the colonial-totalitarian epoch, it can be said, earlier than the stage of Stalinist repressions (that is, before the twenties).

Since the 30s, their literary apogee has been forgotten, once talented, uncompromising, interesting and original creators have become middle-level writers, some have started writing for children, some have approached other branches of art, and others have become completely silent. Some of them also appeared in the society as the defenders of the Bolshevik ideology.

The biographies of Georgian modernists are full of examples of such tragic-paradoxical existence, their metamorphosis cannot be compared with European or American stories, because they are actually stories of the underground, with classic signs of violence.

თამარ პაიჭაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

ანტიმოდერნისტული ნარატივი – ფსიქოლოგიური წნეხის კოლონიური ქრონოლოგია და მისი შედეგები

საბჭოთა იდეოლოგიისათვის მოდერნისტული მეთოდოლოგია, მსოფლმხედველობა, და თეორიები თავიდანვე ცალსახად მიუღებელი იყო, ეს პროცესი ყველაზე მწვავედ ე.წ. „სტალინური რეპრესიების“ პერიოდში მიმდინარეობდა, ეს იყო მეოცე საუკუნის 20-30 წლები.

ტენდენცია ზოგადად ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელ სივრცეზე ვრცელდებოდა, თუმცა ჩვენ მას კონკრეტულად საქართველოს მაგალითზე განვიხილავთ.

ეს მიუღებლობის პოლიტიკა თავისი სტრატეგიითა და მახასიათებლებითაც გამოირჩეოდა და სხვადასხვა ეტაპზე გარკვეული გაშუალებული დამოკიდებულება იკვეთებოდა, რაც ორპო-ზიციურობით, ორმაგი სტანდარტით, ანუ პრობლემის პოზიტიური და ნეგატიური აღქმით ხასიათდებოდა.

1. პოზიტიურ ტენდენციაში მოვიაზრებთ თავად ფაქტს: აღიარებდნენ, რომ იმდენად, რამდენადაც XX საუკუნის ევროპულ ხელოვნებაში მოდერნიზმი და მისი მიმდინარეობები ჩამოყალიბებული სისტემები იყო, ის განიხილებოდა, როგორც შედეგი – „მზა მოდელი“, „ჩადგმული ქართულ შემოქმედებით სივრცეში“.

2. ნეგატიური რაკურსი საკითხის ხედვისა იყო უფრო მჭახე და რადიკალური, რომლის მიხედვითაც, ავანგარდიზმი ქართულ კულტურაში მოიაზრებოდა, როგორც ხელოვნური შემობრუნება მანერულობის და ფსევდოორიგინალურობის სადემონსტრაციოდ.

ამდენად, მოდერნიზმი სოციალისტური რეჟიმის პერიოდის საქართველოში – ისევე როგორც სხვა კოლონიურ სივრცეებში, მოიაზრებოდა, როგორც ხელოვნური, მანერული, უსაგნო, ფსევდო-პოზიციური და არასაჭირო მოვლენა ხელოვნებაში.

ამ ფაქტებს ლიტერატურაში სიმბოლისტურ შეხედულებებზე განხორციელებული „სალიკვიდაციო მუშაობაც“ ააშკარავებს, – ის კოლონიურ-ტოტალიტარული ეპოქის დადგომისთანავე, შეიძლება ითქვას, სტალინურ რეპრესიების ეტაპამდეც კი დაიწყო (ანუ ოციან წლებამდე).

ტოტალიტარული რეჟიმის წინაშე ქართველი მოდერნისტების ყველა თაობამ გაიღო ხარკი, ისინი რეჟიმმა იმსხვერპლა – ნაწილი ფიზიკურად, ნაწილი კი – პიროვნულად შემოქმედებითად. 30-იანი წლებიდან მათი ლიტერატურული აპოგეა დავიწყებას მიეცა, ოდესღაც ნიჭიერი, შეურიგებელი, საინტერესო და ორიგინალური შემოქმედები საშუალო შემდგომის მწერლებად იქცნენ, ზოგმა საბავშვო მწერლობა დაიწყო, ზოგი ხელოვნების სხვა დარგებს მიეახლა, ზოგი კი საერთოდ დადუმდა, მათი რიგებიდან მავანნი ბოლშევიკური იდეოლოგიის მცველ ლიტერატორებადაც მოველინენ საზოგადოებას. ასეთი ტრაგი-პარადოქსული ყოფის ნიმუშებითაა სავსე ქართული მოდერნისტების ბიოგრაფიები, მათ მეტამორფოზას ვერ შევადარებთ ევროპულ ან ამერიკულ ისტორიებს, რადგან ეს ფაქტობრივად ანდერგრაუნდის ისტორიებიცაა, ძალადობის კლასიკური ნიმუშებით.

Ekaterine Pangani

Tsalka, Bareti village public school

Georgia, Tsalka

**Literary understanding of a mythical woman
("A Man Was Going Down the Road").**

The manuscripts of Ekvtime Atoneli and Ephrem Mtsire are ancient in Georgian literature and science in terms of their interest in the topic of Medea (and the Golden Fleece in general). We find records on the same topics in Vakhushti Batonishvili's "Description of the Kingdom of Georgia" and Teimuraz Batonishvili's "History of Iveria". Akaki Tsereteli ("Media") first processed Medea's face with an artistic concept.

As for the distinctive fictional version, the novel "A Man Was Going Down the Road" is the only example in Georgian literature, which, in describing the stories of the Argonauts entering Colchis and falling in love of Medea, in terms of story line, shows more resemblance to the poem by Apollonius Rhodes than to the work of Euripides.

Thinking about Medea's "calm, dangerous" hands sounds like a prophecy: these calm and beautiful hands should guide / determine the fate of the mighty Colchis, father and brother.

The history of Georgia, the myth of the Golden Fleece, the views of Greek tragedians and thinkers on Medea contain very different information and the views or conclusions of researchers of literature as well as the interpretations of the author-creators.

Otar Chiladze in an interview with a German newspaper says that Medea needs nothing to "defend" and "judge", "ruthless" Medea is created with a Greek psyche, a Greek worldview: "The Greeks forced him to take a really glorious step on the stage, which, in my opinion, turned out to be a highly accurate, crowning detail to form the international, unique version that exists in the imagination of any educated person today, emphasizing Greek genius rather than Medea's brutality.

"The woman who passed from the past to the future" is omnipotent for Otar Chiladze and bears everything, unconditionally like his Medea (according to Antisthenes' disciple, Diogenes Cynicus, Medea is not a murderous magician, but a scientist, who holds the secret to rejuvenation).

On the one hand, Medea does not belong locally to Georgian culture or literature, she became the subject of universal judgment many centuries ago, but, on the other hand, we believe that it is difficult to find artistic form, counterbalance of Medea revived in world literature through Otar Chiladze's novel.

ეკატერინე ფანგანი

წალკა, სოფელ ბარეთის საჯარო სკოლა

საქართველო, წალკა

მითური ქალის ლიტერატურული გააზრება „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“

მედეას (და, ზოგადად, ოქროს საწმისის) თემით დაინტერესების ასპექტით ქართულ ლიტერატურასა და მეცნიერებაში ექვთიმე ათონელის და ევრემ მცირეს ხელნაწერებია უძველესი. ამავე თემებზე ჩანაწერებს ვხვდებით ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და თეიმურაზ ბატონიშვილის „ივერიის ისტორიაში.“ მხატვრული კონცეფციით მედეას სახე პირველად დაამუშავა აკაკი წერეთელმა („მედია“).

რაც შეეხება გამორჩეულ ბელეტრისტულ ვარიანტს, რომანი „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ ერთადერთი ნიმუშია ქართულ ლიტერატურაში, რომელიც, არგონავტების კოლხეთში შემოსვლის

და მედეას გამიჯნურების ამბების აღწერისას, სიუჟეტური ხაზის თვალსაზრისით, მეტ მსგავსებას აპოლონიოს როდოსელის პომასთან ავლენს, ვიდრე ევრიპიდეს ნაწარმოებთან.

მწერალი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მამიდა ყამარის ცოდნა და მოთმინება მედეას სამყაროს შემომსაზღვრელი „სამი კედლის“ ამოსაშენებლად იყო საკმარისი, მეოთხე მხრიდან კი ქარისას სამყაროდან მონაბერი ქარები აღწევდა, ანუ „მეოთხე მხარე“ ადამიანური თვისებების შესაძენად თავისუფალ არეალს ქმნიდა.

ფიქრი მედეას „მშვიდ, საშიშ“ ხელებზე წინასწარმეტყველებასავით ჟღერს: ამ მშვიდმა და ლამაზმა ხელებმა უნდა წარმართოს/განსაზღვროს ძლევათმოსილი კოლხეთის, მამისა და ძმის ბედი.

საქართველოს ისტორია, მითი ოქროს საწმისის შესახებ, ბერძენი ტრაგიკოსების და მოაზროვნეების შეხედულებები მედეაზე ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული ცნობების შემცველია და, თავისთავად, განსხვავებულია ლიტერატურის მკვლევართა შეხედულებები თუ დასკვნებიც ისევე, როგორც ავტორ-შემოქმედთა ინტერპრეტაციები.

ოთარ ჭილაძე გერმანული გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში ამბობს, რომ მედეას არაფერი სჭირს „დასაცავი“ და „გასამართლებელი“, „დაუნდობელი“ მედეა ბერძნული ფსიქიკის, ბერძნული მსოფლმხედველობის შექმნილია: „ბერძნებმა აიძულეს მას მართლაც რომ შემზარავად დიდებული ნაბიჯის გადადგმა სცენაზე, რაც, ჩემი აზრით, უაღრესად ზუსტი, დამაგვირგვინებელი დეტალი აღმოჩნდა იმ საერთაშორისო, განუმეორებელი ვერსიის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც ნებისმიერი განათლებული ადამიანის წარმოდგენაში არსებობს დღეს და უმაღლეს ბერძნის გენიალურობას უსვამს ხაზს, ვიდრე, ვთქვათ, მედეას სისასტიკეს.“

„წარსულიდან მომავალში გადასული ქალი“ ოთარ ჭილაძისთვის ყოვლისშემძლეა და ყველაფრის ამტანი, უპირობოდ გამწირავიც და შემწირავიც, ისეთი, როგორც მისი მედეა (ანტისტენეს მოწაფის, დიოგენე კინიკოსის მოსაზრებითაც, მედეა კაცისმკვლელი ჯადოქარი როდია, არამედ - მეცნიერი, რომელიც ფლობს გაახალგაზრდავების საიდუმლოს“).

ერთი მხრივ, მედეა არ არის ლოკალურად ქართული კულტურის თუ ლიტერატურის კუთვნილება, იგი ზოგადსაკაცობრიო განსჯის საგნად მრავალი საუკუნის წინ ქცეულა, მაგრამ, მეორე მხრივ, ვთვლით, რომ მსოფლიო ლიტერატურაში ოთარ ჭილაძის რომანის მეშვეობით გაცოცხლებული მედეას საპირწონე მხატვრული სახის დამეზნა ძნელია

Nana Parinos

*Caucasus International University
Georgia, Tbilisi*

Innovation and Tradition: The Evolution of Literary Collaboration in the Digital Age

In the realm of American literature, the digital age has ushered in a dynamic era of innovation and collaboration, reshaping traditional modes of literary creation. This paper explores how digital advancements have revolutionized the landscape of American literary collaboration, blending innovative practices with enduring traditions. It investigates the transformative impact of digital tools and platforms on the collaborative processes among American writers, artists, and scholars. By examining case studies and theoretical frameworks, the abstract delves into the synergies between innovation and tradition in contemporary American literature. It considers how digital platforms democratize access to literary creation, foster interdisciplinary collaborations, and amplify diverse voices within the American literary canon. Furthermore, the abstract addresses the challenges and opportunities posed by the digital age, including issues of accessibility, authenticity, and the preservation of literary heritage. Ultimately, this exploration

aims to illuminate the evolving nature of American literary collaboration in the digital era, highlighting both the innovative strides and the enduring traditions that shape its rich tapestry.

ნანა პარინოსი

*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი*

ინოვაცია და ტრადიცია: ლიტერატურული თანამშრომლობის ევოლუცია ციფრულ ეპოქაში

ამერიკული ლიტერატურის სფეროში, ციფრულმა ეპოქამ ინოვაციისა და თანამშრომლობის დინამიურობა შემოიტანა, რომელმაც შეცვალა ლიტერატურის შექმნის ტრადიციული მეთოდები. ნაშრომი იკვლევს, თუ როგორ შეცვალა ციფრულმა პროგრესმა ამერიკული ლიტერატურული თანამშრომლობის ლანდშაფტი, შეურწყა რა ინოვაციური პრაქტიკა არსებულ ტრადიციებს. ნაშრომი ღრმად იკვლევს ციფრული ინსტრუმენტებისა და პლატფორმების ტრანსფორმაციულ გავლენას ამერიკულ მწერლებს, ხელოვანებსა და მეცნიერებს შორის არსებულ თანამშრომლობით პროცესებზე. შემთხვევის ანალიზისა და თეორიული ჩარჩოების განხილვით, ნაშრომი ფოკუსირებულია სინერჯიაზე – ინოვაციასა და ტრადიციას შორის თანამედროვე ამერიკულ ლიტერატურაში; იგი განიხილავს, თუ როგორ ახდენენ ციფრული პლატფორმები ლიტერატურული შემოქმედების ხელმისაწვდომობის დემოკრატიზებას, ხელს უწყობენ ინტერდისციპლინურ თანამშრომლობას და აძლიერებენ სხვადასხვაგვარ ხმებს ამერიკული ლიტერატურის კანონში. გარდა ამისა, ნაშრომი ეხება ციფრული ეპოქის მიერ წარმოქმნილ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს, მათ შორის ხელმისაწვდომობის, ავთენტურობისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის შენარჩუნების საკითხებს. საბოლოოდ, კვლევა მიზნად ისახავს გამოამყვანოს ამერიკული ლიტერატურული თანამშრომლობის ევოლუციური ბუნება ციფრულ ეპოქაში, ხაზი გაუსვას როგორც ინოვაციურ ნაბიჯებს, ასევე მდგრად ტრადიციებს, რომლებიც აყალიბებენ მის მდიდარ ქსოვილს.

Salome Pataridze

*Ilia State University
Georgia, Tbilisi*

Women's Narrative Role in Formation of Individual, Collective and Cultural Memory and Identity

Literature is the independent symbolic form of memory (Ernst Cassirer), and in this respect it stands side by side with myth, religion, law and science. Memory and literature create versions of reality and the past. On the other hand, literature differs from the other symbolic systems of memory culture in that it is able to create the illusion of direct observation of the past and to focus attention on such narrative strategies that would allow the construction of versions of the past. Since the function of "creating a world" and establishing meanings is absolutely similar to the collective memory processes, literary texts take the place of memory media. In this respect, literature is a kind of staging ground for memory, and in this way, together with the other media, it can add something new and different to the culture of memory. The purpose of the research is to study the role of women's auto-fictional and autobiographical narratives in the creation of Georgian cultural and collective memory of the 20th century, the significance that can be given to women's auto-fictional and autobiographical narratives within the framework of the culture of memory,

in the retrospective of personally significant events, in the selection from already existing stocks and self-schemes, and their role in the formation of individual, collective and cultural memory and identity. The works of Zaira Arsenishvili, Lana Ghoghoberidze and Nutsa Ghoghoberidze were chosen as the object of research. The theoretical framework for the research was chosen: Elaine Showalter's *Female Culture*, Jan Assmann's *I and We Identity*, Maurice Halbwachs's *Autobiographical Memory*.

Rusudan Pipia

Sukhumi State University

Georgia, Tbilisi

The Specificity of Teaching the Relations of World and National Literature in Teacher Training Programs

The main goal of new educational programs is to search for modern western trends and possible ways and means of their implementation on Georgian soil, to participate in the process of refining and developing methods for teachers in accordance with modern standards of literature teaching, to search for better ways of art of creating a scenario adapted to the modern teaching system through the integration of traditional and modern methodical directions. The goal of the teaching methodology of Georgian literature in the university space should be distinguished by important innovations and include research with the latest directions of artistic text analysis, formation of intertextual and discursive thinking skills.

Teaching literature involves not only understanding it from a national point of view, or studying the history of traditionally established literature, but also analyzing it in the world literary context, on the basis of comparing and contrasting common and different themes, problems, ideals and values. In the subject program of Georgian language and literature for the academic years 2018-2024, it is explicitly stated that the priority of the state in the teaching of literature is the development of the individual abilities of the person (and not the collective "I"). This is another important aspect of the "cultural turn".

The future teacher should be able to understand the literary processes and paradigms in the Western countries, to process specific texts and information, and to perform a correct intertextual analysis. He should have the knowledge, along with Georgian literary works, to offer students those samples of foreign literature, which in terms of typology and problems show similarities with the artistic works selected for different stages of education.

The training of teachers of verbal skills requires the training of trained personnel equipped with modern technologies for schools. His further professional development depends on the activity and individual style of the teacher. For a small country like Georgia, with its open economic and limited resources, it is important to integrate into global social trends, for which it is necessary to develop the field of education at a fast pace and train and support a new flow of teachers with both state programs and professional educational literature.

რუსუდან ფიფია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო, თბილისი

მსოფლიო და ნაციონალური ლიტერატურის ურთიერთმიმართებათა სწავლების სპეციფიკა მასწავლებლის მომზადების პროგრამებში

თანამედროვე დასავლური ტენდენციებისა და ქართულ ნიადაგზე მათი დანერგვის შესაძლო გზებისა და საშუალებების ძიება, მასწავლებლისთვის ლიტერატურის სწავლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მეთოდოლოგიის დახვეწა-დამუშავების პროცესში მონაწილეობა, ტრადიციულ და თანამედროვე მეთოდურ მიმართულებათა ინტეგრირების გზით თანამედროვე საგაკვეთილო სისტემისთვის მორგებული სცენარის შექმნის ხელოვნების უკეთესი გზების ძიება ახალი საგანმანათლებლო პროგრამების მთავარი მიზანია. ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგიის მიზანი საუნივერსიტეტო სივრცეში მნიშვნელოვანი სიახლეებით უნდა გამოირჩეოდეს და შეიცავდეს კვლევას მხატვრული ტექსტის ანალიზის უახლესი მიმართულებებით, ინტერტექსტუალური და დისკურსიული აზროვნების უნარ-ჩვევათა ჩამოყალიბებით.

ლიტერატურის სწავლება გულისხმობს მის არა მხოლოდ ნაციონალურ ჭრილში გააზრებას, ან ტრადიციულად დამკვიდრებული ლიტერატურის ისტორიის შესწავლას, არამედ გაანალიზებას მსოფლიო ლიტერატურულ კონტექსტში, საერთო და განსხვავებული თემების, პრობლემების, იდეალებისა და ფასეულობების შედარება-შეპირისპირების საფუძველზე. ქართული ენისა და ლიტერატურის 2018-2024 სასწავლო წლების საგნობრივ პროგრამაში პირდაპირაა გაცხადებული, რომ ლიტერატურის სწავლებაში სახელმწიფოს პრიორიტეტი პიროვნების ინდივიდუალური შესაძლებლობების (და არა კოლექტიური „მეს“) განვითარებაა. ეს კი „კულტურული შემოხრუნების“ კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი ასპექტია.

მომავალ მასწავლებელს უნდა შეეძლოს დასავლეთის ქვეყნებში მიმდინარე ლიტერატურული პროცესების და პარადიგმების გააზრება, კონკრეტული ტექსტებისა და ინფორმაციების დამუშავება და სწორი ინტერტექსტუალური ანალიზი. მას უნდა ჰქონდეს ცოდნა, ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებებთან ერთად, მოსწავლეებს შესთავაზოს უცხოური ლიტერატურის ის ნიმუშები, რომლებიც ტიპოლოგიისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით მსგავსებას ამჟღავნებს სწავლების სხვადასხვა ეტაპისთვის შერჩეულ მხატვრულ ნაწარმოებებთან.

სიტყვიერების მასწავლებლის მომზადება მოითხოვს განსწავლული და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი კადრების მომზადებას სკოლებისთვის. პედაგოგის აქტიურობასა და ინდივიდუალურ სტილზეა დამოკიდებული მისი შემდგომი პროფესიული განვითარება. ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, თავისი ღია ეკონომიკური და შეზღუდული რესურსებით, მნიშვნელოვანია, გლობალურ სოციალურ ტენდენციებში ინტეგრირება, რისთვისაც აუცილებელია განათლების სფეროს სწრაფი ტემპით განვითარება და მასწავლებელთა ახალი ნაკადის მომზადება და მხარდაჭერა როგორც სახელმწიფო პროგრამებით, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო ლიტერატურით.

Nino Pkhakadze, Maka Susareishvili

Akaki Tsereteli State University

Georgia, Kutaisi

**Multimodal Artistic Text as a Synthesis of Textual, Visual, and Musical Elements:
An Analysis of Works by Writers in Different Languages**

A multimodal artistic text combines various forms of expression, transcending traditional prose boundaries by integrating text, images, sounds, and interactive elements into a dynamic fusion.

Multimodal strategies are universal, evident in the works of writers across different eras, literary movements, and nationalities.

Contemporary interdisciplinary theoretical studies increasingly focus on multimodal concepts (e.g., Irina Rajewsky, Werner Wolf, Gabriele Rippl), highlighting the relevance of examining specific examples.

This article explores multimodal artistic texts through the works of writers in different languages, specifically analyzing Zurab Karumidze's "Dagny, or a Love Feast" and Orhan Pamuk's "Istanbul: Memories of a City".

Analysis of these authors' works reveals the diverse characteristics of multimodal fiction, notably textual-visual synergy and soundscapes.

At the core of multimodal fiction is the seamless integration of text and visuals. Words combine with imagery to create a vivid and nuanced narrative, allowing readers to delve deeper through linguistic and visual cues. This connection enhances the narrative's depth, immersing readers in a harmonious blend of words and images.

The inclusion of rhythmic patterns and sound elements adds an auditory dimension to the multimodal artistic text. The cadence of words and the composition of accompanying music or sounds synchronize to create an emotional rhythm, enriching the overall emotional experience and immersing the audience in a vibrant emotional landscape.

Multimodal strategy emerges as the dominant principle of artistic language, with multimodal elements amplifying the narrative's emotional resonance and situational context.

Unlike traditional fiction, which relies solely on words to convey a narrative, multimodal fiction integrates visual elements, illustrations, and symbolic representations, transforming the text into a multidimensional work of art.

The illustrated narrative serves as a visual extension, offering readers additional interpretive opportunities. By combining images with text, multimodal fiction pushes the boundaries of conventional storytelling, inviting readers to engage with the narrative on both verbal and visual levels.

The use of symbols and recurring motifs creates a symbolic language that transcends the written word, presenting visual cues that encourage readers to explore connections and interpretations beyond the literary text.

These topics are discussed in detail in the article.

ნინო ფხაკაძე, მაკა სუსარიშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

მულტიმოდალური მხატვრული ტექსტი როგორც ტექსტური, ვიზუალური და მუსიკალური პლასტების სინთეზი (სხვადასხვაენოვან მწერალთა ნაწარმოებების მაგალითზე)

მულტიმოდალური მხატვრული ტექსტი აერთიანებს გამოხატვის სხვადასხვა ფორმას. ეს ინოვაციური შემოქმედებითი პროდუქტი სცილდება პროზის ტრადიციულ საზღვრებს, ქმნის ტექსტის, სურათების, ბგერებისა და ინტერაქტიული ელემენტების დინამიურ შერწყმას.

მულტიმოდალური სტრატეგია უნივერსალურია. იგი რეალიზდება სხვადასხვა ქრონოლოგიური მონაკვეთის, ლიტერატურული მიმართულების, განსხვავებული ეროვნული კუთვნილების მქონე მწერალთა ნაწარმოებებში.

თანამედროვე ინტერდისციპლინურ თეორიულ კვლევებში სულ უფრო იზრდება ინტერესი მულტიმოდალური კონცეფციისადმი (ირინა რაიევსკი, ვერნერ ვოლფი, გაბრიელ რიპლი...), კონკრეტული ნიმუშების შესწავლა ამ თვალსაზრისით აქტუალურია.

სტატიაში თეორიულ დებულებებზე დაყრდნობით განხილულია მულტიმოდალური მხატვრული ტექსტი სხვადასხვაენოვან მწერალთა ნაწარმოებების მაგალითზე. გაანალიზებულია ზურაბ ქარუმიძის „დაგნი ანუ სიყვარულის ალაპი“, ორჰან ფამუქის „სტამბოლი მოგონებები და ქალაქი“.

ზემოაღნიშნულ ნაწარმოებთა ანალიზმა აჩვენა, რომ მულტიმოდალური მხატვრული ტექსტის მახასიათებლები მრავალფეროვანია. მათ შორის მნიშვნელოვანია: ტექსტურ-ვიზუალური სინერგია, ხმოვანი ლანდშაფტი.

მულტიმოდალური მხატვრული ტექსტის ბირთვი არის ტექსტისა და ვიზუალის უწყვეტი ინტეგრაცია. სიტყვები ერწყმის გამოსახულებას, რათა უფრო ნათელი და ნიუანსური სურათი დახატოს, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს, ჩაუღრმავდეს თხრობას როგორც ენობრივი, ასევე ვიზუალური ნიშნების საშუალებით. ეს კავშირი აძლიერებს თხრობის სიღრმეს, იწვევს მკითხველს, ჩაეფლოს სამყაროში, სადაც სიტყვები და სურათები ჰარმონიულად თანაარსებობს.

რიტმული შაბლონებისა და ხმოვანი ელემენტების ჩართვა მულტიმოდალურ მხატვრულ ტექსტს სმენის განზომილებას ანიჭებს. სიტყვების კადენცია და თანმხლები მუსიკის ან ბგერების კომპოზიცია შეიძლება სინქრონიზებული იყოს ემოციური რიტმულობის შესაქმნელად. ეს მუსიკალური ფენა ზრდის საერთო ემოციურ გამომსახველობას, აუდიტორიას ძირავს მდიდარ განცდათა გარემოში.

მულტიმოდალური სტრატეგია გვევლინება მხატვრული ენის დომინანტურ პრინციპად. მულტიმოდალური ელემენტები აძლიერებს თხრობის ემოციურ რეზონანსსა და სიტუაციურ კონტექსტს.

ტრადიციული მხატვრული ტექსტისაგან განსხვავებით, რომელიც ნარატივის გადმოსაცემად მხოლოდ სიტყვებს ეყრდნობა, მულტიმოდალური მხატვრული დისკურსი აერთიანებს ვიზუალურ ელემენტებს, ილუსტრაციებსა და სიმბოლურ წარმოდგენებს, აქცევს ტექსტს მრავალგანზომილებიან ხელოვნების ნაწარმოებად.

ილუსტრირებული ნარატივი ემსახურება თხრობის ვიზუალურ გაფართოებას, რაც მკითხველს დამატებითი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას აძლევს. სურათების ტექსტთან შერწყმით, მულტიმოდალური მხატვრული ტექსტი სცილდება ჩვეულებრივი მოთხრობის საზღვრებს და იწვევს მკითხველებს ჩაერთონ თხრობაში როგორც ვერბალურ, ასევე ვიზუალურ დონეზე.

სიმბოლოებისა და განმეორებადი მოტივების გამოყენება ქმნის სიმბოლურ ენას, რომელიც სცილდება წერილობით სიტყვას. ეს სიმბოლოები გვევლინება როგორც ვიზუალური მინიშნებები,

რაც მკითხველს უბიძგებს, შეისწავლოს ლიტერატურული ტექსტის მიღმა კავშირები და ინტერპრეტაციები.

სტატიამი დეტალურად არის განხილული ზემოაღნიშნული საკითხები.

Natia Purtseladze

Baghdati N 2 Public School

Georgia, Baghdati

"The Snake Shirt" by Grigol Robakidze in the Context of Georgian-German Literary Relations

In the history of Georgian-German literary relations, Grigol Robakidze's works attract a considerable attention, especially "The Snake Shirt", the writer's first novel, as well as the first text from his writings, which was translated and published in German.

"The Snake Shirt" was written in 1925, and published as a separate book in 1926." It received various reviews in the Georgian literary circles.

"The Snake Skin" was translated into German at the author's request by Nikoloz Asatiani, a German language teacher at Tbilisi University. Grigol Robakidze travelled to Germany in 1927 and took a literal translation of the novel, aiming to publish "The Snake Shirt" in German. To this end, he contacted the Austrian writer of Jewish origin - Stefan Zweig, as well as the other writers and critics. Apparently, Stefan Zweig advised Gr. Robakidze to review the text and translate it again. The translation of "The Snake Shirt" was supervised by the German Kartvelologist Richard Maceline.

The novel was ready to be published, but it was not easy to find a publisher. Grigol Robakidze was helped by Otto von Wesendonk, the former German consul in Georgia, who introduced him to the owners of the publishing house Diederichs - Eugen and Lulu Diederichs, and the colleague of the same publishing house – Cornelius Bergman. It was decided to publish the book, and the contract was signed, but the text required reworking. Cornelius Bergman started editing the novel, and Adam Kuckhoff continued working on it.

Finally, "The Snake Shirt" was published in Jena in 1928 with the foreword by Stefan Zweig. It also received several reviews in German periodicals. Grigol Robakidze's correspondence with Stefan Zweig shows that it was not easy for a Georgian writer to gain his attention, requiring much effort and pleading. Zweig agreed to write a foreword for the book only after much persistence from Grigol Robakidze. He knew that Zweig's support would be crucial for the novel's success. The correspondence with Stefan Zweig about "The Snake Shirt" laid the foundation for their friendship, which ultimately helped Grigol Robakidze establish himself in the German-speaking literary world.

"The Snake Shirt" was published again in Germany in 1944.

ნათია ფურცელაძე

სსიპ ბაღდათის N2 საჯარო სკოლა

საქართველო, ბაღდათი

გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“ ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობების კონტექსტში

ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიაში დიდ ყურადღებას იქცევს გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება, განსაკუთრებით კი – „გველის პერანგი“, მწერლის პირველი რომანი, ამასთანავე, მის ნაწერებს შორის პირველი ტექსტი, რომელიც ითარგმნა და გამოიცა გერმანულად.

„გველის პერანგი“ დაიწერა 1925 წელს, ხოლო 1926 წელს „ცალკე წიგნად დაისტამბა“. მას არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა ქართულ სალიტერატურო სივრცეში.

„გველის პერანგი“ ავტორის თხოვნით გერმანულად თარგმნა თბილისის უნივერსიტეტის გერმანული ენის მასწავლებელმა, ეკონომისტმა ნიკოლოზ ასათიანმა. გრიგოლ რობაქიძე 1927 წელს გაემგზავრა გერმანიაში, თან წაიღო რომანის სიტყვასიტყვით თარგმანი და მიზნად დაისახა „გველის პერანგის“ გერმანულად გამოცემა. ამ მიზნით იგი დაუკავშირდა ებრაული წარმოშობის ავსტრიელ მწერალს – შტეფან ცვაიგს, ასევე – სხვა ლიტერატორებსა და კრიტიკოსებს. როგორც ჩანს, შტეფან ცვაიგმა ურჩია რობაქიძეს ტექსტის გადამუშავება და ხელმეორედ თარგმნა. „გველის პერანგის“ თარგმნას შეუდგა გერმანელი ქართველოლოგი რიხარდ მეკელანი.

რომანი გამოსაცემად მზად იყო, თუმცა მარტივი არ აღმოჩნდა გამომცემლობის პოვნა. გრიგოლ რობაქიძეს დაეხმარა ო. ფონ ვეზენდონკი, გერმანიის ყოფილი კონსული საქართველოში და დააკავშირა დიდერიხსის გამომცემლობის მფლობელებს – ოიგენ და ლულუ დიდერიხსებსა და ამავე გამომცემლობის თანამშრომელს – კორნელიუს ბერგმანს. გადაწყდა წიგნის გამოცემა, ხელშეკრულებაც გააფორმეს, თუმცა საჭირო გახდა ტექსტის კვლავ გადამუშავება, რომანის რედაქტირება დაიწყო კორნელიუს ბერგმანმა, განაგრძო ადამ კუკჰოფმა.

საბოლოოდ, „გველის პერანგი“ 1928 წელს გამოიცა იენაში შტეფან ცვაიგის წინასიტყვაობით, გერმანულ პერიოდულ პრესაში დაიბეჭდა რამდენიმე გამოხმაურებაც. გრიგოლ რობაქიძის შტეფან ცვაიგისადმი მიწერილი წერილებიდან ირკვევა, ამ ყველაფრისთვის ქართველ მწერალს მარტივად არ მიუღწევია, თვეობით ლოდინი და თხოვნა დასჭირდა, რათა ცვაიგს წინასიტყვაობა დაეწერა. გრიგოლ რობაქიძემ კარგად იცოდა, რომანის წარმატებისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა. შტეფან ცვაიგთან „გველის პერანგის“ შესახებ დაწყებულმა მიმოწერამ საფუძველი ჩაუყარა მათ მეგობრობას და ხელი შეუწყო გრიგოლ რობაქიძეს, ადგილი დაემკვიდრებინა გერმანულენოვან ლიტერატურულ სამყაროში.

„გველის პერანგი“ გერმანიაში ხელმეორედ გამოიცა 1944 წელს.

Irma Ratiani

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgia, Tbilisi

Zaiara Arsenishvili – „Alas, Life!“ The Comeback of the Novel

Zaira Arsenishvili is one of the prominent representatives of modern Georgian writing. Her creative work includes scripts for Georgian films and prose texts, including novels. The subject of our interest is the novel – "Alas, Life!", which was published for the first time in 2002, with a small circulation, and was relatively modestly received by readers. A dozen years later, the novel's re-publishing aroused increased

interest of the Georgian public: the novel became the center of attention of Georgian authors, critics and, what is important, young people. All this prompts us to ask the fundamental questions: what is the quintessence of the novel? What place did the novel occupy in the history of modern Georgian writing? Why and how did the history of publishing the novel differ from each other? What are Georgian readers interested in today? and others

It is desirable that questions should be given as much as possible.

ირმა რატანი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი*

ზაირა არსენიშვილი – „ვა, სოფელო...“ რომანის დაბრუნება

ზაირა არსენიშვილი თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა მოიცავს როგორც სცენარებს ქართული კინოფილმებისათვის, ისე – პროზაულ ტექსტებს, მათ შორის, რომანებს. ჩვენი ინტერესის საგანს შეადგენს რომანი – „ვა, სოფელო...“, რომელიც 2002 წელს გამოიცა პირველად, მცირე ტირაჟით, და შედარებით მოკრძალებულად იქნა მიღებული მკითხველების მიერ. ათეული წლის შემდეგ, რომანის ხელახალმა გამოცემამ ქართველი მკითხველი საზოგადოების გაზრდილი ინტერესი გამოიწვია: რომანი ქართველი ავტორების, კრიტიკოსების და, რაც მნიშვნელოვანია – ახალგაზრდების ყურადღების ცენტრში მოექცა. ყოველივე ეს გვიბიძგებს, რომ დავსვათ ძირეული კითხვები: რა წარმოადგენს რომანის კვინტესენციას? რა ადგილი დაიკავა რომანმა თანამედროვე ქართული მწერლობის ისტორიაში? რატომ და რით განსხვავდა ერთმანეთისგან რომანის გამოცემის ისტორია? რა აინტერესებს დღეს ქართველ მკითხველს? და სხვ.

სასურველია, რომ კითხვებს, ძღვებისდაგვარად, პაუზებიც გაეცეს.

Marina Reisner

*Lomonosov Moscow State University
Asia and Africa Institute. Professor
Doctor of Philological Sciences
Russia, Moscow*

Foreign Countries and Peoples in the Persian Classical Epic Poetry of X-XII Centuries

The report is devoted to the depiction of foreign countries and peoples in the Persian epic poetry of X-XII cen. When Iran, conquered by the Arabs, became part of a huge Islamic caliphate, the theme of travel, encountering foreign countries and small peoples was reflected in the Persian epics. Firdousi begins this process in his famous "Shah-name". He incorporates into the poem the dynastic chronicle of Iranian monarchs, from the mythical Pishdadids to the historical Sasanids, the history of Iskander (Alexander the Great). The relay of Firdausi was continued by Asadi Tusi in his "Gershasp Name", in the adventure part of which we see various foreign peoples, landscape, etc.

Nizami Ganjevi impressively continues this line in his "Iskander-name". The depiction of the peoples and tribes conquered by Alexander the Great and his friendship on the path of seeking wisdom are

interwoven with the description of small peoples and tribes. When Iskander separated himself and the world from the wild tribes of Yajuj and Majuj, only then will it be possible to achieve harmony.

მარინა რეისნერი

მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი. პროფესორი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

რუსეთი, მოსკოვი

უცხო ქვეყნები და ხალხები X-XII ს. სპარსულ კლასიკურ ეპოსში

მოხსენება ეძღვნება უცხო ქვეყნებისა და ხალხების ასახვას X-XII ს. სპარსულ ეპოსში, როცა არაბების მიერ დაპყრობილი ირანი აღმოჩნდა უზარმაზარ ისლამური ხალიფატის შემადგენლობაში. ყარიზმის და მოგზაურობის თემა, უცხო ქვეყნებსა და მცირერიცხოვან ხალხებთან შეხვედრა ასახვას ჰპოვებს სპარსულ ეპოსში. ამ პროცესს ფირდოუსი იწყებს და თავის სახელგანთქმულ „შაჰ-ნამეში“. მას პოემაში შეაქვს ირანელი მონარქების დინასტიური ქრონიკა, მითოსური პიშტატიდებიდან სასანიდებამდე, ასევე ისკანდერის (ალექსანდრე დიდის) ისტორია. ფირდოუსის ესტაფეტას აგრძელებენ ასადი ტუსი („გერშასპ ნამე“), რომლის სათავედასავლო ნაწილში ვხედავთ სხვადასხვა უცხო ხალხებს, ბიოლანდშაფტს და ა. შ.

შთამბეჭდავად აგრძელებს ამ ხაზს ნიზამი განჯელი თავის „ისკანდერ ნამეში“. ალექსანდრე დიდის მიერ დაპყრობილი ხალხების, ტომების ასახვა და მისი ყარიზობა სიბრძნის ძიების გზაზე გადახლართულია მცირე ხალხებისა და ტომების აღწერასთან. როცა ისკანდერი გაემიჯნება ველურ ტომებს – იაჯუჯსა და მაჯუჯს, მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი ჰარმონიის მიღწევა.

Sevinj Rzayeva

German Department

Baku Slavic University

Azerbaijan, Baku

Ideal and Artistic Realization of the Problem of Human in the Cycle of Hermann Hesse's Works "On This Side"

The article introduces the problem of man, described in the stories and narratives of the famous German writer Hermann Hesse, collected in the cycle of essays "On This Side," published in 1977.

Perhaps, it is never possible to say definitely what exactly the author saw when creating his hero, since the latter is unique and has its own ontological secret. The basis of conceptual analysis is the division of a work of art into textual and semantic aspects. On the one hand, they correspond to the level of textual construction itself and the level above the textual one, considered as the space of an "aesthetic object." So, the hero (character) acts here as a meaning-forming phenomenon of the genre. He, as the author's claim to "I-in-the-world," is a kind of world-image – a certain picture of the world and man's place in it. Getting closer to the concept of personality (hero) as a mystery created by the artist is possible only through text. More precisely, in our interpretation, through meta-text. The first type of connection is represented in the Hessian cycles under study. The early Hermann Hesse is in tune with these sentiments, which is confirmed by the choice of the type of hero of the stories and the cyclic form. Analysing the early period of Hesse's work, it is important to understand that such a

character model appears in terms of specific content as a contradiction between the stable – society and the transient – man.

Ketevan Samadashvili

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Georgia, Tbilisi*

Thematic and Versification Trends of the Georgian Lyric Poem of the Second Half of the 20th Century

The lyricist reflects reality. An objective fact creates a subjective reality that affects the reader, the semiotic process of cognition.

The main question of hermeneutics is: how is the world that we want to understand arranged. Georgian lyrics discuss all topics that people think about.

In this regard, the poetry of the 2nd half of the 20th century is particularly important: "Tsiskrelebi" (Ana Kalandadze, Mukhran Machavariani, Murman Lebanidze, Shota Nishnianidze...), the poetic generation of the 60s and 70s (Lia Sturua, Otar Chiladze, Besik Kharanauli, Jarji Pkhoveli, Taniel Chanturia...), the generation of the 80s-90s (Dalila Bedianidze, Kote Kubaneishvili, Ela Gochiashvili...), unknown poets in the Soviet regime (Niko Samadashvili, Shota Chantladze, Esmā Oniani...),-their work in the modern era deserves special attention.

The subject of our discussion is the theme and versification trends of the Georgian lyric poem of the second half of the last century, taking into account the following aspects: intercultural isolation and destruction, individual way of describing reality, difficulties of establishing innovations.

The research topic includes lyric poems written about traditional themes (love, nature, motherland...) and works written about social and political events.

The rhythmic structure, verse forms, verse euphony and verse intonation are noteworthy.

ქეთევან სამადაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი*

XX საუკუნის II ნახევრის ქართული ლირიკული ლექსის თემატური და ვერსიფიკაციული ტენდენციები

პოეზია ხელოვნების უმაღლეს, სინთეზურ დარგად ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან მოიაზრება. არისტოტელე თვლიდა, რომ იგი, უპირველეს ყოვლისა, სინამდვილის ასახვის სამსახურში უნდა იდგეს, გამოსახვის საშუალებები – ლექსთწყობა, კი მეორეხარისხოვანია, ლირიკული სინამდვილის უმთავრესი მახასიათებელი აბსტრაქტულის წვდომის უნარია.

ლირიკოსს სინამდვილის შეცნობის ამოუწურავი არსენალი აქვს. იგი ასახავს რეალობას და, ამასთან, მუდმივად მასთან ჭიდილში რჩება. ასე იქმნება ობიექტური ფაქტით შთაგონებული სუბიექტური ხედვა, რომელიც ზემოქმედებს მკითხველის მსოფლალქმაზე – შემეცნების სემიოტიკურ პროცესზე.

ჰერმენევტიკის მთავარი საკითხავი, თუ როგორაა მოწყობილი ყოფა, რომლის გაგებასაც ვცდილობთ, პირნათლადაა ასახული ქართულ ლირიკულ მემკვიდრეობაში – ძნელად თუ

მოიძებნება თემა, რომლის შესახებაც არ უსაუბრია ლიტერატურას, არ განუხილავს და არ გაუკრიტიკებია.

ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია XX საუკუნის II ნახევრის პოეტური მემკვიდრეობა, რომელსაც ქმნიდნენ ე. წ. „ორმოცდაათიანელები“ (ანა კალანდაძე, მუხრან მაჭავარიანი, მურმან ლებანიძე, შოთა ნიშნიანიძე...), 60-70-იანელთა პოეტური თაობა (ლია სტურუა, ოთარ ჭილაძე, ბესიკ ხარანაული, ჯარჯი ფხოველი, ტარიელ ჭანტურია...), საუკუნის დასასრულის ლიტერატურულ პროცესებში ჩართული პოეტები (დალილა ბედიანიძე, კოტე ყუბანიშვილი, ელა გოჩიაშვილი...), საბჭოთა რეჟიმის მიერ არადიარებული პოეტები (ნიკო სამადაშვილი, შოთა ჩანტლაძე, ესმა ონიანი...), რომელთა შემოქმედებაც თანამედროვე ეპოქაში განსაკუთრებით დიდ ყურადღებას იმსახურებს.

ჩვენი განხილვის საგანს წარმოადგენს გასული საუკუნის II ნახევრის ქართული ლირიკული ლექსის თემატური მრავალფეროვნება და ვერსიფიკაციული ტენდენციები, რომელთა ჩამოყალიბება-განვითარებას ხელშემწყობ ფაქტორებთან ერთად, მრავალი ხელშემშლელი ფაქტორიც განაპირობებდა: ინტერკულტურული იზოლაციისა და მისი რღვევის პერიოდი, პოეტური ძიების, სინამდვილის ასახვის ინდივიდუალური გზა, რომელსაც მუდმივად ახლავს ნოვაციების დამკვიდრების სირთულეები.

საკვლევი საკითხი მოიცავს როგორც ტრადიციული თემების (სიყვარულის, ბუნების, სამშობლოს...) შესახებ შექმნილ ლირიკულ ლექსებს, ისე ეპოქისათვის ნიშნულსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს შეხმიანებულ ნაწარმოებებს.

საყურადღებოა განსახილველ ნაწარმოებთა რიტმული სტრუქტურა, სალექსო ფორმები, ლექსის ევფონია და ლექსის ინტონაცია.

Shorena Shamanadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgia, Tbilisi

Reflection of Russian-Georgian Relations in the Context of the New 'Weltliteratur' (‘Moscow-Tbilisi’ by Nodar Macharashvili)

The finest source material to observe the process of forming a new identity for Georgia in a global or post-Soviet setting, identify individual cultural-aesthetic and intellectual idiosyncrasies, or uncover current postmodern reflections is found in Georgian intercultural-migration texts, i.e. Texts created in or on migration.

There aren't many texts in contemporary Georgian literature that provide a knowledge of Georgian-Russian ties. We know very little about Russia these days, have no understanding what is going on in Russian literature, and have no connection to the intellectuals in that country. This has an explanation of its own: the disintegration of Georgia from the Soviet space did not happen without state losses and human tragedies, which was reflected in the writings created both locally and abroad.

In the Georgian literature created locally, the mainstream discourse of the Russia-Georgia relationship started in 2008 and became irreplaceable after the Russia-Ukraine war, in which the negative stereotypes of the colonial era were revived: such as the "WC pan thieves Russians," who seek to assimilate nations, appropriate territories, and create artificial stagnation.

However, there is another trend that is evident here: internal writers are afraid to deviate from the mainstream and get deeper into the issues at hand. What is impossible to say about the new 'Weltliteratur' writers.

We chose Nodar Macharashvili's book 'Moscow-Tbilisi' based on this premise. This novel, written outside of Georgia, captures the author's thoughts on contemporary Georgian society on recurring historical traumas, global issues facing young, their quest for a true identity, and their profound sense of helplessness in the face of a vast and frequently uncaring world.

We employ a methodology we have developed called 'socio-literary studies' to discuss these issues. This methodology incorporates concepts from sociology and psychology, post-colonial theory, literary studies techniques, and – above all – imagology, or the reality of post-Soviet Georgia as seen 'from there' by contemporary Georgian intercultural-migration writing.

შორენა შამანაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

საქართველო, თბილისი

რუსულ-ქართული ურთიერთობების გააზრება ახალი 'Weltliteratur'-ის კონტექსტში ნოდარ მაჭარაშვილის „მოსკოვი-თბილისი“

ქართული ინტერკულტურულ-მიგრაციული, ე.ი. მიგრაციაში ან მიგრაციის თემაზე შექმნილი ტექსტები საუკეთესო მასალაა გლობალურსა თუ პოსტსაბჭოთა გარემოში ახალი ქართული იდენტობის ფორმირების პროცესზე დასაკვირვებლად, ცალკეულ კულტურულ-ესთეტიკურ და ინტელექტუალურ თავისებურებათა განსასაზღვრად თუ მიმდინარე პოსტმოდერნულ რეფლექსიათა მოსახელთებლად.

თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ცოტაა ისეთი ტექსტები, სადაც მოცემული იქნებოდა ქართულ-რუსულ ურთიერთობათა რეფლექსია. ჩვენ თითქმის აღარ ვიცნობთ რუსეთს, არ ვიცით რა ხდება რუსულ ლიტერატურაში, არ გვაქვს კავშირი იქაურ ინტელიგენციასთან. ამას აქვს თავისი ახსნა: ერთიანი საბჭოთა სივრციდან საქართველოს დეზინტეგრაცია არ მომხდარა სახელმწიფოებრივი ზარალისა და ადამიანური ტრაგედიების გარეშე, რაც აისახა კიდევ როგორც ადგილზე, ისე საზღვარგარეთ შექმნილ მწერლობაში.

ადგილზე შექმნილ ქართულ მწერლობაში, 2008 წლის შემდეგ დაიწყო და რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ უალტერნატივო გახდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მეინსტრიმული დისკურსი, რომელშიც გაცოცხლდა კოლონიური ხანის მინავლებული ნეგატიური სტერეოტიპები: 'უნიტაზიპარია' რუსები, რომელთაც აქვთ ერების ასიმილირების, ტერიტორიების მითვისებისა და ხელოვნური სტაგნაციის სურვილი.

მაგრამ აქვე შეინიშნება კიდევ ერთი ტენდენცია: შიდა ავტორები ვერ ბედავენ ამ მეინსტრიმული ხაზის დარღვევას, პრობლემებზე უფრო სიღრმისეულ მსჯელობას. რასაც ვერ ვიტყვით ახალი 'Weltliteratur' – ის ავტორებზე.

სწორედ ამ ნიშნით გამოვარჩიეთ ნოდარ მაჭარაშვილის რომანი „მოსკოვი-თბილისი“.

საზღვარგარეთ შექმნილი ეს ტექსტი ასახავს თანამედროვე ქართველი ავტორის რეცეფციებს რეგულარულ ისტორიულ ტრავმებზე, ახალთაობის გლობალურ პრობლემებზე, მათ მიერ საკუთარი, ავტენტური იდენტობის ძიებაზე და ამ პროცესში უმწეობის მძაფრ განცდაზე უზარმაზარ, ხშირად, სრულიად ინდიფერენტულ მსოფლიოში.

ამ პრობლემებზე მსჯელობისას ვიყენებთ ჩვენ მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიას – „სოციოლიტერატურათმცოდნეობას“, რომელიც ითვალისწინებს სოციოლოგიურ და ფსიქოლოგი-

ურ კონცეპტებს, პოსტკოლონიურ თეორიას, ლიტერატურათმცოდნეობით მეთოდებს და რაც მთავარია, იმაგოლოგიას – თანამედროვე ქართული ინტერკულტურულ-მიგრაციული მწერლობის მიერ 'იქიდან' დანახულ პოსტსაბჭოთა საქართველოს რეალობას.

Manana Shamilishvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgia, Tbilisi

Political Satire in the Microblogs of Georgian Writers

Modern Georgian writers more frequently than ever use digital media forms for self-expression. They particularly stand out in social networks for their activities. Microblogging is especially popular that raises facebook users' notable interest. The name itself underscores its idiosyncratic nature, implying minimalist style and concise way of narration. Through such narrative style the authors try to bring forward the topical issues facing the society. Out of numerous stylistic devices, political satire takes a special place, through which the author exposes the vices prevalent in politics, and ruthlessly "rebukes" politicians.

Deriving from the specific nature of the issue, we elaborated the research goals that enabled us to answer the following questions: what are the idiosyncrasies of Georgian microblogging? How often is microblogging used by Georgian writers? Through which means do micro-bloggers represent acute political topics in cyberspace? How effective is political satire in this respect and is it used for ideological purposes? Do micro-bloggers manage to avoid threats of excessive negativism and cynicism? And finally, through which genre are their thought-products presented?

Critical discourse analysis was used for the achievement of the set goals. Through this method, we attempted to identify those tools that are used by the authors for the conveyance of their message to the audience. We also tried to define the contexts of the texts to be analyzed. We used one more qualitative research method – narrative analysis. It helped us to conduct deep analysis of the texts that we searched for study, to single out their content elements and to establish similarities and differences between them. We chose the microblogs of modern Georgian writers posted on facebook as objects of analysis. We defined authors' ratings, i.e. their subscriber numbers, as a choice criterion. Based on the mentioned method, we analyzed microblogs posted by Davit Gorgiladze, Lasha Bughadze, Aleksandre Lortkipanidze, Natia Panjikidze and others.

The analysis of concrete texts through the relevant methodology enabled us to identify the idiosyncrasies of writing styles of the mentioned authors, to single out the main characteristic features of this type of creative writing, and to draw appropriate conclusions.

მანანა შამილიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

საქართველო, თბილისი

პოლიტიკური სატირა ქართველი მწერლების მიკრობლოგებში

თანამედროვე ქართველი მწერლები თვითგამოხატვისთვის სულ უფრო ხშირად იყენებენ ციფრული მედიის ფორმებს, განსაკუთრებული აქტიურობით კი სოციალურ ქსელებში გამოირჩევიან. დიდი პოპულარობით სარგებლობს მიკრობლოგინგი, რომელიც ფეისბუქმომხმარებლის მომეტებულ ინტერესს იწვევს. თავად სახელდება მიგვანიშნებს მის სპეციფიკაზე, რაც თხზვის

მინიმალისტურ სტილსა და მომჭირნედ მოუბრობაზე მიუთითებს. მსგავსი სტილისტური მანერით ავტორები ცდილობენ სამსჯავროზე გამოიტანონ საზოგადოებისათვის საჭირობოროტო თემები. მათ მიერ გამოყენებული მრავალგვარი სტილისტური ხერხიდან დომინანტურ ადგილს იკავებს პოლიტიკური სატირა, რომლითაც მწერალი ააშკარავებს პოლიტიკაში გამეფებულ მანკიერებებს, დაუნდობლად „ამათრახებს“ პოლიტიკოსებს.

საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, შევიმუშავეთ კვლევის ამოცანები, რომლებმაც საშუალება მოგვცა პასუხი გაგვეცა შემდეგ კითხვებზე: რა თავისებურებებით ხასიათდება ქართული მიკრობლოგინგი; რა სიხშირით იყენებენ მას ქართველი მწერლები; რა გზებით ხორციელდება მიკრობლოგერთა მიერ მწვავე პოლიტიკური თემების რეპრეზენტაცია კიბერსივრცეში; რამდენად ქმედითია ამ მხრივ პოლიტიკური სატირა და გამოიყენება თუ არა იდეოლოგიური მარკირებისთვის; ახერხებენ თუ არა მიკრობლოგერები ზღვარგადასული ნეგატივიზმისა და ცინიზმის საფრთხის თავიდან აცილებას; და ბოლოს, რა ჟანრობრივი ფორმებითაა წარმოდგენილი მათი ნააზრევი.

დასახული ამოცანების შესასრულებლად შევარჩიეთ კრიტიკული დისკურსული ანალიზი. ამ მეთოდით ვეცადეთ წარმოგვეჩინა ის საშუალებები, რომელთაც მწერლები იყენებენ აუდიტორიამდე საკუთარი სათქმელის მისატანად; განგვესაზღვრა განსახილველი ტექსტების კონტექსტები. გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის კიდევ ერთი მეთოდი – ნარატიული ანალიზი. იგი დაგვეხმარა, დასაკვირვებლად მოძიებული ტექსტები გვეკვლია სიღრმისეულად, დაგვედგინა ტექსტების შინაარსობრივი ელემენტები და მათ შორის მსგავსება – განსხვავებები. კვლევის ობიექტებად გამოვკვეთეთ თანამედროვე ქართველ მწერალთა მიკრობლოგები სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“. შერჩევის კრიტერიუმად განვსაზღვრეთ ავტორთა რეიტინგულობა – გამომწერთა რაოდენობაზე დაყრდნობით. აღნიშნული მეთოდით განვიხილეთ დავით გორგილაძის, ლაშა ბუღაძის, ალექსანდრე ლორთქიფანიძის, ნათია ფანჯიკიძისა და სხვათა მიკრობლოგები.

რელევანტური მეთოდოლოგიით კონკრეტული ტექსტების ანალიზმა საფუძველი მოგვცა გვემსჯელა წარმოდგენილ ავტორთა ხელწერის თავისებურებაზე, იმ ძირითად ნიშნებზე, რომლებითაც შემოქმედების ეს ტიპი ხასიათდება და შესაბამისი დასკვნები გამოგვეტანა.

Tamar Sharabidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgia, Tbilisi

One of the Branches of the Caucasus Censorship Committee is Dramaturgical Censorship

The Caucasian Censorship Committee, which was created in 1848 and was one of the punitive bodies of the tsarism, reviewed not only the printed products published in the Caucasus or imported from abroad, but also controlled any type of activity related to the printed work (appointment of editors, going on vacation, replacing with another editor, publication circulation, identity of all copies, etc.). In case of any violation, it would refer the case to the court. One of its main activities was the control of dramaturgy (even before "Dramaturgical Censorship" was established as a separate department within its framework in 1879). The Caucasian Censorship Committee demanded that the text of any theatrical performance (even if it was an excerpt from a play staged in a family, or a short speech to be delivered at a public event or a public game) should be presented in writing to the Censorship Committee and performed without changing the word after permission. Of course, dramaturgical works (written in Georgian, Russian and Armenian

languages) were submitted to the censorship committee, they were discussed in detail in the committee, reviews were written by censors, circulars were issued, which described in detail what procedure the work had to go through to be put on the stage and how it should be controlled on the stage during the performance. This was the most important work of the committee, because the Empire well understood the role of the theater in the awakening of society.

It was necessary for a police representative to attend all performances and events, special seats had to be allocated for them. The police had to check not only the full compliance of the actors' spoken texts with the text allowed by the censors, but also the actors' lines and mimes during every performance.

In the National Archives of Georgia, the materials reflecting the activities of the "Caucasus Censorship Committee" are fully preserved (in Russian language handwritten format), including the texts of plays, both prohibited and permitted. They have not been studied scientifically. The purpose of the article is to discuss, present and popularize the themes of artistically valuable (including unpublished) plays.

თამარ შარაბიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

საქართველო, თბილისი

კავკასიის საცენზურო კომიტეტის ერთ-ერთი მიმართულება – დრამატურგიული ცენზურა

კავკასიის საცენზურო კომიტეტი, რომელიც 1848 წელს შეიქმნა და ცარიზმის ერთ-ერთ სადამსჯელო ორგანოს წარმოადგენდა, განიხილავდა არა მხოლოდ კავკასიაში გამოქვეყნებულ ან უცხოეთიდან შემოსულ ბეჭდურ პროდუქციას, არამედ აკონტროლებდა ბეჭდურ საქმესთან დაკავშირებულ ნებისმიერი სახის საქმიანობას (რედაქტორების დანიშვნას, შვებულებაში წასვლას, შეცვლას სხვა რედაქტორით, გამოცემის ტირაჟს, ყველა ეგზემპლარის იდენტურობას და ა. შ.). ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში საქმეს სასამართლოს გადასცემდა. მის ერთ-ერთ მთავარ საქმიანობას წარმოადგენდა დრამატურგიის კონტროლი (მანამდეც, სანამ 1879 წელს მის ფარგლებში ცალკე განყოფილებად ჩამოყალიბდებოდა „დრამატურგიული ცენზურა“). კავკასიის საცენზურო კომიტეტი მოითხოვდა ნებისმიერი თეატრალური წარმოდგენის (თუნდაც ეს ყოფილიყო ოჯახში დადგმული ნაწყვეტი პიესიდან, ან სახალხო ღონისძიებაზე წარმოსათქმელი მოკლე სიტყვა ან სახალხო თამაშობა) ტექსტი წერილობით წარმოედგინათ საცენზურო კომიტეტში და ნებართვის შემდეგ სიტყვის შეუცვლელად შეესრულებინათ. რა თქმა უნდა, საცენზურო კომიტეტში თავს იყრიდა დრამატურგიული თხზულებები (ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე შექმნილი), დეტალურად განიხილებოდა კომიტეტში, ცენზორთა მიერ იწერებოდა რეცენზიები, დგებოდა ცირკულიარები, რომლებშიც დაწვრილებით იყო ასახული, რა პროცედურა უნდა გაეკეთებინათ ნაწარმოებს სცენაზე დასადგმელად და როგორ უნდა გაკონტროლებულიყო ის სცენაზე წარმოდგენის დროს. ეს იყო კომიტეტის უმნიშვნელოვანესი საქმე, რადგან იმპერიას კარგად ესმოდა თეატრის როლი საზოგადოების გამოფხიზლების საქმეში.

აუცილებელი იყო ყველა სპექტაკლსა თუ ღონისძიებას დასწრებოდა პოლიციის წარმომადგენელი, მათთვის უნდა გამოეყოთ სპეციალურად ადგილები. პოლიციას უნდა შეემოწმებინა არა მხოლოდ მსახიობთა წარმოთქმული ტექსტების სრული შესაბამისობა ცენზურის მიერ ნებადართულ ტექსტთან, არამედ მსახიობთა რეპლიკების კილოცა და მიმიკებიც ყველა სპექტაკლის დროს.

საქართველოს ეროვნულ არქივში სრულადაა დაცული „კავკასიის საცენზურო კომიტეტის“ საქმიანობის ამსახველი მასალები (რუსულ ენაზე ხელნაწერ ფორმატში), მათ შორის – პიესათა ტექსტები, აკრძალულიც და ნებადართულიც. ისინი დღემდე არ შეუსწავლიათ მეცნიერულად. სტატი-

ის მიზანი მხატვრულად ღირებული (მათ შორის – გამოუქვეყნებელი) პიესების თემატიკის განხილვა, წარმოჩენა და პოპულარიზაციაა.

Tamta Shavianidze

Akaki Tsereteli State University

Georgia, Kutaisi

**The Issue of Destiny in Tamaz Bibiluri's Prose
("For Seven Voices and and for a Lark ", "Complaint")**

In the Georgian literature of the second half of the 20th century, Tamaz Bibiluri's prose stands out as a significant literary event. His distinctive narrative style, in which every character, symbol, and artistic technique contributes to an emotionally rich perception of his worldview, marks his work. Through its literary and artistic merits, depth of themes, diverse interpretations, and individuality, Bibiluri's writing adeptly addresses sensitive societal issues.

In the stories and novels of this prose writer, significant issues of the era are analyzed in detail. Special attention is given to the artistic depiction of human nature, exploring layers related to faith, the factors influencing self-realization, the deformation of the inner world, and the role of the unconscious in individual behaviour. Among these themes, one of the most prominent is the question of whether to believe in destiny and accept fate as the ruler of the universe.

The theme of destiny is intentionally explored in Tamaz Bibiluri's novel "For Seven Voices and for a Lark", in the short story "Complaint," and throughout his entire body of work. Most of the characters in these narratives believe they should shape their own destinies, striving to navigate the complexities of life. They seek to discover the meaning of their existence with aspirations for personal well-being, achieving goals without fail, gaining honor, and establishing a place in society.

Although literature often portrays fate as depriving people of control over their lives, the narrative in Bibiluri's works presents a contrasting perspective. The writer does not view fate as a mystical, omnipotent force; rather, he sees it as a simple presence. At the end of the tiring road, the writer gives them another chance and finally ties the circle of the universe. From these two inseparable parts, a new living organism is created, in the form of a person without catharsis, who has the ability to cope with the demands of contemporaneity

თამთა შავიანიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

საქართველო, ქუთაისი

**ბედისწერის საკითხი თამაზ ბიბილურის პროზაში
(„შვიდი ხმისა და ტოროლასათვის“, „ჩივილი“)**

XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ მწერლობაში თამაზ ბიბილურის პროზა ერთ –ერთი გამოკვეთილი ლიტერატურული მოვლენაა. ბიბილურის თხრობის გამორჩეული მანერა, თითოეული პერსონაჟი, სიმბოლო თუ მხატვრული ხერხი მწერლის მსოფლმხედველობისა და შემოქმედების ემოციურ-გრძნობითი ალქმის მთავარი საშუალებაა. ლიტერატურულ-მხატვრული ღირებულებებით, პრობლემების სიმწვავეთ, ინტერპრეტაციების მრავალფეროვნებითა და ინდივი-

დუალიზმით ბიბლიური მარტივად ახერხებს საზოგადოებისთვის მგრძობიარე თემებზე აპელირებას.

პროზაიკოსის მოთხრობებსა და რომანებში დეტალურადაა განალიზებული ეპოქისთვის მნიშვნელოვანი საკითხები, განსაკუთრებით გამახვილებულია ყურადღება ადამიანის შინაგან ბუნებისა და რწმენასთან დაკავშირებული შრეების მხატვრული ასახვის თავისებურებებზე, იმ ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენს პიროვნების თვითრეალიზაციაზე, ადამიანის შინაგანი სამყაროს დეფორმირებასა და არაცნობიერის როლზე ინდივიდის ქცევაში. მათგან ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი საკითხი ბედისწერის რწმენის, ბედის, როგორც სამყაროს გამრიგეს, მიზნევა-არმიზნევის საკითხია.

ბედისწერის საკითხი თამაზ ბიბლიურის რომანში „შვიდი ხმისა და ტოროლასათვის“, მოთხრობაში „ჩივილი“ და ასევე, მთელ შემოქმედებაში მიზანმიმართულად განსახოვანდება. ბიბლიურის პერსონაჟების უმეტესობა მიიჩნევს, რომ საკუთარი ბედი თავად უნდა წარმართონ, თავად ეცადონ ცხოვრების მორევში გზის გაკვლევა. პირადი კეთილდღეობის, მიზნების უსათუოდ მიღწევის, პატივის მოხვეჭის, საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრების მისწრაფებებით ცდილობენ თავიანთი ცხოვრების საზრისის ძიებას.

მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულებებით, ბედისწერა ადამიანებს ცხოვრების დამოუკიდებელ ნაწილს ართმევს, ბიბლიურთან სულ სხვაგვარად ეწყობა მოვლენათა ჯაჭვი. მწერალი ბედისწერას ჯადოსნურ, ყოვლისმოქმედ უხილავ ძალად არ მიიჩნევს, მისთვის ის მარტივი მყოფობაა, რომლის გარეშეც დარჩენილი, ბედის გაუცნობიერებელი თამაშითვე დაღლილი ადამიანები იძულებულნი არიან სულიერი განსაწმენდელი გაიარონ. დამღლეული გზის ბოლოს მათთვის მწერალი კიდევ ერთ შანსს აჩენს და საბოლოოდ კრავს სამყაროს წრებრუნვის კვანძს. ამ ორი ერთმანეთისგან განუყოფელი ნაწილისგან ქმნის ახალ ცოცხალ ორგანიზმს, კათარსისგანცდილი ადამიანის სახით, ვისაც შესწევს უნარი თანადროულობის მოთხოვნებს გაუმკლავდეს.

Julieta Shoshiashvili

Ilia University G. Tsereteli Institute of Oriental Studies

Georgia, Tbilisi

Procopius of Caesarea – History and Modernity

Procopius of Caesarea is a prominent representative of Byzantine historiography, whose writings are an invaluable source for studying the history of not only the Byzantine Empire and its inhabitants, but also neighboring countries, including Georgia in the 6th century, against the background of political, economic and cultural relations.

The historical method, which requires concreteness and objectivity of facts and events from the historian, does not limit his creative individuality from a literary point of view. The insidious transmission of the story already creates a connection between literature and history, and the principles of literature, which are only the subject of studying literature, become determined by history. Procopius was gifted with an enviable talent for literature, which is why his writings are read with unrelenting interest.

Byzantium and Iran were the most important and strongest states in the Middle East; One of the central issues that intersected their interests was the Black Sea coast and the people living there, who, due to their small number and difficult geopolitical situation, often changed their political orientation; Both empires, Byzantium and Iran, aspired to control the exit to the Black Sea, and West Georgia was always

their battleground. Despite the aggressive policy between these countries, the process of cultural dialogue and mutual influence was going on intensively.

In his works, Procopius of Caesarea emphasizes the purpose of history at every stage of human development and that history is not only telling and remembering past events, but history also breathes and lives in the present and, most importantly, it is intended for the future, for understanding and illuminating future paths.

ჯულიეტა შოშიაშვილი

*ილიას უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი*

პროკოპი კესარიელი – ისტორია და თანამედროვეობა

პროკოპი კესარიელი ბიზანტიური ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომლის თხზულებები ფასდაუდებელი წყაროა არამარტო ბიზანტიის იმპერიის და მის ფრაგლებში მცხოვრებთა, არამედ მეზობელი ქვეყნების, მათ შორის VI საუკუნის საქართველოს ისტორიის შესასწავლად პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების ფონზე.

ისტორიული მეთოდი, რომელიც ფაქტების და მოვლენების კონკრეტიზაციას და ობიექტურობას მოითხოვს ისტორიკოსისგან, არ ზღუდავს მის შემოქმედებით ინდივიდუალობას ლიტერატურული თვალსაზრისით.

ამბის მხატვრულად გადმოცემა უკვე ბადებს კავშირს ლიტერატურასა და ისტორიას შორის და ლიტერატურის პრინციპებიც, რომლებიც მხოლოდ ლიტერატურის შესწავლის საგანია, ისტორიით განპირობებული ხდება. პროკოპი დაჯილდოებული იყო ლიტერატორის შესაშური ნიჭით, რის გამოც მისი თხზულებები შეუნელებელი ინტერესით იკითხება.

ახლო აღმოსავლეთში ბიზანტია და ირანი უმნიშვნელოვანესი და უძლიერესი სახელმწიფოები იყვნენ; მათი ინტერესის გადაკვეთის ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს წარმოადგენდა შავიზღვისპირეთი და იქ მცხოვრები ხალხი, რომელიც თავისი მცირერიცხოვნობის და რთული გეოპოლიტიკური ვითარების გამო ხშირად იცვლიდა პოლიტიკურ ორიენტაციას; ორივე იმპერია, ბიზანტია და ირანი, ესწრაფვოდა შავ ზღვაზე გასასვლელის დაპატრონებას და მათი დაპირისპირების პოლიგონი გამუდმებით იყო დასავლეთ საქართველო. ამ ქვეყნებს შორის არსებული აგრესიული პოლიტიკის მიუხედავად ინტენსიურად მიმდინარეობდა კულტურათა დიალოგისა და ურთიერთგავლენის პროცესი.

პროკოპი კესარიელი შრომებში ხაზგასმით უთითებს ისტორიის დანიშნულებაზე კაცობრიობის განვითარების ყოველ ეტაპზე და, რომ ისტორია მხოლოდ წარსული ამბების თხრობა და გახსენება კი არაა, ისტორია თანადროულობით სუნთქავს და ცოცხლობს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ის მომავლისთვისაა გამიზნული, სამომავლო გზების გააზრებისა და გაშუქებისთვის.

Ketevan Sikharulidze

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi*

Transformation Forms of European and Georgian Heroic Epics

A distinctive genre of the oral tradition of all peoples is the heroic epic, the origin of which is related to the clan structure. However, its further expansion and ideological-substantive changes were determined by the political and socio-cultural environment formed over time, the state's development level, and the type of society. This is one of the reasons for the difference between the heroic epics of large and small countries.

The "classic" epic has already been demythologized. The epic hero fights for the benefit of society, so he gets the title of a national hero. A religious subtext has emerged, adding depth to the heroic ideal. This was facilitated by the formation of statehood and the literary processing of folk art texts.

In Georgian folklore, the legend of Amirani is a heroic epic, the content of which has changed significantly over a long period, but it has yet to be recorded in writing, and the forms of its transformation are unknown to us. The image of Amirani was formed as a mytho-epic hero, but his actions did not reach the scale typical of a European epic. In the epic of Amirani, the society the hero is supposed to represent is not visible. Instead, the Georgian consciousness transferred the problem to the moral plane of the heroic epic. Amiran's image reflected a lack of intelligence and gratitude, which made him a tragic character.

ქეთევან სიხარულიძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი*

ევროპული და ქართული საგმირო ეპოსების ტრანსფორმაციის ფორმები

თითქმის ყველა ხალხის ზეპირსიტყვიერების გამორჩეული ჟანრია საგმირო ეპოსი, რომლის წარმოშობა გვაროვნულ წყობილებასთანაა დაკავშირებული, მაგრამ მის შემდგომ გაფართოებასა და იდეურ-შინაარსობრივ ცვლილებებს განაპირობებდა დროთა განმავლობაში ჩამოყალიბებული პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული გარემო. საგმირო ეპოსის პერსონაჟთა ხასიათებს, მოქმედების მიზანსა და ასპარეზს განსაზღვრავდა სახელმწიფოს განვითარების დონე და მათი მატარებელი საზოგადოების ტიპი. ესაა დიდი და მცირე ქვეყნების საგმირო ეპოსების განსხვავების ერთ-ერთი მიზეზი.

არქაულ ეპოსებში მოვლენები აღწერილია მითოლოგიურ ჭრილში, შესაბამისად,

გმირსაც აქვს მითოსური ნიშნები. „კლასიკურ“ ეპოსში ინტენსიურად მიმდინარეობს დემითოლოგიზების პროცესი. დემონურ პერსონაჟებს ცვლიან რეალური მტრები და მათთან კონფლიქტში ისტორიული მოვლენებიც აისახება. ეპიკური გმირი იბრძვის საზოგადოების სასარგებლოდ, ამიტომ იძენს ეროვნული გმირის სახელს და მისი ბრძოლის ასპარეზიც ფართოვდება. ჩნდება ახალი კოლიზიები, ზნეობისა და ღვთისმომშობის ქრისტიანული პლასტები, რაც მიზანმიმართულს ხდის ეპიკური პერსონაჟის აქტივობას და სიღრმეს მატებს გმირულ იდეალს (ანგლო-საქსური, სკანდინავიური, ფრანგული... ეპოსები). ამას ხელი შეუწყო სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებამ და ხალხური შემოქმედების ტექსტების ლიტერატურულმა გადამუშავებამ.

ქართულ ფოლკლორში საგმირო ეპოსი წარმოდგენილია უძველესი ძეგლით – ამირანის თქმულებით, რომლის შინაარსი ხანგრძლივი დროის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა, მაგრამ იმის გამო, რომ ის წერილობით არ დაფიქსირებულა, ჩვენთვის უცნობია მისი ტრანსფორმაციის ფორმები. ამირანი დარჩა მითო-ეპიკურ სახედ. ეს იმას ნიშნავს, რომ მითოლოგიურმა პერსონაჟმა მითის ეპოსად ქცევისას მიიღო ეპიკური გმირის ნიშნები. თხრობაში შემოვიდა ჟანრის დამახასიათებელი ეპიზოდები, მაგრამ პატარა ქვეყანაში კუთხური დანაწევრების პირობებში ნაწარმოებმა ვერ მიიღო საგმირო ეპოსის ის მასშტაბი, რომელიც დამახასიათებელია ევროპული ეპოსებისთვის. „ამირანიანში“ არ ჩანს სოციალური გარემო, საზოგადოება, რომელსაც გმირი უნდა წარმოადგენდეს. სამაგიეროდ ქართულმა ცნობიერებამ საგმირო ეპოსში შემოიტანა სრულიად განსხვავებული პლასტები. მან პრობლემა ზნეობრივ პლანში გამოკვეთა. ამირანის სახეში წინ წამოსწია გონიერებისა და მაღლიერების დეფიციტი, რამაც იგი ტრაგიკულ პერსონაჟად ჩამოაყალიბა.

Natia Sikharulidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgia, Tbilisi

Kutaisi in the Poetic Reception of Galaktion Tabidze (According to Archival Materials)

"Kutaisi, my Kutaisi!" – no other city was claimed by Galaktion with such self-confidence and determination. Everything began in 1900, when, through the great efforts and desires of his mother, Makrine Adeishvili, eight-year-old Galaktion became a student at Kutaisi Theological School. He immediately fell in love with the city. This admiration followed him throughout his life: decades later, those who knew him recalled how his face would brighten at the mention of Kutaisi.

The surroundings of the Bagrat Temple and the ancient castle-city, which later found their way into his poems, revealed Galaktion's thoughts and dreams. Behind the castle walls and the arches of the temple, surrounded by ancient myths, he would watch the "ronin of the clouds" or the "pyramids of the mists" for hours, lost in thought.

In the 1930s, seeking respite from the brutal reality, he retreated into his imaginative youth, trying to recapture the first impressions of Kutaisi. He wanted to transform all he remembered into poetry. This is how the long, untitled poem "I try to remember what I remember" was written, presenting us with the beautiful city as perceived by the young poet.

He later prepared a new edition of this poem, changing many things, including replacing "Kutaisi" with "homeland," thus generalizing his native Kutaisi as his homeland. This gave birth to "How can I not love My Country," one of the outstanding poems from Galaktion's later works. However, the original version of the poem remains interesting and emotional in its own right, deserving consideration when discussing "Galaktion and Kutaisi."

ნათია სიხარულიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

ქუთაისი გალაკტიონ ტაბიძის პოეტურ რეცეფციაში (საარქივო მასალების მიხედვით)

„ქუთაისი, ჩემი ქუთაისი!“ – ასეთი გულწრფელი თავდაჯერებით, ასე დაბეჯითებით სხვა არცერთი ქალაქი არ „დაუსაკუთრებია“ გალაკტიონს. ყველაფერი 1900 წელს დაიწყო, როცა დედის – მაკრინე ადეიშვილის დიდი მცდელობისა და მოწადინების შედეგად რვა წლის გალაკტიონი ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლე გახდა. ქალაქით მაშინვე მოიხიბლა. აღტაცება ცხოვრების ბოლომდე გაჰყვა: როგორც იხსენებენ, ათწლეულების შემდეგაც კი, ქუთაისის ხსენებისას პოეტს სახე უცისკროვნდებოდა.

ბაგრატის ტაძრის შემოგარენმა და უძველესმა ციხე-ქალაქმა, მოგვიანებით მის ლექსებში რომ გადაინაცვლა, გალაკტიონის ფიქრები და ოცნებები შემოგვინახა – ძველი მითებით შემო-ბურული ციხე-გალავნისა და ტაძრის თაღებს მიღმა „ღრუბელთა რონინს“ თუ „ნისლთა პირამიდებს“ საათობით აკვირდებოდა, თან ფიქრში ეფლობოდა. ქუთაისში დაულოცა გზა 1914 წელს ჭაბუკ პოეტს სათაყვანო აკაკიმ და დიდი მომავალიც უწინასწარმეტყველა, აქვე გამოსცა პირველი კრებული – „ლექსები“, რომელმაც საყოველთაო აღიარება მოუტანა, მერისთან დაკავშირებული ლეგენდაც ქუთაისში დაიბადა.

ქუთაისი გალაკტიონის არაერთ ლექსის „პერსონაჟია“, მაგრამ მკითხველმა განსაკუთრებით შეიყვარა „წყალტუბოდან ქუთაისში“. ეს უსათაურო ლექსი სიმღერად იქცა, მისი შექმნის ისტორია კი ლეგენდასავით გავრცელდა თუ თავად გალაკტიონმა გაავრცელა.

1930-იან წლებში, „უნდობარ ხანას“ მცირე დროით მაინც რომ გარიდებოდა, წარმოსახვით სიჭაბუკეში გადაინაცვლა, ქუთაისის ხილვით აღძრული პირველი შთაბეჭდილებების აღდგენა სცადა: სურდა, ლექსად ექცია ყველაფერი, რისი გახსენებაც კი შეეძლო. ასე დაიწერა ვრცელი, უსათაურო ლექსი „ვიგონებ, ხსოვნაც კი ძალმიძს რაის“, რომელიც ჭაბუკი პოეტის მიერ აღქმულ მშვენიერ ქალაქს გვაცნობს. შემდეგ ამავე ლექსის ახალი რედაქცია მოამზადა: ბევრი რამ შეცვალა, მაგრამ მთავარი ის იყო, ტექსტში „ქუთაისი“ რომ „სამშობლოთი“ ჩაანაცვლა, უფრო ზუსტად – მშობლიური ქუთაისი სამშობლოს სახედ განაზოგადა. ასე შეიქმნა „ვით არ მიყვარდეს სამშობლო ჩემი“ – ერთ-ერთი გამორჩეული ლექსი გალაკტიონის ბოლო პერიოდის შემოქმედებიდან. თუმცა ლექსის თავდაპირველი ვერსია იმდენად საინტერესო, ემოციური და თავისთავადია, ვფიქრობთ, მას აუცილებლად უნდა ვითვალისწინებდეთ თემაზე – „გალაკტიონი და ქუთაისი“ მსჯელობისას.

Ketevan Siradze

School XXI Century
Georgia, Tbilisi

Georgian Literature and Challenges of Contemporary Global World

Entire world is involved in the contemporary globalization process. Globalization is a dialogue between the cultures. It has positive and negative effects on such small nation as Georgia. The positive ones include importing of the innovations from the foreign countries, making new contracts, wide arena available for our literature and culture and as the negative ones, we can consider the danger to the small nation, as the large countries participating in the globalization process obtrude their values upon the small

nations and cultures. In this situation, with respect of maintenance of identify, it is very significant to discuss the bases of original Georgian literature.

Georgia – a country located at the border between the east and the west – have always been subject to annexing by the hostile countries and settlement of the migrated foreigners. This was followed by introduction and establishing of the foreign cultural and literary traditions, though, Georgian literature has always been able to coexist and deal with the influence of the foreigners (we can recall powerful Persian trends and how they were overcome). Thus, we can state that Georgian literature has some kind of “immunity”, to deal with the challenges of today’s world. In this small work we shall attempt to present the aspects that, in our opinion, add to Georgian literature the great power, with respect of strengthening of the national consciousness:

1. Centuries-old Georgian literature, in different epochs, created the image of the national hero, sacrificing himself to protecting of his native land, beliefs and faith (hagiographic characters, characters of the chivalric epos, “Data Tutashkhia”, “Aluda Ketelauri”, “Host and Guest”, “Bashi-Achuki” etc.);

2. Georgian writers rely on the ideas of their forefathers, many of them name the source of their inspiration (for Galaktioni, this was Akaki, for Vazha – Guramishvili and Akaki, in turn, transformed the folk and biblical stories, historical events into the literary works...) the national power is in the spiritual unity and this is well demonstrated by Ilia’s Ghost: “Forever and everywhere I am with you, Georgia”;

3. Georgian literature, with its substance, is the European one and its European nature is determined by the fact that it is connected with this area the common ancestor. This is Byzantium. In addition, one more fact is notable, Georgian literature, in one or another genre, offer the original voice (whether this is Romanticism or Symbolism).

We attempted to elucidate the significance of these issues in the work. We regard that Georgian literature, with its great literary traditions, would further make statement in the world.

ქეთევან სირაძე

სკოლა 21-ე საუკუნე

საქართველო, თბილისი

ქართული მწერლობა და თანამედროვე გლობალური სამყაროს გამოწვევები

თანამედროვე გლობალიზაციის პროცესში ჩართულია მთელი სამყარო. გლობალიზაცია კულტურათა დიალოგია. მას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები ისეთი მცირე ერისათვის, როგორც საქართველოა. დადებითია სხვა ქვეყნებიდან სიახლეების შემოტანა, ახალი ურთიერთობების დაამყარება, ფართო ასპარეზი, რომელიც ეშლება წინ ჩვენს მწერლობასა და კულტურას, ხოლო უარყოფითად კი შესაძლოა მოიაზროთ ის საფრთხე, რომელიც ემუქრება მცირე ერს, რადგან გლობალიზაციის პროცესში მონაწილე დიდი სახელმწიფოები მცირე ერებსა და კულტურებს თავს ახვევენ თავიანთ ღირებულებებს, ფასეულობებს. ამ დროს იდენტობის შენარჩუნების თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია თვითმყოფადი ქართული მწერლობის საფუძვლებზე საუბარი,

საქართველო – აღმოსავლეთისა და დასავლეთის გასაყარზე მდებარე ჩვენი ქვეყანა – მუდმივად განიცდიდა მტრული ქვეყნების ანექსიასა თუ უცხოტომელთა მიგრაციულ ჩამოსახლებას. ამას მოჰყვებოდა უცხო ქვეყნის კულტურულ თუ ლიტერატურულ ტრადიციათა შემოტანა, დამკვიდრება, თუმცა ქართული მწერლობა ახერხებდა თანაარსებობასა და უცხოტომელთა გავლენის დაძლევას. (გავიხსენოთ, როგორ იყო მოზღვავებული სპარსოფილური ტენდენციები და როგორ შევძელით მათი დაძლევა). ამრიგად, ვფიქრობთ, რომ ქართულ მწერლობას აქვს ერთგვარი „იმუნიტეტი“, რათა გაუძლოს დღევანდელი მსოფლიოს გამოწვევებსაც. თუ როგორ, შევეცდებით ამ

მცირე ნაშრომში წარმოვადგინოთ ის ასპექტები, რომლებიც, ჩვენი აზრით, ქართულ მწერლობას ანიჭებს უდიდეს ძალას ეროვნული ცნობიერების განმტკიცების თვალსაზრისით:

1. მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობა სხვადასხვა ეპოქაში ქმნიდა ეროვნული გმირის ისეთ სახეს, რომელიც საკუთარი თავის მსხვერპლად გაღების ფასად იცავდა სამშობლოს, მრწამსსა თუ სარწმუნოებას (აგიოგრაფიული გმირები, სარაინდო ეპოსის პერსონაჟები, „დათა თუთაშხია“, „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „ბაში-აჩუკი“ და სხვ.);

2. ქართველი მწერლები საზრდოობენ წინაპართა ნააზრევით, ბევრი მათგანი ასახელებს წინამორბედს, რომელიც მისი შთაგონების წყაროა (გალაკტიონისთვის ეს აკაკია, ვაჟასთვის – გურამიშვილი, თავად აკაკი კი ხალხურ და გახალხურებულ ბიბლიურ სიუჟეტებს, ისტორიულ ამბებს გარდაქმნის ლიტერატურულ ნაწარმოებებად...) სწორედ სულიერ ერთობაშია ეროვნული ძალა, რასაც გასმოხატავს ილიას აჩრდილის სახე: „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა“ ;

3. ქართული მწერლობა არსით ევროპულია და მის ევროპულობას განსაზღვრავს, რომ ამ არეალთან აკავშირებს საერთო წინაპარი. ეს არის ბიზანტია. საგულისხმოა ამასთან ერთი ფაქტი, რომ ქართული მწერლობა ამათუიმ ჟანრში თვითვეყოფად სიტყვას ამბობს (იქნება ეს რომანტიზმი თუ სიმბოლიზმი).

სწორედ ამ საკითხების მნიშვნელობის გაშუქებას ვეცდებით ნაშრომში. ვფიქრობთ, უდიდესი ლიტერატურული ტრადიციის მქონე ქართული მწერლობა კიდევ იტყვის თავის სიტყვას მსოფლიოში.

Tamar Siradze

Batumi Shota Rustaveli State University

Georgia, Batumi

English-Georgian Variations of Epiphany

The study of epiphany as a literary device is a fairly widespread direction of modern literary criticism. In its essence, epiphany is a multi-comprehensive term, which is difficult to place within its boundaries, because it allows us unlimited possibilities of reception through diversity of expression and interpretation. And the main goal is the only one – to make a sudden revelation, to illuminate the mind in the perception of both the character and the reader, and completely change their attitude towards the world. Bringing an unexpected spiritual (conscious or subconscious) moment into the literary thought most accurately suited the goals and tasks of modernist literature. James Joyce's graceful translation of the religious term into everyday routine paved the way for the study of epiphany in its many facets. Most importantly, this device is confirmed with stylistically and chronologically different authors.

The purpose of the presented article is to discuss interesting cases of the use of the already well-known and well-established literary device in the world literature in the works of English-language authors (J. Joyce, K. Mansfield, and V. Woolf) and, based on the comparison-contrast method, draw a parallel with the equally interesting short stories of the famous Georgian prose writer, Niko Lortkipanidze. The chronological proximity between the mentioned authors allows us to study and evaluate the contribution of the philosophical-psychological discoveries of the modernist period in their works to the extent that for the reception of epiphany, intuition and senses together with intellect are given an important function. It is equally important to present the diversity of Epiphany against the background of national literatures.

თამარ სირაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ბათუმი

ეპიფანიის ინგლისურ-ქართული ვარიაციები

ეპიფანიის, როგორც ლიტერატურული ხერხის, კვლევა თანამედროვე ლიტერატურული კრიტიკის საკმაოდ გავრცელებულ მიმართულებას წარმოადგენს. თავისი არსით, ეპიფანია მრავლისმომცველი ტერმინია, რომლის საზღვრებში მოქცევა რთულია, რადგან გამომსახველობის და ინტერპრეტაციის მრავალფეროვნების მეშვეობით რეცეფციის შეუზღუდავ საშუალებას გვაძლევს. მთავარი მიზანი კი ერთადერთია – მოულოდნელი გაცხადება, გონების გამონათება მოახდინოს როგორც პერსონაჟის, ისე მკითხველის აღქმაში და სრულიად შეცვალოს მათი სამყაროს მიმართ დამოკიდებულება. მოულოდნელი სულიერი (ცნობიერი თუ ქვეცნობიერი) მომენტის ლიტერატურულ ნააზრევში შემოტანა ყველაზე ზუსტად მოერგო მოდერნისტული ლიტერატურის მიზნებსა და ამოცანებს. ჯეიმზ ჯოისის მიერ რელიგიური ტერმინის ყოველდღიურ რუტინაში მოხდენილად გადმოტანამ გზა გაუხსნა ეპიფანიის მრავალი ასპექტით შესწავლას. რაც მთავარია, ამ ხერხის დადასტურება ხდება სტილისტურად და ქრონოლოგიურად განსხვავებულ ავტორებთან.

წარმოდგენილი სტატიის მიზანია უკვე საკმაოდ ცნობილი და მსოფლიო ლიტერატურაში დამკვიდრებული ლიტერატურული ხერხის გამოყენების საინტერესო შემთხვევები განიხილოს ინგლისურენოვანი ავტორების (ჯ. ჯოისი, ქ. მენსფილდი, ვ. ვულფი) ნაწარმოებებში და შედარება-შეპირისპირების მეთოდის საფუძველზე პარალელი გაავლოს ცნობილი ქართველი პროზაიკოსის, ნიკო ლორთქიფანიძის, არანაკლებ საინტერესო ნოველებთან. აღნიშნულ ავტორებს შორის ქრონოლოგიური სიახლოვე საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ და შევაფასოთ მათ შემოქმედებაში მოდერნისტული პერიოდის ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური აღმოჩენების წვლილი იმდენად, რამდენადაც ეპიფანიის რეცეფციისათვის ინტელექტთან ერთად ინტუიციას და შეგრძნებებს მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭება. ასევე მნიშვნელოვანია ეპიფანიის მრავალფეროვნების წარმოჩენა ეროვნული ლიტერატურების ფონზე.

Hayate Sotome

Tsukuba University
Japan, Tsukuba

Representation of Hero/Anti-Hero and Literary Topoi in A. Qazbegi's "The Patricide"

From the beginning of the 19th century, the Russian Empire colonized Georgia. The situation was especially difficult in the Khevi region, where the adventure of Georgian protagonists, Iago, Nunu and Koba, in Aleksandre Qazbegi's novel "The Patricide," took place. These protagonists are victims of this colonization.

After Iago and Koba rescued Nunu, who was forcibly married and then confined in a cave, they fled to Chechnya, joined to Shamil's army, and fought against the Russian troops. As mentioned in the text, the Russian army consists not only of Russians and Cossacks, but also of other Caucasians, including Georgians. In the novel, two types of Georgians are represented: the "heroes,"—Iago, Nunu and Koba,—who have conscience, and the "anti-hero,"—Girgola,—who lacks it and serves Russian imperialism. Although main plot develops around the adventure of the "heroes," drawing readers' attention to them, Girgola's psychology

is also described in detail and is equally noteworthy. From this point, “The Patricide” possesses two characteristics of both chivalric and picaresque novels.

Additionally, the places where the “heroes” and the “anti-hero” operate are also notable. The former flee from Khevi to Chechnya, where the battles between Russian troops and Shamil’s army occur. In Chechnya, particularly in the Ichkerian forest, there are no highways (referred to in the novel as “national roads”). This circumstance makes it impossible for the Russian troops to move and battle effectively, giving Shamil’s army an advantage. In contrast, the “anti-hero,” Girgola remains in Khevi or Vladikavkaz (Dzaug), where there is a highway connecting the cities. The Russian Empire controls the territory through this highway. These two topoi – the cities and the villages, and the highway itself / the roadless, “nomadic” space – are crucial for understanding A. Qazbegi’s works.

ჰაიატე სოტომე

ცუკუბას უნივერსიტეტი

იაპონია, ცუკუბა

გმირის/ანტიგმირის სახე და ლიტერატურული ტოპოსი

ა. ყაზბეგის „მამის მკვლელობა“

ალექსანდრე ყაზბეგის რომან „მამის მკვლელობა“ მოთხრობილია ქართველი პერსონაჟების, იაგოს, ნუნუს და კობას თავგადასავალი. მე-19 საუკუნის დასაწყისიდან დაწყებული საქართველოს კოლონიზაცია, განსაკუთრებით ხევში, მძიმე ვითარებას ქმნიდა და რომანის პროტაგონისტები – იაგო, ნუნუ და კობა – სწორედ ამ რეალობის მსხვერპლები არიან.

მას შემდეგ, რაც იაგომ და კობამ იძულებით დაქორწინებულ და გირგოლას მიერ გამოქვაბულში ჩაკეტილ ნუნუს უშველეს, ისინი ხევიდან ჩეჩნეთში გადავიდნენ, სადაც შამილის ჯარში შევიდნენ და რუსულ ჯარს ებრძოდნენ. ტექსტში აღნიშნულია, რომ რუსულ ჯარში იყვნენ არა მხოლოდ რუსები და ყაზახები, არამედ კავკასიის სხვა ერები, მათ შორის ქართველებიც.

რომანში წარმოდგენილია ქართველების ორი ტიპი: „გმირ(ებ)ი“ – იაგო, ნუნუ და კობა, რომლებსაც სინდისი და ნამუსი აქვთ და „ანტი-გმირი“ – გირგოლა, რომელსაც არც სინდისი აქვს, არც ნამუსი და რუსეთის იმპერიალიზმს ემსახურება. რადგანაც რომანის სიუჟეტი ზემოხსენებული „გმირების“ თავგადასავალს მოგვითხრობს, მკითხველთა ყურადღება მათკენა მიქცეული, თუმცა, ნაწარმოებაში ანტიგმირის, გირგოლას, ფსიქოლოგიაც დაწვრილებითაა აღწერილი და არანაკლები ყურადღების ობიექტია. აქედან გამომდინარე, „მამის მკვლელობა“, ერთი მხრივ, რაინდული და, მეორე მხრივ, პიკარესკული რომანის ხასიათის ნაწარმოებაა.

ყურადღებას გავამახვილებთ იმ ეპიზოდებზეც, სადაც „გმირი“ და „ანტიგმირი“ სიუჟეტის განვითარებაში მონაწილეობენ. პირველები უგზო-უკვლოდ გაიხიზნენ ხევიდან ჩეჩნეთში, სადაც რუსულ ჯარსა და შამილს შორის შეტაკებები ხდება. ჩეჩნეთში, განსაკუთრებით იჩქერიის ტყეში, არ არის შარაგზა (ნაწარმოებაში ეწოდება – „სახელმწიფო გზა“), ჯარის ეფექტიანად გაყვანა შეუძლებელია, რაც ბრძოლაში შამილს უპირატესობას ანიჭებს. ამის საპირისპიროდ, „ანტიგმირი“ გრიგოლა რჩება ხევში ან ვლადიკავკასში (მაუგში), სადაც არსებობს შარაგზა, ანუ ე.წ. საქართველოს სამხედრო გზა, რომელიც ქალაქებს და სოფლებს აკავშირებს. სწორედ ამ გზის საშუალებით მართავს რუსეთის იმპერია ტერიტორიას. რომანში გამოხატული ეს ორი ლიტერატურული ტოპოსი – ქალაქ-სოფელი და შარაგზა და უგზო, „ნომადური“ სივრცე – ა. ყაზბეგის ნაწარმოებების სიღრმისეულად გაგებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია.

Yuri Sugino

*The Japan Association for the Study of Russian Language and Literature
Japon, Kyoto*

On the Representation of the Terek River in Russian and Georgian Literary Works of the 19th Century

In this presentation, I would compare and analyze the representation of the Terek River in Russian and Georgian literary works, focusing on the parable of the water stream in the form of a beast, especially a lion. In Pushkin's poem, *the Caucasus* (1829), the Terek River flowing against large rocks is compared to a "beast", reminiscent of a "rebel". This associative link appears for the first time in *the Caucasus*. The contrasting motif of "water" and "rock" later developed into an important motif of *the Bronze Horseman*. This poem has multi-layered structure; the statue of the lion, a metaphor for Sweden, symbolizes the enemy of the Russian Emperor. In Lermontov's poem *Demon*, the Terek River is likened to a "lion". Moreover, in Georgian literary works of the second half of the 19th century, for example, in *the Letters of a Traveler* by I. Chavchavadze, the motifs of "water" opposing to "rock" can be found in some instances where the Terek River is also compared to a "lion". It is possible that the associative link between the three figures of "water stream", "lion", and "rebel" was formed in the cultural climate and political environment of the Caucasus. Based on this comparative analysis, I will explore the internal ideological relationship between Russian and Georgian literatures in the 19th century.

Solomon Tabutsadze

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi*

The Picaresque Genre in the Works of Kutaisi Writers (“The Adventure of Lakhundareli” by Sergo Kldiashvili and “The Adventure of Shaliko Khvingiadze” by Rezo Cheishvili)

1. The archetypal figure of the Picaresque protagonist – a convenient hypocrite in the context of world literature;
2. The Picaresque genre – the offspring of the Crisis Eras;
3. Storytelling and listening – a universal way to overcome the existential difficulties of man;
4. The mystified world perceived in the area of familial contact in the stories of the picaresque/hypocritical genre by Sergo Kldiashvili and Rezo Cheishvili.

სოლომონ ტაბუცაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

პიკარესკული ჟანრი ქუთათური მწერლების შემოქმედებაში (სერგო კლდიაშვილის „ლახუნდარელის თავგადასავალი“ და რეზო ჭეიშვილის „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალი“)

1. პიკარესკის მთავარი გმირის – მოხერხებული თვალთმაქცის არქეტიპული ფიგურა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში;
2. პიკარესკული ჟანრი – კრიზისული ეპოქების პირში;
3. თხრობა და მოსმენა – ადამიანის ეგზისტენციური შეჭირვების დაძლევის უნივერსალური გზა;
4. ფამილარული კონტაქტის არეალში აღქმული მისტიფიცირებული სამყარო სერგო კლდიაშვილისა და რეზო ჭეიშვილის პიკარესკული/თვალთმაქცური ჟანრის მოთხრობებში.

Tea Talakvadze

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Ilia State University
Georgia, Tbilisi*

The Memory of 9 April in Modern Georgian Literature

The 9th of April has repeatedly appeared in Georgian literature, and not only Georgian literature, as a symbol of the end of the Soviet narrative and the struggle for national sovereignty. On April 9, the independence of Georgia was formalised by the law passed by the parliament and was soon reflected in Georgian literature.

April 9 appeared in Otar Chiladze's 1995 novel *Avelum*, later in Givi Margvelashvili's *Perekatastroika*, and in Lasha Bughadze's novel, the stages of generational conflict, punishment for anti-theism, or the struggle for self-preservation in the given territory appeared in the name of Georgia, which would eventually mark the place of memory and define the Georgian The construction of identity in the memory of the nation.

9 April Research on memory is based on Pierre Nora's theory of memory. In his collection "Memory Places/Areas" (Pierre Nora "Les lieux de memoire"), Pierre Nora distinguishes four types of memory places: 1. symbolic area, which includes rituals, holidays and others; 2. functional area, which includes textbooks, autobiographical sources; 3. material area, monumental area, which refers to monuments, memorials, memorials; 4. topographic area, which includes museums, archives and other name-preserving places (Nora 1990, 9). Based on the above, the material area, the physical environment where, in the form of monuments and memorials, a specific historical episode that happened in the past, a specific historical person, when it happened, is considered one of the important spaces of remembrance, because remembering is not a one-time act and therefore requires a ritualised remembrance, ritualised remembrance of the past, because this remembrance should ensure the strengthening of the national or cultural narrative in the population served by this or that monument, as long as the monument is a work of art presented by a particular group, society, which has a specific place to fulfil in the long term.

თვა თალაკვაძე

თსუ, ილიას სახელმწიო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

9 აპრილის მეხსიერება თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში

9 აპრილი ქართულ და არა მხოლოდ ქართულ ლიტერატურაში არაერთხელ წარმოჩინდა, როგორც საბჭოთა ნარატივის დასასრულისა და იგივე, ეროვნული სუვერენიტეტისათვის ბრძოლის სიმბოლოდ. 9 აპრილს პარლამენტის მიერ მიღებული აქტით გაფორმდა საქართველოს დამოუკიდებლობა და მალევე რეფლექსირდა ქართულ ლიტერატურაში.

9 აპრილი ოთარ ჭილაძის შემოქმედებაში 1995 წელს რომანში *აველუმი*, მოგვიანებით გივი მარგველაშვილის დროის მოწმის ჩანაწერებსა („პერეკატასტროიკა“) და ლაშა ბულაძის რომანში *საქართველოს სახელით* თაობათა დაპირისპირების, ანტიემპტურობისათვის დასჯისა, თუ მიჩენილ ტერიტორიაზე თვითგადარჩენისათვის ბრძოლის ეტაპებით გამოჩნდა, რასაც საბოლოოდ უნდა მოენიშნა მეხსიერების ადგილი და განესაზღვრა ქართველი ერის მეხსიერებაში იდენტობის კონსტრუქტი.

9 აპრილის მეხსიერების კვლევა ეფუძნება პიერ ნორას მეხსიერების თეორიას. პიერ ნორა კრებულში „მეხსიერების ადგილები/არეები“ (Pierre Nora “Les lieux de memoire”) მეხსიერების ადგილის ოთხ ტიპს გამოყოფს: 1. სიმბოლური არე, რომელშიც მოიაზრება რიტუალები, სადღესასწაულო დღეები და სხვა; 2. ფუნქციური არე, მოიცავს სახელმძღვანელოებს, ავტობიოგრაფიულ წყაროებს; 3. მატერიალური არე, მონუმენტური არე, გულისხმობს ძეგლებს, მონუმენტებს, მემორიალებს; 4. ტოპოგრაფიული არე, აერთიანებს მუზეუმებს, არქივებსა და სხვა სახელთმემნახავ ადგილებს (Nora 1990, 9). აღნიშნულიდან გამომდინარე მეხსიერების ერთ მნიშვნელოვან სივრცედ მიჩნეულია მატერიალური არე, ფიზიკური გარემო, სადაც ძეგლებისა და მონუმენტების სახით ხორციელდება დამახსოვრება წარსულში მომხდარი კონკრეტული ისტორიული ეპიზოდისა, კონკრეტული ისტორიული პირისა, თუ მოღვაწის, რადგან დამახსოვრება არ არის ერთჯერადი აქტი და შესაბამისად საჭიროებს, განსაკუთრებით, რიტუალიზირებულ შეხსენებას წარსულისას, რადგან ამ შეხსენებამ უნდა უზრუნველყოს იმ ნაციონალური, თუ კულტურული ნარატივის გაძლიერება მოსახლეობაში, რასაც ემსახურება ესა თუ ის მონუმენტი, რამდენადაც მონუმენტი არის ერთი კონკრეტული ჯგუფის, საზოგადოების მიერ წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუში, რომელსაც აქვს კონკრეტული ადგილი მიჩენილი გრძელვადიან პერსპექტივაში, რათა შეასრულოს ვიდაცის ან რადაცის გახსენების ფუნქცია.

ამდენად, აღნიშნული ნაწარმოებების ანალიზით მნიშვნელოვანია წარმოჩინდეს 9 აპრილის ტრავმა კოლექციურ მეხსიერებაში, მეხსიერებით მონიშნული ადგილის ფუნქცია და ეროვნული იდენტობის ფორმირების პროცესი.

Lia Tsereteli

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi*

Georgia and Globalization in Otar Chkheidze's Novel "Submissive"

In "Submissive," Otar Chkheidze meticulously chronicles the era of Shevardnadze's presidency, capturing the turbulence surrounding his resignation and the fervor of the Rose Revolution. Chkheidze's narrative approach blends artistic and documentary elements, using parliamentary sessions, politicians' speeches, television programs, and newspaper publications, along with the slogans of "Kmara" and the

protests of pensioners. This method lends an authentic texture to the depiction of the period's political and social upheavals. Chkheidze's historical lens shifts dynamically throughout the novel, presenting multiple eras where historical figures spring vividly from the pages. Though Georgian names and surnames may change, the portrayal of the enemy and Georgian behaviors remain strikingly consistent. The revolutionary fervor and the notion of an "artistic coup" illuminate a recurring scenario: the familiar dance between invaders and Georgians is reenacted, reflecting the enduring roles dictated by geopolitical forces. Chkheidze reimagines the impact of globalization on Georgia, revealing it as a contemporary mirror reflecting age-old conflicts and cultural dynamics. Chkheidze's oeuvre is marked by a profound desire to revive and honour Georgian heritage, particularly following the devastating decline of Georgian clans during the Bolshevik era. "Submissive" portrays the tragic struggle of Arjevan, a protagonist rooted in the legacy of his great ancestor in the Bagrationi family. His efforts to revive farming and restore castles, towers, and temples are relentless, yet continually thwarted by a vigilant enemy intent on obliterating familial and national legacies. Chkheidze highlights the persistent internal strife and factionalism, suggesting they are manipulated by external adversaries and remain unchanged across epochs. In Chkheidze's view, globalization crashes into Georgia with overwhelming force, ruthlessly dismantling national identity and cultural essence. The influx of foreign influences and the prioritisation of their rights and interests are depicted as a direct assault on Georgian heritage and identity. Modern descendants, such as Tatuli Baratashvili and Maiko Orbeliani's daughter-in-law, endure the same fate as their romantic-era forebears, punished by the forces of globalization just as they once were by imperial powers. Chkheidze's vision is intense, his perception of reality sharp. While the intricate "game" of empires and states may elude the casual reader, the novel is suffused with a profound sense of hope and an unyielding thirst for freedom.

ლია წერეთელი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

საქართველო, თბილისი

საქართველო და გლობალიზაცია ოთარ ჩხეიძის რომანში „მორჩილი“

ოთარ ჩხეიძის რომანში შევარდნადის პრეზიდენტობის დრო, მისი „გადადგომის“ ვითარება, „ვარდების რევოლუცია“ იხატება. მწერალი აგრძელებს „არტისტული გადატრიალების“ მხატვრულ-დოკუმენტური აღწერის პრინციპს და თხრობაში რთავს პარლამენტის სხდომებს, პოლიტიკოსების გამოსვლებს, სატელევიზიო გადაცემებსა თუ საგაზეთო პუბლიკაციებს, „კმარას“ ლოზუნგებსა და პენსიონერთა მანიფესტაციებს. რეალურ დრო-ჟამს მწერლის ისტორიული რაკურსი ენაცვლება და პარალელურად რომანში სხვადასხვა ეპოქა იხატება. პიროვნებები წარსულის ფურცლებიდან ცოცხლდებიან. ნათელია, მხოლოდ ქართული სახელები და გვარები იცვლება, მტრის ხატი და ქართველთა საქციელი უცვლელია. არტისტული გადატრიალებანი და რევოლუციური სულისკვეთება მტრის სცენარს და ქართველთა როლებს წარმოსახავს. მწერლისეული ხედვით გლობალიზაციის შემოჭრა საქართველოში და დიდი სახელმწიფოების ინტერესები გადაშლილია ახალ სარკედ, რომელშიც ძველი ნიღბები, ანუ ქართველთა თამაში ცხადად ისახება. ოთარ ჩხეიძის რომანების ციკლს ბოლშევიკების დროიდან ქართული საგვარეულოების განადგურების, იავარქმნის მძაფრი აღწერის კვალად გამორჩეული პიროვნების მიერ სამკვიდროს აღორძინების დიდი სურვილი გასდევს. ტრაგიკულია რეალობისა და პიროვნების შეჯახება. „მორჩილი“ ხატავს საბარათიანობი დიდი წინაპრის ფუძეზე დამკვიდრებულ არჯევანს. მეურნეობის აღორძინება და ციხე-კოშკების, ტაძრების აღდგენა დიდ ძალისხმევას გულისხმობს, მაგრამ მტერს არ სძინავს და ის კვლავ ანადგურებს, კლავს და შეურაცხყოფს მამულიშვილურ ღვაწლს. ვიწროპარტიული დაპი-

რისპირებები და ურთიერთშუღლი მწერლის თვალსაწიერში მტრის ხელით იმართება და ყველა დროში უცვლელია. გლობალიზაციის ჟამი მწერლის ხედვით საქართველოში შემოდის „ცელით“. იგი დაუნდობლად ანადგურებს ყოველივე ქართულსა და ეროვნულს. უცხო ეროვნების შემოდინებას, მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვაც სწორედ ქართველთა გადათელვასა და შევიწროვებას გულისხმობს ყველა დროში. თანამედროვე ტატული ბარათაშვილი და მაიკო ორბელიანის მოსახელე ასული არა ჰგვანან თავის რომანტიული ეპოქის წინაპრებს, მაგრამ გლობალიზაციი ეპოქაში იმგვარადვე ისჯებიან, როგორც იმპერიული ეპოქის ჟამს. მწერლის ხედვა და აღქმა რეალობისა მძაფრია და მკითხველს თვალწინ გადაუშლის იმპერიათა და სახელმწიფოთა „თამაშის“ არსს, მაგრამ რომანი იმედით, თავისუფლების წყურვილით არის განმსჭვალული.

Maia Tsertsvadze

Georgian Technical University

Georgia, Tbilisi

Around Nikoloz Baratashvili – New Materials

Numerous studies by Georgian and foreign scientists have been devoted to the study of the life and works of the genius Georgian romantic poet Nikoloz Baratashvili. The merit of his first biographers and researchers, who tried to get reliable information from poet's relatives-friends and their descendants who were still alive, and thus to compose his biography, had to pay special attention. Their work was complicated by the scarcity of materials, which was caused by the specifics of Baratashvili's era – the first half of the 19th century. There was almost no press in Georgia, the repression of the participants of the anti-imperial conspiracy of 1832 scared the society of that time so much that they reluctant to commit to paper what they saw, heard or thought, and made memoirs...

Researches about Nikoloz Baratashvili continue successfully even in our time – poet's writings with the updated scientific apparatus, monographs, essays, various articles and critical letters dedicated to him are published, scientific forums of his anniversary dates are held...

Despite the above, there are still unpublished materials left in our antiquities – archival or museum funds, which can fill the unknown pages of the poet's biography and work and add new touches to his portrait.

In the manuscript collection of the Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature several memoirists' manuscripts are preserved, in which they provide us with the information heard from their ancestors or other people who knew Baratashvili. Information includes the data of Baratashvili's family environment, acquaintance circle, interests, outlook, writings...

Our report, which was prepared within the framework of the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia grant project 'Publication of Academic Two-Volume Edition of the Works by Nikoloz Baratashvili and Preparation of Bilingual (Georgian-English) Digital Chronicle of the Poet's Life and Work' (#FR-23-10216), is dedicated to the presentation of three such unpublished memoirs. The inclusion of their texts in the scientific circulation will help clarify the biographical and creative details of Nikoloz Baratashvili and put us on the trail of new researches.

მაია ცერცვაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საქართველო, თბილისი

ნიკოლოზ ბარათაშვილის ირგვლივ – ახალი მასალები

გენიალური ქართველი რომანტიკოსი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლას ქართველ თუ უცხოელ მეცნიერთა მრავალრიცხოვანი კვლევები მიემდ-
ვნა. განსაკუთრებული გარჯა მოუხდათ მის პირველ ბიოგრაფოსებს და მკვლევრებს, რომლებიც
ცდილობდნენ მიეღოთ სანდო ცნობები უდროოდ და უსახელოდ გამქრალი პოეტის ჯერ კიდევ
ცოცხალი ნათესავ-მეგობრებისა და მათი შთამომავლებისაგან და ასე შეეკოწიწებინათ მისი ბი-
ოგრაფია. მათ შრომას ართულებდა მასალათა სიმწირე, რაც გამოწვეული იყო ნ. ბარათაშვილის
ეპოქის სპეციფიკით – XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში თითქმის არ არსებობდა
პრესა, 1832 წლის ანტიიმპერიული შეთქმულების მონაწილეთა რეპრესიებმა იმდენად დააშინა
იმდროინდელი საზოგადოება, რომ იმასაც კი ერიდებოდნენ, ქალაქისთვის მიენდოთ თავიანთი
ნანახ-გაგონილი თუ ნაფიქრალი და თუნდაც მემუარული ჩანაწერები ეკეთებინათ...

კვლევები ნიკოლოზ ბარათაშვილის ირგვლივ წარმატებულად მიმდინარეობს ჩვენს დროშიც
– გამოიცემა მისი ნაწერები განახლებული სამეცნიერო აპარატით, მისადმი მიძღვნილი მონოგ-
რაფიები, ნარკვევები, სხვადასხვა ხასიათის სტატიები და კრიტიკული წერილები, იმართება მის
საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებული სამეცნიერო ფორუმები...

ზემოთქმულის მიუხედავად, ჩვენს სიძველეთსაცავებში – საარქივო თუ სამუზეუმო ფონ-
დებში ჯერ კიდევ არის დარჩენილი გამოუქვეყნებელი მასალები, რომლებმაც შეიძლება შეავსონ
პოეტის ბიოგრაფიისა და შემოქმედების უცნობი ფურცლები და ახალი შტრიხები შემატონ მის
პორტრეტს.

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ხელნა-
წერთა კოლექციაში დაცულია რამდენიმე მემუარისტის ხელნაწერი, რომლებშიც ისინი გვაწვდიან
თავიანთი წინაპრების ან ბარათაშვილის მცნობ სხვა პირთაგან გადმოცემულ ცნობებს. ისინი
შეეხება პოეტის ოჯახურ გარემოს, სანაცნობო წრეს, ინტერესებს, მსოფლალქმას, ნაწერებს...

ჩვენი მოხსენება, რომელიც მომზადებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის „ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა აკადემიური
ორტომეულის გამოცემა და პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ორენოვანი (ქართულ-ინგლი-
სური) ციფრული მატრიანის მომზადება“ (#FR-23-10216) ფარგლებში, ეძღვნება სამი ასეთი გამო-
უქვეყნებელი მოგონების წარმოდგენას. მათი ტექსტების ჩართვა სამეცნიერო ბრუნვაში, ვფიქ-
რობთ, ხელს შეუწყობს ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიისა და შემოქმედების უკეთ შესწავლას
და დაგვაყენებს ახალი კვლევების კვალზე.

Tamar Tsitsishvili

*Ivane Javakishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Georgia, Tbilisi*

**The Institute of Censorship Committee of the Russian Empire and Georgian Language Policy
(80s-90s of XIX century)¹**

Studying the Caucasian Censorship Committee's activities in 19th-century Georgia unveils the culture control system under Russian imperial conquest. The Empire aimed to stifle Georgian consciousness and "national opinion," officially banning mention of Georgia in public discourse since the 1880s. In 1885, the Committee amended Iakob Gogebashvili's "Bunebis Kari," replacing "Georgia" with "Tbilisi and Kutaisi Governorates." Criticizing the dire state of Georgian language education was forbidden; teaching Georgian was sidelined in favor of Russian, even banned in some regions. The "mute teaching" method aimed to erode Georgian identity and language. The Empire imposed Megrelian and Svani languages on certain regions, fracturing national unity. It even attempted to invent a Megrelian alphabet based on Russian. Returning Muslim Georgians were derogatorily labeled as Turks. Those deemed "separatist" were ousted from education by Minister Dulyanov's decree. Imperial censorship aggressively targeted Georgian language suppression, seeking to erase Georgian identity. Evaluating banned materials and censorship mechanisms reveals Russian manipulation in Georgia, highlighting the Empire's efforts to subjugate Georgian culture. This systematic oppression underscores the Empire's strategy to undermine Georgian heritage and consolidate control. Through these historical insights, we comprehend the depth of the Empire's tactics to maintain dominance over conquered territories. The Caucasus served as a battleground for linguistic and cultural dominance, reflecting broader imperial ambitions in the region. Understanding these dynamics is crucial for interpreting Georgia's historical trajectory within the context of imperial expansion and colonial rule. The resilience of Georgian culture against such oppression demonstrates its strength and significance in shaping the nation's identity.

თამარ ციციშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი*

**რუსეთის იმპერიის საცენზურო კომიტეტის ინსტიტუტი
და ქართული ენის პოლიტიკა
(XIX საუკუნის 80-90 წლები)²**

XIX საუკუნის საქართველოში კავკასიის საცენზურო კომიტეტის საქმიანობის შესწავლა საშუალებას გვაძლევს ობიექტურად შევაფასოთ რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ ქვეყანაში კულტურის კონტროლის მართვის სისტემა. რუსეთის იმპერიის კოლონიური ჩაგვრის მიზანი იყო დაეთრგუნა ქართული ცნობიერება და „ეროვნული აზრი“. იმპერიული ცენზურისათვის მიუღებელი იყო სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში ქართული ენის სწავლებასთან დაკავ-

¹ The research was supported by a Grant (FR –21-8835) funded by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia

² კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (F R – 21 – 8335)

შირებით არსებულ ნეგატიურ მდგომარეობაზე და გაუსაძლის პირობებზე წერა. უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როდესაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, სინოდისა და ეგზარხოსების განკარგულებით სრულად აიკრძალა ქართული ენის სწავლება და ეს საათები რუსული ენის გაკვეთილებს დაეთმო. ქართული ენა განიდევნა და არასავალდებულო საგნად ჩაითვალა. „დედაენის სწავლება ოფიციალურად საოჯახო საქმედ გამოცხადდა“. სწავლების ამ მეთოდს „მუნჯური სწავლების“ მეთოდი ეწოდა, რომელიც ასახიჩრებდა ქართველების გონებასა და სულს, აჩლუნგებდა აზრსა და ენას. იმპერია ყოველნაირად ახალისებდა, რომ სამეგრელოს, აჭარისა და სვანეთის სოფლებში ქართულის ნაცვლად სწავლება მეგრულად და სვანურად ყოფილიყო. მეგრელები და სვანები ცალკე ეროვნებად ცხადდებოდნენ. რუსეთის იმპერია ცდილობდა, რომ რუსულ ენაზე დაყრდნობით მეგრელებისათვის არა მარტო ანბანი „შექმნა“, არამედ წირვა-ლოცვაც და საღვთო წერილიც მეგრულად ყოფილიყო. იმპერიის განათლების მინისტრის დულიანოვის განკარგულებით, ვითომდა „სეპარატიზმში შემჩნეულ“ ქართველობას საგანათლებლო სისტემა უნდა დაეტოვებინა. საქართველოში იმპერიული ცენზურის განსაკუთრებული აგრესიულობა ქართულ ენასთან დაკავშირებით გასაგებია, რადგან თუ ქართველები მშობლიურ ენასა და ისტორიას დაივიწყებდნენ, იმპერია თავის მიზანს ადვილად მიაღწევდა, ქართველი ერი თანდათან დაკარგვდა თავის იდენტობას და გარუსდებოდა. მოხსენებაში საუბარია ქართული ენის შევიწროებასთან დაკავშირებულ საცენზურო კომიტეტის საქმიანობის ამსახველ და მათ მიერ აკრძალულ მასალებზე, რომელიც საქართველოში რუსული იმპერიული ცენზურის მართვისა და მანიპულირების მექანიზმების შეფასებაში დაგვეხმარება.

Zoia Tskhadaia

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgia, Tbilisi

The War and the Narrative of the First Shock in Georgian Poetry

The wars of recent decades (a fratricidal war broke out in Abkhazia, the 2008 Russian-Georgian war) have left an extremely painful mark on historical memory of Georgians. In connection with this, a great deal of significant works of prose, poetry, and science were created in Georgian literature. However, with the outbreak of the Russian-Ukrainian war in 2022, a renewed sense of shock has permeated Georgian poetry once again.

The question was raised on websites if there was such immediacy in Georgian lyrics during the war in Abkhazia? – The answer is no, the technological capabilities at that time were not as advanced as they are today. For very obvious reasons, the war in Ukraine particularly illustrated the impact of the first shock. Modern technologies like video cameras, drones, satellite photos, information war through mobile phones, and the daily online broadcasting of war crimes eliminate the need for imagination because daily tragedies have become clearly visible. The entire Internet space and media expressed concern, anxiety, and compassion for the war victims. As usual, the lyrics offered more options in this aspect. The narrative of the first shock has been created with more or less poetic quality, but earnestly and sincerely.

Georgian poets (Besik Kharanauli, Raul Chilachava, Vano Chkhikvadze, Giorgi Lobzhanidze, Rati Amaglobeli, Giorgi Kekelidze, Batu Danelia, Kato Javakhishvili, Diana Amphibiadi, Nomadi Bartaia, Jemal Injia, Murad Mungalidze...) have left behind at least one heartbreaking wartime story of compassion.

Reflecting on these turbulent times compels us to look backwards: what authentic and truthful Georgian poetry preserve for us from the First and Second World Wars. On the theme of the First World

War, we have three poems by Vazha-Pshavela, Irakli Abashidze, and Herodion Evdoshvili. Society at the time was totally cut off from news on the military situation. It was a time when society was completely cut off from the news on military situation. As for the lyrics of the Great Patriotic War, poetry was under ideological pressure and was deprived of freedom of speech throughout the Soviet Union. Naturally, all of this left its mark on Georgian poetry of that time.

ზოია ცხადაია

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი*

ომი და პირველი შოკის ნარატივი ქართულ პოეზიაში

უკანასკნელი ათწლეულების ომებმა (ძმათამკვლელმა – აფხაზეთის ომმა, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა უაღრესად მტკივნეული ნაკვალევი დაგვიტოვა ისტორიული მეხსიერებისათვის. ბევრი რამ მნიშვნელოვანი შეიქმნა ამასთან დაკავშირებით ქართულ ლიტერატურაში: პროზაში, პოეზიაში, სამეცნიერო ნაშრომებში და მაინც, რუსეთ-უკრაინის (2022) ომის პირველ დღეებში ქართულ პოეზიაში მოზღვადა ამ ომით მიღებული პირველი შოკის განცდა; ინტერნეტ-საიტებში გაჩნდა კითხვა – იყო ასეთი მობილურობა ქართულ ლირიკაში აფხაზეთის ომის დროს? – არა, და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იმ დროისათვის არ იყო თანამედროვე ტექნოლოგიური შესაძლებლობანი, როგორც დღესაა. უკრაინის ომმა განსაკუთრებულად წარმოაჩინა პირველი შოკის ეფექტი – სავსებით მარტივი მიზეზებით: თანამედროვე ტექნოლოგიების სფეროში – ვიდეო კამერების, დრონების, სატელიტური ფოტოების... საინფორმაციო ომი მობილურობით... ომის ყოველდღიური დანაშაულის გადაცემა ონლაინ რეჟიმში არ საჭიროებს წარმოსახვის აუცილებლობას, ხელისგულზე დევს ყოველდღიური ტრაგედიები. მთელი ინტერნეტსივრცე, გაზეთები მოიცვა თანაგრძნობამ, შფოთვამ, წუხილმა დაღუპული ადამიანების გამო; როგორც ყოველთვის, მეტი შესაძლებლობა ამ მხრივ ლირიკამ გამოაჩინა. შეიქმნა პირველი შოკის ნარატივი, მეტ-ნაკლები პოეტური ხარისხით, მაგრამ გულწრფელობით, ტკივილით.

თანაგრძნობის ერთი მწარე ისტორია მაინც დატოვეს ქართველმა პოეტებმა (ბესიკ ხარა-ნაული, რაულ ჩილაჩავა, ვანო ჩხიკვაძე, გიორგი ლოხჯანიძე, რატი ამაღლობელი, გიორგი კეკელიძე, ბათუ დანელია, კატო ჯავახიშვილი, დიანა ამფიბიადი, ნომადი ბართაია, ჯემალ ინჯია, მურად მთვარელიძე...).

ამ შფოთიანი დღეების თვალმიდევნებამ წარსულისაკენ გაგავახედა: რა შემოგვინახა გულწრფელი და მართალი ქართულმა პოეზიამ წინა – პირველი და მეორე მეორე მსოფლიო ომებიდან? პირველი მსოფლიო ომის თემაზე გვაქვს ვაჟა-ფშაველას, ირაკლი აბაშიძის და იროდიონ ევდოშვილის ლექსები (სულ – 3); ეს იყო დრო, როცა სრულიად მოწყვეტილი იყო საზოგადოება ინფორმაციებს საომარ ვითარებაზე. რაც შეეხება II მსოფლიო ომის ლირიკას, მთელი კავშირის მასშტაბით, პოეზია იდეოლოგიური წნეხისქვეშ აღმოაჩნდა, წაართვა მას გამოხატვის თავისუფლება. რა თქმა უნდა, ეს ამჩნევია იმდროინდელ ქართულ პოეზიასაც.

Nino Tsurtsumia

*Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi*

**Modernist Polychronotopia:
A Chronotopic Approach to Urban Timespace in James Joyce's *Ulysses***

Humanity's psychological and existential connections with urban spaces vary depending on the dominant ideological and aesthetic paradigms of the given historical period. Since the start of the 20th century, the reevaluation of traditional values in Western cultural consciousness has caused an existential crisis, leading to alienation, loneliness, anonymity, and fragmentation of personality/personal identity. James Joyce's fictional Dublin represents a fragmented urban space in which actions and relations are embodied through different types of chronotopic configurations.

The purpose of the present paper is to analyze the ways in which the fictional image of Dublin is represented in James Joyce's iconic modernist novel *Ulysses* (1922) and demonstrate how different types of „overarching” chronotopes (Romantic/Idyllic, Naturalistic/Documentary, Decadent/Self-referential, and avant-garde/modernist) interact in the novel. The paper will focus on the juxtaposition of historic (diachronic) and mythic (synchronic) aspects of Dublin as a transhistorical city.

The naturalistic description of urban space in "Wandering Rocks" makes sharp contrast with the hallucinatory atmosphere and phantasmagoric symbolism of "Circe" episode. The fictional image of Dublin, in the final analysis, is shaped by this very synthesis of naturalistic narrative discourse and universal symbolic/mythic dimension.

In the "Penelope" episode the dichotomy between historical and mythic poles is abolished through the "spatialization of time", unifying the two into the spatio-temporal configuration that can be referred to as "mythopoeic chronotope".

ნინო წურჭუმია

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი*

**მოდერნისტული პოლიქრონოტოპია:
ურბანული ქრონოტოპული კონფიგურაციები ჯეიმზ ჯოისის რომანში *ულისე***

კაცობრიობის ფსიქოლოგიური და ეგზისტენციალური კავშირები ურბანულ სივრცეებთან მუდმივად იცვლება საუკუნეების იდეოლოგიური და ესთეტიკური პარადიგმების მიხედვით. მე-20 საუკუნის დასაწყისიდან დასავლურ კულტურულ ცნობიერებაში ტრადიციული ფასეულობების გადაფასებამ მსოფლმხედველობრივი და ეგზისტენციალური კრიზისი გამოიწვია, რამაც, თავის მხრივ, გაუცხოებელი, მარტოსული, ანონიმური და შინაგანად გაორებული პიროვნება წარმოშვა. ჯეიმზ ჯოისის წარმოსახვითი დუბლინი ის ფრაგმენტირებული ურბანული სივრცეა, სადაც პერსონაჟების „ცნობიერების ნაკადი“ და მათი ურთიერთმიმართება სხვადასხვა ტიპის ქრონოტოპულ კონფიგურაციაშია განსხეულებული.

მოხსენების მიზანია, გააანალიზოს დუბლინის ფიქციონალიზაციის თავისებურებანი ირლანდიელი მწერლის, ჯეიმზ ჯოისის პარადიგმულ მოდერნისტულ რომანში *ულისე* (1922) და ამ ფონზე გამოკვეთოს სხვადასხვა ტიპის(რომანტიკული (იდილიური), ნატურალისტური (დოკუმენტური), დეკადენტური (თვით-რეფერენციული) და ჰიპერრეალისტური (ავანგარდული, მოდერნისტული) ქრონოტოპების ურთიერთმიმართების სპეციფიკა რომანში. ქრონოტოპული კონფიგურ-

რაციების ანალიზისას ყურადღება გამახვილებული იქნება იმ დიქტომიაზე, რომელსაც რომანის მრავალშრიანი მხატვრული სტრუქტურის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პოლუსის – დიაქრონულის/ისტორიულისა და სინქრონულის/მითოსურის – დამაბული დიალექტიკური ურთიერთმიმართება ქმნის.

„მოხეტიალე კლდეების“ ეპიზოდში გეოგრაფიული ჰიპერრეალიზმითა და ნატურალისტური სიზუსტით აღწერილი დუბლინის ურბანული სივრცე, რომელიც ფართო სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ-ინტელექტუალურ პრობლემატიკას აირეკლავს მკვეთრ კონტრასტს ქმნის „კირკეს“ ეპიზოდის სიმბოლურ-მითიურ, ჰალუცინაციურ განზომილებასთან – დუბლინის წარმოსახვითი ხატის სპეციფიკას სწორედ თხრობის ნატურალისტური/კონკრეტულ-ისტორიული და წარმოსახვითი/უნივერსალურ-მითოსური პლასტების სინთეზი განსაზღვრავს.

დიქტომიურ საწყისთა ასეთი სინთეზი განსაკუთრებით ნათლად ვლინდება „პენელოპეს“ ეპიზოდში, სადაც დროსა და სივრცეს შორის საზღვრები იშლება, რაც დროის „სპატიალიზაციას“ იწვევს და მითოპოეტიკურ ქრონოტოპს წარმოქმნის.

Marine Turashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgia, Tbilisi

Fairy Tale as a Universal Genre and Quantitative and Typological Analysis of Georgian Folk Tales

The fairy tale, as a genre, holds a significant position in the folklore of all nations. The striking similarity is evident not only in the types but also in the narratives, underscoring its universality. The typological analysis of Georgian fairy tales commenced in the 1960s. Particularly noteworthy is e-mail Virsaladze's contribution. In 1961, he compiled a catalog of Georgian fairy tale types based on the Aarne-Andreev classification, providing concise descriptions of 407 types sourced from Georgian, Russian, and Ukrainian traditions. T. Kurdovanidze's examination of fairy tales was later fully translated into English and Russian in 2000.

The study relies on two electronic resources from the folklore archive of the Shota Rustaveli Institute of Georgian Literature: Database of Georgian Folklore (see, <https://www.folktreasury.ge/ARPA>) and Web Platform of Comparative Folk Narrative Research (see, <https://www.folktreasury.ge/Folklore>). In 2004, unpublished fairy tales from the folklore archive were curated and categorized according to the Aarne-Thompson-Uther fairy tale types. This electronic platform facilitates extensive research into the Georgian folklore repertoire through comprehensive comparative analyses.

After analyzing fairy tales, it was found that they make up approximately 9% of the entire folklore repertoire. When looking at the subgenres, the percentage breakdown is as follows: animal tales account for 6%, magical tales for 59%, religious tales for 3%, novelistic tales for 17%, and anecdotes for 15%.

A typological examination of Georgian folk tales, consistent with the information available on the web platform of comparative folk narrative research, indicates the predominant types within each subgenre. In animal tales, ATU15 is most prevalent; in magical tales, ATU301 leads; in religious tales, ATU779 is prominent; in novelistic tales, ATU938B stands out; in anecdotes, ATU1640 takes the spotlight, and in cumulative tales, ATU2042 is notable.

The data analysis highlights that magical tales are the most popular within the Georgian folklore repertoire.

მარინე ტურაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი

ზღაპარი, როგორც უნივერსალური ჟანრი და ქართული ხალხური ზღაპრების რაოდენობრივი და ტიპოლოგიური ანალიზი

ზღაპარს, როგორც ჟანრს, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ყველა ერის ფოლკლორში. მათი მსგავსება არა მხოლოდ ტიპების, არამედ სიუჟეტების დონეზეც თვალშისაცემია. სწორედ ეს განსაზღვრავს მის უნივერსალურობას.

ქართული ზღაპრების ტიპოლოგიური ანალიზი გასული საუკუნის 60-იან წლებში იწყება. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ელ. ვირსალაძის დამსახურება. 1961 წელს მან გამოაქვეყნა აარნე-ანდრეეს ზღაპრის კატალოგის მიხედვით დამუშავებული ქართული ზღაპრების ტიპთა კატალოგი, სადაც მკვლევარი ქართული, რუსული და უკრაინული რეპერტუარის მიხედვით, გვთავაზობს 407 ტიპის მოკლე აღწერილობას. თ. ქურდოვანიძის ზღაპრის საძიებელი სრული სახით ინგლისურ და რუსულ ენებზე გამოვიდა 2000 წელს.

კვლევა ეყრდნობა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივის ორ ელექტრონულ პროდუქტს: ქართული ფოლკლორის მონაცემთა ბაზასა (იხ., <https://www.folktreasury.ge/ARPA>) და ქართული ხალხური პროზის კომპარატივისტული ანალიზის ვებპლატფორმას (იხ., <https://www.folktreasury.ge/Folklore>), რომელშიც 2004 წელს აარნე-ტომპსონ-უთერის ზღაპრის ტიპთა საერთაშორისო კატალოგთან თავსებადობაში დამუშავებული და თავმოყრილია ფოლკლორის არქივში დაცული გამოუქვეყნებელი ზღაპრები. ელექტრონული პლატფორმა ქართულ ფოლკლორულ რეპერტუარზე კომპარატივისტული ანალიზის საფუძველზე ფართომასშტაბიანი კვლევების განხორციელების საშუალებას იძლევა.

ზღაპრების მონაცემთა ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ, ზოგადად, ისინი მთელი ფოლკლორული რეპერტუარის 9%-ია. რაც შეეხება მის ქვეჟანრებს, პროცენტული თანაფარდობა ამგვარია: ცხოველთა 6%, ჯადოსნური 59%, რელიგიური 3%, ნოველისტური 17% და ანეკდოტები 15%.

ქართული ხალხური ზღაპრების ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე, რომელიც ეყრდნობა ხალხური პროზის კომპარატივისტული ანალიზის ვებპლატფორმაში მოძიებული ინფორმაციას, დგინდება, რომ ცხოველთა ზღაპრებში ყველაზე პოპულარული ტიპია ATU15, ჯადოსნურში – ATU301, რელიგიურში – ATU779, ნოველისტურში – ATU938B, ანეკდოტებში – ATU1640 და კუმულაციურში – ATU2042.

მონაცემთა ანალიზი ცხადყოფს, რომ ქართულ ფოლკლორულ რეპერტუარში ყველაზე პოპულარული ყოფილა ჯადოსნური ზღაპრები.

Manana Turiashvili

Head of the Theatrical Fund in Tbilisi

Georgia, Tbilisi

**Development of the Theme of Death in the Play *Our Town*
(Thornton Wilder, Rezo Gabriadze)**

The play by the world-famous American novelist and playwright Thornton Wilder is called *Our Town*. In the Film Actors Theatre (Tbilisi) the idea of staging the play belongs to the director Mikheil Tumanishvili. At the request of the actor Erosi Manjgaladze, the Georgian screenwriter and director Rezo Gabriadze translated and adapted the play into the Georgian way and called it *Our Little Town*.

Thornton Wilder's town, where the action takes place, was changed to a Georgian town and American names and surnames of characters were changed to Georgian ones. Replacement of the location and change of names of characters was not done "easily". Every word and opinion of Thornton Wilder, the writer admired and favoured by Rezo Gabriadze, is thoroughly worked on and written in such Georgian that one gets convinced that this play is about one of the cities where "research" of human existence, essence, purpose of life is done extremely lightly, not forcefully and with extreme warmth.

In Rezo Gabriadze's work, one would recognize the basis of the spirituality of people with high morale, chivalry, refined humour, self-respect and love for humanity. In *Our Little Town*, there are no so-called negative characters, there are no conflicts between people and the beginning of conflict is inevitable death, which is the fate of all people whether in America or Georgia. Death does not appear in the list of characters but it enforces the law of nature in the lives of the heroes. Every person is born, goes through life and eventually dies. The path of someone's life is short while someone strives for death and seems to be seeking it.

In the Georgian rendition by Rezo Gabriadze, we delve into the reason for the nostalgia of the old city. Besides, in the end, we see that the seemingly harmonious life of heroes is still consumed by the inability to communicate, "really" feel each other, which creates the feeling of loneliness even among close people. As Thornton Wilder says, in this world we fail to appreciate the beauty of life, we don't appreciate every second since being agitated by passions we wander around like blind people. The imagination of Rezo Gabriadze merged with the plot of Thornton Wilder's play so perfectly that the wisdom of the American author was not lost. The Georgian author erased the borders between the "big" and "small" countries and, following the American playwright, in the Georgian language, once again discovered the magic word – love, which is more powerful than death.

Through a comparative analysis, we will find out the development of the theme of death, identifying what Rezo Gabriadze altered or strengthened in the Georgian rendition of the play and the reasons behind these choices.

მანანა ტურიაშვილი

თეატრალის ფონდის ხელმძღვანელი

საქართველო, თბილისი

**სიკვდილის თემის განვითარება პიესაში „*Our Town*“ – „ჩვენი პატარა ქალაქი“
(თორნტონ უაილდერი, რეზო გაბრიადე)**

მსოფლიოში აღიარებული ამერიკელი პროზაიკოსისა და დრამატურგის თორნტონ უაილდერის პიესას ჰქვია *Our Town*. კინომსახიობთა თეატრში (თბილისი) ამ პიესის დადგმის იდეა ეკუთვნის რეჟისორ მიხეილ თუმანიშვილს. როცა მსახიობ ეროსი მანჯგალაძის თხოვნით, ეს ნაწარმოები ქართველმა კინოსცენარისტმა და რეჟისორმა რეზო გაბრიადემ თარგმნა, მან ეს პიესა მთარგმნის ქართულ ცხოვრებას და „ჩვენი პატარა ქალაქი“ უწოდა.

თორნტონ უაილდერის ქალაქი, სადაც მიმდინარეობს მოქმედება, შეიცვალა ქართული ქალაქით, მოქმედ გმირთა ამერიკული სახელები და გვარები შეიცვალა ქართულით. პიესის მოქმედების ადგილი და პერსონაჟთა სახელების ჩანაცვლება ასე „მარტივად“ არ მომხდარა, რეზო გაბრიადის სათაყვანებელი და საყვარელი მწერლის – თორნტონ უაილდერის თითოეული სიტყვა, აზრი დამუშავებულია და ისეთი ქართულით არის დაწერილი, რომ გჯერა – ეს პიესა საქართველოს ერთ-ერთ ქალაქზეა, სადაც ადამიანთა არსებობის, რაობის, სიცოცხლის არსის „კვლევა“ ხდება ძალიან მსუბუქად, ძალდაუტანებლად და უდიდესი სითბოთი.

რეზო გაბრიადის ნამუშევარში შეიცნობ ზნეკეთილი ხალხის სულიერების საფუძველს, თავისი რაინდობით, დახვეწილი იუმორით, თავმოწონებით და კაცთმოყვარეობით. „ჩვენ პატარა ქალაქში“ ე. წ. უარყოფითი პერსონაჟები არ არიან, ადამიანებს შორის კონფლიქტი არ ხდება, კონფლიქტის სათავე გარდაუვალი სიკვდილია, რომელიც ყველა ადამიანის ხვედრია, ამერიკაში იქნება ეს თუ საქართველოში. სიკვდილი მოქმედ პირთა ჩამონათვალში არ ფიგურირებს, მაგრამ გმირთა ცხოვრებაში ბუნების კანონს აღასრულებს – ყოველი ადამიანი იბადება, ცხოვრების გზას გადის და ბოლოს კვდება. ვიღაცის ცხოვრების გზა ხანმოკლეა, ვიღაც თავად ესწრაფვის სიკვდილს და თითქოს ეძებს მას.

რეზო გაბრიადის გადმოქართულებულ პიესაში ჩვენ ვულრმავდებით ძველი ქალაქის წარსულზე ნოსატაღის მიზეზს, ამასთან, საბოლოოდ ვხედავთ, რომ პერსონაჟთა თითქოს ჰარმონიულ ცხოვრებას მაინც ღრდნის კომუნიკაციის, ერთმანეთის „ნამდვილი“ შეგრძნების უუნარობა, რომელიც შეხმატკბილებულ ოჯახის წევრთა შორისაც კი მარტოსულობის შეგრძნებას ბადებს. როგორც თორნტონ უაილდერი ამბობს, ამ ქვეყანაზე, ჩვენ ვერ ვგრძნობთ სიცოცხლის მშვენიერებას, არ ვაფასებთ თითოეულ წამს, ვინაიდან ვნებებს აყლილნი ბრმეებით დავიარებით. რეზო გაბრიადის წარმოსახვანი ისე შეერწყა თორნტონ უაილდერის პიესის ქარგას, რომ არ დაკარგულა ამერიკელი ავტორის სიბრძნე. ქართველმა ავტორმა წაშალა „დიდი“ და „პატარა“ ქვეყნის ზღვარი და ამერიკელი დრამატურგის კვალდაკვალ, ქართულ ენაზე, კიდევ ერთხელ აღმოაჩინა ჯადოსნური სიტყვა – სიყვარული, რომელიც სიკვდილზე უფრო ძლიერია.

შედარებითი ანალიზით გავარკვევთ სიკვდილის თემის განვითარების თავისებურებებს, რა შეცვალა ან გააძლიერა გადმოქართულებულ პიესაში რეზო გაბრიადემ და რატომ.

Rusudan Turnava, Nino Gagoshashvili, Tatia Oboladze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Georgia, Tbilisi

Literary and Political Strategy of French Writers Towards Georgia in the First Half of the 20th Century

The centuries-old tradition of Georgian-French cultural relations continued under the totalitarian regime, albeit in a changed form and with limitations. The purpose of this paper is to analyze the Georgian-French literary-cultural relationship at the beginning of the Soviet period, particularly in the 1920s-30s. Based on files preserved in the Censor Committee fund (including French-language manuscripts and official and private correspondence), this paper evaluates the policy and work of the Union Society for Cultural Relations with Abroad (VOKS) and presents its communist propaganda function.

The large-scale strategy of presenting Soviet culture in the Western space included inviting authors impressed with communist ideology to the Soviet Union to propagate the utopia implemented there internationally. Many authors visited Soviet Georgia to observe the reality on the ground and draw objective

conclusions based on facts, aiming to verify how much reality matched their hopes and expectations. This paper discusses the visits of French authors in the 1920s-30s: Henri Barbusse (in 1927, 1928) and André Gide (in 1936).

Within the framework of this paper, the views of French writers on Georgia and the Soviet Union will be reviewed through revisions of "Here's what they have done with Georgia" and "Stalin. The Man Who Creates the Face of the New World" by Henri Barbusse, and "Return from the USSR" and "Afterthoughts: A Sequel to Return from the USSR" by André Gide. The ideological conflict, detailing how the "fervent friend and companion" of the Soviet Union, André Gide, became a traitor and an enemy, will be analyzed. This analysis includes Henri Barbusse's interactions with Georgian society (meetings, essays, translations, and the Georgian film about Barbusse housed in the National Archives of Georgia) and how these visits were reflected not only in Georgian and French periodicals of that time but also in artistic texts (e.g., Paolo Iashvili, Galaktion Tabidze, Gaston Buachidze). Finally, the depiction of Stalin in the records of French writers (Romain Rolland, Henri Barbusse, Andre Gide), including tense meetings with the leader, will be explored.

რუსუდან თურნაგა, ნინო გაგოშაშვილი, თათია ობოლაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი*

ფრანგი მწერლების ლიტერატურული და პოლიტიკური სტრატეგია საქართველოს მიმართ XX საუკუნის პირველ ნახევარში

ქართულ-ფრანგული კულტურული ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია, თუმცა სახეცვლილი ფორმითა და შეზღუდვებით, ტოტალიტარული რეჟიმის პირობებშიც გაგრძელდა. მოხსენების მიზანია, საბჭოთა პერიოდის დასაწყისში, კერძოდ, 1920-30-იან წლებში ქართულ-ფრანგული ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობის გაანალიზება, ცენზურის კომიტეტის ფონდში დაცული საქმეების (მათ შორისაა ფრანგულენოვანი ხელნაწერები – ოფიციალური და პირადი მიმოწერა) საფუძველზე საზღვარგარეთთან კულტურული კავშირის საკავშირო საზოგადოების (VOKS) მუშაობის პოლიტიკის შეფასება და მისი კომუნისტური პროპაგანდის ფუნქციის წარმოჩენა.

საბჭოთა კულტურის დასავლურ სივრცეში წარმოჩენის მასშტაბური სტრატეგია მოიცავდა, კომუნისტური იდეოლოგიით აღფრთოვანებული ავტორების საბჭოთა კავშირში მოწვევას და ამ გზით საბჭოეთში განხორციელებული უტოპიის საერთაშორისო სივრცეში პროპაგანდას. ადგილზე დაკვირვებისა და ფაქტების საფუძველზე ობიექტური დასკვნების გამოტანის მისიით საქართველოს ეწვია მრავალი ავტორი, რომელთაც სურდათ დარწმუნებულიყვნენ, რამდენად შეესაბამებოდა სინამდვილე მათ იმედებსა და მოლოდინებს. განვიხილავთ 1920-30-იანი წლების ფრანგი ავტორების, ანრი ბარბიუსის (1927, 1928 წლებში) და ანდრე ჟიდის (1936 წელს) ვიზიტებს.

მოხსენების ფარგლებში გადაიხედება ფრანგი მწერლების შეხედულებები საქართველოსა და საბჭოთა კავშირზე (ანრი ბარბიუსის „აი რა უყვეს საქართველოს“ და „სტალინი. ადამიანი, რომელიც ახალი სამყაროს სახეს ქმნის“; ანდრე ჟიდის „დაბრუნება სსრკ-დან“ და „ჩემი სსრკ-დან დაბრუნების“ შესწორებები); გაანალიზდება იდეოლოგიის საფუძველზე არსებული კონფლიქტი, როგორ იქცა საბჭოთა კავშირის „მხურვალე მეგობარი და თანამგზავრი“ ანდრე ჟიდი მოლაპატედა და მტრად. განიხილება ანრი ბარბიუსის და ქართული საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულება (შეხვედრები, ნარკვევები, თარგმანები, საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ქართული ფილმი ბარბიუსზე) და როგორი იყო აღნიშნული ვიზიტების რეფლექსია არა მხოლოდ

იმდროინდელ ქართულ და ფრანგულ პერიოდიკაში, არამედ მხატვრულ ტექსტებში (მაგ. პაოლო იაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, გასტონ ბუაჩიძე). კვლევის საგანია აგრეთვე თუ როგორ წარმოჩინდა სტალინის სახე ფრანგი მწერლების (რომენ როლანის, ანრი ბარბიუსის, ანდრე ჟიდის) ჩანაწერებში: დამაბული შეხვედრები ბელადთან.

Tinatin Tvaltchrelidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Ilia state university

Georgia, Tbilisi

Activation of Taboo Topics in Jemal Karchkhadze's Creativity

In modern reality, the Soviet narrative is being actively researched, while the period when the imperialist rule was coming to an end is being actively discussed. In the age of freedom or the so-called "slavery", the purpose of literature is relevant to become a dictate of those values that are often forgotten in a conformist society when national identity is being formed. And the identity of a nation entirely depends on the narratives found in its collective memory. The democratic reality, the free space, the open borders showed that the topics that were taboo in the totalitarian era a few decades ago – honor, conscience, faith, morality – were presented by the literature of the 70s and 80s through allegorically and parables. However, taboo historical traumas have only been discussed openly since the end of the 20th century. It is a completely different situation in Western literary studies and cultural studies.

The research topic also refers to the research of the 70-80s and seeks answers to the following questions:

- How are taboo topics represented in the Georgian literary reality of this period against the background of the search for identity;
- What is the concept of taboo in relation to cultural heritage, in the context of totalitarianism;
- Awaiting the transitional period, does literature return to the national narrative in terms of modernism;
- On the basis of cultural identity, how are the boundaries of national identity marked in a conformist society;
- Why literature needed an allegorical-parable description of moral landmarks in the conditions of slow censorship.
- In the totalitarian space, the killing of the moral law is highly relevant. Rather than the post-Soviet trauma narrative, Jemal Karchkhadze's work is interesting in the direction of tabooing and de-tabooing moral issues, in order to present epochally correct artistic-aesthetic values (Karchkhadze's journalism, *The Tenant, Jupiter's Regret, Antonio and David, My Uncle Yona, Rahat-Lukhumi*, etc.) While moral values are taboo, Jemal Karchkhadze made the issue of morality the main problem of his literary works; he wrote: "I am a moralist by nature and nothing can be done about it." Two types of conjuncture of the era spread during this period: "urapatriotic" and international.

თინათინ თვალჭრელიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო, თბილისი

ტაბუდადებული თემების აქტივიზაცია ჯემალ ქარჩხაძის შემოქმედებაში

თანამედროვე რეალობაში აქტიურად მიმდინარეობს საბჭოთა ნარატივის კვლევა, აქტიურად განიხილება სწორედ ის პერიოდი, როცა იმპერიალისტური მიმართულება დასასრულს უახლოვდებოდა. თავისუფლებისა თუ ე.წ. „მონობის“ ხანაში აქტუალურია მწერლობის დანიშნულება, იქცეს მოკარნახედ იმ ღირებულებებისა, რომლებიც ხშირად დავიწყებას ეძლევა კონფორმისტულ საზოგადოებაში, როცა ნაციონალური იდენტობა ყალიბდება. ერის იდენტობა კი მთლიანად დამოკიდებულია იმ ნარატივებზე, რომლებიც იძებნება მის კოლექტიურ მეხსიერებაში. დემოკრატიულმა რეალობამ, თავისუფალმა სივრცემ, გახსნილმა საზღვრებმა მეტად წარმოაჩინა, რომ რამდენიმე ათწლეულის წინ ტოტალიტარულ სივრცეში ტაბუდადებული თემები – ღირსება, სინდისი, რწმენა, ზნეობა – 70-80-იანი წლების მწერლობამ წარმოაჩინა ალეგორიულობისა და იგავურობის საშუალებით. თუმცა ტაბუდადებული ისტორიული ტრამვები მხოლოდ მეოცე საუკუნის ბოლოდან განიხილება ღიად. სრულიად სხვაგვარი მოცემულობაა დასავლურ ლიტერატურათმცოდნეობასა და კულტურის კვლევებში. საკვლევი საკითხიც სწორედ 70-80-იანი წლების კვლევას ეხება:

- როგორ ხდება ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურულ რეალობაში ტაბუდადებული თემების რეპრეზენტირება იდენტობის ძიების ფონზე;
- როგორია ტაბუს კონცეფცია კულტურულ მემკვიდრეობასთან მიმართებით ტოტალიტარიზმის კონტექსტში.
- გარდამავალი პერიოდის მოლოდინში უბრუნდება თუ არა ლიტერატურა ნაციონალურ ნარატივს მოდერნიზმის ჭრილში;
- კულტურული იდენტობის საფუძველზე როგორ ხდება კონფორმისტულ საზოგადოებაში ეროვნული იდენტობის საზღვრების მონიშვნა;
- რატომ დასჭირდა ლიტერატურას ზნეობრივი ორიენტირების ალეგორიულ-იგავური აღწერა განელელებული ცენზურის პირობებში.
- ვიდრე პოსტსაბჭოთა ტრამვულ ნარატივამდე საინტერესოა ჯემალ ქარჩხაძის შემოქმედება ზნეობრივი საკითხების ტაბუირებისა და დეტაბუირების მიმართულებით, რათა ეპოქალურად სწორი მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულებები წარმოჩნდეს (*ქარჩხაძის პუბლიცისტიკა, მდგმური, იუპიტერის სინანული, ანტონიო და დავითი, ბიძაჩემი იონა, რაჭათ-ლუხუმი* და სხვ.) მორალური ღირებულებები ტაბუირებულია, ჯემალ ქარჩხაძემ კი თავისი შემოქმედების მთავარ პრობლემად ზნეობის საკითხი აქცია, ის წერდა: „ბუნებით მორალისტი ვარ და ამას არაფერი ეშველება“. საგულისხმოა ამ პერიოდში გავრცელებული ეპოქის ორგვარი კონიუნქტურა: ურაპატრიოტული და ინტერნაციონალური.

Nino Vakhania

Sukhumi State University

Georgia, Tbilisi

**Women of the Georgian Royal House
(according to the writings of Alexander Orbeliani)**

The purpose of the research is to observe and study the life of the Georgian royal house in the tragic 18th century based on the writings of Alexander Orbeliani. The writer himself did not live to the age of Erekle, but the king's grandson, through the stories of his mother and other reliable people, absorbed and embodied the passing time in such a way that his stories can be used as documents for the researcher.

The artistic-documentary works of Alexander Orbeliani are especially noteworthy. The narrator, along with many other undoubtedly noteworthy and important things, clearly drew us, clearly showed us the life of the royal house of Erekle II. He showed us and introduced us to the characters, creating memorable psychological portraits of them.

Currently, the women of the royal family are attracting our attention. He has written a separate, grown-up work about Darejan Dadiani, and in another place he brings out his famous grandmother as a character. He did not dedicate separate stories or essays to other queens, although he created faces of smart, certain in politics, loyal to family and country, decent women in different stories.

Both wives of the last king of Kartli-Kakheti, Giorgi XII – the first – Ketevan Andronikashvili and the second – Mariam Tsitsishvili – left inimitable examples of courage, love for the homeland, and foresight. Some of these episodes are known from the writings of chroniclers, while others are only found in the works of Alexander Orbelian.

The writer's mother, Tekla Bagrationi, is also a representative of the royal house. On the one hand, she is a character of artistic-documentary writings, on the other – a reliable, truthful informant. The superiority of women (according to various signs) compared to men is visible everywhere.

Writings based on living informants help to fill in the history and present a more or less complete picture.

The language of the writer is here. Unlike other romanticists and his own poems, Alexander Orbelian popularized and simplified the language in his prose writings.

ნინო ვახანია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო, თბილისი

**ქართული სამეფო სახლის ქალები (ალექსანდრე
ორბელიანის თხზულებათა მიხედვით)**

კვლევის მიზანია, ალექსანდრე ორბელიანის თხზულებებზე დაყრდნობით დავაკვირდეთ და შევისწავლოთ ქართული სამეფო სახლის ცხოვრება ტრაგიკულ, მე-18 საუკუნეში. მწერალი თვითონ ერეკლეს ხანას არ მოსწრებია, მაგრამ მეფის შვილიშვილმა დედისა და სხვა სანდო პირების ნაამბობით ისე შეითვისა და შეისისხლბორცა გარდასული დრო, რომ მისი ნაამბობი შესაძლებელია, დოკუმენტებად გამოადგეს მკვლევარს.

განსაკუთრებით საყურადღებოა ალექსანდრე ორბელიანის ე. წ. მხატვრულ-დოკუმენტური თხზულებანი. მთხრობელმა სხვა არაერთ უთუოდ საყურადღებო და მნიშვნელოვან რამესთან ერთად თვალნათლივ დაგვიხატა, ხელისგულზე დაგვიდო, ნათლად გვიჩვენა ერეკლე მეორის-

დროინდელი სამეფო სახლის ცხოვრება. დაგვანახა და გაგვაცნო პერსონალები, შექმნა მათი დასამახსოვრებელი ფსიქოლოგიური პორტრეტები.

ამჟამად ჩვენს ყურადღებას იპყრობს სამეფო ოჯახის ქალები. დარეჯან დედოფლის შესახებ ცალკე, მოზრდილი ნაწარმოები აქვს დაწერილი და სხვაგან კი პერსონაჟად გამოჰყავს თავისი სახელოვანი ბეზია. სხვა დედოფლებისათვის ცალ-ცალკე მოთხრობები თუ ნარკვევები არ უძღვნიან, თუმცა ჭკვიანი, პოლიტიკაში გარკვეული, ოჯახისა და ქვეყნის ერთგული, ღირსეული ქალების სახეები შექმნა სხვადასხვა მოთხრობაში.

ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის ორივე მეუღლემ – პირველმა – ქეთევან ანდრონიკაშვილმა და მეორემ – მარიამ ციციშვილმა – სიმამაცის, სამშობლოს სიყვარულის, შორს-მჭვრეტელობის განუმეორებელი მაგალითები დატოვეს. მათგან ზოგი ეპიზოდი ცნობილია მემატანიანთა ნაწერებიდან, ზოგს კი მხოლოდ ალექსანდრე ორბელიანის ნაწარმოებებში ვხვდებით.

სამეფო სახლის წარმომადგენელია მწერლის დედაც, თეკლა ბატონიშვილი, რომელიც, ერთი მხრივ, მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებათა პერსონაჟია, მეორე მხრივ კი – სანდო, მართალი ინფორმატორი. ყველგან თვალსაჩინოდაა აღბეჭდილი ქალების უპირატესობა (სხვადასხვა ნიშნის მიხედვით) მამაკაცებთან შედარებით, ეს თხზულებები გვეხმარება ისტორიის შევსებასა და მეტნაკლებად სრული სურათის წარმოდგენაში.

ენა მწერლისა სადაა. სხვა რომანტიკოსთაგან და საკუთარი ლექსებისგან განსხვავებით, ალექსანდრე ორბელიანმა პროზაულ ნაწერებში ენა გაახალბურა და გაამარტივა.

Sergey Zotov

*Chekhov Taganrog Institut named after A.P. Chekhov,
the branche of Rostov State University of Economics
Russian Federation, Taganrog*

On the Typology of Characters in Goethe's Faust and Lermontov's The Demon

Goethe's tragedy occupies a central place in the European text of the "evil spirit". One of the moments of his development is the image of the Demon in Lermontov's poem. Moreover, both authors were influenced by Byron to varying degrees, and their characters have a different religious and mythological basis. Mephistopheles is "... only a part of the part that was / At the beginning of all that darkness that produced light", a product of "the mighty night, the mother of creation". Night, according to orphic philosophy, gives rise to Uranus and Gaia. This origin of Mephistopheles determines the dialogue with the Lord, is a distant refraction of Qatari dualism, the idea of the dual nature of the world. A similar position could arise under the influence of Byron's Lucifer, who, however, is certainly opposed to the Creator of the world. For Mephistopheles, the situation of dialogue is possible, but he himself plays a subordinate role, receiving permission from the creator to test Faust, like Satan in the book of Job. A heretical motive in this case, it is combined with fidelity to Scripture.

Lermontov's demon has an obvious biblical origin, expressed in his own monologues and characteristics of the author, however, "knowledge and freedom", "doubt", sadness as a consequence of rejection are emphasized in the hero's position. This evil spirit, "greedy for knowledge", wants to experience the power of the creator himself and "believe and love" again, he makes an attempt to convert through love to Tamara as the perfection of creation, i.e. the incarnation of the creator. However, in the biblical and mythological space of Christian culture, in this case – in the artistic space of Lermontov's poem – such an appeal is impossible: self-will and knowledge are identified with evil, therefore the Demon finally perishes

for good and light, fulfilling the role of a source of destruction necessary for the Christian picture of the world. The hero of Lermontov's poem becomes the literary and artistic embodiment of the "evil spirit" of the Bible, an artistic interpretation of the original source impossible for monotheism.